წელიწადი მეექვსე
კვირა. 24 მარტი 1929 წ. № 13. (197) ფასი 10 კაპ.

# ტარტაროზი

## სახკომი წარმოებაში



ამხ. ს. ჟულელი „საგაზაფხულო თესვის კამპანიის" ანგარიშს აბარებს

# „ბოიკოტი“

## აზრი ნასესხებია

ამბობენ: „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ყავდეს“-ო.

შეკაზმული ცხენი კი არა, ნავთლუღიდან შრომის ბირჟამდე ორი წელიწადი ფეხით დავჩანჩალობდი, ტრამვაის ფულის უქონლობის გამო, მაგრამ მართლის თქმას მაინც არ მოვერიდებივარ.

ერთმა თავისთავად პატარა მოვლენამ კი ისეთ მდგომარეობაში ჩამაგდო, რომ იძულებული გავხდი ჩემი ჩვეულებისათვის პელალატნა და სიცრუე მეთქვა, რადგან უამისოთ ჩემი თავის „დაძვრენა“ შექმნილ მდგომარეობიდან შეუძლებელი გახდა.

1926 წლის გაზაფხულზე შტატის შემოკლებაში მოვხვდი და ორ წელიწად ნეხევარზე მეტი უადგილოთ ვეხეტებოდი.

რომ უფრო მეტი შანსი მქონოდა, ათასგვარ პროფესიას გამოვეკიდე: დაუსრულე საქმის წარმოების, საბუღალტერო, სატრაქტორო, სტენოგრაფიის კურსები; სათეატრო სტუდიაც კი არ დამიკლია და ბოლო დროს „გოსკინპრომის“ არტისტობასაც გამოუდექი, (სხვა თუ არაფერი, უმუშევრის როლის შესრულებას მაინც მოვახერხებდი).

მაგრამ არსად არაფერი არ გამოვიდა.

აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდი. ყველაზე უფრო ცოლის საყვედური მაწუხებდა და მთელ დღეებს ნაცნობებთან ლაყბობაში ვატარებდი. ღამ-ღამობით ვერის ხიდზე გავლას ვერიდებოდი.

ჩემს თავში თავის დახრჩობის პრობლემა ისმებოდა. ერთ მშვენიერ დღეს (პოეტი რომ ვიყო, მთელ პოემას დავსწერდი ამ ბედნიერი დღის შესახებ) — ჩემი ბედის ჩარხი სრულიად შემთხვევით წაღმა მოტრიალდა. ქალაქის ერთ განაპირა უბანში არსებულ ქარხნის დირექტორის კაბინეტისაკენ წავედი. კაბინეტის კარებს რომ შევხედე, უკან დავიხიე—არც რიგი იყო, არც ჩვეულებრივი წარწერა: „დაუკითხავად შესვლა აკრძალულია“,— და გადავსწყვიტე, რომ მისამართი მქონდა შეშლილი, მაგრამ ამ დროს დაწესებულების დარაჯმა დამინახა და მომაძახა:

— დირექტორის ნახვა გინდათ? შედით, კაბინეტში მუშაობს

მისმა თავაზიანმა კილომ გამაკვირვა, მაგრამ იმავე წამში უფრო მეტი საკვირველება ვნახე.

— დაბრძანდით, ამხანაგო. აგერ სკამი. ფეხზე დაიღლებით! — კიდევ უფრო თავაზიანი და მართლაც ამხანაგური კილოთი მითხრა დირექტორმა.

— არაფერი მიშავს.. აუტანელია ჩემი მდგომარეობა.. სადაც არ მივაკითხე, არსად არ მიმიღეს... ცოლი... შვილები..

— დამშვიდდით, ამხანაგო.. ბირჟაზე ხართ აღრიცხული?

— რამდენი ხანია, მაგრამ არაფერი გამოდის...

— მოანგარიშეობა შეგიძლიათ?

— შემიძლია.

— მაშ კარგი. ხვალ შემოიარეთ. ჩვენ მოანგარიშე გვჭირდება.

— გმადლობთ, — ჩავილუღლუღე ჩემთვის და ამ მოულოდნელ ბედნიერებით აღტაცებული ჩქარა გავექანე შინისკენ.

— მომილოცავს... სამსახური ვიშოვე. სამსახური! — მისვლისთანავე ვახარე ცოლს და ქუდი რამდენჯერმე ჭერში შევაგდე.

— მომბეზრდა შენი ბოდიალი. სულ აგრე ტრაბახობ და არაფერი გამოდის. თავი დამანებე, გულს მაინც ნუ მიხეთქავ. — მკაცრი კილოთი მიპასუხა ცოლმა, რომელიც ჩემს სამსახურში მოწყობის საქმეს მუდამ სკეპტიკურად უყურებდა.

— არ გჯერა? მართალს გეუბნები, — და ვუამბე დაწვრილებით ყველაფერი.

— არ მჯერა.. ტყუილი უნდა იყოს... დირექტორმა?! უნაცნობოდ?! უპროტექციოდ?!..

მესამე დღეს, როცა ჩვენი ქარხნის მეორე მოანგარიშესთან ერთად სამსახურიდან ვბრუნდებოდი, მან მარქსის მოედნის ახლოს შემაჩერა და მკითხა:

—როგორ მოხვდით, ამხანაგო, ჩვენთან სამსახურში?

— შრომის ბირჟიდან.

— რა ნათესავია თქვენი ახალი დირექტორი?

— ვინ დირექტორი?-

— ნიკო შრომიშვილი.

— ქარხნის დირექტორი?

— ჰო.

— არაფერი.

— მაშ, როგორ?!

— სრულიად შემთხვევით; მივაკითხე სამსახური და ჩემს იღბალზე კიდეც აღმოჩნდა.

— მართალი თქვით, რატომ ფიცავთ-

— არაფერიც არ არის დასაფიცი. მე ვამბობ, ისე როგორც იყო.

— ამხანაგო, მე არც ისე სულელი ვარ, რომ მაგისთანა ამბავი დავიჯერო — წარმოსთქვა მან და უკმაყოფილოთ გამშორდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, შევამჩნიე, რომ თანამშრომლები აღმაცერად მიყურებდენ, მერიდებოდენ და ხშირად კიდეც გამირბოდენ. ჩემს გამოჩენაზე მხიარულ ლაპარაკს სწყვეტდენ, ჩუმდებოდენ და საქმიან გამომეტყველებას ღებულობდენ თუ რაიმე საკითხის შესახებ განმარტებას ვთხოვდი, მოკლედ და ცივად მიპასუხებდენ:

— არ ვიცი!

ვგრძნობდი, რომ სამსახურში ყველასგან ათვალისწუნებული ვიყავი. ვიტანჯებოდი. ოჯახშიც ცოლმა აღმაცერად დამიწყო ყურება.

ყველა გამიდგა. ჩემი მდგომარეობა უმუშევრის მდგომარეობაზე უარესი შეიქნა. რამე გამოსავალი უნდა მენახა და კიდეც ვნახე:

ერთ დღეს ჩემს თანამოსამსახურე მოანგარიშეს ძალით ავედევნე. ახლა მე თითონ ჩამოუგდე სამსახურში მოწყობაზე ლაპარაკი და „გამოუტყდი“.

— ბოდიშს ვიხდი, ამხანაგო, მოგატყუეთ.. ჩემი ცოლის დის ქმრის დეიდაშვილი დირექტორის მამიდაშვილზე არის გათხოვილი და მეც სამსახურში მისი სარეკომენდაციო ბარათის წყალობით მოვეწყვე.

— აგრე გეთქვა თავიდან, შე კაი კაცო. რას ფიცავდი. — სთქვა გახარებულმა თანამოსამსახურემ და მომღიმარი თვალები გამისწორა.

— ქარხნის დირექტორი ჩემი ძველი მეგობარია. ერთად გავიზარდეთ, სულ ერთად ვქეიფობდით... მიტომ მომაწყო. — ვუთხარი ცოლს.

— მეც ვიცოდი, რომ აგრე იქნებოდა, რად მომკალი იქვიანობით, რატომ ფიცავდი... მე ხომ არსად ვიტყოდი! — მითხრა ცოლმა და მხიარულად გამიღიმა.

ამის შემდეგ სამსახურში და ოჯახში მეგობრული დამოკიდებულება დამყარდა.

მედუზა.

# „დახმარება“

ჩვენში საკმაოდ გამოდის სასოფლო ლიტერატურა, მაგრამ წიგნები საწყობებში ჰყრია და არავინ ცდილობს სოფლად მათ გადაგზავნას.



ვირთხები:—დახიეთ, გაანადგურეთ, თორემ ეს თუ სოფელში მიილეს, მთლად გაანადგურებენ ჩვენს ძმებს.

# სახელგამში

სახელგამს შეველ შენაღონები,
სად იაკობი ზის თავმოწონებით.
დიდი ხნით მქონდა განაგონები. —
იქ ფულს იღებენ პაჩკა-კონებით,
ხან ცალობით და ხან ვაგონებით.
შევაღე კარი.
(ვერა ვნახე რამ სანუკვარი)
დარბაზში ბნელა. ნეტავ, ენთოს ჭრაქი ან
კვარი.

ზოგი იხუნჯობს,
ზოგი კენტად სდგას და ოცნებით
ითვლის გონორარს,
ჯგუფ-ჯგუფად დგანან:
რომანისტები, კრიტიკოსანი, ბევრი მგოსნები,
ელიან: ნეტავ, როდის მოვა ჩვენი ბარონი,
რომ გაახაროს პოეტები, უსახლკარონი.

თავის პატარა კაბინეტში
დაიდიმანდობს ჩვენი კოლია,
(მეტ საქმისაგან გადაიტანს მელანქოლიას)
მაგრამ მისთანა ჭირისუფალი ჩვენს პოეტებს
არა ჰყავლის.

მინდა მოვნახო სიმპატიური
ჩვენი ადამი,
(სახე უწითლობს,—ვით ვენახში
მწიფე ატამი)
იმისი სიტყვა,
თუნდაც იყო კვირის ნიშიერი,
გახარებს მაინც,
და ბრუნდები შინ მადლიერი:
„ოთახად კაცი დაფასდა“,
რაჭველიშვილი ორი ათასად.
და თუ კი ვინმემ საქმე დაიმარხა,
გამოასწორებს ქრისტეფორემა.
(ისხიომაა, არ გეგონოთ ეს ლექტორემა!)
ყველანი გვიყვარს,
მაგრამ უფრო ჩვენი ბოლარი.
(იგი არ არის უქმად მწოლარე)
ვიტან ორდერს და მოცვივა ნაღდი ფულია,
და თუ ბარონმა დაიგვიანა, იცოდე, საქმე და-
ღუპულია.

ოხ, ეს ლოდინი,
ჩვეტავ, წამომეღო მაინც ლოგინი!
და თუ ლოდინი ასე ძნელია,
უფრო ბნელია,
რომ დარბაზში ეს პიპინელია.

ზორია.

# „ტარტაროზი“-ს ლექსიკონი

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველებს მივაწოდოთ იმ სიტყვების ახსნა-განმარტება, რომლებსაც ამჟამად აქვს სულ სხვა მნიშვნელობა, ან და თანამედროვეობასთან შედარებით ნაწილობრივ მაინც იცვლიან თავიანთ უწინდელ შინაარს.

ამიტომ, თუ ყოველ ნომერში არა, დროგამოშვებით მაინც, ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება **„ტარტაროზი“-ს ლექსიკონი**, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი თანამშრომლები.

ვინაიდან ეს ცდა ჩვენში პირველია, ამიტომ რედაქცია სიამოვნებით მიიღებს მკითხველებისაგან ყოველ ახალ სიტყვასა და შესწორება - დამატებას.

**აბაზია** (აბაზი არავის ეგონოს!)— მედიცინაში ეს სიტყვა ნიშნავს ნერვიულ ავადმყოფობას, რომლითაც დაავადებულს არ შეუძლია (ფეხით, ქვეითი) სიარული. (აბაზია — თითქმის იგივე რევმატიზმია). ეს ავადმყოფობა უმთავრესად ვრცელდება გამგეებსა და „პასუხისმგებელ“ მომუშავეებს შორის. აბაზია დიდ ზიანს აყენებს ავტომობილს, რომელსაც უხდება „ავადმყოფის“ წარამარა ტარება. (იხ. ავტო).

**აბანო.** — ტანის დასაბანი ადგილი - შენობა. ამჟამად, კულტურულ რევოლიუციის ხანაში აბანოს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენში მას რატომღაც არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება; მაგ.: „გურია (ცნობილია, როგორც საქართველოს კულტურული კუთხე, მაგრამ, წარმოიდგინეთ თქვენ, იქ არც ერთი აბანო არ არის“. (გურულ დელეგატის სიტყვიდან ერთ-ერთ თათბირზე).

აბანო იხმარება კიდევ ალეგორიული მნიშვნელობითაც, მაგ.: „ვირის აბანო“. გულუბრყვილო მკითხველს ეგებ ეგონოს — თითქოს ვირებს თავისი საკუთარი აბანო ჰქონდეს. თუმცა ვირი ზოგიერთებზე უფრო მოყვარულია სისუფთავისა, მაგრამ ამ შემთხვევაში „ვირის აბანო“ გამსახლის მნიშვნელობით იხმარება. მაგ.: გამფლანგველს რომ ციხეს მიუსჯიან, ასე ამბობენ: „ვირის აბანოში გაგზავნეს; იქ ისწავლის ჭკუას“!.

**აბონენტი**, ანუ აბუჩად აგდებული, მოტყუებული, ე. ი. პიროვნება, რომელიც წინდაწინ იხდის ფულს იმისათვის, რომ მას მიართვან ის, რაც არ უნდა; ან და, რომელსაც ჰკვებავენ ნასუფრალით, დაწუნებულ კერძით... აბონენტი — კაცი ხარა-ხურას გამსაღებელი. (ტელასის გაგებით აბონენტი ნიშნავს შახმატის პეშკას, ან და სათამაშო ტიკინას, ან და ქოთანს, რომელსაც ყურს იქ გამოაბამს, სადაც მას (ტელასს) უნდა)... ჩვენის გაგებით აბონენტი არის კაცი, რომელსაც აქვს იობის მოთმენა ლორის თავმოყვარეობა და ვირის მორჩილება.

**აბსენტიზმი.**— სისტემატიური გაცდენა, სამსახურში არ-ყოფნა და მით თავისი მოვალეობის არ-შესრულება. გავრცელებულია გამგეებსა და მათ ჯურის „ხალხთა“ შორის.

**აბსოლიუტიზმი.** — განუსაზღვრელი უფლება, რომლითაც, სამწუხაროდ, ზოგიერთ ჩვენ დაწესებულებებში სარგებლობს მისი ხელმძღვანელი. რომელიც თავისი ბიუროკრატობით ვერ ეგუება ადგილკომისა თუ სხვა კომის ჩარევას „შინაურ საქმეებში“ და „მის კომპეტენციაში“.

**აბსურდი** ზოგიერთი მოხსენება

**ავანსი.**—დაკარგული, „გაქაფული“ ანდა მუქთი ფული. ჩამოსაწერი თანხა, რომელიც იწერება „შემოსავალ-გასავლის“ დავთარში მარჯვენა მხარეს—„გასავალში“.

**ავანტიურისტი** —ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს პუანკარეს მთელი თავისი მთავრობის შემადგენლობით.

**„ავე ზეცარ, მორიტური ტე სალუტანტ“** — **„სალამი კეისარო, სასიკვდილოდ შიმავალნი, მოგესალმებით შენ“!**,— ასე მიმართავდენ ძველ რომში გლადიატორები კეისარს, როცა ისინი სასიკვდილოდ მიჰყავდათ.

მას შემდეგ ათეული საუკუნეები გავიდა. მაგრამ ეხლანდელ იტალიაში, სადაც დღეს მუსოლინი კეისრობს, მდგომარეობა მაინცა და მაინც არ შეცვლილა. დაჩაგრული მშრომელი მილიონები ასეთივე სიტყვებით მიმართავენ მუსოლინს წყევლითა და კრულვით.

**ამბლიოპია** — მხედველობის სისუსტე (სიბეცე), რასაც იწვევს ჭკუისა და ტვინის დაზიანება. ეს ავადმყოფობა ყველაზე უფრო გავრცელებულია ემიგრაციაში.

**ავტო (მობილი)**—გამგის ლოგინი (და შემდეგ კუბო). პირველ საუკუნის ერთი უცნობი პოეტი თავის ტრაღედიაში **„ღმერთი - ბიჭი“**, ასე სწერს:

**გამგის ანდერძი:**



**მიყვარდა ავტო და შიგ ჩაჯდომა,**
**ფეხით არ ვიქმდი არსად ერთს ბიჯსა.**
**როდესაც მოვკვდე, ავტო-კუბოში**
**ჩამასვენებდეთ თქვენს ტოლს „ღმერს-ბიჭსა“.**

**ალაპი** — გამფლანგველის უკანასკნელი ქეიფი დაჭირვის წინა დღეებში.

**ანაბაპტიზმი** — ადამიანის მეორეჯერ მონათვლა როცა ის დიდი გახდება, რაც სრულიად ზედმეტად უნდა ჩაითვალოს, რადგან გამფლანგველი და ბიუროკრატი რამდენჯერ არ უნდა მონათლო, მაინც არ გასწორდება.

**ანათემა**—ცოლის მიერ ქმრის გაწყევლა, როცა უკანასკნელი არ ასრულებს პირველის მოთხოვნილებას ახალი კაბის ყიდვის შესახებ.

**აფიორა** — ფრანგული სიტყვაა და გამოგონება. მაგრამ ბურჟუაზიულ ევროპის ყველა მთავრობისათვის ეს სიტყვა ისეთი სახარბიელო გახდა, რომ ყველგან გავრცელდა. ინგლისმა აფიორაში საფრანგეთს გაასწრო. ეს უკანასკნელი ცდილობს უკან დაიბრუნოს დაკარგული უპირატესობა. მაგრამ მას მეტოქეობას უწევს პოლონეთი და იტალია, რომელსაც არ ჩამორჩება რუმინეთი.

**ავარია** — მთვრალი შოფერი.

**აგონია** — კაპიტალისტური ქვეყნის თანამედროვე ხანა.

**ალლო!** — სიყრუე, ძილი.

**არითმეტიკა** — სავალდებულო საგანი, რომელიც უნდა იცოდეს სამაზრო აღმასკომებმა ბიუჯეტის შედგენის დროს.

ვიცი კიდევ ოცი ქეთევათი. ჰოდა ვაგზავნი თქვენთან დასამტკიცებლათ მარა ნუ გაგიწყრეს ბუნება-წაგვიხთინე გუნება.

გზის ფულები გაგვითავდა, დღეს ხვალ. დღეს, ხვალ" არ გათავდა. რაშია კაცო, საქმე? აგერ დამგლეჯენ ხალხი!

რაიო? ვინაა ხელს რომ გიშლის? ჩავსკტები გულზე და შეგიყენებ პროტოკოლს, უკრავ თავს ფოსტის კოლოფში და ხვალ ამ დროზე შვლექას მუადენს ტარტაროზთან. მერე დეიგრაზეთ თვალები. აწი შენ იცი, ჩემს ნახვამდი აფარეი გეტკინა.

შხანკოლა.

# თავდაცვა

„სოფ. ობჩის სკოლაში მასწავლებელი ძველებურად ეპყრობა მოწაფეებს".




მოწაფე: (ამხანაგს): — ჰა, ბიჭო შემინახე ეს ყურები, თორემ მასწავლებელი ორივეს ამაცლის.

# ტელეფონთან

— რიხ-რიხ-რიხ-რიხ.
— ტრ-ტრ-ტრ.
— ლანჩხუთი, ფოსტა.
— ტრ-ტრ-ტრ.

—ვინ არის ტელეფონთან ჰა, ქვენ განგე?

ამხანაგო, ერთი სიკეთე მიყავი... რაი და მე რომ გაითხრა იგი დაწერე და გამიგზავნე ალმასკომთან. გიკარნახო? აბა, ჰა, სევერია და მჯელო ვახო, თქვენ გენაცვალეთ, ხვალ გპატიჟობთ ჩემსას, თითო ყანწი დასცალეთ, მეტი არაფერი.. რაო?.შენც წამოყობი? არა, მეგობარო, არ გადირიო, შენ არ მემეტები; იგენი მინდა დავათრო და გუუუშვა, — ეგება ჩეირჩვან ჩათ გასაკეთებელ გზაში; მერე სხვას ეირჩევენ და ეგება მან მაინც გააგდოს მარაზე ორი კენჭი, თვარა ხარიან-კაციან-ქალიან-ბალნიანა დევიხრჩვით და იგია. რა გაცინებს? არ გამიმხილო, არ გამილიტინო დანა კისერში. ახლა, ამხანაგო, ერთი ოზურგეთის ხაზზე გადამაკვარახჭინე.

— რიხ-რიხ-რიხ... ტრ..ტრ..ტრ..

ოზურგეთი? მიწად - მოქმედების განყოფილება? ძალიან კარგი, მეც ეს მინდა. ვინაა ტელეფონთან? ჯიბლაძე ბრძანდებით? დილა მშვიდობისა ბატონო, კაცო, რა და, საქმე შემდეგშია: დამავალეს, დევივალე, ვიძუნძულე, ვილლიტინე ამ სოფელში, იმ კუთხეში გამევიწვი ენა, აქეთური, იქითური და მოვაკვარახჭინებიე ხალხს სამეუნერო არტელები. ზოგს დავარქვი „საიმედო". ზოგს „დოვლათი", ზოგს „ვიეარგოთ", მომავლის იმედი", „რკინის ხარი" და რა

# ფიქრი და საქმე

კომისიის თავმჯდომარედ
რომ დანიშნეს ჩვენი ნიკო, —
აღელვებაც არ უგვძნია,
ძველებურად დინჯად იყო.
გულში ფიქრობს: „ამირჩიეთ,
ვიმუშავებ იშვიათად;
დავალებას შევასრულებ:
ერთი შვიდათ, ერთი ათად.
მალე ჩემი პიროვნება
ამაღლდება ამის შემდეგ,
მგონი დიდი კომისრებიც
მორიდებით ჩემს წინ შესდგენ.
კომისიის წევრებს სწრაფად
უსათუოდ დავიბარებ;
საქმეს უცბად მოვათავებ
და მოვრჩები მალე ბარემ.
გადის კვირა ერთი, ორი,
ნიკო ისევ სტკეპნის ქუჩას;
გულში ფიქრობს: „ჯერ ადრეა
მოვესწრებით, არა უშავს".
თვე თვეს მისდევს, კვირას-კვირა,
ნიკო ისევ ფიქრით ძღება
ფიქრობს, დადის, მსჯელობს თვის-
თვის
საქმე კი მთლად ავიწყდება.
გეგმებს ადგენს პლანავს საქმეს
იმუშავებს პროექტს ფიქრით.
დრო კი გადის, აღარ იცდის
დრო არ იცდის, სწრაფად მიჰქრის
წლის ბოლოს კი ახსენდება:
რა აკეთა? — არაფერი.
ეხლა ნიკო დატრიალდა,
და ეცვალა სწრაფ მას ფერი.
დარბის, ეძებს ამას, იმას
კომისიის წევრებს და სხვას, —
მაგრამ ეხლა გვიანღაა
ვინღა შესძლებს იმათ ნახვას.
ზოგი სხვაგან გადასულა,
(კაცის მოხოიობს ვინ შიბოჭავს)
ნიკოს სხდომა უნდა, მაგრამ
წევრებს ეხლა სად მობოჭავს?
ბოლოს ნიკო ერთ ამხანაგს
შეხვდა უცბად, როგორ იქნა;
„სად ხართ, კაცო, შენ ამდენ ხანს?
დამძვრა სიქა!"
— გვიანია! — უპასუხა, —
ვადა არის გადასული.
— შენ კი ეხლა დატრიალდი,
რომ დაგიდგა აღსასრული?

ძმუნტი.



კულაკი ხნავს „თავისს“ მამულს.

# დევიხრჩვით ტალახში

## (გურული სცენა)

დღეს ყოლი კაცმა იცის, რომ სოფელი ახალთ-ახალ გზაზეა დამდგარი და შტრინგათ მივა წინ სოციალიზმისკენ. ამას აღარ უნდა კრიჭინი.

იგიც ყველაყამ იცის, რომე წარმოდგენა, კლუბი და რადიო სამარგალიტო საქმეა ჩვენი დაწინაურებიზა. არც აგია სალაპარაკო.

იგიც ქე იციენ, რომ აგი ჩვენი გურია, ჯურუყვეთიდან დაწყებული ფამფალეთამდი, თლა განათლებული ხალხითაა საფსე. ყველა გემლაზიებში და ტეხნიკურებში სტავლობს. თვითონ ჩემი ცოლი დესპინაია ამ სიბერის ხანს შევიდა საღამიო კლასში და მალე გაათავებს მუშფაკს.

ამფერია ჩვენი სუზუგადოება!

ხო და იმას ვლაპარაკობდი, წარმოდგენის გემო თავიდგან გვქონდა და აი ჩვენი ბალნებიც გვარიანად ჯინჯრიკობდენ სცენაზე. აი უწინ იყო და ახლა რაღა იქნება! კაცს ვერ ნახავ ახლა ჩვენში ნაარტისტალი რომ არ იყოს. თითო ლორი ყველას აქ ნათამაში.

შენ ხარ ჩემი აფხანაკი და ამას წინეთ ჩვენ სოფელ კინკრიხეთში გამართეს წარმოდგენა. ჩემი ციცაი დილას რომ წევიდოდა, მიორე დილამდის აღარ ბრუნდებოდა.
— სად ხარ ციცავ?—ვეკითხებოდი,—რიპიტინციაზე! აი დასაღუპავი რიპიტინცია დღეიცაა, საღამოსაც, ჩავაღამეზეც ილონზეც,—ველაფერი ვეღარ გევიგე!

ბოლოს, რავარც იქნა, დადგეს წარმოდგენა და დაგვიძახეს, ვისაც კულტურის რევოლუციეზა გული ეწვის მოდითო.

დედავ, მე რევოლიუციეზა ვჩხუბავ აგერ ორმოცი წელიწადია, ორმოცდა ჩვიდმეტი გადატრუალება მუახთიე, ნიკოლოზაი გადავაყინწისთავე და ახლა წარმოდგენაში აღარ წავალ?

ავდექი, მეზობლებს გადუძახე, ვისადილე ჭადით და ხორცით (ნუ გეშინია ლობიო აღარაა გურიაში, ქვეყანა რომ გადააბრუნო, კაკალ ლობიას ვერ იშონი), ამევიჩაგვიე ჩემი დესპინაი და გავსწიეთ წარმოდგენაში.

წამევიდენ მეზობლებიც, ჩვენი კუთხიდან ქე ვიქნებოდით ბარე ოცდახუთი კაცი და ქალი.

გადვიარეთ შენ ხარ ჩემი ბატონი ეზოიდან და ჩავდექით ტალახში. შენს ტერს და ჩემბერლენს იმისითანაი, რაც ჩვენ დღეი დაგვადგა! ხელაფ დავყურყუმალდით ტალახში...

ვიარეთ, ვიცურეთ, ვყვინთეთ და მაღალ ვახშმობაზე მივედით ცენტრში. სულო ცოდვილო, ყველაი არ მოსულა, მაგალითად ჩემი დესპინაი და ბეური სხვაიც ქე დაბრუნდა შინ. ოცდა-ხუთში ათი ძვილე მივედით, იგიც ვინც მაგარ-მაგარი ბიჭები ვიყაით.

ჩვენი კლასის ოთახი, სადაც წარმოდგენა იყო შუამდი ტალახით იყო საფსე.

შევედით, თუთუნი მოვსწიეთ ამ თრიანტში, დავაყენეთ კვიმლი უცთიითი წარმოდგენის დაწყებას.

ასე, მეტი რომ არ ვთქვა, შვალამე იქნებოდა წარმოდგენა, რომ დეიწყო: ხან ლამპა ვერ იშოვნენ, ზოგს ხანჯალი მიაკტა, ზოგს ჩოხა, ზოგს ჩაქურაი და იმიზა დარბოდენ.

სულო ცოდვილო, წარმოდგენა ქე იყო კაი. აგი შვლაჟი ყაძახები ბალნებივით დარბოდენ სცენაზე და ყვიროდიან. მართალია, იმ ყვირილში ზოგს (რომელიც უმფრო დაღალული იყო) ქე ჩიეძინა, მარა მაინც ყმაყოფილი დავრჩით.

ილონმა ფერა და წარმოდგენა გათავდა. ავდექი და წამოვედი, შვადღე ცურვით ჩამოვედი სახში.

წარმოდგენიდან რაცხა ორი კაპეიკი ქე შამოსულიყო, მარა დილას არტისტებს ქეიფი გიემართენ და ქე შიეჭამენ იგი შემოსავალიც.

იგი დღეი დღეთ დავთვალე და აწი. რაც უნდა მეყიყინონ, წარმოდგენაში არ წავალ. სანამდი აგი გზებს არ გაკეთდება. ბატონო, აღმასკომი ხარ, საბჭო ხარ, თემკომი ხარ, დამიძახე, დამავალე და გამაკეთებიე აგი გზაი, თვარა ქე დივიხჩვი ტალახში და მერე მიყარე კაკალი!

**ხვიშვილაკი.**

# სოფელი ყულევი



ანდღულაძე: — ამხანაგებო, ვისაც გსურთ ამხ. ჩოხელი, გთხოვთ ასწიოთ ხელი.
— ?!?
ანდღულაძე: — მაშასადამე, გასულია ერთხმად!
ვილაც (ჩუმად): — „ერთხმად", თუ ერთი ხმით?

# „ხულიგანის ნააზრევი"

მე სწორედ ხულიგნობის ტრფიალს რომ იტყვიან ისა ვარ... საკვირველად მიყვარს ზაგესივით განათებულ ახამაურებულ ქუჩებში ღვინით შეხურებულ თავით ხეტიალი... მივდივარ ჩემთვის, არავის გავუშვებ, რომ ჩემებურად არ შევამკო.

დედის გინება მიყვარს ყველაზე უფრო.

აიი მივდივარ ქუჩაში მთვრალი; მხვდება ახალგაზრდა ქალი, ვინ იცის რამდენის მისჩერებია მას თვალი... იგი კი მიდის, როგორ გავუშვებ, რომ საჯაროდ არ მოვეხვიო, ჩემებურად არა გავეალერსო.

მაშინ უნდა ნახოთ ბარიშნის ჯავრობა და გამვლელთა სიცილი.

მე არაფრის მრცხვენია, ქალმა კი მადლობა მითხრას თუ კვანტი არ გამოვდე...

შემდეგ განვაგრძობ გზას. უცებ დავლონდები:

— ეჰ, რას ვერჩოდი იმ ქალს, რომ შეურაცხყოფა მივაყენე? რა შემისვა? რა შემიჭამა?! ხულიგნები შეუბრალებელნი ვართ...

ხომ გაგიგონიათ ხულიგანი. შარიანიაო, მეც ხულიგანი ვარ.

მიყვარსა ყალ-მაყალი, ვინმე ლამაზ ქალს მიყვება შემეხარბება და კავალერს პირდაპირ თავს დავატაკებ ცხვირში, შემდეგ გავიქეცი...

დიახ ასე ვცხოვრობ, რადგან შნო მაქვს...

ჩემს სიცოცხლეში არ მიმუშავნია. აბა კი რათ უნდა ვიმუშავო, როდესაც რესტორანში უსასყიდლოდ ვქეიფობ. აბა გაბედოს მიკიტანმა და ფული მომთხოვოს.

ამას წინად რომ მეტეხში ვიყავი, პირდაპირ აშკარა უკანონობის ნიმუში ვნახე: დაუპატიმრებიათ კაცი 6 თვით, რაღაც ორი მეტრო ბაწარის მოპარვისათვის.

— ნუ თუ ბაწრის ქურდობისათვის მოგისაჯეს ამდენი ციხე? რას გავს ეს! —ვეკითხები თანამოძმეს.

— ორი მეტრო ბაწრისათვის, არც მეტი, არც ნაკლები...

— ოი, უსამართლობავ, ოი საშინელებავ. როდემდე უნდა ვიყოთ ასეთ ტერორის ქვეშ!

— ორი მეტრო ბაწრის მსხვერპლი გავხდი... თუმცა ამ ბაწარზე ერთი ჯიშიანი ძროხა იყო გამობმული. მე ის ძროხა შემდეგ გავყიდე...

დიახ, ასე ვცხოვრობ. რადგან შნო მაქვს და დანა მაქვს ჯიბეში.

მაგრამ ვის შეუძლია შემწამოს, რომ პატიოსანი არა ვარ! ძალიან ხშირად მე პატიოსნებაში ვერავინ მჯობნის.

აი მაგალითად: ამას წინად (ეს იყო ყინვიან დღეში) შევედი მუშკოოპის პასაჟში. ხალხი ბუზივით ირეოდა. მე ერთი პალტო გავისინჯე და როდესაც ნოქარმა იქით მიიხედა. ჩუმად გარეთ გამოვედი. დამიჭირეს შუა ქუჩაში. მე ყველას ვუმტკიცებდი, რომ პალტო არ მომიპარავს. ამ პრინციპს ვადექი სისხლის სამართლის მილიციაში და შემდეგ სასამართლოში.

— ბრალდებულო, თქვენ მოგიპარავთ პალტო, სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?—მეკითხებიან.

— არავითარ შემთხვევაში. მე მავას არ ვიკადრებ არასოდეს.

—მოწმეები ასე ამტკიცებენ, რომ პალტო თქვენ მოგიპარიათ.

შევხედე მოწმეებს, პატიოსან ხალხათ მეჩვენა ისინი. აბა როგორ შემეძლო მეთქვა, რომ ისინი სცრუობდნენ, და ამიტომ განვაცხადე.

— როგორ! ამ მოწმეებმა დამინახეს, რომ პალტო მოვიპარე!... რაღა მეთქმის, ალბად მოვიპარავდი... დიახ, მაგონდება, თითქო რაღაც ასეთი მოხდა. მოწმეები რახან ამბობენ—უთუოდ მოვიპარავდი...

სასამართლომ დაადგინა: „ბრალდება მიმართ ბრალდებულისა, მასში, რომ მოიპარა პალტო დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მან განაცხადა, რომ არ მომიპარია და თუ კი მოწმეები ამტკიცებენ, ალბად მოვიპარავდიო. ამიტომ მიესაჯოს 6 თვით დაპატიმრება გამსახლში, მოთავსებით".

ჩემს მიზანს სწორედ ამ ხაზ გასმულ ორი სიტყვის აზრის მოპოება შეადგენდა, რადგან ეხლა გარედ ყინვაა და გამსახლში კი თბილა. ყოველ შემთხვევაში მე შემეძლო მეთქვა, რომ მოწმეები სცრუობენ. ამით კი ღიდათ დავამარცხებდი მათ. ხომ არ გეპარებათ ეჭვი, რომ მე ვარ პატიოსანი!?

დიახ, ასე ვცხოვრობ მე. რადგან შნო მაქვს და დანა მაქვს ჯიბეში.

—:—

უკვე გაზაფხულდა. ჩემთვის სულ ერთია, თავშესაფარი ყოველთვის მაქვს, მაგრამ რა შეედრება გაზაფხულს, როდესაც დღე და ღამ შეგიძლია იყო ქუჩაში.

არის რაღაც მოუწყინარი გართობა ჩემს ცხოვრებაში. აბა რა სჯობია იმას, რომ ქუჩაში შენს შიშით თრთიან გამვლელები. ასტეხავ ჩხუბს და მაშინ ნახავ, როგორ წუწუნს დაიწყებს მილიციელი. შენ კი თავი ამაყად გიჭირავს და გამარჯვებული შესცქერი ხალხს, რომელიც ხედავს, რომ მილიციელი ვერაფერს გახდა და იძულებულია ეტლი მიართვას ხულიგანს და ისე წაიყვანოს კომისარიატში.

დიახ გაზაფხულდა და ვნახოთ რას გახდება მილიცია ჩვენთან ბრძოლაში. არ ვმალავთ, რომ ჩვენი თავშესაფარია ზემელის მახლობლად მდებარე პატარა ბაღის კიდე, რუსთაველის პროსპექტი—ლაღიძის და ბორჯომის წყალის წინ და სხვა ადგილები.

ვის უნდა დავუმალო, რომ ასე ვცხოვრობ, შნო მაქვს და დანა მაქვს ჯიბეში.

თავქარიანი.

# ნიანგი

№ 8. „ტარტაროზი“-ს დამატება. № 8.

# უცხოეთი

## „თანამედროვე კეისარი“

თანამედროვე ბურჟუაზიული დიპლომატია დიდად დამოკიდებულია, გარეშე საქმეთა მინისტრისა, ან დემპერის უნარიანობაზე.

ნილაბი, რომელსაც დღემდე უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის დიპლომატიაში, ისე გაცვდა, რომ ბადესავით გამჭვირვალეა და აგ აშკარად მოსჩანს დიპლომატიი თეთრი კბილი და შავი გული“.

პოლონეთის მთავრობის მესვეურებმა დიდი ხნისა და ცდის შემდეგ ესძლეს დიპლომატიაში ახალი ხეხის შემოღება.

ჩვენს სურათზე ნაჩვენებია პილსუდსკი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ხელს აწერს მოსკოვის ოქმს მშვიდობიანობის შესახებ და რუმინეთთან საჩხედრო კავშირის ხელშეკრულებას.



ლაროში არაფერია — პილსუდსკის მინისტრებმა გაიტაცეს ფული“.

პრეზიდენტ-პროფესორმა მისცაცკიმ ეჭვი შეიტანა ამ წერილის სინამდვილეში და განჰკვეთა გარდაცვლილ ვირთხის გვამი, რომლის მუცელში არაფერი არ აღმოჩნდა.

## ცილის-წამებისათვის

პალატაში ერთ-ერთმა დეპუტატმა ჩემბერლენი დაახასიათა, როგორც სინდისიერი და კეთილი პიროვნება. მემარცხენე დეპუტატებმა ამ ცილისწამებისათვის მოითხოვეს ორატორის დაჯარიმება და პასუხისგებაში მიცემა.

## ათი წლის ორსული

თითქმის ათი წელი გადის მას შემდეგ, რაც ერთა ლიგა „მშვიდობიანობით“ არის ფეხმძიმედ, მაგრამ მისი მოლოგინება ვერც ეხლახან გამართულ სესიაზე მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ბებიები თავს დასტრიალებდნენ.

## ნაცნობი ხელი

ქემალ-ფაშის წინააღმდეგ შეთქმულების აღმოჩენის დროს იპოვეს ხელმოწერა, რომელიც იცნო შეთქმულებაში მონაწილე ერთერთმა ხულიგანმა და განაცხადა: — ეს ჩვენი „ძმის“ — ინგლისელ პოლკოვნიკი უოკერის ხელია-ო!

— აბა სხვა ვისი იქნებოდა! — გა-

## ძველ ჟურნალებიდან

### გაასაღეს



— ქალო, შენ უკვე სიტყვა გადაუქერი, რომ ჩვენს მძროას მას მიათხოვებ?!

— დიახ.

— კი, მარა ის კაცი ოთხჯერ იყო ჩვენსას და ოთხივეჯერ მთვრალი მოვიდა!

— სულელო, მთვრალი რომ იყო იმიტომ განაცხადა თანხმობა მართას შერთვაზე, თორემ ფხიზელს ჩვენ მოვატყუილებდით!

### იშვიათი ზრდილობა



— თქვენ აცხადებთ, რომ სამ ოთახს გარე უბანში გადასცვლით ოთხ ოთახზე ცენტრში?

— დიახ!

— გეპატიჟეთ შეწუხებისათვის.... ჩვენ მოვიდით გეთხრათ, რომ ჩვენ

# ქრონიკა

**საინტერესო სპექტაკლი.** ამ დღეებში ოპერაში დაიდგმება „გოფმანის ზღაპრები“, რომელშიაც ბაქოდან ამ ოპერისათვის სპეციალურად „გამოწერილი“ გასტროლიორი საბინინი მონაწილეობას არ მიიღებს.

**დაკარგვა.** გასულ კვირას და ოთხშაბათს (საბინინის გასტროლები) ოპერის თეატრში დამსწრე საზოგადოებამ დაჰკარგა ბილეთებში გადახდილი ფული, რომლის უკან დაბრუნება (ზარალის ანაზღაურება) ერთხმად მოითხოვეს, მაგრამ დირექტორმა არ დააკმაყოფილა მათი სამართლიანი მოთხოვნილება და თავი იმართლა: „საბინინს რომ კარგი ხმა არ ჰქონდეს, ჩვენ რა ბრალია“.

**დაჭრა.** გუშინ რუსთაველის გამზირზე ვიღაც გამვლელმა ქალმა რომანულ ნიადაგზე სიყვარულით გულში დასჭრა ზარალ გალიფაძე.

**ქურდობა.** გაქურდეს სტუდენტ სუფთაძის ბინა, რომელშიაც არაფერი არ აღმოჩნდა.

**ჯიბგირობა.** სამსახურში წასვლის დროს მოქ. ი. ცოდვიშვილს ცოლმა ჯიბიდან ამოაცალა ტრამვაის ბილეთი და პაპიროსის ფული.

**შეპყრობა.** გუშინ საქმეთამმართველმა მდივანმა რეგისტრატორის დახმარებით კაბინეტში შეიპყრეს გამგე ქაღალდებზე ხელს მოსაწერად.

**დასახიჩრება.** პოეტი ანზანაძე თარგმნის ცნობილ რომანს „მაზოლი ენაზე“.

**გამოვიდა** (და არავინ ყიდულობს) ოჩხამურელის ლექსები და მოთხრობები.

# სასწაული თუ მარცხი

## ქუთაისი

გუშინ ქალაქში მოხდა იშვიათი შემთხვევა: ტელეფონის სადგურმა გამოძახებისთანავე (საათნახევარიც არ გასულიყო) შეაერთა ორი მოქალაქე, რომლებმაც ამ შემთხვევის გამო სიხარულით ერთმანეთს დილიდან საღამომდე ელაპარაკეს.

ჩვენს სურათზე ნაჩვენბია ის ორი ბედნიერი ქუთაისელი, რომლებსაც ელირსათ ტელეფონით ერთმანეთთან ლაპარაკი. სურათი გადაღებულია იმ მომენტში, როცა სადგური მათ უძახის:

— კარგი, გეყოფათ, რა ამბავია ამდენ ხანს ლაპარაკი?!

— ეს ერთხელ გვეღირსა მთელ ჩვენს ცხოვრებაში ტელეფონით ერთმანეთის გამოძახება და, მთელ დღეა კი არა, მთელი წელიწადი რომ ვილაპარაკოთ, არ არის გასაკვირი. ნუ გეშინია შემდეგ კიდევ არ მოგვიდეთ მარცხი და არ შეგვაერთო!

ამ ამბავმა დიდი სენსაცია მოახდინა მთელ ქუთაისში. ხალხი აღფრთოვანებული შევარდა ტელეფონის სადგურში, რომ ოვაციები გაემართა და დაეჯილდოვებინა ის თანამშრომელი ქალი, რომელმაც მთელი გადატრიალება მოახდინა ქუთაისის ტელეფონის ტეხნიკაში, მით, რომ ორი აბონენტი ერთმანეთს გაალაპარაკა. მაგრამ შეუძლებელი გახდა ქუთაისელი ქალი — „ედისონის“ აღმოჩენა, რადგან ტელეფონის ძველი და ნომრები ისე იყო ერთმანეთში არეულ - გადაბმული, როგორც... (შედარება არაფერთან არ შეიძლება), როგორც ქაოსი.

# გლახუნ ლიფსიტაძე

პოეზია ცხოვრების ყოველ დარგ- ... ბა“) დიდი უსუფთაობაა, რადგან ...
ში შეიჭრა და საპატიო ადგილი დაი- ... ერთმანეთის ბაძვით არც ერთი ...
კავა. ... მდგმური არ ასუფთავებს.

— თუ კი იულიოს კეისარი ერთ- და იმავე დროს სწერდა, კითხუ-ობდა და უსმენდა, — მე რითი ვარ მასზე ნაკლები, რომ ვერ შე-ვძლო ერთდროულად ორივე ხე-ლით წერა?!. მგელი მგლის უარესი, ხამა შესჯამოსო.. განა ქრისტეც ასე არ ამბობს: ,,...რაზეთუ მარცხენამ არ იცოდეს, რასა იქმს მარჯვენა!.

## ვირთხის წერილი

პოლონეთის ხაზინის სალაროში იპოვეს მკვდარი ვირთხა, რომელსაც შემდეგი შინაარსის წე-რილი:

,,ორი კვირაა, რაც აქ ვარ დამწყვ-დეული და სიმშილით კვდები. სა-

როგორც ქენევიდან ერთა ლიგის ოფიციოზი ,,პოპოპო" იტყობინება, დიდი ხნით წყალის ნაყვლავან ერთა ლიგს დელეგატებმა მიიღეს მშვენიე-რი ნარისხის ძმარი, რომელიც მის-წრებაა ბოსტნეულობის დასამჟავე-ბლად.

## ქალის შეურაცყოფისა-თვის

ბერლინის სასამართლომ, რო-მელიც არჩევდა ჟურნალისტ ფრიდ-რიხის საქმეს (ფრიდრიხი პასუხისგე-ბაში მისცა ნოსკემ შეურაწყოფისა-თვის), ბრალდებულს მიუსაჯა ერთი თვით პატიმრობა.

## ხელსაყრელი ქორწინება

60 წლის ქვრივობის შემდეგ პაპა პიი მე-11-მ ჯვარი დაიწერა დაჰქორწინდა მუსოლინზე, რომელსაც მეფემ დიდ-ძალი მზითევი მისცა.

# ,,ცოლის კიბე"

## ახალი ფილმი ნათესავების ცხოვრებიდან

რეჟისორი — იწყებაძე.
მოთხრობა— ვაივაის.
სცენარი— გრძელდებაძის.
ოპერატორი — სულგრძელიძე.
ასისტენტი — ბითურაძე.
მხატვარი — ყვარტ.
დეკორატორი — ჭიქაძე.
ესკიზები— მწვადაძე,
ლექთანშემწენი: ჯღერსადხაძე,
მთავარ როლებში: მახლობელიძე, ნაცნობაძე, გაჭიდაძე, დიდედაშვილი, ...თლიაძე, ქორწინაძე და სხვ.
ადმინისტრატორი — ძმაბიჭაძე.
პარიკმახერი — წვერავა.
კოსტიუმები — ჩოხაძის
მონტაჟი — მაკრატელოვის.
განათება — ჭრაქაძის.
წიკრიკი — სირაქლემაშვილი.
დარაჯი — ფხიზელაძე.
მეეზოვე — ცოცხაძე.
ღანარჩენების ჩამოთვლა იხილეთ ეკრანზე, რადგან ჩვენ ადგილი არ გვყოფნის ყველა იმათ ჩამოსათვლე-ლად, რომლებიც ქმნიან კინო-სუ-რათს და რომლების ჩამოთვლაც შე-მოღებულია ეკრანზე სურათის ჩვე-ნების წინ.

## ,,გმირი"



— ბატონო ჩემო, ვერ გავუძელი თქვენი ქალბატონის კაპრიზებს. მო-მეცით ჩემი და წავალ!

— ოჰო! ათი წელიწადია მე თუ კი ვუძლებ. შენ რა ჩემზე უფრო კაზი ხარ, რომ მეათე დღეზე გა-ქცევას აპირებს!?

## ,,მიზეზი"



— აკი ამბობდი, რომ არაყს სრუ-ლებით არა ვსვამო?!

— დიახ, სრულებით არა! მხო-ლოდ მაშინ ვსვამ, როცა კბილი ამ-ტკივდება, კბილის ტკივილის მოსა-კლავად!

— კბილი ხშირად გტკივა?

— თითქმის ყოველთვის!

## შემთხვევითი სარგებ-ლობა



— ხელები ზევით!

— დიდი სიამოვნებით! მხოლოდ როცა მე სასამართლოში განვაცხა-დებ, რომ ამდენი და ამდენი გაიტა-ცეს-თქო,— თქვენ ნუ აცნობებთ სა-სამართლოს, რომ მე ვსტყუი — და-ხარგულად გაცილებით მეტ ფულს ვაჩვენებ, ვიდრე თქვენ წაიღეთ!

...დრო, როცა პროზა განდევნილი იქ-ნება ცხოვრებიდან და ხალხი ილა-პარაკებს ლექსად, რასაც, თავისთა-ვად ცხადია, მოჰყვება ოპერა, ესე იგი ადამიანებს შორის ურთიერთობა იქ-ნება ოპერით, სიმღერით.

აი, სწორედ ამ მომავლის წინამო-რბედია ახალგაზრდა პოეტი გლა-ხუნ ლიფსიტაძე, რომლის ნაწარ-მოებიდან ჩვენ აქ მოგვყავს ზოგიერ-თი ნიმუშები.

მაგ.: ვინ არ იცის, რომ მდგმუ-რების ძალიან ხშირად მოსდით ერთ-მანეთში ჩხუბი და აყალ-მაყალი ფეხისალაგის სისუფთავის შესახებ. სია, რომელიც გამოკრულია შიგ და რომლის მიხედვით რიგრიგობით უნ-და სწმენდავდეს მდგმურები უყუ-რადღებოდ რჩება და, ამგვარად, სი-სუფთავე არ იცვება.

აი, ამაზე აქვს მშვენიერი ლექსი გლახუნ ფილსიტაძეს:

ნახმარ ქაღალდს შიგ ნუ ჩაჰყრით,
ჩამოუშვით შემდეგ წყალი;
ეს ხომ წუთის საქმე არის, —
არ იქნება სუნი მყრალი.

ლიფსიტაძეს არც სახლების შე-სასვლელი დარჩა თვალთა ხედვის გარეშე. ვინ არ იცის, რომ სახლების შესასვლელებში (ე. წ. ,,პოდიეზდ...

## ორი მეზღვაური



— დასწყევლოს ეშმაკმა! ამდე-ნი ხანია ვეძებთ ამ თოკს და ბოლო არ იქნა. ნეტავი სად არის ამ თოკის ბოლო?

— ალბად ბოლო ვიღაცამ გადას-ჭრა და არა აქვს!

ვინც გაურბის სისუფთავეს, ბინძურია, ზნაჩიტ, იგი.

ლიფსიტაძეს არც ტრამვაი დაუ-ტოვებია უყურადღებოდ:

ნუ ახტები ვაგონს ადრე,
დააცალე გაჩერება.
კონდუქტორის რა ბრალია,
შენ თუ წასვლა გეჩქარება?

რკინისგზის სადგურში გავრცელე-ბულ ჯიბგირობასა და ქურდობაზე ლიფსიტაძე სწერს:

ნუ დადიხარ, როგორც ბატი,
ნუ აშტერებ მაგ ბეც თვალებს.
ჯიბეს მაგრათ ჩააფრინდი,
და ნუ უცქერ შენ იმ ქალებს.
ვერ იძიხე, ძმაო, სახლში.
აქ რომ გძინავს სადგურშია?!
ჯიბეს ისე აგაფცქვნიან, —
ვერც გაიგებ მაგ ყურშია.

ქუჩებში მოძრაობის მოწესრიგე-ბის შესახებ:

იარე მარჯვენივ მხარეზე
შინ რომ დაბრუნდე ცოცხალი,
თორემა გამოგიქროლებს
ვიღაც შოფერი ნახალი.
დაგეჯახება, გაგსრისავს,
მერე მისდიე კუდშია...
თავის მაგიერ ხომ არ გაქვს
ყვახი მაგ კეპკის ქუდშია!?.

კოოპერატიულ სავაჭროებში გა-კრულია წარწერები მუშტრებსა და ნოქრებს შორის დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად. ამ წარწერებს ყურადღებას არავინ აქცევს, რადგან პროზით არის დაწერილი. გლა-ხუნ ლიფსიტაძემ თავისი მადლი კოოპერაციასაც მოჰფინა:

ნოქარიც ხომ კაცი არის,
ისეთივე, როგორც შენა.
იცოდე, რომ არც მას არ აქვს
შენზე ნაკლებ მწარე ენა.
გალანძღავ და,—შენც გაგლან-
ძღავს,
არ დაგრჩება უკაცრავად.
ეჩხ კბილი დააჭირე
ავ სიტყვისგან დასაცავად.

აი, ასეთი ჟანრის პოეტია გლა-ხუნ ლიფსიტაძე, რომელსაც, ეჭვგა-რეშელად, დიდი მომავალი აქვს.

ზმუტი.

## მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა



— უკაცრავად, არ იცით ჯორჯაძის ქუჩა სად არის?

— შე მმმმამაცცცცხონებბბბულო, ტფილისში ხუთასი ათასი მცხოვრებია, და სხვა ვვვვერავინ ნახეეეე, რრრრომ გმმმე მმმმეკითთთთხეეები?!

# ს ც ი რ ი

„ახალი ცდა“. დიდათ დაინტერესებული იყო მასწ. მიხა წაქაძე შემდეგ საკითხში: უნდა გაეგო მის ჟუშვილობაში ვინ იყო დამნაშავე, ცოლი თუ თითონ. ამისათვის მან თავის „ლაბორატორიაში“ (ანუ ოჯახში) მოახდინა შემდეგი ცდაც თავის მოსამსახურე ქალთან გააბა საცდელი ინტიმიური კავშირი. ცდა კარგად ჩატარდა: ცხრა თვის შემდეგ ქალს ვაჟი შეეძინა.

მოსამართლე შარაშენიძის აზრით, ცდამ იშვიათი გამოხმაურება ჰპოვა საზოგადოებაში, რისთვისაც წაქაძე „დაჯილდოებული“ იქნება ალიმენტის გადახდის მოსამსახურე ქალის სასარგებლოდ.

—:— —:

არა ნაკლები საინტერესო ცდა მოახდინა რაიონ. კოოპერატ. გამგეობის წევრმა: კაკუნია კახიძემ. მას წარმოდგენილი არ ქონდა, თუ გაფლანგვა ათასი ან ორი ათასი მანეთის მეტის შეიძლებოდა. ამიტომ საცდელათ მან ცხრა ათასი გაფლანგა ერთად, რის შემდეგ ჩეკამ იგი სალაბარატორიო მუშაობისათვის მეტეხში მიავლინა, სადაც ამჟამად ზის და ასე მღერის:

ძმა-ბიჭობამ მაიძულა ნანა,
რომ დამეწყო კასის ხელით ფხანა,
სანამ ვიყავ გამგეობას შინა,
რესტორანში მქონდა ხშირად ბინა.
ძმა-ბიჭებში ვჭამდი ოხრად ფულებს,
მივირთმევდი შემწვარ - მოხრაკულებს,
მეგობრებო, თქვენ ქეიფობთ მანდა,
მე კი ჩეკამ დამიკარგა მადა.
როს აიღოთ სადღეგრძელო ჩემი,
გადმოაგდეთ, ძმებო, თითო ცრემლი:
„აქაც კარგი ბიჭი იყავ კაკუნა,
ბოლოს თუმცა ჩეკამ დაგიკაკუნა“.

მღერის ამას კაკუნია და გული წყდება, რომ მისი „ცდის“ მონაწილე მამაო იონა ცხადაძე (ბუღალტერი) მასთან არ არის, რომ თავის ბოხი ხმით ბანი მაინც უთხრას მას.

**დ. ძველი.**

# ს ი ლ ა უ რ ი

### ოზურგეთის მაზრა

ტარტაროზ, მოინახულე
აქ აგრო-ტეხნიკუმიო.
შესანსლე მასწავლებელი,
რა ვუყოთ არის უმიო!
დათვრება, მოვა სკოლაში
სიცხე აქვს ღვინით თავშიო
მოწაფეებთან ტრაბახობს:
„მე ვინ მაჯობებს სმაშიო“?.
შემდეგ შეუტევს და ჰყვირის:
„გააღეთ ყველა კარიო,
ტემპერატურა ცხელია,—
მოიქროს ცივი ქარიო!“.
შემდეგ სიმღერას დაიწყებს:
„ოდელა-დელა-დელაო...
რაც ამ სოფელში ღვინოა,
ნეტა მე შევსვა ყველაო!“.
ტარტაროზ. მასწავლებელი
ასეთი ჩვენ არ გვარგია,
ფეშქეშად მოგვირთმევია,
ჩვენთვის ზედმეტი ბარგია.

**გრიშა ნადიაშვილი.**

# ახალდაბა

პირველი: დრამწრე გვაქვს სოფლად,
მათ არ დაუდგამთ ახალი,
ერთ და იგივეს ათჯერ სდგამენ,
რეჟისორს დააქვს „კრახმალი“.
სცენაზე დაფართფატობენ,
ილეშებიან ღვინითა,
აბა, მითხარით, ვინ მივა
საღამოს სალი ტვინითა.
მეორე: მასწავლებლობა
არ ეკარება სცენასა:
„მაგ ბიჭ-ბუჭებში რა გვინდა“.
ატანტალებენ ენასა.
მესამე: კედლის გაზეთი
აღარ გვინახავს თვალითა;
რედკოლეგიას დავუფრთხოთ
საღათას ძილი ძალითა.
მეოთხე: კლუბი არ გვაქვს,
თუმცა შეადგინეს პლანები;
-და რას გვიხელმძღვანელებს
კულტკომში გრიშასთანები?

**ტარკორი.**

# ვაჭრები არტელში

ტარტაროზო, მინდა გითხრა
კარგი ანეგდოტია:
ქალთა კოლექტივში შეძვრა
მიკიტანი ტოტია.
ნალოგებმა გაატყავეს
და ველარსად იჩივლა.
მაგრამ მან მარიფათობა
ხელათ გამოიჩინა:
ქალთა არტელს შეეპარა...
გვერდს უმშვენებს რუბენი
(ოჰ, საიდან შეძვრენ აქ
ვაჭრები და წურბელნი?)
ფული მოდის ოხრათ, ჩეჩქათ.
რა სჯობია ამასა.
მე შენ გეტყვი: ნალოგები
ზურგზედ გვაწევს ავანსათ...
დამღერიან ძმა-ბიჭები,
დასამალი როდია,
მათ ბელადობს დაქექილი
ბარსონიძე ტოტია.
ამით მინდა მე შენ გითხრა:
მოკლე ანეგდოტია,
ერთხელ მაინც შენი ჩანგლით
არტელში შემოდია.

**ალი.**

# საპარიკმახეროში




**პარიკმახერი:**—ძალიან შეგთხელებიათ თმა. რატომ ამ წამალს არ ხმარობთ....

— თქვენ ალბად მაგ წამალს ხმარობთ, რომ მასეთი ქოჩორი გაქვთ!

# უსტარი ტარტაროზს

## (ჭიათურა)

დღეს წარმოება კვლავ ჩვენს ხელშია,
შევყურებთ ნაყოფს და გვიხარია.
თუმცა, მართალი რომა სთქვას კაცმა,
სატარტაროზო ბევრნი არიან.
აქ „შრომის ბირჟა" კავშირის წევრებს
კვებავს სხვადასხვა ტკბილ იმედებით,
ეალერსება:—„მოიცათ, ძმებო,
მოგიწევთ რიგი, ნუ აღელდებით".
რა უშავს, თუ კი რაღაც განგებით
არა კავშირის წევრი მსახურებს.
კარგს იზამს, შრომის ინსპექტორი თუ
ამგვარ ხალხს ზოგჯერ გაგვიპანღურებს.
ან-და, თუ კი აქ ჩვენი მუშკოოპი
იძენს უამრავ პუდრს და პამადას,—
ტარტაროზი ხომ მუდამ „მფარველობს"
ამგვავრ მუშკოპის მედგარ კამანდას!
ზოგჯერ მუშკოპი მიიღებს ხოლმე:
მიტკალს, კალოშებს, სხვა ამგვარ რამეს...
უცებ გაქრება.... ან კი რი ითქმის;
უარს ვინ ეტყვის ძველ ნათლი-მამებს!..
აქ სასადილოც არის „წითელი"...
(მაშ! წითელ ღვინით მუშებს ართობენ).
ღორების გუნდი, ძაღლების ხროვა.
მაგიდების ქვეშ მასლაათობენ.
ქუჩებში გავლა სახიფათოა,
თუ რომ ცურვაში არა ხარ მარდი.
ვერვინ გიპოვის, ძმაო, უეცრად
ღამით ტლაპოში თუ გადავარდი.
ვა, ერთიც ვნახოთ გაჩნდა ხანძარი,
ცეცხლმა რაშივით გაინავარდა,—
გადაიწვება მთლად ყველაფერი,
შემდეგ მოაღწევს „პაჟარ-კამანდა".
მტკაველ ოთახში ოცი მანეთი.
ძია ტარტაროზ, ალბად, გაკვირვებს!
ერთი ვიცოდე, ეს აღმასკომი
ამ საქმის ირგვლივ თუ რას აპირებს?!.
„სამისამართო" მაგიდის საქმე,
რა უშავს, თუ კი მათ არ იციან—
თუ სად ვინ სცხოვრობს... ეხლა ცივა და...
ზაფხულში მაინც ხომ მოიცლიან!
აზარტიული თამაში აქა
კვლავ ძველებურად ისევ მტკიცეა,
ნეტავ თუ ამჩნევს! (მაშ, რაღას უცდის).
რათ არ ალაგმავს მათ მილიცია?
ჯერ ეს იკმარე, ძია ტარტაროზ,
მე კიდევ მოგწერ, შენ ჯავრი ნუ გაქვს...
შენი რისხვა და ბასრი ჩანგალი
ამგვარ ხალხს მოსპობს და გადაბუგავს.

შაკო.

# ქე არ მევითქვი სული

ვაი ჩემს პატრონს უბედურს. გვიან მოვედი ჭკუაზე და რაღაი. თუ რამე ვიშოვე, ყველა ღვინოს ჩავატანე და მიკიტნები გავასუქე. რაც მე ღვინო დამილევია, ყველა რომ ერთად მოგროვდეს, ანგგლინსკი პარახოტს ააცურებს. რასაც ვიშოვიდი, ერთ დღეს შევჭამდი და, თელი თვეი დვიარებოდი გაცქვლეფილი ხვლიკის კუდივით. საცოდავი ჩემი პელაგია ჯვარნაწერ კაბაში დავაბერე. იმდენ ხანს ატარა უბედურმა ის კაბა, რომ ერთი ნახატი ზოლი აღარ შერჩენია ზედ, ისტე გადაიგლიჯა. დაგლეჯით რომ ისტე დაიგლიჯა, რომ გერმანცკი ომში ნამყოფი ბაირაღი გეგონებოდა. იფარავდა საწყალი წინ და უკან ამ ჩაგლეჯებს და ძლივს მალავდა მის უბედურებას. მე კი მეუბნებოდა. უბედური პელაგია. რომე ეკანომია არ იცი, მარა როდი დოუჯერე. სწორედ რომ ჭკვიანი ხალხი ყოფილა ეს კომუნისტები, პელაგია ნუ მომიკვდება. მისთანა რაცხას მეიგონებენ, მისთანა კამპანიებს ჩაატარებენ, რომე თელათ სულელი უნდა იყო, რომ არ დოუჯერო.

ჯერი იყო და იმდენი შემომიჩნდენ, იმდენი მელაპარაკეს, რომე ეს ღვინო გადამაგდებიეს. მერე კიდო ჩაატარეს ეკანომიის კამპანია და გამოგვიცხადენ: „ფული, რაც იშოვოთ, შემნახველ კასაში შეინახეთო". მეც, რაღაი ღვინო გადავაგდე, მის მერე, რაც ვიშოვე სულ კასაში შევიტანე შესანახად. დღეს ხვალ, ზეგ და ამ მასხრობაში გვარიანი თანხა ეშევაგროვე. ქე კი მევითქვე სული, არ უნდა ლაპარაკი. განა, არა ვეუბნებოდი ეპიფანე ლომაძეს, რომე ფული კასაში შეინახე თქვა. მარა არ დამიჯერა.

გაასესხა ვაჭრებზე ათუმანი მანეთად და ეგონა, რომე გავკეთდებიო, მარა მისთანა გაკეთება მიეცა შენს მტერს ეს ვაჭრები გაკოტრდნენ და ამ ჩვენ ეპიფანეს თავნიც დაეკარგა და სარგებელიც. დადის ახლა და ატეხავს კედელს თავს, მარა გვიანია აწი. მე ქე ვარ ალხეინად. მიდღემჩი ფულიანი ვარ და სწორედ გითხრა, მევითქვი სული, თვარა ისტე იყო ჩემი საქმე, რომ ღვლეჭი უნდა გამეჭირა კისერში.

გოგია.

# შარადა

ალარ გვშორდება ზამთარი,
ისევ დასთოვა ბარები,
მე მისგან სადმე ლუმელს ან
ბუხარს თუ მივეფარები;
უცეცხლო სახლშიც დავრჩები,
თუ არ გამჭვალვენ ქარები..
მაინც ოცნებით ამ „ზამთრით?
მომავალს მივეჩქარები!
მუნ საშარადე საგანი
მთხოვს: „მო, გამიღე კარები!
კრებული რამე მონახე,
გზა ნუ გშურს მისთვის; სარები,
ორი სიტყვისგან შემდგარი,
ერთისა დასადარები,
ქვეყნებს არის მჯდომელი,
ლაყბობით განამწარები,
ხალხთა ერთობის მხმობელი,
ვით სამრეკლოზე ზარები,
მხოლოდ ერთობის საქმისა
ჯერ ახლოს მიუკარები;
კელოგის პაქტით მოხაზა
მან საშვიდობო ზღვარები,
მაგრამ კვლავ უფრო გამრავლდა
თოფ-ზარბაზნები, ჯარები..
ოთხ-ოთხ ასოთი საწერი,
ორივე „გასახარები",
არ გვინდა სიტყვა პირველი,
ამ რთულ სახელში დებული,
მეორე სიტყვაც უნდ ითქვას
თითქმის მთლად უკუგდებული,
მხოლოდ ბოლოზე ორ ანბნის
ჩვენ ვართ დღეს დიდი მდომელი!.
ნახეთ სავლელი მანძილიც,
უვერსოთ განუზომელი,
ზედ კილომეტრსაც ხმარობენ,
ინგლისით მოდის რომელი,
არის ის რკინის, ჰაერის,
ხმელეთი მკერდსაც მჯდომელი;
აქვს მას სისწორეც, ხვეულიც
გვირაბიც გასაძრომელი..
სულ სამი ანბნით საწერი
საზომვათ განუძლომელი,
ავიღოთ მისგან მეორე
და მესამეცა ანბანი,
„სხვები" კი—მეწყერს! რათ გვინდა
ან „მათი" სიგრძე, ან განი?!.
ახლა მონახეთ კაცისა,
ნიჭის, უნარის მაგვარი,
მპყრობელი სიმახვილისა,
ფოლადზეც უფრო მაგარი;
ერთი მარცვალი სიტყვაა
სამი ასოთი საწერი,
ორი ჩვენ გვინდა და ბოლო
დე, იყვეს ჩამონაჭერი!
იმავე კაცის არსებას
კვლავ ჩავწვდეთ შუა არეში,
ის ცენტრი გვინდა, ნაღველი
რომ ტვირთავს სიმწუხარეში!
სიხარულის დროს ხალისით
იგი ივსება მეტათა,
ასე ორს სახავს სტიქიას,
თვითონ კი სუფევს ცენტათა,
არს შეუწყვეტლად მოძრავი
სიცოცხლის ხმათ და სენთათა:
მისით არს ყოველი „ხელმწიფე",
ყოველთა სურვილთა დენთათა!..

# სამქიმარი



ნოქარი (ნოქარს): — კარგი!..რა გატირებს!? ვირთხა შეგვოგაკვდა, და ისიც უცაბედათ; თორემ კაცი ხომ არა!?

— ჰმ! სულელო, აწ ვის-ღა დავაბრალოთ საქონლის დანაკლისი, რომ მელიც ჩვენ მოგვქონდა?!.

ოთხი ასოდან შემდგარი,
ის ჩვენ არ გვინდა მრთელადა:
ასო პირველი ხელს გვიშლის,
არ ვარგა მოუთლელადა,
მოვსჭრათ და ნაშთიც —შარადას
ბოლოზე მოსადგმელადა!..
უკვე მზად არის შარადა,
ხანისა მომავალისა.
(თუმც თითქმის ერთ თვის სიგრ-
ძედ სჩანს
ნიშანი მისი კვალისა!).
შვებით ალმვსები გულისა,
დამატკბობელი თვალისა,
ამწვანებული გულ-მკერდით
არის მომლვრელი წყალისა,
საწყალი ბაბუაჩემის
გამთბობიც გახლავთ ძვალისა!

მაგრამ რა, თუ მისი მოსვლის
გული წაიღო ლოდინმა,
მომკლა ამ ცივმა დღეებმა,
დრო-გასულ ზამთრის ბოგინმა,
არ იქნა, ალარ გვშორდება,
ისევ დასთოვა ბარები,
კარზე გვადგება ისე, ვით
მევალე, დანაბარები,
თეთრია სიუტიფრეშიც,
როგორც თეთრების ჯარები!
მაგრამ გატყდება მისიცა
სიუტიფრისა ფარები:
სხვა მოდის ძალა, მე მისთვის
ღია მაქვს გულის კარები,
მოეფინება ქვეყანას
ისე, ვით კომუნარები!..

ჰაზირა.




## რომ დაასხო ბეგლარი, თოკით მაგრათ შეჰკარი

თუმცა თოკი რას იზამს იქ, სადაც კაცი თოფით მოქმედობს. ასეთი ყოფილა ბეგლარ კუტუბიძე, ბარცხანაში მობინადრე, აზავთშენის „ლესკომის" თანამშრომელი.

აი, რას გვწერს ამ ბეგლარის შესახებ ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი, ვატია ხორგელი.

„ბეგლარ კუტუბიძეს ბარცხანაში მთელი მოსახლეობა ბადეში ჰყავს დაჭერილი: ყველას ემუქრება ბეგლარი თუმცა ის აზნავთშენის ლესკომის თანამშრომელია, მაგრამ მას უფრო დიდათ მიაჩნია თავი. მთელი ხალხი მას იარაღის ქვეშა ჰყავს დამორჩილებული. მისი ყოფაქცევა არა თუ საბჭოთა ქვეყანას შვენის, არამედ ის ისახავს სულთა მხუთავის ხანას აი, მაგალითი: 28 თებერვალს, არჩევნების შემდეგ, კუტუბიძე მივარდა სახლის მეპატრონე მიხაკო გვარამიას სახლში და ჭალარა ინვალიდს დაუწყო ცემა. გვარამიას მიეშველენ, მაგრამ კუტუბიძესთან ვერაფერი გაბედეს, რადგანაც თოფი ეჭირა და, გვარამიასთან ერთად, ხალხსაც აგინებდა. კომკავშირელებმა კუტუბიძეს თოფს ზატვორი ამოართვეს, მაგრამ უფრო აღელდა და გამოიტანა ლევორველი. ის დაუყონებლივ წაართვა, მეთაურების დახმარებით, მილიციამ. წართმევის დროს რამოდენიმე ხალხიც გაილახა ბეგლა...ს მიერ. ჩხუბი განმეორებულ იქნა იმავე ღამესაც"-ო, ათავებს კორესპონდენტი.

მართალია, კორესპონდენტი კი ათავებს, მაგრამ რა გარანტია გვაქვს იმისათვის, რომ ბეგლარმაც გაათავა თავისი დებოში და იგი მას კვლავაც არ გაიმეორებს.

ჰეშმარიტად, თოკით თუ შეჰკრავთ მაგრათ, თორემ სხვა გამოსავალი ამ შემთხვევაში არ უნდა იყვეს. ყოველთვის კომკავშირელები და მილიციელები ეგება არ შეხვდა მას ამ „ზნის" მოვლის დროს.

## ვინ არის სიმონა, ხოტევი რომ იმონა?

ასეთ კითხვას გვაძლევს ჩვენ კორესპონდენტი მოგზაური.

მართალია, ფსევდონიმი რამდენიმედ ამართლებს მის ასეთ ქცევას, მაგრამ ყოველშემთხვევაში კორესპონდენტი, რამდენადაც ის მოგზაური და, მაშასადამე, სოფლად ამა თუ იმ შემთხვევისათვის შემთხვევითი შემსწრე და მეთვალყურეც არ უნდა იყვეს, მას მაინც მეტად ეძვლება იმისი ცოდნა, თუ ვინ ან რა არის. კორესპონდენტი მოგზაური კი არა თუ, იჩენს ამ „ცოდნას", არამედ მოწერილ ამბავს ბუნდოვანობის სრულს ბურუსში სტოვებს და ჩვენ შემდეგ იძულებულს გვხდის „მკითხავის" საძებრად ვიაროთ, რათა გამოვარკვიოთ თუ ვინ არის სიმონა.

თუ ჩვენი არა გჯერათ, ნახეთ მისი მონაწერი:

„ძველი რეჟიმის კაცია,
რათ არ იყო წინათ?!..
ეხლა ისევ წამოსკუპდა,
ყველაფერში ბრჭყვინავს!
მოწაფეებს „ვირივით სცემს"
ახშობს სიბინძურის ჭაში...
ბევრჯერ თვრება სულ ხშირად,
ეუბნებათ: „აპა, დაჰკათ ტაში"!..

როგორ იტყვი, მკითხველო, ვინ უნდა იყვეს ეს სიმონა? მასწავლებელია? მაინცა და მაინც არა სჩანს ეს, რადგან მოწაფე სხვა რამეშიც შეიძლება იყვეს, მაგალითად: სახელოსნოში, წარმოებაში და სხვ.

## ფერდზე რამ წამოაწვინა სენაკის მეორე შვიდწლედის ბინა

— დროთა ვითარებამ, იტყვის ყოველი სენაკელი.

დიაჰ, დროთა ვითარება ყველაფერს ინელებს, და ანადგურებს, ასევე ემუქრება ის დანგრევით სენაკის




მეორე შვიდწლედის შენობასაც. მაგრამ სად არის ალმასკომი, სად არის განათლების განყოფილება, რომელსაც ევალება ამ მოსალოდნელი მარცხის თავის დროზე გათვალისწინება და თავიდან აცდენაც?.

ალბათ, თუ სძინავთ!

მათი ძილის დარღვევას, როგორც კორესპონდენტი ველისპირელი გადმოგვცემს, თუ შეიძლებს ის ხმა, რომელსაც სკოლის შენობის სრულიად წაქცევა გამოიწვევს...

ჩვენ ამ შენობის ბედი იმდენად არ გვაინტერესებს, რამდენად ასი ღრმა მძინარეთა გამოფხიზლება, გვეშინია: „ოპერაციას"-თან არ გადაჰყვენ!..

## უცდით ექიმ ასათიანს, ის უეტლოდ არსად იარს

რომ ექიმს ეტლი უნდა მიართვას მუშტარმა, ეს ძველია, მხოლოდ მანძილს კი გააჩნია. თუ მცირე მანძილია გასასვლელი, ზოგი თავდაბალი ექიმი მას უეტლოდაც კი გაივლის. ამ შემთხვევაში იმდენად მანძილისაგან არ არის საქმე დამოკიდებული, რამდენადაც თვითონ ექიმისაგან. ასიანი ანუ ას პროცენტიანი ექიმი მანძილს უეჭველად მიხედავს. მხოლოთ, თუ ექიმი ასათ პროცენტიანია, ანუ მოკლეთ — ასათიანი, იმ შემთხვევაში „მიხედვ - მოხედვა", რა და თქმა უნდა, სავალდებულო არ არის.

აი რას გვწერს კორესპონდენტი ტრპი ბათომის რკინის გზის პირველი უბნის ქსენონის ექიმ ასათიანის შესახებ, რომელსაც რკინის გზელმა კეთილაძემ მიმართა ავადმყოფ ცოლისათვის დახმარების გასაწევათ:

— ცოლი ჰყავდა ავადმყოფი,—სახლში ის სიკვდილს ებრძოდა,
და ამ „პატივცემულ" ექიმს სულთა ბრძოლის ნახვას სთხოვდა!!.
მაგრამ „დიდმა" ასათიანმა, ბიუროკრატმა წმინდა წყლისა,
თავისებურ მაჰანებით თავი აშორა ამ „ჭირსა":
ჯერ უთხრა მას:—მიმართეო ქსენონის გამგე მუჯირსა,
უნებართვოთ ვერ წამოვალ — იმის დასტური მიჰირსო!
მას შემდგომ, მან მოითხოვა ჩაწერა „ეტლის რიგშია"!.

**არ უყურებ, ტარტაროზო! ექიმი დიდ თადარიგშია!**
**თუმც კეთილაძისა ბინა ქსენონთან ორ ნაბიჯშია,**
**ფეხით მისვლა არ იკადრა, — იმიტომ, რომ უცხო**
**ჯიშია!!!“.**

დიახ, ექიმის ჯიში ამ შემთხვევაში განსაზღვრავს მისი გვარი ასათიანი. ამ გვარის მატარებელი ექიმი, როგორც ხედავთ, მთელი ათი პროცენტით საბჭოებს ნამდვილს ექიმს, ამ სიტყვის ას პროცენტიან მნიშვნელობით, და, მაშასადამე, როგორ გნებავთ ახლა თქვენ? არ ისარგებლოს კაცმა ამ თავისი უპირატესობით?

დიახ, ის უეტლოთ არა თუ ორ ნაბიჯს, ნახევარ ნაბიჯსაც არ წარსდგამს წინ.

უკან კი — რამდენიც გნებავსთ.

## ივლიანე კუპრაშვილი, ზის კავშირში ფრთებ გაშლილი

ეს ამბავი შეეხება ტყიბულის მაღაროების პროფკავშირს. იქაურ ბიუროში ზის საქმეთა მმართველად ივლიანე კუპრაშვილი, რომლის ბიუროკრატობის შესახებაც ბევრი დაიწერა ჩვენს გაზეთებსა, თუ ჟურნალ „ტარტაროზში“, მაგრამ მის თავზე კი თითქოს ბუზიც არ გადაფრენილიყვეს.

კორესპონდენტი ზურ-ნა ამას ხსნის პროტექციით, როცა ივლიანეს ასე ალილინებს:

**„ბევრიც რომ იხტუნონ მუშკორებმა,**
**არ გამიფრთხონ ბუზები:**
**პროფკავშირში მტკიცედ ვზივარ,**
**რომ მწყალობენ ტუზები“-ო;**

საცოდნელად საინტერესოა, თუ ვინ არიან ეს „ტუზები“ და რა ფერისანი არიან: შავი თუ წითელი? თუმცა უბრალო ტუზს ხომ კოზირის ორიანიც ანადგურებს.

ასეთი კოზირი გახლავთ კორესპონდენტი, ყოველი მისი სწორი ცნობა. მხოლოთ ეს ცნობა უნდა იყვეს სრული და მოურიდებელი. გაიხსენეთ, რა სთქვა ამის შესახებ მუშ-გლეხ-კორთა ყრილობამ.

სამწუხაროდ „ზურ-ნა“-ს აკლია ეს სისრულე და, მოურიდებლობა, როცა „ტუზები“ არ გამოჰყავს სააშკარაოზე, ივლიანესთან ერთად.

ამ უკანასკნელს უფლება აქვს აღშფოთდეს კორესპონდენტ „ზურნას“ ქცევის გამო: „ცხენს ვერ შესწვდა და უნაგერს ებღაუჭება“-ო, იტყვის.

## ჩვენი ნიკო შამათავა, მისმა ნახვამ გამათავა

ვინმე იფიქრებს, რომ ეს სათაური ჩვენი მოგონილია. სრულიადაც არა. ამის ავტორი გახლავთ ქოლობნის თემი, თითქმის ყველა მისი მცხოვრებნი ერთად, რადგან ნიკოს შესახებ არავითარი სხვა აზრი არ არსებობს, გარდა ერთისა:

**„თითქმის ყოველ დღე ხედავს თვალი,**
**რომ ნიკო არის მთვრალი:**
**თხრილის კიდეში წევს**
**და იქვე არწყევს“...**

ამ დროს გამოივლის რომელიმე მგზავრი, ვსთქვათ, გარეშე სოფლელი და ეკითხება ამ სოფლის ერთ-ერთ მკვიდრს: — ვინ არის ეს ამ თხრილის კიდეში გდებული?

— „მასწავლებელი გახლავთ ჩვენი, ქებული!“...

ან კიდევ:

— ვინ არის ეს, აქ რომ გამხდარა ავათ?

— „ნიკო გახლავთ ჩვენი, შამათავა,

მისმა ნახვამ გამათავა“-ო, ეტყვის გულდაწყვეტილი ქოლობნელი და განშორდება, თუმცა წესი კი იყო, რომ მას მგზავრი განშორებოდა. მაგრამ რა ქნას საბრალო ქოლობნელმა თუ მას დასადგომი პირი აღარ აქვს, ასეთი მასწავლებლის გადამკიდეს?!...

არა თუ სკოლის გამგის მხრივ სწყალობს ქოლობანს ბედი, გამგეთ ყოფილა ვინმე ხარატაშვილი, სკოლის ეზო, რომ აქვს მარად გაშლილი; ის უქცევია ქალტად: ეზოში ხე არსად, ყველგან სიბინძურე და ნეხვი პატიოსან კაცს არც კი შეედგომება ფეხი!

მაგრამ ამას ხარატაშვილი ჩირადაც არ აგდებს...

ვაი, ასეთ სკოლის გამგეს!...

## ფოთსა ჰყავს ორი ვექილი, ეს ჩხუბში გამოჭექილი; მათი რომ არ მოხდა ზავი, გატყდა პაჭკორიას თავი.

ეს ვექილები, როგორც კორესპონდენტი ნ—ელი გვაუწყებს, კირტაძე და საბახტარაშვილი გახლავთ. სამს მარტს მათ მოუვიდათ ჩვეულებრივი დაკა-დაკა. ჩვეულებრივ მაყურებელთათვის ეს ჩვეულებრივი გამოსვლა კირტაძე — საბახტარაშვილისა არაფერს არა. ჩვეულებრივს, რა თქმა უნდა არ წარმოადგენდა. მაგრამ აი, უცბათ ამ ამბავს შეესწრება სრულიად უცხო ელემენტი მოქ. ანტიპო პაჭკორია.

პაჭკორია იმდენად მოიხიბლა ამ ორი გარეგნულად პაციფისტური გამომეტყველების ვაჟკაცის ასე „შემთხვევითი“ წაკიდების აქტით, რომ, იხელმძღვანელა რა ცნობილ კელოგის პაქტით, არც აცივა, არც აცხელა, მივარდა ხელად, უსწრაფესად შეიჭრა მათ შორის, რათა ჩამოეგდო ზავი....



სანამ არ გაუტყდა თავი!...

უფრო მჭერმეტყველურად მოლაპარაკე ეს ფაქტი, ვიდრე ვიღაც კელოგის პაქტი!

## ბალდანაშვილი არის ჭკუაზე: ქვისლია მისი მეფურნე ბუაძე.

ჯერ კიდევ ბებიაჩემსაც კი მშვენივრად ესმოდა, ანდაზის — „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“ — მნიშვნელობა.

მაშ, რაღა გასაკვირია, რომ ტყიბულის მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარეს მშვენივრად ესმოდეს ის ამბავი, რომ ფურნის მოიჯარადრეს ბუაძეს თუ ფურნე არ ჩამოერთმევა და არ გადაეცემა მუშათა არტელს, ეს უკეთესია, რადგან ბუაძე მისი საკუთარი ქვისლია.

ამაოდ ამტკიცებს კორესპონდენტი „ხლისტი“, რომ 12 გირვანქა ნამატი, რომელსაც იძლევა მუშათა არტელი ფუთ ფქვილზე, თითქოს მეტი იყვეს იმ 8 გირვანქაზე, რომელსაც ახლა ბუაძე იძლევა.

დიახაც, რომ მიზანშეწონილია ამ შემთხვევაში ნერსეს ბალდანაშვილის ნაბიჯი. თქვენა გგონიათ, რომ მარტო ერთი, ნაბიჯი? სცდებით. მთელი ოთხი ნაბიჯი ერთად.

როგორ?

აი, როგორ.

რას ნიშნავს შეწონა? შეწონა შეიძლება ორნაირად. ერთი, როცა ემატება, მეორე — როცა აკლდება.

მუშათა არტელი იძლევა 12 გირვანქა ნამატს. ბუაძე იძლევა 8 გირვანქას.

ამ შემთხვევაში ბუაძეს ეწონება 4 გირვანქა, მიუხედავით იმისა, რომ იგი 8 გირვანქას იძლევა, თორმეტის ნაცვლად.

ვისი წყალობით ეწონება ეს ბუაძეს? რა თქმა უნდა, მისი ძვირფასი ქვისლის, ბალდანაშვილის წყალობით, ბალდანაშვილის ნაბიჯით ამ შემთხვევაში სარგებლობს ბუაძე. სარგებლობს მთელს 4-ს ერთად.

მაშ რამდენი ნაბიჯი ჰქონია ბალდანაშვილს? ცხადია, ოთხი! მართალია, ნაბიჯი ერთია, მაგრამ მთელი ოთხი კი ეს ერთი ნაბიჯია და...

ასეთ „ოთხიან" ერთ ნაბიჯს ისე ვერც ერთი არსება ვერ გადასდგამს, თუ ოთხი ფეხი არ აბია.

ოთხფეხი კი ბევრი მოიპოვება ამ ცოდვილ ქვეყანაზე ისეთი, რომლებიც ასე მსჯელობენ: „ლუკმა თუ სადმე გავარდება, თუ თვითონ მე არა, ისევ ჩემ ქვისლს ერგოსო".

**მართალი იყო ბებიაჩემი.**
**მართალია ბალდანაშვილიც.**
**გაუმარჯოს „ქვისლიზაციას"!**

# ცნობათა მიღება

**ზაქ — ნალებს.** მივიღეთ თქვენი კუპლეტები. მართალია, ის „ამერიკელ ძიას" ხმაზე. სამღერი, მაგრამ, ვინაიდან ჩვენ ასეთ სიმღერას არ ვიცნობთ, ისევ ჩვენი „ცნობათა მიღების" ხმაზე ავაწყვეთ.

ვიწყებთ პირველი კუპლეტიდან:

**მე მოვდივარ ჩემი კუპლეტებითა,**
**მოგახსენებთ: მაიწონეთ ნებითა!**
**მე ვარ ერთი კაცის გულის მალამო,**
**სულ ერთია: დილაა თუ საღამო**"-ო, ამბობთ.

ჰო, და, თუ სულ ერთია, მაშ, დანარჩენს ჩადავუძახებთ უძირო გოდორში!

მაგრამ არა. მოიცადეთ, აგრე ადვილად ვერ შეგელევით.

გადავდივართ მეორე კუპლეტებზე:

**„პუბლიკაჯან! დარდები მაქვს მე დიდი,**
**დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი.**
**თქვენგან ველი შველასა და რჩენასა,**
**დამეხმარეთ, გენაცვალეთ ყველასა!..**

„პუბლიკა" ერთობ ლმობიერი კაცია. მან სთქვა: „სად არის, თორემ ერთ დამპალ ტარანს არ დავიშურებდი ასეთი მოკუპლეტისათვისო". როგორც ხედავთ, თქვენთვის ესეც კარგი დახმარება იქნება. დანარჩენს კი „რჩენისათვის" თქვენ თითონ იზრუნებთ. ეს არც იმდენად გაგიძნელდებათ, როცა პოეტური ნიჭი ასე ოხრად ყოფილა თქვენში, რაიცა ასე აშკარად ჩანს მესამე კუპლეტიდან:

**„წინათ ჩასტნათ მეც კარგათა ვაჰრობდი,**
**ცოლი გვერდზე მეც მომდევდა, ვპრანჭობდი,**
**ეხლა ვხედავ: ნოვი ვლასტი დამყარდა,**
**ძველი დრონი მოისპოდა ამყაყდა"..**

რაც უკვე მოისპო, ის რაღას ამყაყებდა. მაგრამ ნიჭის საქმე არ არის? ნიჭს ყველაფერი შეუძლია; ამყაყებაც და დამყაყებაც. დრო და სხვა რამ ხელის შემშლელი პირობა მისთვის არ არსებობს.

ამის შემდეგ, სრულიად ბუნებრივი ხდება ჩვენ მიერ მეოთხე კუპლეტის მოთავსებაც, რომელიც რომა შემდეგს ამბობს:

**„აპეტიტი და პატივი წამიხდა,**
**ცოლი მყვანდა, ისიც სხვასთან წავიდა.**
**ნოვო ვლასტო! შენ რა გითხრა შენია,**
**გამიჩინე კაცსა თავში გენია!"..**

მაშ, როდის იქნებოდით თქვენ „ნოვი ვლასტით" კმაყოფილი: გენის ნაცვლად, თხლენია რომ გაჩინა?!

თუ ეს ასეა, ჩვენ უნდა განუგეშოთ რომ „ნოვი ვლასტი" თუ არა, რაღაც ძალას თქვენს თავში სწორედ ის გაუჩენია, რის შესახებაც მას თქვენგან აღარაფერი საყვედური აღარ ეკუთვნის. ყოველ შემთხვევაში გენიისაგან კი თქვენი თავი ისეთა თავისუფალი, როგორც ღვინის გადაღების დროს თავისუფლდება ხოლმე ქვევრი სუფთაა ღვინისაგან და იქ რჩება....

**გოგორიცი ისირიძეს.** ჯერ თქვენს ფსევდონომზე რომ ენა კინაღამ წავიტეხეთ, ეხლა თქვენი კუპლეტებისაგან რა დაგვემართებოდა, ეს თითონ თქვენ გამოიცანით. გულის არევა რა უნდა იყვეს.

**შავი ზღვის პირელს.** „ზარალიჰესის" ჯებირმა თუ კვანტალიანი იმსხვერპლა. ეს არაფერი, ახია მაზედ, მაგრამ ამავე საგანმა აგერ თქვენი ლექსიც რომ იმსხვერპლა, ეს კი ვერ არის მაინცა და მაინც კარგი ამბავი. ყოველ შემთხვევაში, მკითხველმა რომ რაიმე ბოროტი განზრახვა არ გვიკიჟინოს სანიმუშოთ ვათავსებთ ერთად ერთ სავარგის ტაეპს:

**„აშიერიდან არ გიშვებ,**
**მსურს გაგიმწარო დღენიო!..**
**და გაუკეთა ჯებირი,**
**სამჯერ მის უმაღლესიო"..**

ამას ეუბნებოდა კვანტალიანი მდინარეს, როცა ახალი ჯებირის აგებას იწყებდა.

არ გაშვება თუ კარგია, აი, ახლა თქვენმა ლექსმაც გამოსცადოს ის თავის საკუთარს თავზედ.

რაც შეეხება სიმაღლეს, ჩვენი სარედაქციო კალათის გვერდები, სამჯერ კი არა, სამასჯერაც უმაღლესი იქნება თქვენი ლექსით დატვირთულ ქაღალდზე.

**პ. ბრდიმელს.** რჩევა - დარიგება კარგი საქმეა, მაგრამ მუშკორ თავბერიძეს არ უყურეთ მუშგლეხკორთა თათბირზე: „კონკრეტიულად უნდა სწეროთ და არა განყენებულად"-ო.

**ქუთათურს.** ბალახვანელი ვაჭრის ვარდენ ხვედელიძის დუქანში რომ არლანი ჰრიალებდეს, იმისთვის, განა, ჩვენც უნდა ავჭრიალდეთ თქვენი ლექსით?

იჭრიალეთ ისევ თქვენ.

ან კიდევ რაში გვეკითხება ჩვენ იაკოფა მახათაძის პატიოსნება. საქონელი თუ შემოკლებული აქვს, ივაჭროს „პატიოსნებით".

**მიხეილ ჰელისპირელს.** ქალები თუ უსაქმოდ არიან და სეირნობენ, საყვედური არ ეთქმით. „ცუდათ ჯდომას, ისევ ცუდად სიარული სჯობია"-ო, ხომ გაგიგონიათ?

**იმასვე.** ეტყობა, ძალიან გაინტერესებთ ქალი ლომიას ცხვირის სიგრძე. სიგრძე ენისა არის საინტერესო, ბოლო ცხვირის „მაღლა - აწეულობა".

**პროვინციელ მხატვარს.** ცხადია სურათი ავტორის პროვინციელობით არ დაიწუნება, თუ გამოსადეგი დარჩა, ჟურნალშიც მოთავსდება და ზედ „ჰონორალიც" (გამოთქმა თქვენია) შეიცემა.

**მგზავრს.** (ეს „მგზავრი" ოქვე გურული გახლავთ, ჯუმათიდან) ტალახი გვაწუხებსო, იწერებით. თქვე შემაცხონებულო, მთელი ზამთარი ისე გავიდა, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ არაფერი მოგიწერიათ და ახლა უცბათ მოგაგონდათ ეს? დაიცადეთ კიდევ ცოტა და, სადაც არის, გამოზაფხულდება, გაშრება და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ გაის გაზაფხულამდე ტალახი აღარ მოგაგონდებათ. მაშინ კი, დიდი არს ძალა „ტარტაროზისა": ერთხელ კიდევ გაგწერთ ცნობათა მიღებაში, მორჩა და გათავდა.

**პროგრესისტს.** „ყველაფერზე — გარდაიცვა-ლა-"ო —იწერებით. ან ფსევდონიმი არ შეეფერება თქვენს ნაწერს, ან კიდევ ნაწერი — ფსევდონიმს.

**ლანჩხუთელ ჰინჰარს.** არა, გაფიცებთ მაგ თქვენ სულხას: საიდან იცით, რომ როდშილდ ებრაელი არის?, ჩვენ კი ჯერ როტშილდის ვინაობაც არ ვიცით; არა თუ მარადები ვწეროთ მასზედ.

# უდანაშაულო მსხვერპლი

„ტრაქტორების მისაღებად გლეხებს უხდებათ ისეთი დიდი და რთული ანკეტების შევსება, რომ ამას ისინი ვეღარ ახერხებენ".

გაზეთებიდან.




— საწყალი ივანე! აფსუს, რა კარგი მუშადაიღუპა!

პ/ტ. მე-5 სტამბა კამოს ქ. № 68.

№ 14

# ტარტაროზი

კვირა, 31 მარტი, 1929 წელი
1929 წ.
წელიწადი მეექვსე.




ამხ. ნაზარეტიანის ღიღინი:

აპარატის სიჯანსაღეს
ჟანგს გავაცლი, მჭვარტლს და მძაღეს!

# ფარსადანი ფარს საიდან არ იმარჯვებს

— მობრძანდით, დაბრძანდით, ფარსადან! მართალია, მოკეთე და ნათესავი ერთმანეთისა არაფერი ვართ, მაგრამ, სამაგიეროთ, ერთი მიწა-წყლის შვილები ხომ მაინც ვართ და ამასთანავე აქაც, ქალაქშიაც, როგორც ხედავთ, ახლო მეზობლები მოვხვდით ერთმანეთს.

— მოკეთეები რატომაც არ უნდა ვიყვეთ ვითომ? მამა შენის მამა, ცხონებული ედემიკა, მამაჩემის მამის, ნეტარ ხსენებული ფარნაოზის ყმა იყო, მაგრამ იმისთანა ყმა, რომელიც საკუთარ შვილშიც კი არ გამოერჩეოდა თურმე ცხონებულს. ღვინოს მხოლოთ მისი ხელით დასხმულს მიირთმევდაო,—გამიგონია.

მე მომაგონდა მამაჩემის ნაამბობიც: ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, როცა გლეხობის უმეტესი ნაწილი ეგრედ წოდებულ „დროებით ვალდებულებათ“ იქცენ, მამა ჩემიც სწორედ ასეთ დროებით ვალდებულ გლეხს წარმოადგენდა ფარსადანის მამისა. ეს უკანასკნელი უდიერი ბატონი, ანუ უკეთ—აუტანელი „ნაბატონარი“ გამოდგა და წლიური ბეგარისათვის სულ ღდინს ალლიდა თურმე თავიანთ ნაყმევთ.

ერთხელ მამაჩემისათვისაც ეცადნა თურმე ისევე მოპყრობოდა, როგორც დანარჩენ გლეხებს ეპყრობოდა, მაგრამ, „მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა“-ო, რომ იტყვიან, სწორედ ის დამართა მამაჩემმა. პირველსავე ხმამაღალ შემოძახებაზე ეზოდან სახრით დაეფრინა და მეზობლებს ძლივს გამოჰგლიჯეს უდიერი „ნაბატონარი“ გაცეცხლებული მამაჩემის ხელიდან“.

„ნაბატონარს“ „უჩასტკის ნაჩალნიკისათვის“ მიემართნა, მაგრამ მამაჩემს ისე დაერიგებინა გლეხები, რომ მათი ჩვენებისაგან „ნაბატონარს“, პირიქით, გლეხის ოჯახში მივარდნა და ძალმომრეობის მიღების ცდა უმტკიცდებოდა.

შეშინებული „ნაბატონარი“ უკან დახევის გზას დასდგომოდა. ამით წათამამებული მამაჩემი „ნაბატონარს“ უკვე იქით წასდავებოდა და ჩვენი სოფლის ბოლოზე მოდებული ვეებერთელა ტყე და საჩეხი, რომელსაც გლეხებისთვის „სულზე მისწრება“ იყო, დარიგებაში აელოპნა მისთვის.

ამ ტყით და საჩეხით შემდეგ ჩვენი სოფლის გლეხობა ძმურად ტკბილად დიდხან სარგებლობდა და თუმცა მამაჩემის, საკუთრების სახელი ედო მას, მაგრამ გაყოფით კი ისევ ძმურათ გაიყვეს შემდეგ. გამართეს ყველაზე უფრო მეტად გაჩეხილი და სასარგებლო კუთხეც კი არგუნეს, თუმცა ნასარგებლი ყველაზე ნაკლები სწორედ მისი იყო, ეს ტყე და საჩეხი.

ამის შემდეგ ფარსადანმა ერთხელ კიდევ სცადა ამ თავისი მამის ნაქონი მამულის უკან დაბრუნება ეგრედწოდებულ „მამულების გადამიჯვნის“ დროს და, სიამაყის მთელი სიგრძესიგანის ჩენით, „დაედავა“ გლეხობას.

მაგრამ ამ „დაავადებას“ შედეგათ მხოლოთ გლეხობის სასამართლოში უმიზნოთ და უშედეგოთ „მითრევმოთრევა“ მოჰყვა და დასრულდა ფარსადანისთვის ცივი უარის ტკიცებით. თუმცა უტიფარი ფარსადანი მაინც არა სცხრებოდა და კიდევ დიდ ხანს, დიდხანს „ათრევდა“ გლეხებს ინსტანციიდან ინსტანციებში.

მე ახლაც თვალწინ მიდგას გაფათრული ფარსადანი, მდევივით ვაჟკაცი, ჩასუქებული და ნაპატიები, როცა ის ჩამხდარ-ჩაყვითლებულ გლეხებს მიწებზე ედავებოდა,

ადრინდელის ჩრდილსაც კი არ წარმოადგენს ამჟამად გაფერთხილ-გაქლესილი და სიბერისაგან ქედ-მოხრილი ფარსადანი. მაგრამ სიჯიუტე, სიხეპრე და, თუ გნებავთ, სიამაყეც ფარსადანს ისევ ძველი შერჩენია.

სულ სხვაა, თუ რა და რა ფორმებში ხვევს ფარსადანი ახლა ამთავიანთ სულიერ თვისებებს, რა ნაირი შემპარავი მოქნილობით გაპარებს მათ მოსაუბრეს.

სოფლიდან გამოქცეული ფარსადანი ქალაქს შემოეკედლა. ერთხანს სხვადასხვა „ტირებსა“ და „პტი-შვოლიდებსაც კი შეეკედლა. და ასე გასიმპტირე ხნით სანამ არ გაუგეს, ინვალიდებსაც კი შეკედლა. და ასე გასინჯეთ სადღაც „ფიზკულტურის“ დაწესებულებაშიც კი შეძვრა ეს ყოველმხრივად დრომოჭმული კაცი. ამჟამად, არ ვიცი, სად მოღვაწეობს, თუმცა ყოველი დილით სამსახურში მიზაჟალს, ფარსადანი ან წინ კი გადამელობება, ან უკანიდან კი „დამმუხლავს“, ან განიდან კი მაინც ჩამომიქროლებს ხოლმე შეშინებული ალალივით.

ერთი სიტყვით, ცდილობს კაცი, ედება ლობესა და ყორეს: იცავს თავის უკანასკნელ დღეებს!

საღამო ხანია. ფარსადანს ჩემი ცოლიც გამოეგება მეორე ოთახიდან და თავისი ჩვეულებრივი, დიასახლისური მოთხოვნილების დასაკამყოფილებლად მაშინვე ჩაის გამზადებას შეუდგა.

— ჩაი და შაქარი დღეს ისევ თქვენ თუ „მოგეფინჩხებათ“, თორემ სხვაგან ამას ახლა სად იშოვნი?

ისეთი „პანიკიორული“ სულისკვეთებით დააბოლავა ეს თავისი განცხადება ფარსადანმა, რომ კაცს ეგონებოდა, თითქოს რამოდენიმე წელიწადია ფარსადანს არც ჩაი უნახავს და არც შაქარი.

— რატომ, ფარსადან? კოოპერატივის მიერ დადგენილი ულუფა ჩვენ თუ კი გვყოფნის, თქვენც უნდა გეყოთ. მიმართა ცოლმა, ოჯახურ „შემოსავალ - გასავლის“ საქმეში ჩემზე გაცილებით უფრო გამოცდილმა და სარისტიანმა.

— არ შეგჭამოს ქირმა! თუთხმეტი დღის ულუფა ჩვენ ხუთ დღესაც არ გვყოფნის!

კატეგორიულის დამაჯერებლობით მოუჭრა ფარსადანმა.

— რა ვიცი...

სიტყვა აღარ გააგრძელა ჩემმა ცოლმა. [illegible] არასასურველი ატმოსფერო არ დატრიალებულიყო ქალური სტუმართმოყვარეობით [illegible] და გულით გამართული სუფრის [illegible]...

— სულ წაწყმედილი: წყრომით ჩაილაპარაკა [illegible], როცა ჩაით [illegible] ფარსადანმა [illegible] ულვაშები ჩაისწორა, ტუჩები მიილოკ - მოილოკა და ქურდობაში დაჭერილ კატასავით ჩვენი ბინიდან გამოძვრა.

— დღეში თითქოს ათ-თუთხმეტ გირვანქას კი უყიდის [illegible] და მაინც არ ჰყოფნის [illegible] კი იწევა [illegible]. ორიოდ კილო [illegible] ამას წინად მისი [illegible] გოგოს.

ცოლის ამ განცხადებამ დამაინტერესა, ჩავეძიე, დავაკვირდი ფარსადანსაც და აი, რა გამოირკვა: ყოველ დღიურად კოოპერატივის სხვადასხვა სავაჭროდან ფარსადანსა თუ მისი ოჯახის დანარჩენ წევრებს გამოაქვთ ოცი-ოცდა ათი ყოველ ცალკეულ მყიდველისათვის დადგენილი ნახევარ-ნახევარი გირვანქიანი შაქრის ულუფა. ეს „ნაბოჭი“ კი შეადგენს რამდენიმე კილოს დღეში.

თავის თავად ცხადია, რომ მეტი ნაწილი ამ შაქრისა ფარსადანის მიერ არხეინად იყიდება კერძო პირებზე.

ვინ არიან ეს „კერძო“ პირები, ვისი „კერძოები“ არიან ისინი: ღვთისა თუ ეშმაკის, ეს კი ჯერჯერობით არავინ იცის.

ასე ოსტატურად სარგებლობს თურმე კოოპერატივის არა წევრი, ფარსადან ,არიგრეხიაშვილი, ამ ჩვენი საიმედო კოოპერატივით, როცა მე, თავის უერთგულეს წევრს, იგი თვეში მხოლოდ ოთხი კილო შაქრით მიმასპინძლდება და იმასაც მამასისხლად მამადლის.

**ონისიმე.**

# ფინდახედული



— მინამ თვითონ ისინი გამომაგდებდენ პარტიიდან, — მე დავასწრებ და განცხადებას შევიტან, რომპარტიიდან გავდივარ.

# როგორ გავსდი შემნახველ სალაროს წევრი

ჯამაგირის მიღების შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ამხანაგ „ტიკჭორასთან“ (ლვინის ტიკჭორა არ გეგონოთ, მეტი სახელია) ერთად ჩაუხვიეთ ლვინის სარდაფში.

არ მახსოვს რა დროს ამოვედით იქიდან. მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ მეორე დღეს, კვირა დილით, რიყრაყზე ქურთის მეეზოვემ ჯოხი წამკრა გვერდში:

— ვინა ხარ, კაზო, მოკვდები, ადე ძადი სახლში; აქ რა ძილის ალაგია?!

თვალებ გავახილე, მაგრამ თქვენს მტერს... სიმთვრალისგან სახლის გზა ვერ გამეგნო და რომელიღაც უცხო სახლის შესასვლელში ჩამძინებოდა.

ძლივს წამოვდექი. გვერდები ძალზე დამტვრეული მქონდა.

ძლივს მივბარბაცდი სახლამდის.

ფეხი-კრეფით შევეპარე სახლში ქურდი კატასავით.

— რას გევხარ, შე ჩემი ცოდვით სავსევ? სადა ხარ აქამდის? თუ მე არ გაგონდები, ეს ბალღები მაინც არ გებრალება? მთელი ღამობით მშიერ ტიტვლები უცეცხლო სახლში ვართ გამომწყვდეული! — და ჩემმა ცოლმა ტირილი მორთო.

— ავათა ვარ, დედაკაცო, ავათ; სახლამდის ძლივს მოვაღწიე! — „ვიმართლე“ თავი დასუსტებულმა, მუხლებში ჩავიკეცე და მომაკვდავივით ტახტზე მივეგდე.

შემრცხვა ჩემი თავისა და დარცხვენით წავილუღლუღე:

— დამნაშავე ვარ. დამნაშავე. მაპატიე. თუ ეხლა გადავრჩი, პირობას გაძლევ ჩემო თებრო, რომ ლოთობა მოვიშალო.

ამ სიტყვებით გულ-მობრუნებულმა ცოლმა ქვეშაგები გამიშალა, დავწექ და თითქმის თვე-ნახევარი ვლეხე ლოგინი. ძლივს გადაურჩი ფილტვების ანთებას. შემდეგ ერთი თვის შვებულებაც ზედ დამიმატა საექიმო - საკონტროლო კომისიამ და როდესაც მოვჯობინდი, დაუბრუნდი სამუშაოს.

ორთავე ნახევრის განმავლობაში არაფერი მოგვკლებია. ჩემ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ახალ ფეხსაცმელებში და ტანისამოსში გამოწყობილი დავინახე ცოლ-შვილი.

— დედაკაცო, ხომ არაფერი იპოვნე?! — შევეკითხე ცოლს, როდესაც შაბათ დღეს კრებიდან დაგვიანებით დავბრუნდი.

— რაც ვიპოვნე, გეტყვი, — მხოლოდ შენ რათ გადრხვიე ნათქვამს? ეგ იყო შენი მიცემული პირობა? სადა ხარ ამდენხანს? დღე ხომ შაბათია! კიდევ დაიწყე ლოთობა?

— კრებაზე ვიყავ, მომხსენებელმა მოგვიწოდა ყველა მუშებს, რომ ჯამაგირიდან გადარჩენილი ფული ყოველთვიურად შემნახველ შრომის სალაროში შევიტანოთ, რომ გაჭირვების დროს გამოგვადგეს და სახელმწიფოსაც სარგებლობა მოუტანოთ, მაგრამ რა შევიტანოთ, როდესაც ჩვენც არა გვყოფნის ჩვენი ანაღები.

— სტყუი! რასაკვირველია თუ მუშები ლოთობას არ მოიშლით არაფერი დაგრჩებათ, მაგრამ თუ ანგარიშით ვიცხოვრებთ, უეჭველათ მოვინარჩუნებთ ორიოდე გროშს გაჭირების დღისათვის. აბა დაფიქრდი, ვაჟბატონო, რამდენი გიხარჯნია ლოთობაზე. სულ იმას გაიძახი, რომ არა მყოფნის ჯამაგირიო. მაგრამ როდესაც შენი ავადმყოფობის დროს ორთვენახევრის ჯამაგირი მე ავიღე დამზღვევ სალაროდან, — ხომ დაინახე როგორ ვიცხოვრეთ, ტანფეხიც შევიმოსეთ და ეს თხუთმეტი მანეთიც გადავარჩინე... თუ არ გჯერა — აი ეს ანგარიშიც! — და ამოიღო გრძელ ქაღალდზე თავისებურად ჩამოწერილი ანგარიში და გადმომცა. გაუკეთე რევიზია, ყველაფერი წესიერად აღმოჩნდა. არავითარ გაფლანგვას ადგილი არ ჰქონდა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო თებრო! — შევაძახე აღტაცებით: ეს კარგი ბუღალტერია გიწარმოებია, ეხლა კი დავრწმუნდი, რომ ჩემი შეუგნებლობა ყოფილა ჩვენი დამღუპველი და ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ზარალის მიმყენებელი.

დეე, ეს თხუთმეტი მანეთი იყვეს პირველი ჩვენი შეტანილი თანხა შემნახველ სალაროში!.

მართლაც თავმომწონედ წარვადგინე თხუთმეტი მანეთი შრომის შემნახველ სალაროში, ამაყად ჩავიდე წიგნაკი ჯიბეში. აქ უნებურად მომაგონდა ჩვენებური ანდაზა: „ზოგი ჭირი მარგებელიაო“ და ასეთ ჭირით გამიხდა ქუჩაში გდება და თვენახევრის ავადმყოფობა.

კარგს იზამენ ჩემი ამხანაგები თუ ჩემის გამოცდილებით ისარგებლებენ.

პეტა

# პირველი აპრილი

ლ. როხროხაძის აზრით, პირველად თვით ღმერთმა იტყუა პირველ აპრილს, რის დასამტკიცებლად მას მოჰყავს შემდეგი ამბავი:

აბრამი მოხუცებული იყო და შვილი არა ჰყავდა. ღმერთს ევედრებოდა: ოღონდ შვილის ღირსი გამხადე და მერე გინდა მტკვარში გადამაგდეო.

ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და განუცხადა: რა კი შენ ასე ძალიან გინდა, იყოს ნება შენი. ერთის მაგივრად ორი გეყოლება წლის თავზეო.

გახარებული დაბრუნდა სახლში და ეს ამბავი თავის ცოლს — სარას ახარა.

— მაგრამ ვერ გამიგია, — ეუბნება სარას აბრამი, — ღმერთმა რატომ ისურვა ჩვენთვის ტყუპი შვილის ყოლა, ჩვენ ხომ ერთსა ვსთხოვდით?!

— ღმერთი წინამჭვრეტელია, — უთხრა სარამ, — შეიძლება ერთი შვილი ბოლშევიკი გამოვიდეს და სიბერეში ხიცოცხლე გაგვიმწაროს, მეორე შვილი მაინც გამოგვადგება.

ამ იმედით გავიდა თვეები და მეცხრე თვეზე სარამ ვერის სამშობიაროში მოილოგინა, მაგრამ დახეთ მათ გაკვირვებას — ორის მაგიერად ერთი ეყოლათ და ისიც რახიტიკი.

— როცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდესო...— ჩაილაპარაკა შოთას სიტყვები აბრამმა და შეუდგა შვილის აღზრდას.

როდესაც მისი შვილი უკვე დაჟუკაცდა, აბრამს კვლავ გამოეცხადა ღმერთი და უთხრა: შენი შვილი მსხვერპლად უნდა შემომწირო.

აბრამი, მართალია, სიმწრის ოფლში გაიწურა, მაგრამ მეტი რა გზა ქონდა, განუცხადა თანხმობა, თუმცა გულში კი შეიძლება დედასაც უგინებდა.

— მაშ, რა კი თანახმა ხარ, — უთხრა ღმერთმა,—იყიდე ერთი საჟენი შეშა, დაგიჯდება სულ რაღაც 90 მანეთი და ილია წინასწარმეტყველის „გრუზავიკით“ აიტანე მთაზე.

აბრამიც ასე მოიქცა. წაიღო შეშა და თან წაიყვანა თავისი საყვარელი შვილი. ავიდა მთაზე და ღმერთიც იქ დაუხვდა.

— აბა, დააწყე შეშა, — უთხრა ღმერთმა, — დააწვინე შენი შვილი, აიღე დეშიან ბედნის სახელობის ფაბრიკის წუმწუმა და მოუკიდე.

აბრამი უსიტყვოდ ასრულებს ღმერთის ბრძანებას: დააწყო შეშა, ზედ თავისი შვილი დააწვინა და გაჰკრა წუმწუმა ასანთებად, მაგრამ არ აინთო. გაჰკრა მეორე, მესამე, მთელი კოლოფი დააცალიერა, მაგრამ, რასაკვირველია, არც ერთი არ აინთო.

ღმერთმა დიდხანს იკარა სიცილი, ბოლოს ველარ მოითმინა და გადაიხარხარა:

— ხა... ხა... ხა... გეხუმრე... აპრილია..: არ იცოდი, რომ ეგ წუმწუმა არ აინთებოდა?!

— კარგი ხუმრობაა, — ფიქრობს თავისთვის აბრამი, — კინაღამ გული საგულედან გადმოვარდა

სამღთო წერილებში ხშირად შეხვდებით ასეთ ხუმრობას.

წკეპლა.

# „ტიპაჟი“

იქით კვირას ჩვენი ძია დარჩო დავასაფლავეთ. ჯავახიშვილზე ვლაპარაკობ, რალა. რასაკვირველია, მთელი იარმუკა, სირაჩხანა, თათრის მოედანი, დაესწრო. სხვანაირათაც არ იქნებოდა. ძველ ბაბამ – ყარაჩოხელებში ეგ ერთილა გვყავნდა და არც საკვირველია, რომ პატივსაცემათ ამქარი ამქარზე მოსულიყო. დერციკები, მეთევზეები, დამკვრელები ყველა ჯურისა, ჭონები, ბაყლები, სირაჯები და რა ვიცი, კიდევ რომლები გარს შემორტყმოდნენ ძია დარჩოს კუბოს და მიაქანებდნენ ხოჯივანქისაკენ.

ამ ხალხს წინ მიუძღოდა ყარაჩოხელების შტაბი: ბეჩარა ვასო, ჩოჩურაშვილი არშაკა, სირუნ გიგოა, ეშიმ გურჯი, კიპორჩხელა, დალალ ცაკანა, ცხვირა სტეპკო, ტრინკოზა, ზიპოას დახლიდარი და ცხონებული გიგო.

უცქერ ამ ხალხს და ვიძახი: გოკინპრომის რეჟისორები ათას ვერსზე მიდიან სხვა და სხვა სცენების გადასაღებათ და აქ კი, როცა ძია დარჩოსთან ერთად ვასაფლავებთ ძველ ტფილისს თავის თავისებურ ყოფა-ქცევით, არ გამოჩნდა ისეთი ჭკვიანი კაცი, რომ ეს არაჩვეულებრივი მოვლენა გამოეყენებინა კინოსათვის.

ამ ლაპარაკში გულს ვიქარვებდი, როცა რომ მე თავს დამადგა ერთი „ქორეიკა ბიჭი“ და მთხოვა მას წავყოლოდი. თუმცა მე ცოტაოდენი შემეშინდა, მაგრამ ხათრი არ გავუტეხე და წავყევი.

# „თმები ყალყზე“

ზოგიერთ გასტრონომიულ სავაჭროებში ჰყიდიან უსუფთაოდ (გაუპუტავი) შემწვარ გოჭსა და ინდაურებს“.




შემწვარი გოჭი; სიკვდილიც არ მაკმარეს... ეხლა შეჭმას მიპირებენ.... (შიშისაგან ჯაგარი ყალყზე უდგება).

# მწყემსი

საზ. „მწყემსში“ მოკალათებული იყო ყოფილი ვაჭრები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები, რომლებიც უკვე დათხოვნილი არიან სამსახურიდან.




— ესენი თუ აქედან შორს არ გავრეკე, მთლად გადათხრიან აქაურობას!

— მე გოსკინპრომის რეჟისორი მაკარონოვი ვარო და კინოში სათამაშოდ უნდა წამომყვეო. თვეში ოცდახუთი თუმანი ჯამაგირი გექნებაო. მე ეს ჯერ იშკილბაზობა მეგონა: გავჯავრდი.

— რა ნატა ვაჩნაძეც მე მნახე, რომ კინოში მეპატიჟები; ჩემი რა მეგეწონა, თუ ძმა ხარ მეთქი.

— ძალიან გრძელი ცხვირი გაქვს და სწორეთ შენისთანა ტიპაჟი მინდა ჩემ ახალ სურათისათვისო.

ვაჰ, ეს რომ არ მითხრა, სულ ელენთები ამენთო ჯავრისაგან. მაკარონოვი ჩემ ცხვირზე ლაპარაკობს და თითონ კი თავის ცხვირს ანგარიშს არ უწევს. მერმე რა ცხვირი აქვს და. ჩემი ცხვირი და იმის ცხვირი, როგორც მოფსიკა ძაღლი და სპილო. უბრალო პუსტიაკი ცხვირი არ გეგონოთ, მაკარონოვის ცხვირი — ცხვირების უსტაბაშია. ჩემმა მზემ, ცხვირი კი არა ნამდვილი ფუნიკულიორია.

— ტო, ყურუნსალ, მთელი დუნია რომ შემოიარო, შენ ცხვირის ბარდებარს ვერ იშოვნი-მეთქი.

მახლას, დამარწმუნა, რომ ჩემმა ცხვირმა მის სურათში გლავნი როლი უნდა ითამაშოს. და მეც წავყევი გოსკინპრომში.

ვაჰ, რა ყოფილა ეს ოხერი გოსკინპრომი. მე ვთქვი ეს გოსკინპრომი ერთი მუშტაეთივით რამე იქნება მეთქი — სეირნობა, ლამაზი ქალები, თვალის ჩაკვრა და მერმე კიდევ დანარჩენებიც.

— ბან ჩუნეს. ჩემი ფიქრები საპედო დიდედას ყაჭივით აიწეწა. იმტაი მთლიანად გამიფუჭეს.

ჯერ ალაყაფის კარებში ორ-ორი მილიციონერი მომვარდა და პროპუსკი მომთხოვეს. მერმე ერთ კომენდანტთან მიმიყვანეს, მერმე მეორესთან. უკანასკნელი ჩემი ძველი მეგობარი გამოდგა და, როგორც იყო, ველიკე ფაბრიკაში შესვლას.

ამ დროს სურათებს იღებდნენ. ათასი ჯურა ხალხი დადიოდა. მეც ჯერ ქალების რიგებს გადავავლე თვალი. სად არიან გოსკინპრომის ლამაზები? ნუ თუ იმითი სეზონიც გავიდა? გაგონილი მქონდა, რომ ლამაზი გოგოები ძველ დროს კარგ გროშებს აკეთებდნენ ამ კინოში. აი გიდი, ქამანაქ! ალბათ, შავ-გიშერა თვალებს, ლალის ფერ ტუჩებს და ლერწამივით ასულ ტანსაც მაზანდა დაეკარგა. ჩვენი კნიაგინების და კნიაჟნების ადგილი დაუჭერიათ, კონცომოლისტებს და ეხლა ისინი არიან აქ მოდაში.

ველარც კნიაზობას და ჩინოვნიკობას მოვკარ თვალი, შარშან ორთაჭალაში რომ სურათს იღებდნენ, აუარებელი თავადები, ჩინოვნიკები, ძველი აფიცრები ძველებურათ ჩოხა-ქულაჯებში და მუნდირებში გამოწყობილნი თამაშობდნენ. ეხლა-კი გამურული მუშები, ტიტველა ძარღვიანი მკლავებით და დიდმელი გლეხები გამხდარან არტისტები.

სწორე გითხრათ, ამ ამბავმა მე გამახარა. დე, პრასტოი ხალხიც ქვეყანაში გაერიოს. ნახოს კარგიც და ავიც. და, ჩემმა მზემ, მეც ამათში უფრო თამამათა ვგრძნობ ჩემ თავს.

— ზოზრიანც სტანავისო.

ჩემი გვარი რომ გავიგე, გულმა ვანქას ზარებივით დაგადუგი დამიწყო. ეს სიტყვა ერთი, ნოვობრანცათ რომ ვიყავი, მაშინ გავიგე და ეხლაც რეჟისორ მაკარონოვის პირიდან.

— ტაპახმელის პატარძალივით მომამზადეს, პირზე რაღაცა კრასკები წამისვეს და დამაყენეს რაღაცა პულემიოტისავით აპარატის წინ. თვალებში ისეთი ასვეშჩენიე გამიკეთეს, რომ კაკლისტოლა ცრემლები გადმომცვივდა. სუყველაფერი მოვითმინე და ეგზამენიაც კარგათ გავიჭირე. მაკარონოვმა გამომიცხადა, რომ მე გოსკინპრომში მიღებული ვარ და პიკიტან საჭუას როლი უნდა ავასრულო. ჯამაგირიც დვესტი პიდისიატ რუბლეი მესიაც.

რას მოვესწარი. ორმოცდა ათი წელიწადი მთელი ქვეყანა ჩემ ცხვირს იგდებდა მასხარათ და ეხლა კი გოსკინპრომის რეჟისორმა ამას 250 მანეთი ჯამაგირი დაუნიშნა თვეში.

„კერენცკი“.



— რა დამართნია ამას, თუ იცი?
— ეს სულ სხვების ნაკლზე სწერდა, და, აი, ახლა თვითონ განიცდის „ნაკლს“ კუპში.

# „მაღლა ასწით“

ეს იყო შაბათ საღამოს.

ხელფასი ახლად მიღებული ქონ-ნყდა ყველას. ის იყო ქარხნიდან გამოვიდნენ.

გამოვიდენ და გზას გაუდგენ სახლისაკენ.

„რესტორანი „ჩვენი ძმა“,
წაიკითხე აბრაზე.

— ბიჭოს, ეს სამიკიტნო კიდევ არ დაუკეტიათ? აკი საბჭოს მივეცით ნაკაზი დაკეტეთ თქო!

— ყმაწვილო, ჯერ რას მოასწრებ-

— ყმაწვილო, ჯერ რას მოასწრებ-ეიათ.

— მაშ იცით რა ვქნათ? მაინც ხომ უნდა დაკეტონ, მოდი ერთი ამ ბოლოს ვესტუმროთ დარჩოს!

— კი მაგრამ რომ დავითვრეთ?

— ეჰ, კარგი ნუ ნეენობ თუ ძმა ხარ, ვითომ რა იქნება რომ დათვრე?

— რა და გაიგებენ: ხომ იცი ლოთობა შრომის დისციპლინას არღვევსო, იმ დღეს ქარხკომი რომ გვეუბნებოდა.

— შეკაცო, შაბათს რომ დათვრე, ორშაბათს შრომის დისციპლინას რა დააკლდება! წამო, შევიდეთ...

დაიყოლიეს.

სამივე მუშა დარჩოს სამიკიტნოში შევიდა.

მხოლოდ საღამოს გამოვიდენ რესტორან „ჩვენი ძმიდან“ ღვინით სავსენი და ჯიბე-ცარიელები.

— გაილეშე კიდევ ხომ? გაგიხმეს თავი,—შეუტია ქეიფის მეთაურ პიქაძეს ცოლმა სახლში მისვლისას.

— რა გავილეშე პადვლის წინ გამოვიარე და ღვინის სუნი წამომყვა...

— ფული რა უყავი?

ფული?.. იქ არის, დარჩოს სამიკიტნოში..

მეორე დღეს, კვირას კლუბის წინ შეიყარენ სამივე მეგობრები.

— რა ვქნათ, ჯერ კლუბში შესვლა ადრეა, რომც შევიდეთ, შიგ საინტერესო არაფერია,—სთქვა პიქაძემ.

— წავიდეთ, გავიაროთ!

— არა, მოდი ისევ დარჩოსთან შევიდეთ, ვნახოთ რა ხასიათზეა გუშინდელი ქეიფის შემდეგ,—შეიტანა წინადადება ისევ პიქაძემ.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ მეგობრები გზას გაუდგენ.

დარჩოსთან:

— დისციპლინას მე ყველაფერში ვიცავ,—გაცხარებით ამბობდა პიქაძე, შრომაშიც, მეგობრობაშიც და...

— სმაშიც. არა ძმაოჯან?— უკარნახა მიკიტანმა.

— იცოცხლე, სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა. მე დისციპლინა სმაშიაც მიყვარს უსათუოდ. ამიტომ ეს დარჩოს სადღეგრძელო იყოს...

დარჩოდან გადაკრულები გამოვიდენ. შეიარეს კლუბში და მთელი პიესის მსვლელობის განმავლობაში ეძინათ. მხოლოდ ანტრაქტებზე გამოეღვიძებოდათ ხოლმე.

ორშაბათს, დილით ქარხანაში:

— აბა გამოიცან, რამდენში ვარ? —ეკითხება არყით შებრუჟებული პიქაძე ამხანაგს.

— რამდენში უნდა იყო? გადაჰკრავდი ალბათ ორიოდე რიუმკას.

— რის ორი, მაღლა ასწი!

— ნუ სამი იყოს.

— კიდევ მაღლა ასწი!

— ვთქვათ ოთხი დაგილევია.

— მაღლა, მაღლა!

— მაშ რამდენი, 10 რიუმკა გადაყლურწე?

— დაბლა დასწი, კამეჩი ვარ, ათი დავლიო?

— რვა!

— ცოტა კიდევ დაბლა!

— შვიდი!

— სულ ცოტა დაბლა!

— ექვსი გადაგიკრავს?

— სწეც! აი, სიყმე გამიხმეს მაგდენში თუ არ ვიყო!

— რა ამბავია გიო, მე დღეს სამი დავლიე და თავში ავარდა, შენ ექვსი ერთად დაგილევია.

— ასეა ვაჟკაცის საქმე, არ დავლიო არ იქნება...

მეორე დღეს გიო პიქაძე სრულებით არ გამოცხადდა ქარხანაში.

მხოლოდ მესამე დღეს, ისიც მოგვიანებით მივიდა იგი სამუშაოზე.

— აბა გამოიცან რამდენში ვარ?

— ექვსში იქნები ალბათ.

— მაღლა ასწი. მაღლა!

— ვთქვათ შვიდი.

— ასწი ნუ გეშინია!

რვამდე აიყვანა გიომ მეგობარი. მართლაც იმ დილით რვა არაყი გადაკრა, როგორც თითონ ამტკიცებდა.

გიო იმ დღესაც ადრე წავიდა სახლში, თავი სტკიოდა. გიო გააფრთხილეს, რომ თუ ასე განაგრძობს, დაითხოვენ, როგორც შრომის დისციპლინის დამრღვევს.

— ვისა, მე? მე დამითხოვენ? არ მოგიკვდეს გიო! ცხრაას ხუთში მე ძველი რევოლიუციონერი გახლდით, გარადავოის ვცემე სიმთვრალის დროს. ახლა თქვენ დამითხოვთ?..

მეოთხე დღეს, ისევ ქარხანაში:

— აბა გამოიცანით რამდენში ვარ, —ეშმაკურად ამბობს უკვე მთვრალი გიო.

— თავი დამანებე, სირცხვილია გიო!

— სირცხვილი რა არის? ქართველმა კაცმა ღვინო დალიოს სირცხვილია? შენც ერთი, ჭკუა გქონდა მეგონა...

ასე განაგრძობდა გიო. იგი რამოდენიმეჯერ გააფრთხილეს, მაგრამ ამაოდ.

— გამოიცანით, რამდენში ვარ!— გაიძახოდა პიქაძე.

არაფერი გამოვიდა. გიო დაითხოვეს, როგორც შრომის დისციპლინის დამრღვევი და სამუშაოს გამცდენი.

— აბა, გამოიცანით რამდენში ვარ! —ძლივ-ძლიობით იკითხა მთვრალმა გიომ, როცა დათხოვნის ამბავი გაიგო.

— მაღლა ასწით... კიდევ. კიდევ... ე-ე! ცოტა დაბლა, აქლემი ვარ ამდენი დავლიო?..

ტერსიტი.

კერძო ვაჭრები ზოგიერთ კოოპერა-ტორების მეოხებით იძენენ კოოპერა-ტივიდან საქონელს.



აიარ-ჩამოიარე
ჩემი გული გაახარე.
საქონელი რომ მიიღო,
ჩემთან „სმიჩკა" დაამყარე.

# შეპრეკილაძის ლექსები

—ტაში—ტუში ტუში—ტაში,
მილიტინებს რაღაც თავში,
ასკინკილა დაუაროთ,
ვათამაშოთ ტოლუმბაში.
ტაში—ტუში, ვაქეიფოთ
თინიკო და ანიკოო
იქნებ გულის მწუხარება
გავიქარვო ძამიკოო.
მე მუშკორის წერა გავხდი,
სამარისკენ წამილოო,
სამსახური დამიკარგა,
ცოცხლად წესი ამიგოო.
ავანსები შემიყვარდა,
გამიდიდდა ვალებიო,
„სუტოჩნები" მოვიშველე
ვაქეიფე ქალებიო.
ტაში, ტუში, ტაში ტუში,
თუ გცალია, დაგპატიჟებ,
წამომყევი ოპერაში.
აქ ეკმევა გუნდრუკი
ყოფილ ხალხის ჩასულ მზესა,
და სცენაზე ბუქნაობენ
თავადები და პრინცესა.
ძველი დრო და მეფეები
ვისაც გიყვართ გულის ძგერით,
ოპერაში ინახულებთ
და დასტკბებით მათი ცქერით.

ტაში—ტუში, დაუარე
თალიკო და ვასო,
უნივერსტეტთან ქუჩაზე
დიდი ტლაპო დგასო;
ჰიდროპლანს თუ გამოიწერ,
ან იშოვი ნავსო,
თორემ ისე ვერ გაივლი,
ნუ იწუხებ თავსო.

ნანა დილა, ვარდო ნანა,
იავ ნანინაო,
ტროცკისტობა დაიჩემა
ჩემმა სიდედრმაო,
პროკლე ღვდელსაც მოეწონა
ოპოზიციაო.

ფიქრობს: „იქნებ გამოკეთდეს
საქმე, ბიძიაო..."
ზამთრის სუსხი არ გვეშვება
მილიტინებს თავში
დაუარე მაკო, ნაკო,
ტაში—ტუში, ტაში.

ჰერი ბიჭო, ჰერი, ჰერი,
საბჭოებში ვერ გავძღერი.
დიაკონმა ხუცესს სცემა,
თხამ შეჭამა სეფისკვერი.
მე კი თხასაც კარგათ შევჭამ,
არც თქვენ გაწყენთ მისი მწვადი.
კალოშები ვერ ვიშოვე,
ვეძებ მთელი წელიწადი...
ჰო... ვიშოვი::: როგორ არა,
დავიგულო ოღონდ გროში:
რიგს გარეშე მომართმევენ
ივლისში ან აგვისტოში.

აბა დელი, დელი დელი,
ანათორას იძრობს მღვდელი,
გამოტყდა, რომ ტყუილებით
ხალხს სცარცვამდა, როგორც მგე-
ლი.

თუმცა ხშირად (ჭორებში
ისიც რჩიბა მგელად
და ტყავს იძრობს „(ცხვრებისათ-
მხოლოდ თვალის ასახვევათ).
ვის"

მე ხუცობას არ ვაპირებ,
არც შევნატრი ხუცის მუცელს,
მაგრამ უნდა შეუკვეთო
ანათორა მაინც ხუცებს.
მე მათ გახდილ ანათორას
გადავაცმევ ზოგს ჩვენ მგოსნებს
ხუცობივით რომ გალობენ.
ღაღაისტებს მისტიკოსებს.

**მედუზა.**

# შორს ნუ ეძებთ

**(სურამი)**

ერთი ამბავი გავიგე
რაც არის გასაკვირია.
ხალხისგან შეუტყობელი
არსად გატყდება ჩხირია.

—:—

ამბარცუმ ხაჩატუროვმა
გასტეხა კასა-რკინაო.—
და რაც შიგ ნახა ფულები,
სულ მან წაიღო შინაო.
საქმე მიწყნარდა ყოველმხრივ.
დააპატიმრეს სხვებია.
მხოლოდ ამბარცუმს იმ ხანად
ხელიც კი აღარ ხლებია.
თითქოს გაუგეს ამბარცუმს,
თითქოს გაება მახეში;
მაგრამ ის არა გამოტყდა,
თუმცა უცქირეს სახეში.
უყვარდა ფართო ცხოვრება,
ხარჯვა ოცდახუთ თუმნისა
პატივისცემა ძმებისთვის
და მოთლა ცხვრისა დუმისა.
უყვარდა... არც შეიძულებს
სეირნობს „დიდ-კაცსავითა"
ნეტავი გაგვაგებინა—
ფულები საით წავიდა?

**ჩახრუხაძე:**




ჩემი სადარდელი მუდამ ის იყო, როცა ქალაქიდან სოფელში მივდიოდი, თუ როგორ მემგზავრა საჯავახოდან ჩოხატაურამდე.

ბებიაჩემი იტყოდა: „ჩოხატაური იმიტომ დაათქვეს, რომ იქ ვილაცას ჩოხა დაატოვებინეს".

მე ჩოხა არასოდეს მცმია და ვერც დამატოვებინებდა ვინმე, მაგრამ სიმწრით მოგროვილ ფულს რომ მატოვინებდა მეეტლეები,— ეს კარგად ვიცი და მახსოვს.

საჯავახოდან ჩოხატაურამდე 18 ვერსია, ამაში 7 ვერსი აღმართია, 3 ვერსი წამხდარი გზა, ესე იგი ათი ვერსი ფეხით სავლელი. მაგრამ მეეტლეს მაინც მიჰქონდა 18 ვერსის ფული.

არავითარი ნიხრი, არავითარი კანონი მათთვის არ იყო. არც ხვეწნა, არც მუდარა მათთან არ სჭრიდა

ასე მიდიოდა წლები და საუკუნოები.

ისე შეძულებული მქონდა სოფელში წასვლა, რომ ლოზუნგი: „პირი სოფლისაკენ"-ის გაგონების დროს, გულზე ელდა მეცემოდა. ამით აიხსნება ის, რომ სოფელში ბათომიდან სამ წელიწადში ერთხელ თუ წავიდოდი.

რაღა ბევრი გავაგძელო, აუცილებელმა საჭიროებამ მაიძულა ჩოხატაურში წასვლა.

მატარებელმა რომ საჯავახოს სადგურს მიაკივლა, გულმა კანკალი დამიწყო. მთელი ჩემი გონება მეეტლეების სისასტიკეზე გადავიდა:

— როგორ მოურიგდე, რას გადამახდევინებენ, ამბობა თუ არა სოფელში ერთი ფუთი სიმინდის ფასი!— აი, ამაზე ვფიქრობდი, როცა მატარებელი სადგურში გაჩერდა.

— ბატონო, სად მიბრძანდებით? მე წაგიყვანთ, ჩემთან წამოდით! — მომეხვივნენ აქეთ-იქიდან მეეტლეები.

— ნეტავ სად ვარ!—გამიკვირდა და დავათვალიერე იქაურობა.—სხვა სადგურზე ხომ არ გადმოვსულვარ?

— ბატონო მე უფრო კარგი ეტლი მყავს, ბარგსაც მე მიგიტანთ ეტლამდე!—მეცა ერთი მეეტლე ბარგში.

— მე ისეთი ცხენები მყავს, რომ ავტოსაცით გარბიან! — მითხრა მეორემ.

— არა, სწორედ შემცდა, თორემ როგორ დავიჯერო —საჯავახოს მეეტლეები არიან ესენი?——ვფიქრობ!

— არა, ეხლა, როცა ქვეყანა „ამხანაგოს" ამბობს; როცა შვილიც კი „ამხანაგოს" მეძახის,—აი მეეტლეები, რომლებსაც მუდამ მე ვეუბნებოდი „ბატონოს", რამ გამოცვალათ ასე? უცხოეთიდან მომავალი თუ ვგონივარ, არც ისეთი რამე მაცვია, თორემ რა მოუვიდათ ამათ? —ამ ფიქრებში რომ ვიყავი, ეტლი ჩემს წინ გაჩერდა და ჩემი ბარგიც შიგ ჩააწყო მეეტლემ.

— ამხანაგო, რად მოგყავდა ამ რკინის გზის პირას ეტლი, როცა კარგად შეგეძლო ამ აღმართის ავლა ფეხით ჩვეულებისა და თქვენი წესისამებრ!—ვუთხარი მე.

— ბატონო, არა უშავს, ცხენები კარგი მყავს: აგიყვანთ აღმართშიაც, თქვენს მეტს არვის ჩავაჯენ შიგ!

სხვა მეეტლეებმა შურით დაუწყეს ცქერა:

— არა, სწორედ საოცრებაა! სადგურთან კი არა, ოთხი ვერსის ფეხით სიარულის შემდეგ ძლივს გაღირსებდნენ სადმე ცხენების კუდთან შემოჯდომას და თვითონ მუხლზე დაგაჯდებოდნენ. ეხლა კი ასეთი ცვლილება რას ნიშნავდა, ვერ გავიგე.

— ძალიან კეთილი, მაგრამ რა მოგართვათ ჩოხატაურამდე? — შევეკითხე როცა ეტლში ჩავჯექი.

— ფასზე კი შევეწყვებით, ბატონო!—სთქვა მან და მოუქნა „კოზლას".

— კი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ვიცოდე მაინც. მე არც ისე მდიდარი ვარ, რომ ანგარიში არ მჭიროდეს!

— გხედავთ, ბატონო, მოსამსახურე ხართ, გეტყობათ, მაგრამ ორ მანეთს კი მომცემთ მგონია.

— ორ მანეთს?—გამიკვირდა ასეთი სიიაფე და ხელმეორედ შევეკითხე: — ორ მანეთს?!

— დიახ.—მიპასუხა მან და ისე გააჭროლა ცხენები, რომ საჯავახოს დუქნებს ძლივს მოვკარი თვალი.

მართლად მივქროლავდი ეტლით ძველ თავადივით.

არ გაგვევლო ორი ვერსი, რომ უკანიდან რაღაცამ მოგვაყვირა და უცებ ჩვენს გვერდით ჩაიქროლა ვეებერთელა ავტობუსმა.

— აი, შენს მომგონს კი მოტყდეს კისერი, რავა შენ ამოწყვიტე საუკეთესო პირები!—სთქვა მეეტლემ გულმოკლულად...

— როგორ, კატასტროფა მოხდა თუ?!—შევეკითხე და თან გამიკვირდა ამ გზაზედ ავტობუსის ვლა.

— რა თქმა უნდა, ბატონო, განა შეიძლება მაგას ენდოს კაცი?

— ვისია ეს ავტო!—ვკითხე კიდევ.

— გლეხკომმა მოიყვანა, ბატონო, ხალხის ამოსაწყვეტად!—მიპასუხა მან ბეჯითად.

— როგორ თუ ამოსაწყვეტად განა ბევრი დაიხოცა მაგის მიზეზით?—ვკითხე მე.

— ბევრი ბატონო, ბევრი, თქვენც გაიგებდით უსათუოდ, ნასწავლი კაცი ბრძანდებით.

— მე არაფერი გამიგია. როდის მოხდა ასეთი უბედურება?—გავიკვირვე და ბედს მადლობა ვუძღვენი, რომ არ ჩავჯექი შიგ.

— როგორ არ გაიგებდით, ბატონო, ამ ერთი თვის წინად, ერთი თვეც რად გინდათ, როცა თითქმის ყოველ დღე მარცხდება ხალხი მაგით.

— მერმე და რატომ არ ღებულობენ ზომებს?

— რა ზომები უნდა მიიღონ, ბატონო, მარტო შოფერებს აძლევენ პასუხისგებაში.

— მაინც რამდენი ასეთი შემთხვევა მოხდა აქ?

— აქ, ბატონო, ჯერ არ მომხდარა, მაგრამ რავა არ წაიკითხავდით გაზეთში ტფილისში რომ იმდენი დიდი ხალხი იმსხვერპლა, გუშინამ კიდევ გაზეთში ეწერა— ამერიკაში რამდენი მარცხი ხდება მაგით.

მაშ ამ გზაზედ არაფერი მომხდარა?

— აქ ჯერ არა, მაგრამ ხომ შესაძლებელია ამ კლდეზე გადაიჩეხოს, ან ბოგა ჩასკდეს და ჩავარდეს ან გადაბრუნდეს? — მიპასუხა და კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, რომ ეტლის თვალი ბოძს მოხვდა და ყირაზე გადაბრუნდა:

— ვაიმე, მიშველეთ!— ვიყვირე და გვერდზე გადავხტი.

ავტოს მგზავრები ჩოხატაურში ჩაეყვანა და უკან მოჰქროდა.

— დამიცადე, ამხანაგო აქ, ათ წუთში გამოვივლი და წაგიყვან!— გადმომძახა შოფერმა, როცა ჩემს უბედურებას შეხედა.

ათი წუთის შემდეგ ავტობუსში ვიჯექი და ჩოხატაურისაკენ მივქროდი.

პ. ოზოლი.

# შორიდან მტერს მოჰკლავს, ახლოდან კი მოყვარეს

შემჩნეულია, რომ შენობებს შეკეთებას უშვრებიან მხოლოდ პროსპექტისა და მთავარი ქუჩის მხრიდან. შიგნით კი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

მთავარ ქუჩიდან — ეზოდან



— რა დიდებული შენობაა! ნეტავი ამ სახლში ვცხოვრობდე!

— თუ აქედან დღესვე არ გადავედი, ხვალ აუცილებლად ჩამოინგრევა ეს სახლი.

# მისტერ ტროცკი

მისტერ ტროცკი
ხან იქით
და ხან აქეთა,
ჩემზე მეტი
ვინ აკეთა..
დღეს ასე ვარ,
ხვალ კი ისე,
დოლარები
ჯიბეს მივსებს.
ჩემთან სტყუის
სივრცე, დროც კი
მე გახლავართ
„მისტერ ტროცკი“!
რას დავეძებ
ქვეყნის ამბებს,
უმღერ ყველას
დითირამბებს,
ყველა ღმერთებს
დავიფიცავ,
ფეშხუმ - ფარას
მომცემს ვინცა.
ჯერ სტამბოლი,
შემდეგ ბერლინ,
დამაკავოს
ქვეყნად ვერვინ!
ვესტუმრები
შემდეგ პარიზს,
აქ სათლელი
ბლომად არის!
თუ საბჭოთა
მხარეს მოვწყდი,
აქ შევიქენ
„მისტერ ტროცკი“!
ევროპაა
ჩემთვის ახლა,
(თუ კალამი
ხელში მახლავს!)
საჯირითო
მოედანი,
მე კი კოჭლი
ფალავანი..
მუსოლინო!
მომეც ბანი
დავკრათ ერთხმა
ბარაბანი,
ჩვენთან სტყუის
სივრცე... დროც კ
მე გახლავართ
„მისტერ ტროცკი“!..

ზორბა.

# ჯოჯოხეთის კუთხე

## ნიკოლოზ კიტოვანია—ბატონი თუ მდივანია?

„კურთხეული ძველი დრო“ რომ იყოს, ცხუნკურის (ქუთაისის მაზრა) თემკომის მდივანი ნიკოლოზ კიტოვანია ისეთ კარიერას იზამდა, რომ პირველი „მოსე მწერალი“ იქნებოდა ბიუროკრატულ-ჩინოვნიკური ატრიბუტებით და ერთ მშვენიერ დღეს სადმე სამაზრო კანცელარიაში წამოასკუპებდენ უფროსად.



დიახ, ეს ასე იქნებოდა. ამისი ნიშნები საკმაოდ აქვს ნიკოლოზს.

მაგ. კაცი მოსკოვში ყოფილა; იქ შეუსწავლია „ორი ღერი რუსული“.. ხოლო ეს „ღერები“ ისე გასჩხირებია ენაში, რომ კაცს გლეხებთან ლაპარაკი ქართულად უკვე აღარ ეხერხება, თანაც... საქმე იმაშია, რომ გლეხები მაინცდამაინც ვერ მიხვდებიან, როცა მათ კიტოვანია რუსულად შეურაცხყოფას აყენებს.

გლეხები ამბობენ: „ეს პაჟალუსტა კაცი“ რად მოგვიყვანეს აქაო?!

„მოლი“ კარგ რჩევას აძლევს ნიკოლოზს:

კიტოვან ძმაო კოლია —
თუ შენ ეს სწავლა გგონია,—
შენთვის მზად არის ნიჩაფი,
ზედ დაცხებული ქონია..

ქონი ნიჩაბზე იმიტომ არის „დაცხებული“, რომ შორს გადაისროლოს გადასაგდები საგანი (ამ შემთხვევაში კიტოვანია).

აწ ვნახოთ, თუ მოვა ბატონი მდივანი ჭკუაზე.

## კოოპერატორი არტემი—ჯიბეში ფულის ჩამტენი

როდესაც ტობანიერის „ეპოს“ გამგე—არტემ ტაბიძე მივლინებაში მიბრძანდება (ის ხომ ხუთ თვეში 72 დღე მივლინებაშია), ასე ღიღინებს (რა თქმა უნდა ჩუმად, სხვების არგასაგონად):

ტობანიერის „ეპო“
ჩემთვის ხარ დაარსებული.
მივდი-მოვდივარ... ფულებით
ჯიბე მაქვს ამოვსებული.

ამ ღიღინის შემდეგ, არტემი ამოიღებს უბის (საიდუმლო) წიგნაკს და სწერს:

მივლინების (72 დღე)—228 მანეთი
საგზაო ხარჯები . .120 მ.
კომპენსაცია შვებულების მაგიერ 60 მან..
სულ ფულად 468 მანეთი.

კერძო ვაჭრებს მივყიდე:
თეთრუაშვილს ფართალი—67 მეტრი
„ „ კალოში—4 წყვილი

სოდა 55 პროც. მარილი 35 პროც. (ეს მან იცის თუ რას ნიშნავს).

ეს ციფრები კარგ ხასიათზე აყენებს არტემს, ღიმილით დახურავს უბის წიგნაკს, ჩაიდებს ჯიბეში და ისევ დაიწყებს ღიღინს:

ვიშ რა კარგია და მშვენიერი
ჩემი სოფელი ტობანიერი.
მისი ვარ დიდათ მე მადლიერი,—
ჯიბე მაქვს ფართო და განიერი.

მართლაც ფართო და განიერი ჯიბე ჰქონებია არტემს. ტობანიერის „ეპო“ ვერ შესძლებს არტემის ჯიბის ამოვსებას. გამგის ფართო და განიერ ჯიბეს, სჯობს „ეპო“-ს ჰქონდეს ფართო და განიერი კარები, რომლიდანაც ადვილად გამოვა არტემი.

## გამგე ბრძანებს: „გათავდა“.. მიტკალი არ ათავდა

თუ „მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას“, სამაგიეროდ, შეგნებაც ჰქმნის მდგომარეობას.

ამის თვალსაჩინო ნიმუშია ჯგუფვაჭრობის (ქურდვაჭრობის არავის ეგონოს; თუმცაღა ეს სახელწოდება უფრო შეეფერება „ქუთაისის ვაჭრობას“), მაღაზია, სადაც გამგედ არის.. უკაცრავად, ბრძანდება, ალ. მარგველაშვილი, რომლის ბიოგრაფიულ ცნობებში ასე სწერია:

**„ყოფილი ვაჭარი, კომბინაციებითა და პროტექციით შეძვრა ქუთვაჭრობაში, სადაც დაინიშნა მაღაზიის გამგედ და ამხანაგობის გამგეობის წევრად“.**

დიახ, მდგომარეობამ (კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის გაძლიერებამდე) შეაგნებინა მარგველაშვილს, რომ „სჯობს დაჰკეტოს თავისი სავაჭრო“.. ხოლო თავისი „მოხერხებამ“ და უმთავრესად პროტექციამ მას შეაძლებინა თავი ამოეჰყო იქ, სადაც ამჟამადაც ბრძანდება და...

და ამბობს: „ხალხს რად უნდა თეთრეული? მას არა აქვს მისი ჩაცმის უნარი. თეთრეული ესაჭიროება „საწყალ არისტოკრატიას“, (ე. ი. მის ამქრებს“...) ხოლო, როცა მომხმარებლები მას საყვედურით მიმართავენ:



**— აკი ეხლახან მიიღეთ თეთრეული? —ის უპასუხებს:**

**— რა მივიღეთ- რაღაც ორი-სამი თოფი და ის უკვე გავანაწილეთ'**

და მართლაც ანაწილებს თავისიანებში:

დვალაძეს (ყოფ. ვაჭარი)—**28 მეტრს**; ლორთქიფანიძეს—(მისი ბიძაშვილი) **43 მეტრს**, მარგველაშვილს—(მეორე ბიძაშვილი, ალბად მამიდან)— **50 მეტრს**, **ილიკო ბაქრაძეს** (ძველი ჩინოვნიკი)— **70 მეტრს**; **ერასტი ფხაკაძეს** (მეფის დროს „ნაჩალნიკი“) **60 მეტრს**.

ალბად ერთ მშვენიერ დღეს მარგველაშვილი მთელ მაღაზიას გაანაწილებს თავისიანებში. რატომაც არა,— ყურადღებას მაინც არავინ აქცევს.

გაანაწილებს, მაგრამ თუ რამე დარჩა გასანაწილებელი—(ჰქანამდე გამოუყვანს წირვას).

## უყვარს ნარდი, კარტი, ღვინით სავსე კვარტი.

ეს სათაური ბევრისათვის შესაფერისია. ამიტომ თუ არ დავასახელოთ ამ შემთხვევაში ვისზე ვლაპარაკობთ, თავისთავზე არ მიიღებს რაჟდენ ხელაია, თუმცაღა თავისთვის მიხვდება, რომ ეს სიტყვები მასზეა თქმული.

რაჟდენი სალხინოს თემის (სენაკის მაზრა) კოოპერატივის ნოქარია.

რაჟდენი არ არის ბიუროკრატი და ვალაკიტჩიკი. მას არ უყვარს საქმის გაჭიანურება. ჰა, ამისი მაგალითები:



მაგ. თქვენ დაჰპატიჟეთ ის ქეიფში. სიტყვასაც არ შეგიბრუნებს, მაშინთვე დაჰკეტავს კოოპერატივს და თქვენთან წამოვა საქეიფოდ.

ან კიდევ: თქვენ გსურთ მასთან ნარდი ან კარტი ითამაშოთ. მიატოვებს დახლს, მუშტრებს და, გაგიწევთ თანაგრძნობას, ხოლო საყიდლად მოსულ გლეხებს, ასი ეუბნება:

**დაიცადეთ, რა გაჩქარებთ?**
**ყველა მოკვდა ვინც იჩქარა..**
**თანაც ტყვილად მელოდებით..:**
**გაგვითავდა... არ გვაქვს, არა..**

მართლაც სოფ. სალხინო—სალხინო ყოფილა მისთვის.

## პრაქტიკა თუ ტაქტიკა

ქიათურის მუშებმა დააწინაურეს აქვსენტი გაფრინდაშვილი. ის დაინიშნა ადგილობრივ კოლმეურნეობის განყოფილების გამგეთ.

მაგრამ აქვსენტიმ ქალაქის კეთილ-მოწყობას თავისი ბინის კეთილ-მოწყობა ამჯობინა და... საყვედურზე, ასეთ პასუხს აძლევს მუშებს:

**— კაცო, ასე იმიტომ ვშვრები, რომ, ჯერ პატარა საქმიდან, ჩემი ბინიდან უნდა დავიწყო... შემდეგ, როცა აქედან პრაქტიკას შევიძენ, ქალაქსაც ყურადღებას მივაქცევ!-ო.**

ასე იმართლებს თავს აქვსენტი, მაგრამ სხვებს ეს არ სჯერათ და ამბობენ:

— ეს მისი ტაქტიკაა. გაფრინდაშვილმა იცის, რომ იქედან მალე გაფრინდებაო.

## „ჩვენ ფულები გვჭირია,—და სამარხი ძვირია“

ბანძაში არის ებრაელთა სასაფლაო, რომელსაც ეპატრონებიან აჯიშვილები. ერთი სამარხი ღირს 50 მანეთი.

ნიუ-იორკში, სადაც სახლების სახურავებსაც კი ყიდულობენ ზედ ახალ სართულის ასაგებად; სადაც ყოველი მტკაველი მიწა ფასი ღირს,—იქაც არ ექნება მიწას ასეთი ფასი.

აჯიშვილებმა იციან, რომ მიცვალებული უნდა დაიმარხოს, სხვა ჩარა არ არის,—და ამიტომაც ეწევიან ასეთ სპეკულიაციას.

ამას წინად ასეთი ამბავი მომხდარა:

დამარხეს მიცვალებული. აჯიშვილებმა მიიღეს ფული.

საღამოს დაითვალეს და აღმოჩნდა, რომ 50 მანეთს აკლდა ორი მანეთი. (სამმანეთიანი ხუთმანეთიანად შეუღლოთ).

მივარდენ მიცვალებულს და დაუწყეს სამარიდან ამოთრევა.

— აი, შენ მატყუარა და ავაზაკო! ორი მანეთი დაგვაკელი. ეხლავე შეავსე ხუთ თუმნად, თორემ აქედან დაიკარგე! — შესძახეს მიცვალებულს აჯიშვილებმა.

მიცვალებული ღარიბი ებრაელი იყო.

შეშინდა საწყალს და ცრემლებით შეევედრა აჯიშვილებს:

— ჩემი რა ბრალია, მეტი არა მაქვს!

— ჩვენი რა საქმეა, რომ შენ მეტი არა გაქვს! თუ ეხლავე არ მოგვცია ორი მანეთი, მაქედან ამოგიღებთ.

— კაცო, ეხლა არა მაქვს, თქვენც მოხვალ იმ ქვეყნად და იქ გადაგიხდი პროცენტით!—ევედრებოდა მიცვალებული.

— „ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი გვირჩენია!!!.—არ იშლიდენ თავისას აჯიშვილები.

— თქვე კაი კაცებო, ხუთი თუმანი რომ მქონებოდა, ერხანს კიდევ ვიცხოვრებდი. სად წავიდე ეხლა მე! ქუჩაში ხომ ვერ დავიმარხები! გაგონილა ასეთი უსამართლობა!—გაცხარდა მიცვალებული!—თავი გამანებეთ, თორემ დავუძახებ ბანძის ალმასკომს და განახვებს სეირს!



— რას იმუქრები, შე გაჭირვებულო!? ცოცხალი იყავი და, არაფერი შეგეძლო,—მკვდარი ხარ და, ჩვენთან რას გახდები??! ალმასკომის იმედი ნუ გაქვს. ამდენი ხანია ჩვენ ასე ვახდევინებთ მიცვალებულს, მაგრამ ალმასკომს ერთხელაც არაფერი უთქვამს. მას ამისი დარდიც არა აქვს!

— კი, მარა ასეთი სიძვირე გაგონილა?— უკვირდა მიცვალებულს.—ორ არშინ მიწაში ხუთი თუმანი?

— ვაი, შენს პატრონს! ამიერიდან ამის მეტი არაფერი გჭირია, და ესეც გეძვირება?!

— თავი დამანებეთ. კაპეიკის მოცემა არ შემიძლია, რადგან არა მაქვს! რაც გინდათ ის ჰქენით!—და გაბრაზებული მიცვალებული ისევ ჩაწვა საფლავში.

— მოგიკვდეს აჯიშვილები, თუ მანდ ერთ წელიწადზე მეტი გამყოფოთ. სხვას მივყიდით მაგ სამარხს და ნახავ თუ მან არ გაგაგდოს მანდედან!—დაემუქრენ აჯიშვილები მიცვალებულს და ერთი მაგრადაც შეუკურთხეს.



ეს მდინარე არ გეგონოთ. ეს გახლავთ გამდინარებული ტალახი ნაგომრის (გურია) რაიონში. რაც შეეხება მგზავრებს, ისინი მასწავლებლები გახლავთ და თავგანწირულად მისცურავენ სკოლისაკენ... თუ გასცურეს.

# ნდობამ გადამაცდინა

ვიღაც აღელვებული შევარდა ხრესილის რაიონის სამილიციო კომისარიატში და შესვლისთანავე მორთო ყვირილი:

— არიქა, მიშველეთ, მომეხმარეთ-

— რა იყო? რა ამბავია?! — შეეკითხა მას მილიციის უფროსი ამხ. ვარლამ ჩოგოვაძე.

— მე გახლავართ სოფ. რგუნის კოოპერატივის ნოქარი. დღეს მიმქონდა გამგეობისათვის ჩასაბარებლათ ფული და... დამეკარგა.. არა, კი არ დამეკარგა... არა, არა, არც მოუპარიათ, ყაჩაღები დამეცენ და წამართვეს...

მილიციაში სასწრაფოდ შეუდგენ ოქმის შედგენას.

— თქვენი სახელი და გვარი?

— გერესიმე მინდიაშვილი.

— პროფესია, თანამდებობა?

— ნოქარი.

— რამდენი დაჰკარგეთ?

— შვიდას... ცხრაასი მანეთი ბატონო.

— რა არის შვიდას ცხრაასი მანეთი? სწორად სთქვი, რამდენი დაგეკარგათ?

— ცხრაასი მანეთი, ბატონო.

— ბატონოს ნუ ხმარობთ, ამხანაგო სთქვით. სად დაგეკარგათ?

— გზაში, ბატ... ამხანაგო.

— ვინ წაიღო? — მგონია ყაჩაღმა, ბატონო, რაცხა ისე ეტყობოდა რომე კაი კაცი არ უნდა ყოფილიყო, ნახშირით ჰქონდა მთლათ სახე შეთხუპნული. ჩამალულიყო ბუჩქებში, და გაუსწორდი მის სათვალს თუ არა, ისკუპა იქედან და ჩემ წინ წამოიჭიმა. „აწიე ხელები ზევით“ — დეიღრიალა და უქნა ჩემსკენ ორ არშინიან თოფს ტუჩი. წავბდი კაკალი კაცი და ჩახანჯალებულ - ჩალეორველებული კაცი მევიდა, წამართვა პორთფელი, რომლებშიდაც ფული მქონდა და გოუდგა გზას...

— იგებ დაგეკარგა და აღარ გახსოვს?.

— რავა არ მახსოვს, ჩემი თვალით დავინახე — თუ როგორ წამართვა ფულიანი პორთფელი.

— მაშ წავიდეთ და დავათვალიეროთ შემთხვევის ადგილი.

მეტი რაღა ჯანი ჰქონდა — გერესიმე გაყვა მათ, და მიიყვანა იმ ადგილას, სადაც „ყაჩაღებმა“ მას ფული მოსტაცეს.

მაგრამ აგერ ქვის ქვეშ პორთფელის ნაწილი მოსჩანს, გადასწიეს ქვა და, ჰოი საკვირველებავ! — აგერ პორთფელი, რომელიც გერესიმეს „ყაჩაღებმა წაართვეს“. გერესიმე დაიბნა, არ მოელოდა ამას...

— ალბათ დარჩენიათ იმ მამა.. წამოიძახა „გახარებულმა“ გერასიმემ. გახსნეს და აღმოჩნდა რომ პორტფელში 500 მან. მეტი არაფელია.

-- აკი 900 მანეთი იყოო? — შეეკითხა ვარლამი.

—რა ვიცი, მაშინ მართლა 900 მანეთი იყო, მარა 400 მათ წაუღიათ!

მიხვდნენ თუ ვინ წაიღებდა 400 მანეთს, ან პორტფელი ვის „დარჩებოდა“ და გერასიმეს „ვირის აბანოში“ უკრეს თავი...

— ეჰ! ნდობამ გადამაცდინა, ნდობამ! რასაც ვეტყოდი გამგეობას, ყველაფერს მიჯერებდა და მის შემდეგ, რაც მე იქ ვმსახურობ, ერთხელაც არ გაუკეთებია რევიზია ჩემთვის. რა მეგონა თუ ასეთი ნდობით აღჭურვილ კაცს ამ პატარა იშკილს არ დამიჯერებდნენ?!

**ისევ ის.**

# მესტვირული

ისევ მოვნახე გუდუნა,
მოვამბი სტვირი ჭრელია,
ლანჩხუთში გადავგლიჯინდი,
ამოვიწიმინდე ყელია.
სალამი, თქვენი გლეხკომო.
იმედო დაჩაგრულისა.
მგონი, ფინანსი გაკლია.
მოშუშებული წყლულისა.
დროა დავჭიმოთ კუნთები,
საქმე მონახოთ შორია:
შინ ყვერულს ყველა დაიჭერს.
ვით ოთაანთის ქორია.
ეპოს სტუმარი გახლავართ,
საქმე მაქვთ მეტად დიდია:
ჩვენი სმა-ჭამა, ცმა-ხურვა
გიორგის ზურგზე ჰკიდია
საქონლის განაწილება
არვისგან დაეწუნება.
კანონი არის ყველაზე,
როგორც გამგის გუნება.
ხან ხინკილდება დუქანი
ხან კი მოგვიდის გვიანი.
ბოლოს კი მაინც ურჩებ
ბალანსი მომგებიანი.
ბანკო. გლეხობის ჯანღონევ,
წაღება მიგვიხარია.
მარა ოხერი გადახთა
ზორი და შესაზარია.
განა, ჩვენც არ გვწყენს საწყლებს,
პირი რომ გაგვიფუჭდება.
მართალი არის, ხანდახან,
კოტრაცი რომ გვიფუჭდება.
უცებ მოგვისპეთ კრედიტი,
ბევრი წევრები ტრიალებს,
აღმასრულებლის ფურცლები
ასობით მიმოფრიალებს.
აღმასკომს, თავს არ შევაწყენ
მეტის მეტისა ქებითა:
ნეტავი, სულ არ გიმზირდე,
შენი წამხთარი გზებითა.
აღარც გაზეთის გესმიან.
არც წყევლა, არცა გინება...

**შხანკოლა—**

# წნორის-წყალი



**ადგილობრივი ელმწერალი**:—თუ კაცი ხარ, ეს კალამი საჩქაროდ მომიპირე, თორემ სხვა კალამი არა გვაქვს და,. მოვცდები.

# ძველებურს არ ივიწყებს

„ექიმი არტემ ახვლედიანი თავისი ბინის გაფართოების მიზნით სახლში უვარდება მეზობლებს“.



**ახვლედიანი** (ცოლს):—აბა, ყოჩაღად იყავ. მეზობელი ქალაქში მიდის და მის მოსვლამდე თუ არ ჩავსახლდით მის ბინაში, —ხომ ხედავ ისე არაფერი გამოდის.

# მიბაძვითი პოეზია

დაღამდა უკვე. მზე ამოდის დასავლეთიდან.
ჩაი ადუღდა სამოვარით უკან ქუხნაში
რა მიეცი დღეს გირვანქა ბულკის სუხარში?
შენ შავ თვალებავ, ეგ ლესონი რამ დაგისივა?
მატარებელი განწირული ნეტავ რას კივა?
სახლის პატრონი მეეზოვე კუროს უჩივა:
არ მიმიღია მოსკოვიდან ჟურნალი „ნივა“.
აქლემივით მაღალი ხარ, შენ აშტრაფინა,
შენ სილამაზეს დაიწუნებს ნეტავი ვინა?
გუშინ სევდებმა საბურთალო გადაირბინა...
მაკომ ბინისთვის მაგრად უფუა მაკლერი ნინა.

ალ. გვინჩი.

# საშუალება




— რას ერჩით, კაცო, მაგ კაცს, რომ გაბაწრული მიგყავთ, განა ასეთი რა დააშავა?

— საერთო კრებაზე მიგვყავს... ისე არავინ გვეკარება.

# ძლვნად ნიგვზიანის თემის მესვეურებს

ეს ჩვენი გზები დაემსგავსა უძირო მეწყერს.
არც შიიძლიბა, რომ აღმასკომს უსაყვედურო;
რა გინდა ბევრი უჩიჩინო და ურტყა ურო,—
ყურს არვინ იბერტყს. ითქვს ვერ იტყვი თვით მე ვარ
შემსწრე.

ვშიშობ, რომ ვინმე დაიღუპოს ამ ჯოჯოხეთში
დაობლდეს ბანკი, გლეხკომი თუ კოოპერატივი.
აბა აღმასკომს მაშინაც კი ეთქმის მოტივი,
რადგან ამ ხალხის ბედ-იღბალი არის მის ხელში.

ფოსტისა გამგე შემომიბღვერს ვიცი უტიფრად,
როცა ის ამ ლექსს წაიკითხავს, ან რომ დახედავს.
ჰო, შემომიბღვერს, რადგან იგი არის უშიშრად...

და აღარ ფიქრობს ვინმე მაზე რამეს გაბედავს
გაზეთები კი უმოწყალოდ მიდის, იკარგვის,
რომ მოითხოვოთ: კვიტანცია პასუხი გამგის.

ჩახუნდარიძე.

# ფოთი

მე საკუთარი აქ მაქვს სასახლე.
თუმცა მიჭირავს მთავრობის ბინაც,
მთავრობის სახლში გადავესახლე,
მთავრობას სახლში მზე მომეფინა.
გავაქირავე მე ჩემი სახლი,—
და რომ ოთახის არ მივსცე ფული,—
(ხომ სულ ერთია რას იტყვის ხალხი)
სახანძრო რაზმში ვარ შეკუპული.
არის კარბიტრის ქარხანა სადმე
(ჰო, რა კარგია მაღალო ღმერთო!)
ტკბილათ ვაკეთებ შიგ კერძო საქმეს
ფულებს ფულები რო შეუერთო.
სამუშევარი თუ არის „მეტი“,
ისიც ოთოოდ ერგება ტრიფოს,
და ზედ მეცემა ქვასავით რეტი,
ამდენი ფული როგორ ავკრიფო!
თანაც მაქვს ენა თაფლივით ტკბილი,
ვინ სთქვა—ჩემ ნაირს არა აქვს ძალა?
იალბუზივით ავშართე კბილი,
თუმცკალა ტანით ვარ „ლობე მძვრალა“.

ყარდაშ.

# რადიო სოფლად

## (თანამედროვე თემაზე)

სოფლის გლეხობა ადგილობრივ კლუბში შეკრებილია. მოხსენებას რადიოს მნიშვნელობის შესახებ აკეთებს ქალაქიდან ჩამოსული კაცი, რომელსაც დავალებული აქვს სოფელში მოაწყოს რადიო მიმღები აპარატი, კრებას თავმჯდომარეობს ერთ ერთი გლეხი.

**კრების თავ-რე.** (ზარს რეკს)—ამხანაგებო, დამწყნარდით, რავა დაბრუალობთ ინდოურებივით... კრებას გახსნილად ვხსნი... სიტყვა ეძლევა ამხანაგ მივლინებაძეს.

**მივლინებაძე:** (სერიოზული პოზით და მაღალ ფრაზებით) — ამხანაგებო! რადიო-ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვაა. ეს პატარა აპარატი, რომელსაც თქვენ ხედავთ თავისი ტეხნიკური აგებულებით და კონსტრუქციით დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ თავისი ესქსტრაორდინალური მოვლინებით თანამედროვე ყოფაში იძლევა მეტად ფენომენალურ შედეგებს, რაც დიდ მომავლის პერსპექტივებს გვიშლის წინ. აქ საჭიროა ისეთი აპერცეპცია...

**1-ლი გლეხი.** იმე, ბოშო, რომელ ენაზე ლაპარაკობს ეს კაცი თუ იცით!?!

**მე-2 გლეხი:** გაფუჭებული კაცი ვიყო, ერმალოზ ჩემო, თუ რამე მესმოდეს... ვიწცხაა ანგლიჩურად ლაპარაკობს, მარა ამ ქართულსაც რო ურევს შით ხაწდახან! (გლეხებში ჩოჩქოლია: „ვერაფერი გავიგეთ, ქართულად ილაპარაკეთ").

**თავ-რე** (ზარს რეკს) რა ამბავია, კაცო, რავა ბატებივით აყაყანდით, ამხანაგებო დაწყნარდით, ნუ მომჭერით თავი ამ პატიოსან კაცთან: დედა, დედა, ქე არ გამომისვეს დანა კისერში... აპატიეთ, ამხანაგო მივლინებაძე, გაუნათლებელი ხალხია... (ხალხს) დამწყნარდით, კაცო, დამწყნარდით....

**მივლინებაძე:** (განაგრძობს მოხსენებას) — ამრიგად ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ თქვენ საკმაოდ გაერკვიეთ რადიოს მნიშვნელობაში... საქმე იმაშია, რომ საერთაშორისო მდგომარეობის სიტუაცია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ რადიოფიკაცია ფართოდ გავშალოთ სოფლის მეურნეობაში... თქვენ კარგად იცით, რომ კელოგის პაქტით არ სწყდება მშვიდობიანობის საკითხი. სწორედ ამიტომ, არის, რომ ჩვენი ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს ქიმიის განვითარებას... ქიმიზაცია, ავიაცია და ბოლოს დაბოლოს მელიორაციაც სამხედრო საომარ ძალთა განმტკიცების საშუალებათა ექვივალენტებია. რას ნიშნავს ეს?!. თუ ჩვენ ექსპერიმენტალურ დეტალიზაციის საშუალებით...

**მე-3 გლეხი:** (სიტყვას აწყვეტინებს) — მეიცა, მეიცა ერთი, თუ ღმერთი გწამს, კაცო, რო მოუშვია გრამაფონივით და რაცხას რომ ღერღავს, ჩვენ რა შუაში ვართ აქანა? არა, მე შენ გეკითხები: ჩვენ აქ ვირები ვართ თუ ბატები? (გლეხებში ჩოჩქოლია).

**თავმ-რე:** (გამუდმებით რეკს ზარს, ძალზე შეწუხებულია) ამხანაგო ნიკო, მღუპავ, კაცო!?. რატომ მარცხვენ ამ ადამიანთან? დამწყნარდით, ამხანაგებო, დამწყნარდით...

**ისევ მე-3 გლეხი:** რას ქვია, კაცო, დაწყნარდით!?.. თუ მოხსენებაა, მოხსენება იყოს, თვარა და სისტიკინი ბაგის საქმეს; აქ ბატები ხომ არა ვართ, რომ მასხრად გვიგდებს...

**თავ-რე:** ამხანაგო ნიკო, მე შენ გეუბნები — ხელს ნუ გვიშლითქვა, ბატები ხართ თუ ინდოურები, ეს სულ ერთია... (მივლინებაძეს) — განაგრძეთ, ამხანაგო.

**მივლინებაძე:** (განაგრძობს) — მე იმის თქმა მინდოდა, ამხანაგებო, რომ არ კმარა მარტო პასიური დამოკიდებულება ინდივიდუალურ აღნაგობით კულტურულ რევოლიუციისადმი. საჭიროა მეტი აქტივობა... რადიოფიკაცია, მელიორაცია, კანალიზაცია, იმპროვიზაცია და ჩაის პლანტაცია: — აი, უმთავრესი ამოცანა, რომელიც მოითხოვს დიდს ენერგიას ჩვენის მხრივ... მე აქ ვსვამ წერტილს..

— გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციას და თესვის კამპანიას.

— გაუმარჯოს რადიოფიკაციას, კანალიზაციას და იმპროვიზაციას...

(გლეხობა გახარებულია, რომ მომხსენებელმა გაათავა სათქმელი).

**თავმ-რე:** პრავა, პრავა, მე და ჩემმა ღმერთმა, მალადეც...ახლა, ამხანაგებო, მოვუსმინოთ რადიოს, რომელიც პირველად იდგმება ჩვენს სოფელში. (მონტიორი აამუშავებს აპარატს).

მოისმა ინტერნაციონალის ხმა, გლეხები ფეხზე დგებიან. მუსიკა მისწყდება. ისმის ლაპარაკი:

— ალლო, ალლო, ლაპარაკობს ტფილისი. ამხანაგებო! გაზაფხული უკვე დადგა... დაიწყო გაზაფხულის თესვა.. ჩვენი პარტიის ლოზუნგი — რომ არც ერთი ნაკვეთი მიწა არ დარჩეს დაუთესავი — უნდა ღრმად ჩაინერგოს ყოველმა პატიოსანმა მშრომელმა გლეხმა... შესაბამისმა ორგანოებმა უკვე გამოგზავნეს სოფელში უამრავი სათესლე მასალა: ხორბალი, სიმინდი და სხვ., ამხანაგებო, გლეხებო, ეცადეთ რაც შეიძლება უფრო გაწმენდილი და გადარჩეული სათესლე დასთესოთ.. უნდა გახსოვდეთ, რომ მოსავლიანობის ზრდა არ არის დამოკიდებული მარტო სათესი მიწების სიკეთეზე, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს გაწმენდილ თესლსაც. ამ დღეებში თქვენი სოფელი მიიღებს დამატებით ათას ფუთ სიმინდის თესლს...

ალლო, ალლო, ლაპარაკობს ტფილისი. მოხსენება თესვის კამპანიის შესახებ დამთავრდა... 5 წუთის შემდეგ, მოისმინეთ კონცერტი. (გლეხობა აღტაცებულია; ზოგი გაკვირვებულია).

**მე-5 გლეხი:** — სიზმარში ვარ, თუ ცხადში მითხარით, ვინმემ... რაფერ კაცივით ლაპარაკობდა ეს ტრუბა.

— **კომკავშირელი:** სიზმარი კი არა და ის არ გინდა! სწორედ ეს გახლავთ რადიო. ხომ გაიგონე ტფილისიდან გველაპარაკებოდნენ. სიმინდი გამოუგზავნიათ ჩვენთვის.

**მე-4 გლეხი:** — კი, მარა ის კაცი რას ყაყანობდა წეხან... აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!

რადიო- ახმაურდება. მოისმინეთ სიმღერის ხმა. იწყება ნამდვილი კონცერტი.

თავქარიანი.

# არგვეთი

## (შორ. მაზრა)

ტარტაროზო, მიიღე.
ჩემსგან წრფელი სალამი..
მასთან გთხოვთ მოისმინო
ჩვენი ჭირი, ვარამი.
შენი ბასრი ჩანგალით.
არგვეთის თემს მოხედე,
სადაც მდივნად მსახურობს
„ნიკოლოზის მოხელე".
„მოსე მწერლის" ტიპია.
ხარშილაძე ვასილი.
გლეხის ტყავის გამძრობი,
მეთი ცოდვით ავსილი.
ჟორდანიას დროშიც არ
იყო ხელ-დაკრეფილი,
თუ კი რომ შეხვდებოდა
გლეხი, გასაყვლეფელი.
ძველ დროში ქრთამს ჩვეული,
ქრთამებს ველარ ახერხებს;
ეხლა თავს იკატუნებს
და მიმართავს სხვა ხერხებს
ან კი ქრთამი რათ უნდა,
ქრთამს თითონ დაარიგებს
მას, კულაკად შერჩენილს,
თუ არ გაალარიბებთ.
შავი სიის მაგიერ,
ღარიბებში სწერია,
დაწყაშების წყალობით
ძაგარი აქვს წელია.
კაი დიდი ჭიქებით
უყვარს ღვინის დალევა,
და შემდეგ კი დესერტად
სუფრის არევ-დარევა.
დროის გადაბრუნებას
ის სულ არ შეუცვლია,
შერჩა გლეხობისათვის
რაც ტყავი გაუძვრია,
აღმასკომში ბრძანდება
„დრო მოჭმული ხატივით".
გლეხებს ის დრო გონიათ,
რომ უცქერდნენ პატივით.

მორიელი.

# ცნობათა მიღება

**მთაგორელს** (სად. გრაკალი). პირიქით, ჩვენ გვგონია, რომ თქვენ უფრო „მოსაცხები“ ხართ, ვიდრე მიკიტანი ვასუა, რომელიც

**ბოთლ ღვინოსა სამ აბაზად გვიფასებს;**
**ღვინოს ბოჭკებს ღვინო-ნარევ წყლით ავსებს.**

ალბად თქვენ „ლოთობის დამხმარე საზოგადოების“ წევრი ხართ; ხოლო მიკიტანი ვასუა გამოდის ლოთობის წინაალმდეგ, რადგან ის ღვინოში წყალს ურევს (თუ, პირიქით, წყალში ღვინოს ურევს!). წყალნარევი ღვინო, ანდა ღვინო-ნარევი წყალი ერთერთი კარგი საშუალებაა ლოთობის წინალმდეგ ბრძოლის წარმატებით საწარმოებლად.

ყოველივე ამის შემდეგ, საკვირველია, ასეთი ღვინო როგორ ათრობს მაქაურ რკინისგზელებს. ალბად არც ისე წყალნარევია ვასუას ღვინო.

**ირაკლის**. ნუ ელოდებით. არ დაიბეჭდება.

**ჭინჭრაქას**. ეს ისეთი „გადაღეჭილი“ კერძია, რომ არავინ მიიღებს, მით უმეტეს—ტარტაროზი.

**კირკაშს** (ოზურგეთი). არ გამართლდა თქვენი იმედი: **„ამ ორ მასალაში, თუ ორივე არა, ერთი მაინც კი ივარგებს.. და თუ ორივემ ივარგოს, მაშინ ერთი შემდეგ ნომერში გაუშვით“-ო.**

საქმე კარგად ყოფილა, თუ კი თქვენს თეატრს:

**ადგილი აქვს ორასი**
**და ბილეთი ათასი.**

**„ბავარდას“** (სოხუმი). თქვენ გვწერთ, რომ:

ცხრაწლედის მოწაფეს—გიორგი ნიკოლაიშვილის წელზე ჰკიდია ვეებერთელა რევოლვერი. ჩვენ შეკითხვაზე:

**— რატომ ატარებ ამ დამტვრეულ და ცარიელ რევოლვერს?**—გვიპასუხა:

**— მასწავლებლის დასაშინებლად და არა მოსაკლავად!**

როგორც სჩანს უკვე საკმაოდ დაუშინებია მასწავლებელი.

რა თქმა უნდა, რომ მოწაფეს ასეთი საქციელი დაუშვებელია და ისიც ეხლა, როცა ერთა ლიგა ამდენს გაჰკივის განიარაღებაზე.

ალბად ამის შემდეგ მაინც მოხდება მისი განიარაღება.

**ბ-მე-შე-ლიას** (სამტრედია). თუ კი არ გვატყუილებთ და ეს წერილი მართლაც „უკანასკნელი წერილია“, ჩვენ ნიშნად მადარიჩის გადახდისა, ვათავსებთ მის ერთ ადგილს:

**მშვიდობით და გამარჯვება,**
**გილოცავთ გზას ბედნიერსა.**
**მე მივდივარ და გშორდებით**
**ველარ გვიხილავთ აწია.**

ამ სიტყვებმა ისეთ ხასიათზე დაგვაყენა, რომ კინაღამ ტირილი დავიწყეთ, მაგრამ ლექსთა წყობამ და რითმებმა სიცილი აგვიტეხეს.

**პრიმას**. ჩვენ რომ ასეთ ლექსებში გონონარს ვაძლევდეთ,—ვარდენ ღვანკითელსავით მდიდარი კაცი საქართველოში არ იქნებოდა.

**„კომპოლიკს“** (ასკანა, გურია): —კარგი საბჭოს წევრები ყოფილან, კარგი მაგათ (ისიდორე და ანტონ) მოუვათ. საბჭოში გასვლაა ძნელი, თორემ გამოსვლა ადვილი საქმეა. მონათვლა მაგათ ესაჭიროებათ, და არა მაგათ პატარა შვილებს.

**მოხალისეს**: თქვენ გვწერთ:

**უკანსკნელ თხოვნით მოვალ,**
**მოიძულეთ ორი სიტყვა,**
რაფერ უნდა მოვიქცე, რომ მუშკორობა როცა მინდა.

აი, ამ წერილის მაგიერ, რომ ადგილობრივ ქირ-ვარამზე დაგეწერათ და აგინიშნავთ რამე ნაკლი, —ეს იქნებოდა მასალა.

**ფიშტოს** (ჩოჩხათი): ვერავის დააშინებს და გამოასწორებს თქვენი „ფიშტო“, თორემ ჩვენ სიამოვნებით დავბეჭდავდით თქვენს ლექსებს.

ნუ თუ „ტარტაროზი“სათვის უფრო მოზრდილი ვინმე ვერ აღმოაჩინეთ თქვენში, რომ წაფრენიხართ ალმასკომის დარაჯს:

**ალმასკომში გვყავს დარაჯი,**
**მას არ უყვარს წყალზე წასვლა.**
**დავალებას თუ აპირებ**
**ის დაიწყებს გარედ გასვლას.**

გულთმისანი ყოფილა, რომ წინასწარ გებულობს „ბატონების“ წყურვილს.

**„კომ-ისტს“** (ხონი) საკვირველია თქვენი საყვედური ირაკლი ბულეიშვილისადმი:

**ძველად იყო მეარღანე,**
**შემდეგ გახდა მიკიტანი;**
**ჩარჩოპა რომ მიატოვა —**
**სულ არ არის დიდ ხანი.**

როგორც სჩანს ამ კაცს დიდი წინმსვლელობა ეტყობა... მაგრამ, უკაცრავად:::

**დღეს განაგებს მუშკოოპის**
**ღვინის სარდაფს დიდებულად.**
**თავისს ამქრებს ხშირად ათრობს,**
**პატივსა სცემს მეგობრულად.**

აქი გაგვიკვირდა ზევით ამ კაცის გამოსწორება! თურმე ვცდებოდით.

**ტინტილას** გვწერთ, რომ—შარშანაც აგზავნიდით წერილებს ჟურნალში მოთავსებულად, მაგრამ არ იბეჭდებოდაო... მას შემდეგ ბევრი ხანი გავიდა და ალბად ეხლა უკეთესად ვიცი წერა, ამიტომ გთხოვთ დამიბეჭდოთ ჩემი მეცნიერული გამოკვლევა: **მოსახლეობასთან ერთად იზრდება დედა-მიწის ტერიტორია მიწა და წინ მიდის მზისაკენო.**

თქვენი წერილიდან ნათლად სჩანს, რომ თქვენ შარშანს შემდეგ ერთი ნაბიჯიც ვერ გადაგიდგამთ წინ.

**ძილგატეხილს**. ლექსზე უფრო თქვენი წერილია ჩვენდამი მოწერილი სასაცილო:

**როცა ამ ლექსის წერას მოვრჩი, ცოლს გამოეღვიძა და ბარემ სამჯერ მითავაზა გვერდებში წიხლი—რატომ ამდენ ხანს არ დაევდებიო. იმედია, ამას მხედველობაში მიიღებ, ამხ. ტარტაროზო, და დამიბეჭდავთ ამ ლექსს, რომლის წყალობითაც გვერდები ეხლაც დალილავებული მაქვს.**

ჯერ თქვენ შეასრულეთ ჩვენი თხოვნა: სთხოვეთ თქვენ ცოლს, რომ ასეთი ცუდი ლექსის დაწერისათვის ჩვენს მაგიერ მან გითავაზოს კიდევ სამი მუშტი.

**შუბს**. ჰკვიანი კაცი ხართ; იცით სადაც იქნება თქვენი მასალა და ამიტომ **„ათვალიერებთ უწინარეს ყოვლისა მე-15 გვერდს, სადაც იბეჭდება „ცნობათა მიღება“.**

**ქიკჭიკას**: ტყვილად გიხარიათ:

**გაზაფხული მოდის —**
**და მეყოფა ბლუზა.**
**გაზაფხული მოდის,—**
**გოდრით მოაქვს მუზა.**

ჩვენც უფრო მეტი მარაგით ვამზადებთ ჩვენს უფსკერო გოდრებს, რომ შემდეგ კრიზისი არ დაგვიდგეს. მართლაც და ბევრი დაიწყებს თქვენსავით პოეტობას.

---

**განმარტება:**

ჟურ. „ტარტაროზი“-ს № 195-ში მოთავსებული **ბრალდება ამხ. ბენიამინ თავდიშვილის** მიმართ, თითქოს ამ უკანასკნელს კოოპერატივიდან გაეტანოს პური გარდაცვლილი მამის ქელეხის გადასახდელად და მამა საეკლესიო წესით დაესაფლავებინოს, **არ შეეფერება სინამდვილეს.**

# ესეც იღწვის აპარატის „სიჯანსაღისათვის“



აი, გამგე, რომელსაც თამამად შეუძლია გაიმეოროს საფრანგეთის მეფის ლიუდოვიკ მე-16-ის ცნობილი ფრაზა, მხოლოდ დროისა და გარემოების მიხედვით ცოტა შეცვლილი, აი ასე: „აპარატიც“—ეს მე ვარ!

კოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. კამოს ქ., № 68.

კვირა, 7 აპრილი 1929 წ. წელიწადი მეექვსე № 15 (199)

# ტარტაროზი

## დაშინებული



— რა ამბავია! სად გარბიხარ?!.
— ვერ გაიგე, რომ ბაზარზე სურსათ-სანოვაგე არ იშოვებაო!

# „ნემსის წვერებზე“

როცა გაიგეს, რომ ახლო ხანში დაიწყებოდა აპარატის გასაჯანსაღებლად შტატების წმენდა, მთელ დაწესებულებას პანიკა მოედო

ყველამ გადაიკითხა თავისი ბიოგრაფია - ისტორიის ფურცლები — რამე „ისეთი“ ხომ არაფერია, რამაც ბიძგი მიყოს სამსახურიდანო.

თავის პოზიციის უფრო გასამტკიცებლად, თითქმის ყველამ (შიკრიკმაც კი) ერთსა და იმავე ხერხს მიმართა: განცხადება მისცეს დირექტორს, და მოითხოვდენ შტატის მომატებას, რადგან თვითეული მათგანი დატვირთულია (თითქოს) სამუშაოთი და ვერ ასწრებს სამუშაოს.

— ასე და ამგვარად, — ფიქრობდა დირექტორი, — აქ მუშგლეხინს გასაცეთებელი არაფერი აქვს. თუ მოითხოვს შტატის შემცირებას, — ჰა, ვუჩვენებ ამათ განცხადებას, რომ არა თუ შემცირება, პირიქით, საჭიროა შტატის გადიდება შრომის ნაყოფიერების ასაწევად.

—:—

— როგორ იქნება ეხლა საქმე?!. — ჰკითხა კაბინეტში საქმეთა მმართველმა დირექტორის თანაშემწეს.

— შენ რა გიჭირს! როგორც უპარტიოს მხოლოდ ერთი წმენდა — აპარატის გაჯანსაღება შეგეხება.. მე კი, როგორც პარტიულს, ორი წმენდა: პარტიული და აპარატის.

— ეს კიდევ რაა!? ალბად თქვენც გაიგებდით, რომ, თურმე მუშგლეხინის აგენტები ჩუმად დადიან დაწესებულებებში და ამოწმებენ მუშაობას.

— კი! ეს მეც გავიგე. გააფრთხილე თანამშრომლები, რომ ყველა მოსულს ზრდილობიანად მოეპყრან და საჩქაროდ გაისტუმრონ.

— მე უკვე გაფრთხილებული მყავს და ყველაფერი თავისს რიგზეა.

—:—

მართლაც, ამის შემდეგ ყველა ისე მუშაობდა, რომ „თავის მოსაფხანადაც“ არავის ეცალა.

თანამშრომლები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ სამსახურში დილით ადრე მოსვლაზე და ნაშუადღევს—გვიან წასვლაზე.

წარმოიდგინეთ, მეშანქანესა და რეგისტრატორ ქალს სადღებავის წასასცხებადაც კი არ ეცალათ, არა თუ პონჩიკების საჭმელად.

ბუფეტს ვაჭრობა აღარ ჰქონდა. (ვის-ღა შერჩა ჭამის თავი!).

შიკრიკი ტრამვაიში აღარ ჯდებოდა, რომ არ დაჭგვიანებოდა მისვლა-მოსვლა. უწინ თუ ითვლიდა ტრამვაის ბოძებს და იცოდა აქედან-იქამდე რამდენი ნაბიჯი იყო, ეხლა ნაცნობისათვის სალამის მისაცემადაც არ ეცალა. თუ უწინ მისი ნაბიჯი უდრიდა ნახევარ არშინს, ეხლა მეტრზე მეტი იყო.

საქმის მწარმოებელსა და მდივანს ჩხუბიც კი მოუვიდათ—ამ ქაღალდების დამუშავება მე მეკუთვნის და არა შენო.

დამლაგებელი ქალი ორჯერ (ერთი-სამსახურის შემდეგ, მეორეჯერ - დილით სამსახურის დაწყებამდე) ასუფთავებდა დაწესებულებას.

შოფერს მონატროდა ავტოთი გაქროლება. მაგრამ სხვები კი არა, თვით დირექტორიც ტრამვაით ან ფეხით დადიოდა სამსახურში! (ავტო გარაჟში ისვენებდა).

კედლებიდან ჩამოეხსნათ წარწერები: „ბევრს ნუ ილაპარაკებთ“... „მოკლედ საქმეს და წადი“... „ცნობები—12—1 საათამდე“... „დაუკითხავად ნუ შემოხვალთ“.

სამაგიეროდ მათ ალაგას გამოეკიდათ ახალი ლოზუნგები: „აუხსენი დაწვრილებით“... „ცნობების მიღება ყოველდღე დილიდან საღამომდე“... „თუ რომელიმე თანამშრომელი უდიერად მოგეპყრო, დასწერე ამის შესახებ და ჩააგდე საჩივრის ყუთში“ (აქვე დახატულია საჩვენებელი თითი, რომელიც უჩვენებს მახლობლად ჩამოკიდებულ საჩივრის ყუთზე). დირექტორის კაბინეტის კარებს ამშვენებდა: „მობრძანდით! შეიძლება!“.

მოქალაქენი, რომლებიც მოდიოდენ ხსენებულ დაწესებულებაში, მაშინვე აგვარებდენ თავიანთ საქმეებს და საჩქაროდ მიდიოდენ.

ეხლა იმას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ რანაირი იქნებოდა მოსული მოქალაქე: ლამაზი თუ უშნო, კარგად თუ ცუდად ჩაცმული, სოფლელი თუ ქალაქელი.

— დასწყევლოს ღმერთმა და ეშმაკმაც. ალაჰმა უწყის—რომელია მათში მუშგლეხინის აგენტი! ის კბილებჩაცვენილი დედაბერიც კი საშიშია ეგერ რომ მოდის,—ვინ იცის—ეგებ ისიც მუშგლეხინის აგენტია!— ფიქრობდენ თანამშრომლები და ერთმანეთს ეჯიბრებოდენ მუშაობის სიჩქარესა და თავაზიანობაში,

—:—

ასე მიდიოდა დრო, მაგრამ ჯერ არავინ მოდიოდა შტატის გასაწმენდად.

თანამშრომლებში ჩუმი საყვედური გაისმა:

— აუტანელია ასეთი მდგომარეობა! ასეთი მუშაობა შეუძლებელია. მთელი დღე თავაუღებლივ ვმუშაობთ. ორი-სამი საათით რომ სადმე წახვიდე ან დაიგვიანო, კაცს იმის საშუალებაც არა გაქვს.

— რატომღაც გამხდარი მეჩვენებით!—უთხრა ერთ დღეს საქმეთამმართველმა დირექტორს.

— შე კაი კაცო, ქვა კი არა ვარ! გავხდები მა რა მოვიფა?!. კაცს შენს გემოზე ვერ მოგისვენია. რაც ეს წმენდა დაიწყო, მე ხეირიანად არ დამძინებია. ცხრის ნახევარზე ვდგები დილით, რომ სამსახურში არ დამაგვიანდეს.

— სწორედ რომ აუტანელ მდგომარეობაში ვართ. ბარემ მოხდეს რაც მოსახდენია. დავიხოცეთ ხალხი, ცხრა საათიდან ოთხის ნახევრამდე რომ კაცმა გაუძლო ამ ჩვენს მუშაობას, პირდაპირ ზეკაცობაა!

— კაცო რამდენი ხანია ქეიფი მინდა და ვერ გამიბედნია, ვაი თუ გამიგონ-თქო! — ჩაერია ლაპარაკში დირექტორის თანაშემწე

— ნემსის წვერებზე ვართ მე და ჩემმა ღმერთმა. ვინ გაუძლებს ასეთ მუშაობას;

—:—

ერთ დღეს ისევ გავარდა ხმა, რომ ხვალ რევიზია მოდისო.

— მადლობა ღმრეთს!—გაუხარდა ყველას.—რაც მოხდება-მოხდეს. ნერვები აშეშალა ამდენი ლოდინით? ნემსის წვერებზე ვართ. არაქათი გამოგვეცალა ამდენი მუშაობით!—და ჩუმად მიდიოდენ საქმეთა მმართველთან თავისი განცხადების უკან გასატანად.

— რატომ მიგაქვს? ხვალ-ზეგ რევიზია მოდის. ეს თქვენი განცხადებები შტატის მომატების შესახებ საჭიროა, რომ არ შეგვამცირონ!—უხსნიდა საქმეთა მმართველი.

— კი, მაგრამ... ისე... მე არ მინდა!:: მე კი ვასწრებ სამუშაოს!—ამბობდენ თანამშრომლები და მიჰქონდათ განცხადებები. თანაც ფიქრობდენ:

— ეს რომ რევიზიამ ნახოს, იფიქრებს—უვარგისია, მუშაობას ვერ ასწრებსო, და დამითხოვს!

—:—

მუშაობა ისე ნაყოფიერად მიდიოდა.

ერთს სოფლელს, რომელსაც რამდენიმე დღის საგრძალიც კი წამოეღო, მაშინვე მისცეს ცნობა.

— კაცო. ამ ერთ თვეში ისეთი რა მოხდა, რომ აქ ყველაფერი გამოცვლილა! — ჰკითხა შესასვლელში მდგომ მეკარეს, რომელმაც თავაზიანად გაუღო კარები და განუმარტა:

— ეს, მეგობარო, იმიტომ, რომ შტატების გაწმენდასა და რევიზიას ელოდებიან!

— ნეტავ სულ ასეთ შიშის ქვეშ იქნებოდენ,—კარგად იმუშავებდენ!— ჩაილაპარაკ სოფლელმა და სოფლისაკენ გზას გაუდგა.

ისელი.



— ქალო, ასე, კუდრაჭა კაბა რად შეგიკერავს, ან ეს თმები ასე რად შეგომოკლებია?!

— ჰმ, საოცარია! კაცი სულ კულტურაზე გაჰკივი, ხოლო საკმაოა ადამიანმა ოდნავ კულტურულად ჩაიცვას, ან თავი მოირთოს, რომ შენ ამის წინაალმდეგ ამხედრდები!

# ვანო დოყლაპიაშვილი

ვანო დოყლაპიაშვილმა ცხრაწლედი რომ დაამთავრა და უნივერსიტეტში გამოცდებში ჩაიჭრა, გადასწყვიტა: სხვა უკეთესი რამ სამსახური თუ არა, მასწავლებლობა მაინც ეშოვნა. თუ ამ სამსახურის შოვნაც გაუჭირდებოდა და — ანასუნი მაგის საქმეა: სამკითხველოს გამგეობაზედაც არ იტყოდა უარს (არარაობას ცხრა ულელი ხარი სჯობია!).

გავიდა თვეები... გასჭირდა საქმე და დოყლაპიაშვილმა ძლივს - ძლივობით სამკითხველოს გამგეობა იშოვნა ცახეთის ერთ მიყრუებულ სოფელში — მარიან კარში.

საღამო ექნებოდა სოფელს რომ მიუახლოვდა. გზებზე საშინელი ტალახი იდგა. ვანო ძლივს - ძლივობით მილანავდა ტალახში. ერთიც ვნახოთ და ვანო დიდ ტალახში კისრამდე ჩაეფლო.

— ეე, ვიხრჩობი, ვინ ხართ ქრისტიანი, ძმებო! — ყვიროდა ვანო. მაგრამ ყურიც არავინ ათხოვა. იჭირა, იჭირა ზევით-ზევით და ძლივს ამოვიდა ტალახიდან. საწყალი ახალ ამოვლებულ ჩურჩხელას ჰგავდა!

როგორც იქნა საღამოს მიაღწია სოფელში. რადგან თემაღმასკომი უკვე დაკეტილი იყო, დოყლაპიაშვილმა იკითხა და პირდაპირ თემაღმასკომის თავმჯდომარის ოჯახში მივიდა.

—მობრძანდით! — მიესალმა თავმჯდომარე და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— ამხანაგო, ხელის ჩამორთმევა არ შეიძლება! — მიუგო დოყლაპიაშვილმა. თავმჯდომარეს ჩამოსართმევად გაწვდილი ხელი ჰაერში გაუქვავდა.

— რატომ? — იკითხა თავმჯდომარემ.

— იმიტომ, რომ ხომ შეიძლება მე ახლა რაიმე საშინელი სენი მჭირდეს და ხელს რომ მიწვდი, ხომ გადაგედო?

— თუ საშინელი რამ გჭირდა, აქ რაღას მოდიოდი? — უთხრა თავმჯდომარემ.

— მე არაფერი მჭირს, მაგრამ ისე ვამბობ...

ოთახში თავმჯდომარის ცოლი შემოვიდა. მას პატარა ბავშვი შემოსდია. ქალმა ბავშვი ხელში აიტაცა და რამდენჯერმე მხურვალედ ჩაკოცნა.

— არც ეგ შეიძლება, — შენიშნა დოყლაპიაშვილმა, — ხომ შეიძლება ახლა იმ ქალს რაიმე სჭირდეს და ამ ბავშს გადაედოს?

— მამა გიცხონდა, — გაეხუმრა თავმჯდომარე, — ჩვენ არაფერი სენი არ გვჭირს. თქვენ ნუ სწუხდებით. თქვენ ის მითხარით: რისთვის მობრძანებულხართ?

— თქვენი ქოხ - სამკითხველოს გამგეთ გამომგზავნეს. თქვენი სოფლის მუშაკი ვიქნები აწი! — მიუგო დოყლაპიაშვილმა.

— მართლა?.. ძალიან კარგი- განათლებული კაცი ყოფილხართ და დაგვეხმარებით მრავალ საკითხის გარჩევაში.

— ცხრა კლასი გავათავე! — მიუგო ვანომ.

— რახან ასეა, ერთი ეს მითხარით: ტრაქტორის შეძენა სად შეიძლება, რა ღირს, ან რომელი სისტემა გამოგვადგება?

დოყლაპიაშვილი სდუმდა...

— აბა ის მითხარი: მიწა ღრმად უნდა მოხნა, თუ მაღლა? ან თესლთა ცვლა როგორ უნდა მოახდინო?

დოყლაპიაშვილი კიდევ სდუმდა...

— აბა, ეს მითხარი: მიწის დასვენება სჯობია, თუ განაყოფიერება? ან რა მიზეზია, რომ ამ ბოლო დროს ბევრი წვიმები მოდის?

— არ ვიცი!.. — მიუგო დარცხვენით დოყლაპიაშვილმა.

— მა რაღა ნასწავლი ხარ ეგენიც თუ არ იცი?

— ჩვენ სკოლაში ვსწავლობდით: ტრიგონომეტრიას, გეომეტრიას, ალგებრამეტრიას, ბიოლოგიომეტრიას...

— მერე ამ ტრიებში არაფერი არ სწერია მოსავლის შესახებ?

— შარზე ხარ, ძმაო! — მიუგო დოყლაპიაშვილმა.

— რა გაცხარებს, კაცო, — უთხრა თავმჯდომარემ — შენ მარტო წიგნები გისწავლია და სხვა არაფერი. ჩვენ კი მივარდნილ ადგილას ვცხოვრობთ და გვინდა ისეთი კაცი, რომელიც მეურნეობაზე დაგვიწყებს ლაპარაკს... მარა არაფერია: ერთ წელიწადში აქ ყველაფერს შეისწავლი!

მ. ჩიბათელი.

# სცენა ტელეფონთან

ბარიშნა, ბარიშნა! გადამაბი, დედა ნუ მოგიკვდება, ინდიქტიორ ხაჭაპურაძეს. მზათაა? სპასიბა!

(რეკავს) ვინაა ტელეფონთან? ჰა?.. ინდიქტიორი ხარ?.. გვაცა, ბოშო, გვაცა! ვინაა იქინე, რომ გეეკვება შუაზე?!. რაო?.. საჩხერე ხარ!! რა ეშმაკად მინდა საჩხერე! ბარიშნა ბარიშნა! მომაშორე ეს საჩხერე, უთხარი: „უთხარი ნუ ეჩხირები-თქვა", და დედა ნუ მოგიკვდება, და რაცხაფერად, ინდიქტიორს დამალაპარაკე

(რეკავს) ინდიქტიორ, ინდიქტიორ! ჰა!.. რაიო, რაიო?.. კაცხი ხარ?!: დედაია, რა ვქნა აწი! ბარიშნა, ბარიშნა?.. სიდ, ჯანაბაში წადი!.. ჰა?.. ბარიშნა ხარ?:: ე, ქალო მიშველე და რავაღარცალა გადამაფსკვენ ინდიქტიორ ხაჭაპურიძეს

(რეკავს), ინდიქტიორ, ნდიქტიორ? ჰა?.. მერჯევეი ხარ?!. ვაიმე, რა წყალს მივცე თავი! ბარიშნა, ბარიშნა?.: შე, ქალო, მიშველე, მომეხმარე შენს სულის კილტეს დაენაცვლოს აფთასიონ სიკინჭალაშვილი. რაცხაფერად შემაერთე ინდიქტიორს და მაგიორი პატივისცემა გადამახდიე.

(რეკავს), ინდქტორ სისოიჩ, შენა ხარ? მადლობა ღმერთს!.. გვაცა, ბატონო, გვაცა! რა კაცხიო, რის მერჯევიო, ინდიქტიორს ველაპარაკები! აპა, თუ მაცალონ ამ ყურუმსაღებმა! ინდიქტიორ! მეიხედე აქეთ. ოო, ძლივს! ზრასტი, ინდიქტიორ, ზრასტი! რავა ხარ, ბიჭო, დუქანი დაგილუქეს? ნუ მელაპარაკები, შე კაცო?!. რეიზა, ბიჭო, რეიზა? შავ სიაში ჩაგწერეს?.. დედა, ღმერთო მომკალი აწი! რატომ, ბიჭო, რატომ? გირვანქაში ჩეთვერს აპარავდიო?!. რა უყოთ მერე!.. აწი და ჩეთვრის გულიზა გაგაპრილადეს შე საცოდავო... რაიო?.:: კომპერატიას დარჩა ბურთი და მოედანიო? რაფერ, ბიჭო, რაფერ? ბუზკანტები და დაირები მეიტანეს? აწი? ფართალი დეილია და ბუზკანტები წაიღეთო! წამევიდოთ, შე კაცო, რა გენაღვლება! დაირი შენ და ბუზკანტი მე. უპრიწინოთ და დაუაროთ ლეკური. რაიო?.. ლების პირებს ყიდულობდენ და ფანჯრები ჩაულეწიათ კომპერატიაშიო?!. ნუ ლაპარაკობ, შე კაცო? ჰა? რა სთქვი? ცომ ქადს აცხობს კოომპერატია და კუჭი ამეშალაო?!. რა გიჭირს მერე, სლაპიტელი აღარ დაგჭირდება. ინდიქტიორ? მეიხედე აქეთ? გვაცა, ბარიშნა, გვაცა! ერთი „პრავილაზე" დამალაპარიკე იმ კაცს! ვოტ თებე ნა! ინდიქტიორ, ხმა ამეიღე, შე კაცო, რავა ხრინწიანი ყვიჩილივით წრიპინებს! რაიო, ინვალიდების მაღაზიაო? ჰო, გევიგონე, შე კაცო, ყრუ კი არა ვარ! მერე? „დავესკას" აყოლებს?! ნუ ბოდიალობ, ბოშო, საფართლოს „სადავესკო" რაი აქვს, საყასპო კი არა! რა იყიდე? პირკალი! აწი?.. გინდა თუ არა თავსაფარი წეიღო?.. მუქთათ თუა, წამოიღე, რა გენაღვლება! ფულით? გინდა თუ არა კაის საქონელს გლახაც უნდა მოაყოლოვო?! აი, ახალი პიმპილა თუ გინდა აგია, ინდიქტიორ, ინდიქტიორ?!. არ მინდა, ბატონო, ეს კაცხი, ვოტ თებე ნა! ასტე აბნეული ამბები თქვა ჩემმა მტერმა!.. ინდიქტიორ? საჩხერე ხარ?.. არ მინდა, ბატონო, ეს საჩხერე, გეიგონეთ ყურში! ვოტ თებე ნა! ბარიშნა, ბარიშნა! აი, მამაჩემთან წადი!.. ფფუი!.. თავს-ლაფი დაესხა ამისთანა ლაპარაკს!::

გოგია

# თელავი

ცნახე ძველი თელავი ბურჯებ გალავნიანი,
ელექტრონით ნათელი, აბრეშუმ ქარხნიანი,
საყდრები დაკეტილი, მოხსნილ გუმბათიანი;
ყანთარი ცარიელი, რიყე მრავალქვიანი;
ბაზაზხანა ჩამკვდარი, მუშკოპი ფართლიანი;
მოედანი გაშლილი, ბაღი გულვარიდანი..
აღარ იწვის დუქნის წინ მწვადები შაშხიანი,
არსად არღნის ჭყვიტინი, სიმღერა ხრინწიანი.
არსად დოლი და ზურნა, არსად ხაშის დუქნები,
არსად ბაღდადურის ხმა, კინტობიკის ბუქნები,
ჭანდარი დაღვრემილა, გაფრენია „მსუქნები".
ცხელ-ცხელი ისანსლება ხინკალი და ქუფთები.
თელავს შემოხვევია შენობების ხანძარი.
(ხუცების მეფობაში ირეკდა საყდრის ზარი),
დღეს კი ალმასკომსა ჰყავს რაზმი, ცეცხლის მქრობელი,
ერთი ბოჭკა ტუმთობი, მეხანძრენი ზორბები.
მაგრამ ერთი აკლიათ, — არ უვარგათ საყვირი;
საზიდავში უბიათ თეთრი დიდყურა ვირი,
და თუ გაქირი დაჰკრა, ეს ამბავიც ხშირია —
კულაკი მედიდურობს, თავი ალა ჰგონია,
პირნახულს გადამალავს, ვითომც არაფ კი ჰქონია,
გარედ თავს მოისაწყლებს, ვითომ ტაბაბუკია,
რომ ნახოთ, გაკვირდებით. ნეტა ეს რა „ტუკია"?
ხარჯს არ სდილობს, ცრემლს აფრქვევს, გაჰკივის ვით ბუკია,
ამისთანა ხორცმეტებს ამოეჭრას სუკია.

ნარკანი.

# ყველას... ყველას... ყველას...

მშრომელო მასა
არ დაივიწყო
შენ ჩვენი კასა,
ეხლა გაიგებთ
თქვენ იმის ფასსა!
მაშ, დაემზადეთ,
დე, იყოს სმენა:
მტრებმა ჩაიდეთ
პუცელში ენა;
შავი დღისათვის
ყველას გაქვთ ფული,
ხშირად ნახოობთ,
გიტოკავთ გული,
ნუ დამიმალავთ,
მე თვითონ ვიცი,
რათ უნდა ამას
ამოინი ფიცი,
თუ გინდა
რომ მოგემატოს
შენ მანეთზე
რვა, ცხრა გროში.
ბავშებს რამე უყიდო,
ცოლს ჩააცვა
ფეხზე ქოში,
გაიქეცი, შეიტანე
ის შენმახველ სალაროში.
ჩუმად გეგდოს,
რას მოიგებ,
გაუჩნდება ობია,
გაეშორე სალაროსკენ,
მე შენ გირჩევ, სჯობია...
როცა გინდა, გამოიტან,
ნაწილობრივ,
თუ გინდ სრულად,
ღარიბი ხარ დაგჭირდება:
ოჯახს ითვლი
რვა-ცხრა სულად.
არ ასესხოთ კულაკებს,
ჩვენი დროის „ბურაკებს".
გეტყვიან ტკბილად არაკებს",
შეგპირდება ზვარაკებს.
მოგატყუებს, გამომგცანცლავს,
არ არსებობს მისთვის ვადა,
ბოლოს გეტყვის:
„უკაცრავათ, ასეთია
ჩემი მადა"!..
საიდუმლოთ შეგინახავს
მხოლოდ ჩვენი სალარო,
მე შენ გირჩევ, ამხანაგო,
ის სხვას არვის ადარო.
სახელმწიფოც იხეირებს,
გარდიქმნება ყველაფერი,
ქალაქი აღორძინდება,
სოფელს შეიცვლება ფერი.
ერთად პირი, სალაროსკენ!
აბა, ბიჭო, ჰერი, ჰერი.
შერცხვეს ჩვენი
მტერ-ორგული:
კულაკი და
მღვდელი-ბერი!..

ძველი.




— რით აიხსნება ამ დაწესებულებაში ეს უჩვეულო წესრიგი?
— ვერა ხედავ, კედელზე, რომ საჩივრის ყუთი ჩამოუკიდიათ?

# ღვინის გაჩენა

მიუხედავად იმისა, რომ ღვინო ჩვენში საზოგადოების პირველ მოთხოვნილების საგნად არის უკვე აღიარებული, ჩვენმა საზოგადოებამ (და მეცნიერებმაც) არ იცის, თუ საიდან წარმოიშვა ის.

ეს ჩემი პატარა შრომა იქნება ცდა ამ საკითხის მეცნიერული საფუძვლების გამოძებნისათვის.

უძველეს დროში ერთმა ფილოსოფოსმა შეურია ერთიმეორეს: მაიმუნის, თხის და ღორის სისხლი, დაღვარა ეს ნარევი მიწაზე, სადაც ამოვიდა ვაზი. აი, სწორედ აქედან წარმოიშვა ვენახი და ვენახიდან კი — ღვინო.

შეიძლება ეს ჩემი გამოკვლევა ვინმემ გადაჭარბებად მიიღოს. მაშინ მე ნება მომეცით დავამტკიცო ეს უტყუარი და ფაქტიური საბუთებით.

თუ მართლა მაიმუნის, თხის და ღორის სისხლიდან შესდგება ღვინო, მაშინ ყველა ესენი უნდა მოქმედებდეს ღვინის მსმელ ადამიანზე.

დიახ, ეს ასეცაა: როცა ადამიანი ცოტათი დათვრება (ე. ი. „შეზარხოშდება"), ის მაშინ მაიმუნი ხდება, „გამაიმუნდება". შემდეგ თუ კიდევ დაუმატა ღვინო, ის ადის თხის საფეხურამდი; მაშინ ის იწყებს ყველაფერს, თხასავით ხტუნვას და მეტიჩრობას. ამის შემდეგ თუ კიდევ გადახუხა,—ის უკვე ღორად იქცევა: მისთვის ერთია, როგორც ღორისათვის, ტალახი, წყალი, თოვლი, ყველგან გორაობს.

დიახ, ეს ასეა. ყველაფერი ამის შემდეგ მე მგონია: რომ ეს ჩემი დებულება დამტკიცებულია და აქ საკამათო არაფერია.

დ. ილეხურ.

# რია-რია

## სენაკის „ცეცხლის მქრობელი რაზმი“

**ხმა:** — ბიჭოს, პაჟარი, პაჟარი, დარეკეთ სადგურის ზარი. (რეკა ზარების განურჩევლად ისმის).

**ხმები:** — ამხანაგო, სადაა პაჟარი ან ის ქალი ვინაა, რომ ასე ჰკივის?

**სანდრო:** — არ ვიცი სწორედ, ამბობენ სასამართლოშიაო.

**ქალი:** — ტიტუუ. რა მეშველება აწი? არა ხართ ქრისტიანი! მომეშველეთ!

**სანდრო:** ბიჭო, ვანო. წადი და ნიკოს ნაჯახი გამოართვი, სახურავი გადავაძროთ. (ვანო გარბის).

**ხმა:** — სანდრო, სანდრო, ბიჭო, აჰა, ერთი ვედრო წყალი, დაასხი...

**სანდრო:** — ვა, ერთი რას მეყოფა? (ვანო მორბის და ხელში ნაჯახი უჭირავს, იქვე რალაცას წაებორძიკება და წაიქცევა).

**სანდრო:** (ვანოს) ვა, რა მოგივიდა? ეხლა რამ წაგაქცია? (ვანო აწვდის სანდროს ნაჯახს, სანდრო იწყებს სახურავის აძრობას).

**მილიციონერი:** — არ აყარო მე გეუბნები, სახურავი, თორემ... (რევოლვერზე მიიდებს ხელს).

**სანდრო:** — მა რა ვქნა შე კაი კაცო, ამდენ ხანს სახლი ქე დაიწვება, თუ არ მოვეხმარეთ ადრევე.

**ხმა:** — ბიჭოს, ჩუ, რკინის გზის პაჟარნი კამანდა მოდის.

**ხმა:** — ხაზარდა, გზა დაგვითმეთ, (ამ დროს წყლის ბოჭკას ბორბალი გამოუვარდება. ხელით მიცვივდებიან და როგორაც იქნება წაათრევენ).

**მიხო:** — (ლადოს) კაცო. ქალაქის ცეცხლის მქრობელი რაზმის ავტომობილი მგონია, ახალია და თუ ახალია, რატომ არ იჩენს აქტივობას ამ ცეცხლის დაქრობაში.

**ლადო:** — რა ვიცი, აქაური ცეცხლის მქრობელი რაზმი ყოველთვის ასეა. სახლი რომ დაიწვის, მერე მოვა მოსაშველებლად.

**მიხო:** — ბიჭო, ჩუ რალაც მოგუგუნებს.

**ხმები:** — პაჟარნი კამანდა, პაჟარნი კამანდა... (ზოგი უკრავს ტაშს და ზოგიც სიხარულისაგან ცეკვობს).

**ხმები:** ახალი პაჟარნი კამანდა... (ავტომობილი სასამართლოს წინ ჩამოდგება).

**პირველი ხანძართმქრობელი:** — ბიჭო, ეს კრანტი სად უნდა გაუკეთო?

**მეორე ხანძ. მქ.:** — არ ვიცი სწორედ.

**მესამე:** — ეს შლანგი სად უნდა გავაკეთოთ?

**მეორე ხანძ მქრ.** — ეს შლანგი უკან უნდა გავაკეთოთ.

**მუშა:** — ვა, შე ოჯახქორო, სანამდი თქვენ ამას გამოაწყობდეთ, მანამდი ქე დაიწვება ეს სუდი.

**პირვ. ხანძ. მქრ:** — სუ, თავი შეიკავე, ხომ ხედავ (უჩვენებს მუშტს).

**მესამე ხანძ. მქრ.** — (უძახის) წყალი მაგრად გაუშვი; არ გესმის?

**პირველი ხანძ. მქრ.** — გაშვებულია, გაშვებული. (შლანგით წყალს აქა-იქ ასხამს, ხან ხალხისაკენაც).

**ხმა:** — კაცო, ჩვენ რომ გვასხამთ წყალს, ჩვენ ხომ არ გვეკიდება ცეცხლი? იმ სახლს ეკიდება და თუ შეგიძლიათ, ის დააქრეთ.

**ვალერიანე:** — ოტ, შე მამაძაღლო, როგორ გაბედე წყლის გაშვება; ხომ ხედავ წყალმა ფეხი დამისველა?

**ხანძართ მქრობელი:** — რა ვქნა, ბატონო, არ ვიცოდი შენ თუ აქ იყავი, თორემ არ გავბედავდი.

**ხმა:** — მოქალაქენო დაიშალენით, ცეცხლი ჩაქრობილია.

**ხმა:** — ვინ ჩააქრო?

**ხმა:** — ვინ და პაჟარნი კამანდამ.

**ხმები:** — იმდენი მამა გიცხონდათ. იმათ კი არა, ეს ჩვენი ბიჭები რომ არ ყოფილიყვნენ ეს შენობა ეხლა დამწვარი იქნებოდა. ხალხი ნელნელა იშლება.

**მიხეილ ველისპირელი.**

---

### ალბულალი. (ტფ. მაზ.)

ივლიანე მარკოზია
ერმ-სკოლების გამგე გახლავს.
კაცს ძმა-ბიჭათ გაუხდება,
თუ კი ღვინის სმაში ნახავს.
ის დამჯდარა ალბულალში,
გეგონებათ კომისარი.
სკოლებს მაინც არ დაივლის,
სულ რომ ურტყა თავში სარი.
მაწევანში დაგვინიშნეს
მასწავლებლად ბოკერია.
დაერია მოწაფეებს
თითქოს ვეფხვის ბოკერია.
გაგუას კი ასე უთხრათ
თუ გინდ მივსცეთ დარიგება:
გრიშას თავი დაანებოს,
უჯობს ვანოს შერიგება.
ვინ არ იცნობს ალბულალში
ავაქოვს და ზედანიას.
ლაპარაკს, რომ დაიწყებენ—
გულზე მოგფენს ვარდს და იას.
ზურგს უკნიდან კი სამარეს
გაგითხრიან თავის ხელით
თვითონ კი თავს იმართლებენ.
გაძვრებიან „გველის ხვრელით“.

**შევარდენი.**

### კოდა ტფილისის მაზრა

ტარტაროზო, შეიძლება.
გაგეგონოს სადმე კოდა,
აქ ვაჭრები თარეშობენ,
ახალი აქვთ ხერხი-მოდა...
გზებს და ხიდებს ნუ იკითხავ
აქ არსად არ გაისვლება.
ჩვენი მტკვარიც ვერ გარეცხავს,
ვინც ტალახით გაისვრება.
ამ სოფელს არ ჩამორჩება
წინმსვლელობით ჩვენი ბოგვი,
შენი კერძი აქ ბევრია,
თუ კი შენი ცოცხით მოჰგვი.
**კოოპერატივს** თუ იკითხავ—
ცარიელი აქვს მას თარო.
გლეხებს რაც სურთ ის არ არის,
და ეს არის სამწუხარო.
**სალორშენის** სატყეოში
დღეს ვინ იცის რა არ ხდება.
თუმც ბევრია ტყის მცველები,
მაგრამ ტყე კი იჩეხება.
შენთვის დღეს ხომ ცნობილია
აეთარი-წყარო, ალბულალი,
ზევრაც ისე გათავხედდა,
რომ სჭირია შენი დალი.

**ქ. სორტელი.**

### გომი, ქუთ. მაზრა

**ბადაყენებული თავმჯდომარის გოდება.**

ალმასკომის თავმჯდომარედ
დამაყენეს — დელიაო.
მამაპაპურ ჩვეულებებს
უცებ მივყავ ხელიაო.
ვფიქრობდი, რომ მე ვიყავი
ჩვენი თემის მამა-ღმერთი,
ალმასკომის თავმჯდომარედ,
მე ვვარგოდი მხოლოდ ერთი.
მოახლოვდა არჩევნები,
შესდგა კომისიებიო,
გაცხოველდა მუშაობა,
შეადგინეს სიებიო,
ჩამამწარეს, ჩამაშხამეს,
სამართალი არის ესო.
გული ძალზე შემიწუხდა
რომ პანღური ამომკრესო.
ალმასკომის თავმჯდომარეც
ხელს ნუ მიჰყოფ ლხენასაო.
თორემ ბოლო დროს მოიმკი.
ჩემებრ ცრემლთა დენასაო.

**ცულმბური.**

# პროვინციალური



საჯევახოს ბაზარი
თუ არ გაწყდა ბაწარი.

## მუშკოოპში

**მოძრავი კაბინეთი.**

მუშკოპში გახლავთ სექცია,
ნარ-პიტათ წოდებულია,
და მისი ჯავრით, ტარტაროზ,
ცეცხლი მაქვს მოდებულია.
(თავს გეფიცები, ტარტაროზ,
არ მითქვამს ტყვილად ლექცია;
როგორც ურემის ბორბალი,
მოძრავი არის სექცია)
როდესაც იგი დაარსდა.
გამგეობისგან ლოცვითა,—
ის მოათავსეს, ძამია,
სადაც ვაჭრობენ ხორცითა.
მეორეთ, ფუძე, უცვალეს
პურის სექციის ბინაში..
უთუოთ სმენას დაკარგავთ,
რომ დარჩეთ, იქ ერთ კვირაში)
მესამეთ—გადაულოცეს
იგი მუშკოპის სალაროს,
სადაც მოლარეთ კუდები
დგანან დილას და საღამოს.
ხან ზემო სართულს ასტუმრეს,
ხან ქვევით ჩამოატარეს;
სექციის ამმაგიდით
ასე ამ ყოფით ატარეს.
ასე მოეპყრენ სექციას
სახალხო კვებას და გამგეს,—
და ბოლოს სამმართველოდან
ის სამუდამოთ აბარგეს.
ბევრი ვეძებე და შემდეგ
რუსთაველზე ვნახე, მგონია;
თვით კაბინეტი გამგითურთ
დალევრემილ-დანაღონია.
მას ორიონტში უშოვეს.
ერთი პატარა ოთახი
და იქ მოაწყო სექციამ
ეს ნაწამები ოჯახი.
მიდიხარ ხელ მოსაწერათ,
მერმეთ მუშკოპში ბრუნდები,
და ერთ უბრალო რაიმეს
თითქმის მთელი დღე უნდები
ასე შორს მისვლა და მოსვლა
სულ არარაფერს აღარ გავს,
შრომის ნაყოფის მაგიერ,
მშრომელი მეტ დროს დაკარგავს.

**ოხტომეს-პირელი.**

## მარანი

ტარტაროზო, ლალე,
მე შენ გენაცვალე,
შენი სამთითა ჩანგალი
მოგვაშველე მალე!
ახლოს აქ პარმენ მიქაძეს
სანარდო გაუხსნია,
გლეხებს ხომ ტყავი გააძრო,
(დახე, წყეულს რა უქნია!!.)
იმას უკან არ დარჩება
მისი ცოლი, „სპეცი“ მარო,
ნარდის თამაშს ის გასწავლით,
თუ გსურს მისთვის მიებარო,
დღე და ღამე მათ დუქანში
ერთი აურ-ზაურია,
მარუსია გაიძახის:
„დავაი ორი შაურია!“
თავს იყრიან აქ ოცობით:
ალექსანდრე, გიორგი, „ნინა“,
წასულ წელში ალმასკომმა
ჩვენი თხოვნა შეისმინა.
როს მზე ჩაწვა ცის კიდურში
და დაბნელდა არე-მარე,
იმათ ნარდი ჩამოართვეს,
დარჩა მარო მგლოვიარე.
ეხლა კიდევ კვლავ განაგრძობს,
როს მიყუჩდა მათზე ხმები...
შეგვაწუხეს::: მოგვაცალეთ:::
ასე ამბობს აქ გლეხები.
კოოპერატივს მოევლინა
ვინმე ლადი ცაგურია,
ნაცნობებში დატრიალებს,
უცნობს მუხრი გაურია.
როს ჩითების კრიზისია,
თეთრეული გლეხს აკლდება,
ფოსტის გამგის ცოლი, ლიდა
დატვირთული მიბრძანდება.
ფოსტისკენაც, ვისგანც ჯერ არს,
საჭიროა ყურადღება,
სიმართლეა—თვალდახელშვა
წერილები იკარგება.
ჩვენ მის გამგეს ვეკითხებით:
„კოლა, ასე რატომ ხდება?).

**ბრაგუნა.**

## ზესტაფონში

ტარტაროზჯან, გენაცვალე,
კალამს ვფერამ,
ეს იკმარე, შემდეგ მალე
სხვას მოგწერამ.
შენ ვერ იცნობ
აქ წაქაძე ონისიმეს,
მუშკორებმა გაზეთში, რომ
გამოჭიმეს?!.
ნოქრათ გახლავსთ პურის საცხობ
ჩვენ „ზაკტპო-ში,
რომ ეხვეწო, პურს არ მოქცემს,
თუ აქვს ხოში.
უხეშ სიტყვით გაგაბრაზებს
სწორეთ მაშინ
და კიდევაც გითავაზებს
„სილას“ ყბაში.
როცა მუშას ეჩქარება,
მიდის მასთან,
„პური არ მაქვს“-ეუბნება:
„წადი სხვასთან“.
გადამალულ პურს კი აძლევს
ვაჭრებს, ჩარჩებს;
ტარტაროზო, მას ამ საქმეს
ნუ შეარჩენ!

**ძირულელი თალა.**

### ცხვრის დუმა

**სურამი.**

ეს სოფელი დუმა არის
მოხერხებით სათალიო,
და ამ თლაში, როგორც ვამჩნევ,
არავინ მყავს ბადალიო.
სურამის ფსიხალშენში
მსახურობენ მრავალიო.
ვინ გამგის —სად რას ვშვრები,
სად ფული მაქვს, სად ვალიო.
„ზავხოზ“-ადმინისტრატორის
მე გავითქვი სახელიო;
ჩემი რისხვით ხმას ვერ ძრავენ,
ვისაც რა აქვთ სათქმელიო.
ხნიერი დიასახლისი
ოალაც ხრიკებს მოვუხერხებ
მსურს იმათი გაგდებაო.

**ხერხი.**

# ჩია კაცი
## (თუ იკადრება)

— წაიკითხეთ?..

— რა?

გავიოცე მე.

— წაიკითხავდი-ი-ი-ი...

გააჭიანურა ჩემმა მოსაუბრემ, თუმცა თითონ მთელ თავის სიცოცხლეში სულ საქმის გაჭიანურებისა, თუ სხვა რამ ბიუროკრატიულ სნეულებათა წინააღმდეგ სწერს და ლაპარაკობს, ერთი სიტყვით, იბრძვის.

— რას წავიკითხავდი? არ მესმის!..

ვუპასუხე მე და თვალები დაბლა დავხარე, ნიშნად ჩემი დათმობისა და, მოთჩილებისა ჩემზე უფრო ძლიერი ადამიანის წინაშე, როგორსაც ამჟამად ჩემი ნაცნობი უთუოდ წარმოადგენდა, რადგან მან უკვე იცოდა, ის რაც ჩემთვის ჯერჯერობით მთელ გამოურკვეველ უსახლვრობას შეიცავდა.

— არა, ან მაშინ ვინ აიძულებდა, როცა თავის ერთგულებას გვეფიცებოდა, ან დღეს ვინ რად აგდებს მის ასეთ ქამობასა და ქამელეონობას?!.

განაგრძობდა ჩემი ნაცნობი, თითქოს, დასაწყისი ამ სასაუბროსი ჩემთვის უკვე გასაგები და ცნობილი იყო. თითქოს ჩემთვისაც ისევე სავალდებულო იყო ყოველივე ამის ცოდნა, როგორც ეს თითონ მას ჰქონდა უკვე გაგებული და ალბათ, ამ წუთამდი რამდენიმე ჩემისთანა გაოგნებული პირისათვის გაცნობილ-გადაცემული კიდეც.

მე ერთხანათ ეჭვიც კი ამეძრა: შეიძლება ესეც როგორც ათასი სხვა, ისევ „მისტერ ტროცკის“ შესახებ მომითხრობდეს - მეთქი.— მაგრამ თავი შევიკავე და აღარ დავამცირე ასეთ უკვე ღრმად ჩამოქმულ და თითქმის ტრაფარეტად ქცეულ საგნამდის დაყვანა ჩემი ნაცნობის სენსაციურობით სავსე,— თუმცა ჩემთვის ჯერ კიდევ გამოუცნობელ ამბისა.

— ვის არ აიძულებდენ? ვინ იქამელეონა? არ მესმის, მართალი გითხრათ...

სასოწარკვეთილებით მივუგე მე და ხელები ისე გავშალე მისი ცხვირის წინ, თითქოს ეს არის, სათხეველ ბადეს გადავუძახე ამღვრეულ წყლით სავსე მორევში ჯერ კიდევ გამოურკვეველი სიდიდისა, ფორმისა და რაოდენობის თევზის დასაჭერადო.

— არა, მე სულ ეჭვი მეპარებოდა მასზედ... არაფერი მოწამდა რა იმ კაცისა, უნდა გამოგიტყდეთ.: მხოლოდ თქვენ ერთი დამჩრით, თორემ თითქმის ყველა ჩვენს ამხანაგს გავუზიარე უკვე მაშინვე ეს ჩემი აზრი.

ისე განაგრძობდა ჩემი მოსაუბრე ამ საინტერესო, ხოლო ჩემთვის იმდენადვე ინტერეს მოკლებულ, რამდენადაც საიდუმლო და ჯერ კიდევ გამოურკვეველ საგანზე ბაასს, თითქოს მეც ისე, მქონდეს იგი ათასჯერ გადაღეჭილი, როგორც მას; თითქოს, რადგან საგნის ინტერესი ეგზომ დიდი იყო, იგი ჩემთვისაც ისევე სავალდებულო იყო საცოდნელად, როგორც მისთვის.

— ვისზედ მელაპარაკებით, მითხარით ბარემ იწამეთ ღმერთი, თორემ არაფერი მესმის!

გადაჭრით გამოვუცხადე ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა და დაწყებული ამბის ქვევით განგრძობისათვის შესათანამგზავრებლად ამოძრავებულ-ამოქმედებული ხელი შუა ბაზარში დაჭერილი ქურდივით გაქაჩული ზე. კაკალ ცხვირის წინ შევუჩერე, თითქოს ამით დავემუქრე: „თუ ეხლავე თავიდანვე დალაგებით არ ამიხსნია ყველაფერი, აი, ამ საკუთარი ხელით მიგიქყლეტ მაგ ცხვირს მაგ უტიფარი შუბლის ძირზე-თქვა!“.

— როგორ, მართლა არაფერი იცით?!..

მოთმინების კიდევ უფრო გამწყალებელ-გამანადგურებელი პოზით გაიოცა მან.

— არა, ღმერთი, რჯული, დაღრანჯული, არაფერი მესმის!..

— კარგი ახლა!.

— ღმერთი, რჯული...

ვუმეორებ მე.

დიდი გრეხისა და ზლაზვნა-ლოღნის შემდეგ, ჩემმა ნაცნობმა ძლივს ამოაყრანტალა:

— ისტრატი, კაცო, პანაიოტ ისტრატი, ცნობილი „პროლეტარული“ მწერალი, ბალკანეთის „მაქსიმ გორკი,“ ჩვენი ბ-ბ-ბ-ბ-ს დიდი მეგობარი!..

— ვინ ბ-ბ-ბ-ბ, კაცო, რას ამბობ? გავიოცე მე, რადგან მეგონა თუ ენაბლუ ვინმეზე მელაპარაკებოდა, რომლის სახელსა და გვარს განგებ ასეთი ირონიული „ბ-ბ-ბ-ბ-“თი გამოხატავს.. და ახლა ჩემთან საუბარში, ხოლო ასეთი ენაბლუი კი მე არ მაგონდებოდა ჩვენ ნაცნობთა შორის.

მართალია, არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც ასოს-ასოს ძლივს ასკვნიან, სიტყვების ერთმანეთზე გადაბმა აბა ხომ კიდევ მეტად უჭირთ, ხოლო მეტიჩრობა კი იმდენი აქვთ, რომ არა თუ პანაიოტ ისტრატებს გაუყადრებენ თავს, შექსპირი ან გიოტე რომ წამოდგეს, იმათაც კი — დაჯექი, ამხანაგო, თქვენ არ გესმისო,— უმალ პირში მიახლიან ხოლმე, მაგრამ ისტრატის პირად მეგობრად მათ შორის მე მაინც არავინ მეგულებოდა, გარდა....

ეს მოხდა ერთ ინტიმიურ ბანკეტზე აქ რამდენიმე წლის წინად. სხვადასხვა ქვეყნის მწერალ-მოაზრეთა შორის, ერთი დაბალი, ჩია ტანის კაციც ერია. სახე შავი ჰქონდა, ვიწრო, ისე ჩოფური და დაჭყლეტილი, ღობეში რომ მწარე კვახი გაეხირება და ფერდები მიეზნიქ-მოეზნიქება ხოლმე.

ეს გახლდათ პანაიოტ ისტრატი.

ჩვენ შორის ახალგაზრდებიც, ერიუნ. ისინი, ბუზები რომ თაფლს შემოეხვევა ხოლმე, ისე შემორტყმოდენ გარს ამ ჩია კაცს და ჩვენ, მოხუცებს, აღარ გვითმობდენ იმის თავს.

მახსოვს, ვიღაცამ რაღაც წიგნი მიართვა საჩუქრად. ყველა ახალგაზრდამ თავიანთი სახელ-გვარები და, მგონი, ზოგი ტიტულებიც ჩაჰოუჭიკჭიკეს წიგნის ყდებზე, უბეში ჩაუდვეს ამ ჩია კაცს და თან გაატანეს. მე ჩემი ფაქსიმელეთი აღარ გამიჭუჭყიანებია იმ ჩია კაცის ფაქიზი უბე.

მახსოვს, ყველაფერი ეს კარგათ მახსოვს, აქ „ბე-ბე-ბე“ მართლაც ბევრი ერია, თუმცა ყველას ვერ დაიმახსოვრებ კაცი.

მე ამ ფიქრებმა გამიტაცა და მოსაუბრეც მე მომჩერებოდა. ალბათ, თუ განიცდიდა იმ შინაგან სიამოვნებას, რომელიც ყოველ მეჭორე კაცს ახასიათებს ხოლმე.

თუმცა მაპატიე, ჩემო ნაცნობო და მეგობარო, თქვენ ამჟამად ჭორთან კი არ გქონდათ საქმე, არამედ მორთან, თუმცა საბედნიეროდ— შორთან, შორეულ, ძალიან შორეულ უსიამოვნებასთან...

გავაჭიანურე ჩემის მხრით ახლა უკვე მე და გადავხედე ჩემს მოსაუბრეს, რომელსაც, რა კი შევამჩნიე, რომ დაწყებული საუბრის განგრძობა ძალიან სურდა, შესაფერი საკენკი გადავუყარე

— მერე რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, აღარ მეტყვი?!.

— მოსაწყენია-ო, ჩვენზე უთქვამს, საბჭოთა ქვეყანა აღარ მაინტერესებსო, მე უფრო რევოლიუციონური რომანტიკის მოტრფიალე ვარო!..

— ჰმ!.

— იცით, რა გითხრათ—მოუჭუჭერი მოსაუბრეს მე, ცოტათი გულმოსულმა:

— არ ვიცი, რამდენი დღე გაატარა ისტრატიმ საბჭოთა კავშირში, რამდენი ჩემისთანა საბჭოთა მოქალაქე ნახა მან ამ ხნის განმავლობაში, ხოლო პირადათ ჩემთვის იგი იმ ერთი დღის იმ რამდენიმე საათის განმავლობაშიც კი მოსაწყენი იყო, ინტერეს მოკლებულიც და, თუ გნებავთ, რომანტიზმისაგანაც შორს, მიუხედავათ იმისა, რომ მან, ზოგიერთ შემთხვევით იქ მობრძანებულ ქალბატონებთან ერთად, სუფრის თავზე გადმოხტომით ლეკურიც კი დაუარა...

ლეკურს იგი თამაშობდა ფეხებით, ჩვეხებური კახურისა და განსაკუთრებით კი - ხვანჭკარას გავლენით. ხოლო რას ფიქრობდა იმ წუთს მისი თავი, ან რას გრძნობდა მისი გული, ეს კი დღემდის არავინ იცოდა...

არც მე, თუმცა ზოგიერთებივით სხვა ავანსი კი არაფერი მიმიცია მისთვის, გარდა ღვინისა!..

ღვინოს კი ჩვენში ზოგჯერ, პირიქით, ადამიანის დასაჩაგრავადაც კი იმეტებენ ხოლმე.

ონისიმე.

# წასვლა ისტრატისა ს.ს. რ. კავშირიდან




მე იქ რა გამაძლებინებს,
თქვენი ხმა არ მომდიოდა.

# ბათომის რპ.-გზ. 7 წლედი



მოწაფე (საზოგადო მეცნიერების მასწავლებელ მოისწრაფეშვილს): — მასწავლებელო, რას ნიშნავს ასოციაცია?

მოისწრაფეშვილი: — ასოციაცია არის ისეთი ორგანიზაცია, რომელშიაც ას-ოცი კაცია.

# ქუთაისი

ტარტაროზჯან, რა რომ ვერა მოგწერე,
ვასულია: აღარ მახსოვს რახანი...
ეხლა კი მსურს დავამღერო ყოველი,
როგორც ჩვენი ალფეზიას არღანი.

—:—

მუშათა კლუბს თუ იკითხავ, ნათლიჯან,
შევანელეთ მუშაობა, რა გვიშავს.
განათება თუმცა ხშირად არა გვაქვს,
მაინც ვაკრავთ ათ მეტრიან აფიშას.

—:—

ფარდის ამწევს მოხვდა საკრამენია,
აწევასაც აღარა ვსცნობთ საჭიროთ,
რომ წაგვბაძოთ: გირჩევთ ყველა კლუბებსა
და ხარჯები თქვენთ ასე შეამციროთ.

—:—

როს იქცევა ფარდა ნაფლეთ ძონძებად,
რომ გაჭვრეტა აღარ იყოს ძნელია,
ფარდის უკან ჩაატარეთ პიესა!
არ ივარგებს? — (აბა, რა სათქმელია).

—:—

როცა მორიგ წარმოდგენას ვაცხადებთ,
მაშინ ბნელა, სხვა დროს კი ნათელია.
ვალად გვადევს, რომ გავიგოთ, ტარტაროზ,
ელსადგურში თუ ბოროტი ხელია?!

—:—

სტრახ კასამაც საქმე გაატრაქტორა,
გთხოვ, ამათაც აუწიო ყურები,
რიგში აურზაურია კასის წინ,
არ რიგდება წესიერად ფულები.

—:—

უნდა გითხრა, შალის საქსოვ ფაბრიკას
წელს სეზონი გვიან წამოეწია,
მაგრამ ფასებს მაინც ზორბად დაუწევთ,
ტყიბულისა მადლი თუ შეგვეწია.

—:—

ტრანსპორტებიც კუს ფეხებით დადიან,
მოლოდინი ძლიერ გასაჭირია,
ტყიბულოჯან, ერთი ძმურად გვითხარი:
როდის მოვა ჩვენთვის ქვანახშირი—ა?!

—:—

როგორც მოწვიმს: ვერ ჩაუვლი უნაოთ
წყალში მცურავ სამხედრო გოსპიტალსა,
ოკეანეს შეადარებ მნახველი — ან და კიდევ
პალიასტომის ტბასა.

—:—

ქვებზე ხტება ოქროს ფეხა დამები,
აბა, წყალში, მითხარ, ნეტა, ვინ შევა?
ეწევიან კაბას ზევით ბუზღუნით
მაგრამ... (განა წელს ზევით აიწევა?)

—:—

თუმც ვიხრჩობით, აღმასკომო, მაგრამ,
სანამ გვიჩანს წყალში ცოტა თავები,
ჩაიქროლე ამ ქუჩაზე და ნახე
წვიმიან დღეს უცხო სანახავები!..

პატარა ანკესი.

## გლეხის ნაამბობი

ის იყო ი პარავოზმა გასათხოვარ ქალივით დაიყივლა თუ არა, მაშინვე ყვირილი ატყდა სოფელში: ქალაქიდან კამპანიის ხალხი მოვიდაო.

კაცო, მერე და რა გახდა. რა ერთსა და ორ კამპანიას ხომ არ უქეიფნია ჩვენ სოფელში, რომ ასე გაკვირვებიათ და გაჰკავით მეთქი?!?

რა დროს ხუმრობააო, ფეხი მალე გადმოადგიო.

თურმე ნუ იტყვით — ქალაქიდან კომისია ჩამოსულიყო თესვის კამპანიის ჩასატარებლად და მე კი სულ გამოვებერყებდი... კამპანია, კამპანია იყო, კომისიამ ჩალხი ისე დაატრიალა, როგორც გლეხებს ესიამოვნებოდათ. სათესლე ხორბალიც საკმაოდ ვიშოვნეთ. ბარე ორიოდე კულაკს— ბართლომეს და ჩაკუნტულას ზურგი აეწვათ, მაგრამ ეკუთვნოდათ კიდეც. მაშ რა ეგონათ, რომ გლეხებს ერთი ქვეყნის ხორბალი დასტყუეს და ორმოებში ჩაჰყარეს და ზედაც კრუხივით დასხდენ, შერჩებოდათ!

ჰო, და ი ქალაქელების ამბავიც აქედან დაიწყო... ჩვენი სოფლითვინა კარგა ხანია ი თესვის კომისიამ კი უველაფერი დაწვრილებით აგვიხსნა და ზედ მორტყმული ანდრესიც მოგვცა.

ჩვენც არჩეულ დელეგანტებმა გავსწიეთ ქალაქისაკენ. მივედით ი ვეჩრეედენიაში, ჯერა კურიერთან მიგვასწავლეს, მერე რიგისტრასტორთანა. მერე ეს მაშინისქრაო, ii ეშმაკის ჩაქუჩებზე რომ აბრახუნებს, მერე ქსაო, დედავოდიო, პრავდელიო, ჩეთავოდიო, ბულამტერიო, სამზავიო, ზავიო, თეთრიო, შავიო, ყველას პაპრადკაზედ აუარეთ და მერე ისევ რიგრიგით უკანვე ჩამოუარეთ, მაგრამ ი ჩვენი ტრახტორი ვერსად ვიპოვნეთ. სან კიდევ სულ ერთმანეთს აბრალებდეწ, მაგრამ ჩვენი ტრახტორი მაინც არსად ტრახ-ტრახებდა... მერე, ნაჩალიკმა ი სულ დიდი რომ არის, იმან დასჭყივლა - მაუდის ქვეშ ხომ არავინ ამოსდოვო. ამის გაგონებაზე ი ჩეში ამხანაგი გოგოლა კინაღამ გამექცა —მანდ მეც არ ამომდონ სადმე მაუდის ქვეშაო... ამ დროს ვილაცამ წამოიძახა: ნაჩხოზსა ჰკითხეთო. ახლა აღარ იკითხავთ ის ნაჩხოზი რა ყოფილა. იმ ბატონთან მისვლა არც ისა იდვილი იყო და ისევ თავიდან დავიწყეთ რიგი როგზედა.

ჩაჰყო ხელი ი ტყავის აბგაში, აი, პორტფელს რომ ეძახიან, მე ვსთქვი —ეს არის ეხლა კი ტრახტორს ამოიღებს მეთქი, მაგრამ ისემც აუშენდება ოჯახი, კაცო, ქაღის ჩულქები კი ამოაძრო ი სახნოდანა და ზედაც ჩვენი თხოვნა ექვსი თვის წინად დაწერილი. თურმე იმდენი ხანი წნილადა სდებია... ჰაი, დედასა: ეჰ, რაღა თავი შეგაწყინოთ, როგორც იქნა ჩვენ ავატრახტარეთ ი დალოცვილი ტრახტორი და ზედაც დავამღერებთ ხოლმე:

არალალე, თარალალე, არიაარალეო,

ბიჭებო, მიწა მოვხნათო, თქვენ გენაცვალეო,.

ბაზილ კანი.

## მესტვირული

(ამხანავთშენი, სად. თამარა)

სასიღმეროთ მოვემზადე —
ავიკიდე გუდა-სტვირი;
სოფელ-სოფელ ვიარები
მოუსვენრად, ვითა მწირი.—
თამარაზე ჩამოვედი,
გამოვსცადე ტანჯვა-ჭირი,
კოოპერატივს აქაურსა
დასდგომია გასაჭირი.
ღამე ქურდები დაეცენ,
დაუნგრიეს სახურავი.
საქონელი გაიტაცეს,
ასეთია ეს ამბავი.
აქ არავინ არ გამოჩნდა,
არც გზირი და აღარც მცველი;
ჩურდმა კაცმა თავისთავად
გაირბინა მინდორ-ველი.
ირგვლივ არის სადარაჯო,
ქურდი დარჩა უვნებელი;
ეს ასეთი მოქმედება
ნამდვილ არის საკვირველი.
გასულ წელშიც კი დაეცნენ,
დაანგრიეს სახურავი;—
მარა შიგნით ვერ ჩავიდენ.
შეიწუხეს ტყვილად თავი.
რაც გასულ წელს არ მოხერხდა,—
ის შესრულდა ამა წელში
და ქურდებმა საქონელი
ჩაილაგეს მუქთად ხელში.
მარა ქურდი და ბაცაცი
გაებმება ბადე-ქსელში
და ამნაირ საქმისათვის
ჩავარდება სატანჯველში.

ბუჯბუტი.

## ზესტაფონის რამე-რუმე

ავად ვიყავი დიდი ხნით
პატარა სენიც რამ მჭირდა;
ექიმი ბლომად გვყავს, მაგრამ
იმათი ნახვა გასჭირდა.
როგორც იქნა და მეღირსა —
გამსინჯა ტანზე შეხედვით,
(რას იზამ—იმათ ხელშია
ჩვენი სიცოცხლე და ბედი).
ჯერ ხომ საავადმყოფოსთან
ტალახს მიუველი ძლივას,
ცოტა დამიკლდა კისრამდე
დაშარხვასა თუ დაძირვას;
შემდეგ წავიღე რეცეპტი
და მივაშურე აფთიაქს.
წამალი არ იშოვება
იმედი რად გვაქვს—რად მიგაქვს?
შევაცვლევინე რეცეპტი
მგონი, მე შვიდჯერ ექიმსა
და გარდა ქინაქინისა,
მიღება არა მეღირსა.
სადგურში ჰყრია ტიკები
როგორც მთაში ხის მორები,
რომლებსაც ბლომათ ზიდავენ
რევიზორ-კონდუქტორები.
ეხლა კლუბიც ვინახულოთ,
ვნახოთ ერთი წარმოდგენა.
დავჯდეთ, მაგრამ ეს სად იყო
„უფროსები“ ამოდენა?
ერთი გეტყვის: „აქ დაჯექი“,
მეორე კი იქ გითითებს;
სკამებს ითვლის წინდაწინ და
და ნელ-ნელა კეცავს თითებს.
მესამე კი წამოგაგდებს:
„იქ დაჯექი, არ არის შორი,
აქ კი უნდა დავაჯინო
ქალიშვილი ბარე ორი.“

ძგუნტი

## პატარა ჯიხაიში

ტყე რომ მოგვაჭრევინეთ
სკოლის ასაშენებლად,—
სად გაიზნა ეს ხე-ტყე,
რომ არ სჩანს სახსენებლად?
გლეხკომის თავმჯდომარევ,
პავლე, აგი რა ჰქენი?
სად გაქაფე სამკითხველოს
შეშა ორი საჟენი?
ჩვენში დადის კულაშელი
გრაფინა ჯლამაძე,
აჭიროა ორიოდე
სიტყვა რომ ვთქვათ ამაზე.
გაიჩინა მოყვრეში
იმან ახალ-ახალი.
ჩონგურს უკრავს, ამღერებს,
დადის ღვინით დამთვრალი.
ჩვენში მისი სახელი
გვრინავს როგორც ქვემეხი
გასაცნობად იმისა
იმართება ქელეხი.
გესტუმრება, იქეიფებს,
სამსახურს შეგპირდება.
(ეს ასეთი ქალია,
ხურვის გაუკვირდება)...
ასე ამბობს: დიდ კაცებს
უჩურჩულებ ყურშიო;
ერთ კვირაში მოგაწყობთ
მე თქვენ სამსახურშიო.
ეს ხელობა მე ეხლა
აღარ დამიწყიაო.
ბირჟის გარედ ადგილზე
ბევრი მომიწყვიაო.
ქრთამად არ ჩამომართვად—
გზის სახარჯოს ველიო.
ტარტაროზო, მომართე
აქეთ ჩანგლის წვერიო.

სანი.

## რაც თითქმის „დამკვიდრდა“



— ვინ არიან ესენი ამ სახლს რომ ეპარებიან, ქურდები ხომ არა?
— არა, „ღამის სტუმრები“ არიან: ალბად ქარტის სათამაშოდ თუ იკრიბებიან!

## გორდის ფოსტა

ვალიკო ჩიხლაძე
გორდის ფოსტაშია,
ჯერაც ვერ გავიგებ,
თუ საქმე რაშია.
გამგეთა ბრძანდება
ჯიუტზე მეტია.
ყლსმენზე ძახილით
თავს გვესხმის რეტია.
ყუნჩხაში გაზეთებს
ხან გზავნის, ხან არა,
აჭდენმა მუდარამ
ყვილა გაგვამწარა.
მას მოვალეობა
ფეხებზე ჰკიდია.
ტელეფონი იქვე
უმიზეზოთ უკიდია.
დაგლეჯილ ჟურნალებს,
დაწეწილ გაზეთებს,
ერთი თვის შემდეგ
მოგვაწვდის ასეთებს.
მან, ალბად, არ იცის
ფოსტის დანიშნულება
მიმჯდარი ლუმელთან
სულ სხვაგან იყურება.
გამგეა ჯიუტი,
რა გასაკვირია,
მას ყურის აწევა
უთუოდ სჭირია?

პეტარდა

## ჭ ი ა თ უ რ ა

აქ თეატრის საქმეს
თითქმის არა უშავს.
თუმცა აქ დარბაზში
თქვენ ვერ ნახავთ მუშას.
კოტეს მეტათ სტანჯავს —
თუ რათ ხდება ასე!
სწუხს „სეზონი ნუ თუ
უქმათ თავაარსე“?!
ამას წინათ დასდგეს
აქ პიესა... ოჰ, და...
შიშისაგან ხალხი
გარეთ გამორბოდა.
ღმერთს შარვალი ეცვა
მოკლე, პიონერის,
და ღვთის-მშობელს — კაბა.
კაბა წითელ ფერის.
და პიესა ესე —
„ქორწინება ცაში“...
(მის ყურებას სჯობდა
ვგდებულიყავ სახლში!).

## სად. გურჯაანი

ეხ, ტარტაროზ რა იქნება,
რომ ესტუმრო გურჯაანსა
და ჩანგალი მოსდო
ქვეშ-ქვეშა და კუდიანსა.
ღვიძურ ელმწერლებს რომ ნახავს,
სურს მოჰკორტნოს ორი თვალი,
უნდა გულზე მოუკიდოს
უცნაური ცეცხლის ალი.
პროტექციას თუ იკითხავთ,
ერთიც წინ ვერ დაუხვდება,
და ასეთი საქციელი,
ტარტაროზჯან, ნუ მოხდება.

ვფიქრობ და ვერ გამიგია —
თუ უფროსი რომელია?
საქმეს ისე მოახერხებს,
როგორც გაწრთვნილი მელია:
სერგო ქვია ამ გმირ კაცსა,
არ ენაღვლის არაფერი,
ტარტაროზჯან, გენაცვალეთ,
შეუცვალეთ ცუდათ ფერი.

„პიკადილი“.

## მ ა რ ა ნ ი

### სენაკის მაზრა

იონას ვკადრებ სიტყვას ორს —
პერელიძე არის გვარადა,
მისი ხსენება, ტარტაროზ,
თუ არ გამიხდა შარადა.
„ეპოს“ სასადილოში
იყო თოდუა პარმენი,
„ეპო“-სთვის კარგი მუშაკი,
და სარგებლობის შემძენი,
მაგრამ იონა კაცია
ჩვენს თემში ხშირად ქებული—
რასაც ის ბრძანებს, ის უნდა,
იქნას ხომ გატარებული.
თოდუა მოხსნა ადგილზე,
უშარა „ნაჩვევ თემაზე“.
მის ალაგს გადმოიყვანა
ქარხნიდან ვიღაც ძნელაძე.
მეორე დილას წერილს სწერს
თავისი ბიძას ცოლისას,
აცნობებს ამბავს „საგმიროს“,
შედეგებს თვისი ბრძოლისას.
და ქარხანაში მზად არის
ალაგი შენაწყალები.
იონას „ბიძას“ სალხინოდ,
ცრემლით ევსება თვალები.

პ. ლიუბიმოვი.

## სიზმრის ახსნა

### (სად. გოგისთვის).

**რაჟდენ გაჩეჩილაძე** ნახო — დათრობას არ ასცდები.

**ლონგინოზ ბებურიშვილი** ნახო — ორატორობას ისწავლი.

**ბესარიონ ფაჩულია** ნახო — კამპანიას არ ასცდები.

**პილატე ახალაძე** ნახო — ბილეთის ყიდვას ვერ ელირსები.

**ამბერკი კალანდაძე** ნახო — ტვირთის მიღებას ვერ ელირსები.

**ვასო ესვანჯია** ნახო — იმ დღეს დაინავსები.

**მეისრე ამბოკაძე** ნახო — კომბინაციებს ერიდე.

**დარაჯი ევა** ნახო — უწყალოდ დაიხრჩობი.

**ლევან ნოზაძე** ნახო — კოოპერატივს ერიდე, საცვლებს შემოიხევ.

**აფთიაქის გამგე** ჯულელი ნახოავი ზნე შეგეყრება.

თუ ყველა ესენი ერთად ნახო, „ტარტაროზი“ ზიარებას ველარ მოგასწრებს.

მტკვრის პირელი.

## დ ე პ ე შ ა

**სენაკი.** გუშინ 14 მოქალაქემ თოკით ჩამოიხრჩო თავი. როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, დაზარალებულნი ყველანი ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების ბიუჯეტზე მყოფი მუშა-მოსამსახურენი ყოფილან, რომელთაც 3—4 თვის ხელფასი ვერ მიუღიათ.

გრძელდება კვლევა--ძიება.

ქალაქში აკრძალის თოკით ვაჭრობა, რომ დანარჩენებმაც არ ჩამოიხრჩონ თავი.

**იქიდანვე:** (ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან) გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ნოსირის თემის კომენდანტი ამით აცხადებს ადგილობრივ მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ კვირას საოდიშარიოს უბანზე იწარმოებს კრეისერებიდან ზარბაზნების საცდელი სროლა.

სწარმოებს ტბის გაღრმავება-გაფართოება.

ტარტაროზის ნათლია.

## „საღარო სიმულიანტები“

რაც რომ ბევრი კონკი გქონდეს,
შენახული წალოში,
ყველა ტანზე მოიხვიე,
წადი სამკურნალოში.

—:—

მისვლისთანვე დაგიხვდება
ოჩერედი გრძელები:
მომუშავე, უმუშავო,
შერჩეული, ძველები.

—:—

გამომწერი ეუბნება:
გამოუშვით ახლები,
თქვენ ხომ ყოველ დღე აქა ხართ
და გაგვისდით მძახლები!..

—:—

ძველმა ძველს ჩასჩურჩულა:
დახე, რა როგ „გრუბია“,
ნუ თუ ამან დღეს გაიგო,
რომ აქ ჩვენი კლუბია?!.

—:—

აბა, გათავდა „პრიომი“,
სონა, მაშო, ანაო,
ნუ თუ არ გესმით, ძველებო,
ცოცხი გინდათ განაო.

—:—

დაიძრა მთელი კამანდა,
მიდის მუქთი მუშტარი,
თუ რეცეპტის წამალი გაქვს,
აფთიაქო, უთხარი.

—:—

მე ვიცი, ტყვილა გვაწვალებთ,
არც ერთი არ ხართ ავათა,
თქვენ გინდათ ჩვენი წამალი
„ხოშის“ მოსაკლავადა!..

ფი—დი.




## ვით შეიქნა ანდრო მღვდელი ბაისოს თხის წალდით მკვლელი

ემ თავიდანვე მღვდელი საკურთხისა და არჩივის დიდი მოტრფიალე გახლდათ.

რაც უნდა მოთხოვნილება არ წაუყენოთ ამ დროს, ხუცეს ანდროს თქვენ ვერ აიძულებთ, რომ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ ტრადიციას მან უღალატოს.

მაგრამ მრევლია ამ მხრივ თავისუფალი თავის მოქმედებაში. მას შეუძლია უარი სთქვას მღვდლისათვის საკურთხის მირთმევაზე და ყველა არჩეიწად დაჯდეს თავთავიანთ სახლში.

ცხადია, მღვდელი დარჩება უსაკურთხოთ, ე. ი., უცხვროთ ან უთხოთ, უმთავრესად — მათ უთავფეხოთ.

მაგრამ, განა, ყველა მღვდელი? მღვდელსაც გააჩნია. მაგალითად, მღვდელი, ანდრო ჯურუყვეთელი (გურიაშია) აინუნშიაც არ იგდებს, თუ მრევლმა მისთვის თხისა და ცხვრის თავ-ფეხის მირთმევა შესწყვიტა. ის თვითონ იპოვნის საკურთხს. რისთვისაც არ დაშურავს საქციელს, საფურთხს, რათა უზრუნველი ჰყოს ნაკურთხი კუჭი წლით-წლამდი.

ამისთვის სრულიად საკმაო არის უბრალო წალდი, მოიმარჯვე ის და ანადირეთ წადი...

დიახ, სრულიად უბრალო წალდი! ბრალიანი თხა კი იქვე ეყოლება მეზობელ ქვრივს, ბაისოს. მღვდელი ანდრო იმისი ცოდვით აივსოს: ანაფორა გაიძროს, წალდი აიღოს და თხას აისროს.



სახლი ხორცით აივსოს, ცოლი, შვილი გაიძღოს და დანაკლისი საკურთხიც ასე მოხერხებულად აიზღოს.

ტყუილად იოჯება კორესპონდენტი „ლორდი“, როცა ხუცის ასეთი „სორტი“ მას ჰგონია ავი და ბოროტი.

ანდრო არის ყოვლად მართალი! ხომ იშოვა ხორცი სათალი? მეტი კი მღვდელს, აბა, რაღა უნდა? თხის გუდა? ისიც ხომ იქვე აქვს, ბაისოს თხის ტყავის სახით. ჩაბეროს, გაბეროს და კედელზე ჩამოჰკიდოს. მხოლოთ ქვრივ-ობლის ცოდვაც მანვე ზიდოს, რომ დასტოვა უძლეოთ. მღვდელს ჩვენ ყველას ვიცნობთ უზნეოთ, რომ შიგ გამონაკლისად ვსთვლიდეთ ანდრო კვაჭაძეს, ამის საბუთს ის ვის რას აძლევს?!.

## ქუთაისის მაზრაში რომ არის სოფელი ვანი ალმასკომში ვინ შეჰყარა ამდენი გვანი?!.

ჩვენი კორესპონდენტი, ხლიფაშა ვანელი ჩვენ მოგვიწოდებს ვანისაკენ ჩვენის ჩანგლით.

ამ მოწოდებაზე ჩვენ უკვე შევათამაშეთ ხელში ჩანგალი და გავემზადეთ წასასვლელად, მაგრამ უცებ თავში გაგვიელვა შემდეგმა კითხვამ რომ ავმხედრდით, ნაუცბათევი არ დარჩეს ჩვენი მგზავრობა თქვა.

მართლაც და რატომღაც მოგვაგონდა ერთი ძველის ძველი ბატონყმობის დროინდელი ანეკდოტი:

ერთმა ბატონმა ერთ თავის შინაყმას თურმე უბრძანა: ბიჭო, სიკოია, ხვალ ამა და ამ სოფელში უნდა გაგაგზავნოო,— და დაუსახელა რამოდენიმე ათეული ვერსით დაშორებულ სოფელში მცხოვრები მეორე ბატონი, რომლის სახლშიც უნდა წასულიყო შინაყმა.

მეორე დილით, ჯერ ჩიტსაც კი არ დაეკრა თავისი პირველი ნაღარა, რომ შინაყმა უკვე ფეხზე იდგა თურმე და მოუსვა კიდეც დასახელებულ სოფლისაკენ.

ბატონმა რომ გამოიღვიძა, შინაყმა მოიკითხა, მაგრამ მოახსენეს: სადღაც წავიდაო.

რამოდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნებულ შინაყმას ბატონი რისხვით შეხვდა:—ბიჭო, მე რომ გიბრძანე, ამა და ამ ადგილს უნდა გაგგზავნო-თქვა, შენ რად არ შეასრულე ეს ჩემი ბრძანებაო?!.

— მე უკვე გეახელით, ბატონო-ო; ამაყად მიუგო შინაყმამ. ეგონა, რომ ბატონის მოწყალებიან სიტყვას მაინც დაიმსახურებდა ამისათვის თუ საჩუქარს არა.

მაგრამ დახეთ მის გაოცებას, როცა არა თუ საჩუქარი, მასხრადაც აიგდო ბატონმა:

— „ბიჭო, შე ოხერო, ამ სიშორეზე რომ გარბოდი, იმას აღარ ფიქრობდი, რისთვის მგზავნის ბატონი-ო?!.

და უბრძანა: გაროეკეთ ხელმეორეთო.

ბრიყვი შინაყმაც იძულებული გახდა ხელახლა მოეთოკა ეს ამოდენი გზა ნამდვილის მიზნით.

აი, ამ შინაყმის როლში ჩავარდნის რომ გვეშინოდა, ამიტომ ჩავიკითხეთ ბოლომდე ალიფაშას მოწოდება და აი, რა აღმოჩნდა. თურმე ჩვენი ვანში ჩასვლა სულაც საჭირო არ ყოფილა. თვითონ მოწოდებაც დაგვიანებულა და, წარმოიდგინეთ, —რომ ჩავსულიყავით, ჩანგლის სიოცხვილს ველარ ავიტანდით, რადგან იგი სრულიად უმიზნოთ გვექნებოდა იქ ჩატანილი, რადგან საჩანგლე პიროვნებანი უკვე თავის ადგილზე არც ერთი აღარ დაგვიხვდებოდა.

ესენი არიან ალმასკომის ყოფილი თავმჯდომარეები, რომელთაგან ერთი—მსხვილ-მუცელა აზნაური მაზრის რევიზიამ „იმსხნა“. დანარჩენებიც თითქმის ამ პირველის გზას გაჰყვნენ. მდივანი ყალბი მოწოდებების წერას გადაჰყოლია, ხოლო კოწიას საკუთარი სახლის აშენებისათვის „გეპეუმ“ დაუთმო მყუდრო ბინა.

ეს უკანასკნელი ამბავი სრულიად ბუნებრივია და ამდენადვე გასაგებიც, რადგან ამ უაღრესად აღმშენებლობითი ხანაში ადამიანს მშენებლობაში ასეთი ცხოველი მონაწილეობისათვის ერთი „მყუდრო ბინა“ უსათუოდ ერგება.

მხოლოდ ეს ალიფაშა ვანელის საქციელი კი ვერ გაგვიგია. ალმასკომში თუ ამდენ ნაგავს ჰქონდა ადგილი, ჯერ—სად ბრძანდებოდა აქამდის ეს პატივცემული ტარკორი და შემდეგ — ჩანგლით რომ ვვიბარებდა, რითი ამართლებდა ამ თავის მოქმედებას, რათ ნებულობდა ჩვენს შეცდომაში შეყვანას, როცა აქ ჩანგლი კი არა ცოცხი იყო საჭირო, ალმასკომის გამოსაგავათ,



## აი, გიორგი ღვაჭავა, გორდი რომ ლამის „დაჭამა“

მართალია, სიტყვას: „დაჭამა“-ს ხმარობენ გურიაში ნადირთა მოქმედების გამოსახატავად, მაგალითად მგელმა დაჭამა გლეხის ცხენი ან ხარიო“ და სხვა, მაგრამ, ჩვენის აზრით, ასევე შეიძლება ამ ცნების გავრცელება კაცზეც, თუ ის „დაჭამა“-ში რამოდენიმედ მაინც წააგავს ნადირს.

ნადირის მსგავსება არც იმდენად საძრახისი არის ადამიანისთვის, მას შემდეგ, რაც დიდებულმა ბუნების მეტყველმა დარვინმა უტყუვრად დაამტკიცა ადამიანის თანდათანი წარმოშობა ნადირთაგან.

უფრო ცუდი ის, არის, თუ ადამიანი ნადირსაც ალემატება „დაჭმისა“ და გლეჯის საქმეში.

ჩვენ იოტის ოდენადაც კი არა გვსურს რაიმე ასეთი „მივაწეროთ“ ვინმეს და მათ შორის გიორგი ღვაჭავასაც; მაგრამ ეს კორესპონდენტი „გივი-ოლლი“ რომ არ გვისვენებს.

„წინათ თემში ბრძანდებოდა
ალმასკომის თავმჯდომარეთ...
ფული ბლომად იგემა და,—
გამოაგდეს შემდეგ გარეთ“.

აი, როგორ აგვიწერს გივი-ოლლი“ გიორგის მოღვაწეობას გორდში.

მაგრამ ამით არ ათავებს და შემდეგს უმატებს:

„პარტიული“ კაცი არის,
ფორმალურად შეპარული,
ბანკისგანაც ფული ირგო,
გაიხარა ამით გული“-ო.

თუ ალმასკომში უგვარგისს ბანკში უკრეს თავი, ცხადია, „ფულს ირგებდა“. ამას არ უნდა ბევრი ლაილაი. საინტერესო ეს არ არის. საინტერესოა შემდეგი:

„აღარ იტყვით, გამფლანგველსა
რათ არ უკრეს გამსახლს თავი?
ვილაცები ზურგს უმაგრებს,
ჰოთ იცდინა ცისე ავი“-ო.

განმარტავს მდგომარეობას კორესპონდენტი. აი, ეს „ვილაცეებია“ საინტერესო. ეს „ვილაცები“ რომ თავის დროზე ყოფილიყვნენ დღის სინათლეზე ტან-დაბანილი,— ცხადია, შემდეგი ამბავიც აღარ დატრიალდებოდა:

„ამის შემდეგ ყოლექტივში
შეძვრა, როგორც მელა-კუდა,
და შემდეგ კი გამგეობის
თავმჯდომარეთ წამოსკუპდა“, —
განაგრძობს „გივი-ოლლი“.

აი, ახლა კი მივხვდი, თუ რათ ვერ ხეირობენ ჩვენში ზოგან კოლექტივები. თუ ასეთი თავმჯდომარეები ჰყოლათ კოლექტივებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ცხვრის ფარას თავში მგელი უდგეს ხელში კომბლით, ხოლო გულუბრყვილო ხალხს კი ეგონოს: ცხვრის ბედი საიმედო მწყემსის ხელშიაო.



ჩვენ ასეთი გულუბრყვილობისგან უფრო შორსა ვართ, ვიდრე ჩვენგან არის თვითონ სოფელი გორდი, ღვაჭმავ რომ ლამის „დაჭამა“.

**ეს პორფილე ჩაგუნავა, მაგიდას რომ სცემს, ხელი ჰქავა“**

„ბუმბუას ხიდი“ მართალია, სოფელია, მაგრამ ორი რამით არის შესანიშნავი: ერთი — უუძველესი პომპეისეული ხიდით მდინარე ცხენის წყალზე, ხოლო მეორე — ადგილობრივ ხელოსანთა შორის დამკვიდრებულ წესებით, როგორიცაა შაგირდების ცემა-ტყეპა, უდიერი შრომის დაწესება მათთვის და საზოგადოთ— დაშინება, რათა ახალგაზრდა შეგირდები ჩამოაშორონ კომკავშირს.

პირველი „სიფთა“ ამ მიმართულებით ეკუთვნის ხელოსან პორფილე ჩაგუნავას, როგორც გვატყობინებს ჩვენი ადგილობრივი კორესპონდენტი, „მთიული“. ჩაგუნავას მიღწევა ჰქონია და თავისი შეგირდი მართლაც ჩამოშორებია ადგილობრივი კომკავშირის უჯრედისათვის. მაგრამ საკითხავია: რას აპირებს ამის გამოსასწორებლად თვითონ უჯრედი?



როგორც ვიცით, კერძო ხელოსანს ამდენი ძალა არ უნდა ჰქონდეს. შეიძლება „ბუმბუას ხიდზე“ არ ვრცელდება საბჭოთა წესები. შეიძლება ამ სოფელს თავი ჯერ ისევ პომპეის სამშობლოში ჰგონია, ამჟამად მუსოლინის იტალიაში.

შეიძლება. ქვეყნად რა არ არის შესაძლებელი და მით უფრო—ბუმბუას ხიდში?

მაგრამ „ტარტაროზს“ მაინც ულვაშებში ეცინება და ჰგონია, რომ „თუ პორფილეს ხელი ჰქავა, თუ მას სწყალობს დღეს აქ ჰავა, მისი ზრახვა ვერ, ვერ გავა“!..

ნეონილა სართიჭალას აცნობს „ფიზკულტურის“ ძალას.

კორესპონდენტი „რომეო“ ასე აგვიწერს ამ ამბავს:

„უკვე ორ წელზე მეტია, რაც აქ პროფსკოლის მასწავლებლად იმყოფება ვინმე **ნეონილა ებრაელიძე.** გარდა იმისა, რომ იმ მოწაფეებს უდიერათ ეპყრობა „**ვიროს**“ და „**უტვინოს**“ ეძახის — ჭორიკანობასაც მისდევს. მისი **წაქეზებით ამას წინეთ მეხუთე და მეექვსე** ჯგუფის მოწაფეებმა თოვლის გუნდით მაგრამ მიბეგვეს ხსენებულ სკოლაში **დროებით მოვლინებული მასწავლებელი ალექსი ალექსიშვილი.**

— „აბა, თქვენ იცით, როგორც მასახელებთ — ასე აქეზებდა თავის მოწაფეებს ხსენებულ მასწავლებელზე ნეონილა და აკი ასახელეს კიდეც: **თოვლის გუნდებიც არ აკმარეს და თავშიაც ჩაუფარჩუნეს.**



ყველაფერი ეს ხდებოდა **სკოლის გამგე, ვლ. კორძახიას თვალწინ, რომელიც უზრდელად იცინოდა** ამ სამარცხვინო სურათზე. მასწავლებელი ნეონილა ებრაელიძე პრესასაც ცუდად იხსენიებს — **კორესპონდენტს უწოდებს** „ჭორკომებს“ ხოლო გაზეთებს კი „საჭორავო ფურცლებს“-ო.

კიდევ არა უშავდა, რომ საქმე ამ შემთხვევაში მარტო „ფიზკულტურით“ დასრულებულიყო და ისეთ საგნებზე არ გავრცელებულიყო მასწავლებელ ნეოლინას „კულტურა“, რომელთა შესახებაც მას, ეტყობა, ცოტა სხვაგვარი აზრი აქვს.

ხოლო არავინ იცის ეს აზრი „მაზრით“ არის გამოწვეული თუ საკუთარი უბადრუკი „აზრით“.

„ბაზარში“ ვი, კორესპონდენტის ცნობის მიხედვით, ჩვენ ჯერ-ჯერობით ერთად ერთ საპატიო „მუშტარს“ ვხედავთ: ეს არის სკოლის გამგე ვლ. კორძაია.

საინტერესოა, რას იტყვის ამის შესახებ ეს პატივცემული პირი.

**გლეხთა სასწავლებლის გამგეთ ევტიხია ლებში ეზოში ხე რომ არ შერჩა და ფუტკარი სკებში**

ასე იწყებს თავის კორესპონდენციას ლების (რაჭაში) გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის შესახებ ჩვენი კორესპონდენტი „შალითა“.

მაგრამ გასაკვირი მარტო ის კი არ არის, რომ ევტიხის წყალობით სკებს ფუტკარი არ შერჩათ, გასაკვირი უფრო ის არის, რომ თვითონ სკოლას ჯერ კიდევ შერჩენია თუნდაც ერთი მოწაფე, როცა:

„ცემა - ტყეპით ხშირად ბავშებს



ის ისტუმრებს კარში,
ობოლ გაჭირვებულის შვილს
წიხლით აგდებს სახლში“-ო, როგორც გვაუწყებს კორესპონდენტი.

თუ ეს ასეა და თუ ამას ემატება კიდევ მეორე მასწავლებლის, მხეიძის მოქმედება, რომელიც მოწაფეთადმი უდიერი მოპყრობით ხასიათდება, ცხადია, ლების გლეხ ახალგაზრდობის სკოლა, მისი ადგილ - მდებარეობის თანახმად არა თუ მარტო ლებელი, არამედ სავსებით წყალ - წასაღებელი ყოფილა, რისთვისაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს მაათვის ამ გაზაფხულის მოახლოვება, როგორც წყალთა ადიდების, ეგრედ წოდებული ლანქრობის დრო.

# ცნობათა მიღება

**შ. ნა-ლი-ს.** ყველაფერი ის, რაც კაცს ენაზე მოადგება და ქაღალდზე გადაიტანს, სცენა კი არ არის.

მიუხედავად თქვენი თხოვნისა, არ დაიბეჭდება.

**ტარზი-ს.** მართალია, მუშკორი მოვალეა დაიცვას მუშის ინტერესი, მაგრამ განა, ღირს ისეთი მუშის დაცვა, რომელიც ადმინისტრაცია — დალალებთან მორიგებაზე მიდის და ხელწერილსაც კი აძლევს თავისდა საზარალოდ? ასეთი „შეუგნებობა“ დღეს პიონესაც კი არ ეპატიება ამ კლასთა ბრძოლის გამწვავების პერიოდში, არა თუ სრულწლოვან მუშას.

**შ. ალზენოს.** მართალია, თქვენი შარადა ფრიად საგულისხმო საგანს ეხება, მაგრამ მარტო მიზნით ყველა მოქმედების გამართლებაც არ შეიძლება. საქმე, ისიცაა— თუ შარადის აგებულება რა შინაარსს შეიცავს. მაგალითად, თქვენს შარადაში ასეთი საგულისხმო ადგილია.

**„ეხლა მოვძებნოთ საგანი**
**გაზაფხულზე ის ბევრია;**
**იჰმება უმად, მჟავდება**
**და აქვს მას მწვანე ფერია“-ო.**

ასეთი საგანი ერთობ ბევრი ვნახეთ ამ გაზაფხულზე. თქვენ რომ გინდათ კი ის, „ზაფხულამდის არ მოვაო“, გვითხრა მემწვანილემ. განსაკუთრებით — წელს, როცა გაზაფხულმა ასე დაიგვიანა.

ამიტომ შარადასაც ვდებთ ზა.... ე. ი. ,სარედაქციო ვოდორში.

**აჯი-ბაბას.** თქვენი პოემა — „სოფლელი ქალი“ სოფლელ ქალს ისე ხატავს, როგორც ერთმა „ოხუნჯმა“ მხატვარმა გამოხატა ლომი, რომლის ლომობაშიც თითონვე დაეჭვდა და ქვეშ მოაწერა: **„ძაღლი არ გეგონოთ, ლომია“-ო.**

**„მეანის“.** თქვენი „სევდონომი“ გვიქადდა, რომ თქვენს ლექსში აღმოჩნდებოდა რაიმე ახალი, წარმოიშობოდა რაიმე გენიალური აზრი, ის კი არა, ვიღაც კმოკავშირელ პავლეს ჩასცივებიხართ და არ ეშვებით: „გრძელი თქმა აქვს. ორატორული ნიჭი აკლია“-ო, შე კაი კაცო, ზოგ კაცს თმაც მოკლე აქვს, ჭკუაც, ახალს რასმე კი არა ძველსაც დაგავიწყებს, ხოლო თავისთავას „მეანს“ უწოდებს.

ახლა შენ გეკითხებით: რა აზრი აქვს, ყველა ამის შემდეგ, ასეთ „სევდონიმს“?

ჭეშმარიტად, სევდის აღმძვრელი კითხვაა, მაგრამ რას იზამთ?

**„გიშას“.** არა გვგონია, რომ ბორჯომის საკასრე ქარხანაში ჟანდარმი იყვეს მუშა-მოსამსახურეთ. ჭკუასთან უფრო ახლო იქნება, თუ ის ყოფილი ჟანდარმი მაინც არის.

ასეთ შემთხვევაში ადგილობრივ ორგანოებს ევალებათ მისთვის საანკეტე ფურცლის მიწოდება.

თუ ანკეტამაც ვერ გამოასწორა საქმე, ცხადია, იგი დაღუპულა ყოფილა. ტყვილა კი არ იჯდა ცნობილი ფილოსოფოსი დიოგენი ცარიელ კასრში: იგი ფანარით ხელში დღის სინათლეზე კაცს ეძებდა, მაგრამ ვერ ენახა. კასრში კი, ალბათ იმიტომ იჯდა ის, რომ ეშინოდა: შიგ არ შემომასწროს და არ დაიმალოსო.

თუ ასეთი საფრთხილო იყო ერთი დანჯღრეული კასრი, ადვილი წარმოსადგენია, რაღა იქნება მთელი საკასრე ქარხანა.

**კირილე საფიჩხიელს.** ესეც არაფერია. შენ ის მითხარი, თუ რას იტყოდა თქვენი ნაცნობი, როცა მისი საკუთარი სასიმინდიდან გაეტაცნა ქურდებს არა ოცი კილო, არამედ თუნდაც ნახევარი კილო სიმინდი.

აი, სწორედ ეს იქნებოდა ნამდვილი „კი ფერი“...

**„ბახრჩოს“.** ბახჩო! ამ ლექსმა თუმც დაგვაბრჩო, მაგრამ წერით ისევ სწერე: ფხა გემჩნევა, დაგვიჯერე! აბტარკორად თუ გსურს ყოფნა, დაიწყე შრომის ოფლად!

**„კონტრ-ძმაბიჭებს“.** „კონტრი“ რომ ბრძანებულხართ, განა ყველაფერთან „კონტრად“ უნდა იყვეთ?... ვის გაუგონია ასეთი გზით „ბეზრაბოტნათ“ გახდომა?!..

ჩვენი მოტყუება თუ განიზრახეთ, ახია თქვენზე ის, რაც „მეგობრებს“ თქვენთვის ოინი უყვიათ.

p-7188

# მაცდურიბზა




— წამოდი, სიკო „შეუხვიოთ"!..
— მოიცა, კაცო, რა დროს ეგაა: ჯერ წმენდა მოვითავოთ და მაგას მერმეც მოვესწრებით.

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. კამოს ქ., № 68.

# ტარტაროზი

წელიწადი მეექვსე

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი, 1 მაისი 1929 წ. № 19 (203)





— აი კოლონა, რომელსაც საერთაშორისო პროლეტარიატი აღმართავს მსოფლიო ბურჟუაზიის სასაფლაოზე!

# ტარტაროზის კალენდარი

## ოთხშაბათი, 1 მაისი

### ინტერნაციონალის დღე

ეს დღე, რომელსაც არა აქვს წელთა თარიღი, გარდა იმისა, რომ ის ყოველ წელს პირველი მაისია, მუშათა საერთაშორისო დღესასწაული. ეს კი თავისთავად ყველაფრის მეტყველია. პირველ ყოვლისა, მეტყველია იმის, რომ ეს დღე ყოველს წელს ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში წართმეული აქვს ბურჟუა - კაპიტალისტებს მე-2 ინტერნაციონალის კონგრესის დადგენილებით 1889 წ. 14 ივნისს, პარიზში ეს იყო,, ასე ვსთქვათ, მეორე ინტერნაციონალის მიერ მუშათა კლასის სასარგებლოდ მოხდენილი ერთად ერთი ექსპროპრიაცია, პირველი და უკანასკნელი რევოლიუციონური აქტი. ამის შემდეგ იგი თანდათან დაეშვა დაბლა და ბოლოს სულ გადავიდა ბურჟუაზიის აშკარა სამსახურში, თითქოს ინანებს ამ უკანასკნელის წინაშე ჩადენილს თავის ერთად ერთ შეცდომასო.

და რაღა გასაკვირია, თუ, როცა კომუნისტურმა პარტიამ და ინტერნაციონალმა მოახდინა და დააკანონა ოქტომბრის რევოლიუციის საშუალებით ბურჟუა-კაპიტალისტთა კლასის სრული ექსპროპრიაცია, მეორე ინტერნაციონალი მთელის ტანით ათრთოლდა და აკანკალდა საერთაშორისო ბურჟუაზიის წინაშე, აქაო და „ჩემი“ 1 კონგრესის ანდერძთა სადარაჯოზე მტკიცედ მდგომ კომუნისტური პარტიის ესოდენი „შეცდომანი“ უცბათ არ აიღონ და მე არ მომაწერონო. ამით ის სასაცილოდ ემსგავსება იმ კურდღელს, რომელიც გარბოდა მხოლოდ იმის შიშით, რომ ფეხებიება, რადგან დაინახა, რომ სადღაც ბქლემსა სჭედდენ, მისი აზრით, სწორედ ფეხების გულისათვის.

მართალია, კურდღელმა ფეხები კი გადაარჩინა ამ შემთხვევაში, მაგრამ თავი კი მეორე ინტერნაციონალზე ნაკლებ არ შეურცხვენია, რადგან კურდღლისა და მეორე ინტერნაციონალის შერცხვენა თავიანთი სიმძიმით პროპორციონალურად თითქმის ერთ და იმავე მიმართებად უნდა ვიგულისხმოთ თავ- თავიანთ სიდიდემოცულობასთან შეფარდებით.

## ხუთშაბათი, 2 მაისი

**— 1849 წ. აჯანყება საქსონიაში,** რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ბაკუნინმა.

არსებობს ერთი ანეგდოტისებური გადმოცემა ბაკუნინის ამ მონაწილეობის შესახებ აღნიშნულ რევოლიუციაში. აჯანყებულებმა რეგულიარულ ჯარებს წაართვეს ზარბაზანი და მიადგნენ სიმაგრეს, სადაც მოწინააღმდეგე გამაგრდა. მაგრამ ვერავინ ვერ ახერხებდა ზარბაზნის გასროლას. შეიძლება ეს ნემეცი - ხალხის ერთგვარი გაუბედაობით აიხსნებოდეს, რევოლიუციონურ ცეცხლის სისუსტე-ნაკლებობით, შეიძლება უბრალო უცოდინარობითაც. ერთად ერთმა ბაკუნინმა მოხაერხა აჯანყებულთა ამ სირცხვილიდან გამოყვანა: პირდაპირ „რუსული სიუხეშით“ ჩასდო ზარბაზნის ფაშვში ყუმბარა პეროქსილინით და იგივე რევოლიუციონური გაბედულებით შეუკეთა ცეცხლი გამტარ ზონარს. მალე ზარბაზანმაც იქუხა და საქსონელი აჯანყებულებიც საპატიოთ ეზიარენ რევოლიუციის ნამდვილს ცეცხლს.

ეს მაგალითი დამაფიქრებელია. თუ ერთი რუსი (უნდა ვიგულისხმოთ: დღეს — საბჭოთა მოქალაქე გინდა საერთაშორისო მუშა-რევოლიუციონერი) საკმაო იყო მთელი აჯანყებული საქსონიის რევოლიუციონურ სირცხვილისაგან დასახსნელად, ცხადია, ოქტომბრის რევოლიუციის გარეშე წარმოუდგენელი ყოფილა და არის როგორც საქსონიის, მთელი გერმანიის და, თუ გნებავთ, მთელი დასავლეთ ევროპის, ისე მთელი მსოფლიოს პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება.

## პარასკევი, 3 მაისი

**—1925 წ. პროფინტერნში ჩინეთის პროფკავშირების შესვლა.**

ჩინეთის რევოლიუციას ვინც უყურებს, სულ ადვილი შესაძლებელია იკითხავს: უკვე მოასწრეს თუ არა მათ ამ ხნის განმავლობაში იქიდან გამოსვლაო? არ დაიჯერებს, რომ ქვეყანად შესაძლებელია არსებობდეს რომელიმე ორგანიზაცია, სადაც ჩინელს შეეძლოს, პირის ან ზურგის უცვლელად, მთელი ოთხი წლის კი არა, თუნდაც ოთხი დღის ან ოთხი საათის მაინც ერთად გატარება.

მაგრამ, როგორც ხედავთ, ფაქტი ფაქტად რჩება და იგი ამ შემთხვევაში, ჩინელ მუშების სანაქებროდ, გაცილებით უფრო ჯიუტია, ვიდრე თვით ჩინეთის რევოლიუციის დაუსრულებლობა, რადგან ჩინეთის რევოლიუციაში საერთოდ სხვადასხვა ელემენტები ღებულობენ მონაწილეობას, მათ შორის— ე.-წოდებული ჩინეთის გენერლებიც, ეს ჯერ ყოვლად გამოურკვევი სიმტკიცე - სიმაგრის პატრონი არსებანი, რაც იწვევს ჩინეთის რევოლიუციის ყოვლად გაუგონარ რყევა-ქანაობას, ხოლო პროფკავშირებში კი მარტო სამრეწველო მუშებია, რაც უკვე ინტერნაციონალურად ჩამოყალიბებულს რევოლიუციონურს სიმტკიცესა და გამძლეობას ჰგულისხმობს.

## შაბათი, 4 მაისი

### 1901 წ. მუშათა დემონსტრაცია ტფილისში

ეს მუშათა პირველი დემონსტრაცია გახლავთ ტფილისში. ასე კარგი საქმეა პირველობა, თორემ მას შემდეგ, აბა, რამდენი დემონსტრაცია მომხდარა ამ ჩვენს ქალაქში. ყველა ისინი, რომ აღვნიშნოთ, დარწმუნებული ვარ, დღეები აღარ აგვითავდება და იძულებულ გავხდებით საანგარიშოთ საათებზე გადავიდეთ: ამა და ამ დღის ამა და ამ საათის დემონსტრაცია“-ო დ სხვ.

მაგრამ, გარდა ამისა, არის კიდევ ერთი ძირითადი განსხვავებაც უწინდელსა და დღევანდელს დემონსტრაციებს შორის: უწინ დემონსტრაციებს მეფის რეგულიარული ჯარები თუ სხვა შეიარაღებული ძალები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ. ახლა კი მდგომარეობა რადიკალურად არის შეცვლილი: დღევანდელ დემონსტრაციებს ჩვენი შეიარაღებული ძალები: წითელი არმია, მლიცია თუ სხვ. არა თუ წინააღმდეგობას არ უწევენ, არამედ მუშებთან საერთო რიგებში სდგებიან და ზოგჯერ, თუ გნებავთ, წინ უძღვიან კიდეც.

## კვირა, 5 მაისი

### ბეჭვდითი სიტყვისა და პოეზიის დღე

უწინ ბეჭდვითი სიტყვა ჩვენი მოწინააღმდეგე კლასის, ბურჟუაზიის ხელში იყო. ჩვენი პრესა თუ სხვა გამომცემლობა თვითმპყრობელ მეფის მთავრობის სასტიკ ცენზურის ბრჭყალებში ლაფავდა სულს. პოეზია ჰაეროვანი არსების სახით იყო წარმოდგენილი და მუშათა „მურიანი“ საქმისათვის იგი აბა, როგორ მოიცლიდა; ეშინოდა: ტანისამოსი არ გამეთხუპნოსო. მხოლოდ მებრძოლ მუშათა დაღვრილმა სისხლმა მთლიანად შეღება უკვე პოეზიის ეს სხვადასხვა ფერებით შეზავებული ტანსაცმელი და ჰაერიდან თუ ზეციდანაც იგი ცოტა ქვევით ჩამოსწია, ფეხები დედამიწაზე მოადგმევინა და, თუ უწინ მუშათა განთავისუფლების საქმე. ბეჭდვითი სიტყვა და პოეზია კრილოვის იგავში მოხსენებულ გედსა, კიბოს და ქარიყლაპია თევზს ჰგავდა, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ სამივე შეთანხმებულად არიან (თუ კიდევ სადმე არ არიან, უნდა იყვენ) შებმულნი ინდუსტრიალიზაციის მეტად მძიმე, მაგრამ მაინც საკმაოდ სწრაფ (ყოველ შემთხვევაში ძველ მგოსანთა ყველაზე უფრო სწრაფ მერნებზედაც კი უსწრაფეს) ორთქლთბო თუ ელექტრო-მავალებში და სოციალისტურ აღმშენებლობის წარმატებისათვის დაუღალავად იღწვიან, ანუ უკვე იწევენ წინ.

[illegible]

# მონარქიულ რესპუბლიკაში

„გერმანიაში პოლიცია ნებას დართავს ისეთ დემონსტრაციას, რომელიც დაიცავს პოლიციის მიერ შემუშავებულ წესებს“.



---

# ისე აღსდგა...

იჯდა ღმერთი ტაბურეტზე
და ზვერავდა დედამიწას..
ჩრდილს აფენდა რაღაც ღმერთზე,
ხევდის ნისლში ხვევდა მის თავს.

ან კი თავი, სიმოხუცით
დაღარული შუბლით, ყბებით,
სილაჟით თუ სიბურუსით,
რაც ექნება, თქვენც მიხვდებით!

იჯდა ღმერთი ტაბურეტზე
ხორკლიანი ბაყაყივით
და ორთქლი თუ ოშხივარი
სდიოდა, ვით კვამლი—თივით...

ან მოდი, ნუ შეგაწუხებს
მოხუცი ღვთის მძიმე ხვედრი:
ვითომც ქვეყნად მას ძე ჰყავდა;
ერთგული და ერთად ერთი!

სიდან? ხით? ოისება
დურგლისაგან სჭირს, რაც სჭირს ავი!
დაილუპოს ეს მრუში და
მასთან მისი ბუშის თავი!..

ხალხს ურჩევდა ღვთის მონებას,
თვითონც ლოცვას ცას უვლენდა...
(სხვა ჭკუას და სხვა გონებას
ღვთის ძეს, აბა, ვინ მისცემდა!...)

თვით უბრალო პურიც რაა,
შენივ ოფლით მონაყვანი,
ვერ გეჭამა ისე, ღვთისთვის
[illegible] თაყვანი!

წყალი რაა, წყლის კურთხევას
მისცა ეგზომ დიდი ძალა,
რომ იანვრის სუსხში უნდა
შენ იმისთვის მიგეცალა

და გაყინულ მდინარეში,
გებანავა უნდა ტანი!
(ჯვარი უნდა ამოგეღო,
მღვდელის ხელით განაბანი!)

აბა ღვინო, აბა თევზი,
თუ ზეთი, თუ ხიზილალა,
მისთვის ლოცვით თუ კურთხევით
რომელმა არ იზარალა?!

რადგან... რადგან, უნდა გითხრათ,
ღვთის ძე იყო მეტად ხარბი!
თუმც მოჰქონდა თავი ბატკნად,
მოკუნტულად, როგორც ზღარბი!

მაგრამ, როცა ათასობით
ხალხს აჭმევდა ორ-ორ თევზებს,
თვით ალაპში ისე გაძღა,
რომ კვლავ ვირზეც ძლივ-ძლივ შესვეს!

და ეს მოხდა ბეთანიას,
ლაზარესას, გზობის შაბათს!
მომავალი მღვდლის მუცელი
ქრისტეს ება მაშინ, ალბათ.

და ყოველგვარ სანოვაგეს
თვისი ლოცვით თუ კურთხევით
ის შვა შყოფდა, და იტენდა
კუჭს თუ ხურჯინს საკურთხებით...

და ამ გვარათ კიდით-კიდე,
მოვლო იმან პალესტინა..
მისთვის სახრავ-საწიწკნელი
ვით გინდოდა აგეცდინა?!..

ნაზარეთს თუ ბეთანიას,
გალილეას, ქალაქ კანას
ის არც ბაღჩას აშენებდა,
არც ბაღს და არც სთესდა ყანას...

ჩვენი თესვის კამპანიას
დასცინოდა იმ თავითვე...
(თუმცა მსგავსი დაცინებით
მასთან საქმე გავაქვითე!)

მაგრამ ალაპს, ქორწილს, ნათვლას,
თუ სხვა ქელეხს, პურ-ღვინეულს,
ის არ სთმობდა; სჭვრეტდით ყველგან
მოუწვეველს თუ მიწვეულს!..

არც ეზო - ზვარს დაგიდევდა,
არც საპურე მიწის მოხვნას,
შეეჩვია სხვის კარ და კარ
წოწიალს და პურის ცოხნას...

და, როგორც ვსთქვით, ლაზერესას
რომ მიაძღა ერთხელ ალაპს,
შეჯდა ვირს და მოწაფეებს
თან მისდევდა, ვით იატაპს!

მიდიოდა ელუსამეთს
იორდანეს ნაპირებით,
მიათრევდა მაძღარ ქრისტეს
ვირიც დიდის გაჭირებით.

ხოლო სულელ მოწაფეებს
ეს გართობა თუ ეგონათ:
გზად ბზის ტოტებს სტეხდენ და ვირს
წინ უყრიდენ კონა-კონათ...

და როს ჩახდენ ელუსამეთს,
იქ რომ ნახეს ვირის ტვირთი,
სთქვეს თუ — „ცხოველს რად სტანჯავსო—
ალრიალდენ, ვით ზღვის ზვირთი,

ასისინდა მითქმა-მოთქმა
და დაიწყო ენამ ძრომა...
ბრბომ დაიწყო მახზედ „კარგათ“,
მაგრამ გასთქვა ისევ ბრბომა,

რა რომ თორმეტ მოციქულის
გაჩნდა ცხის საბათილო!
(ასეთია ბრბოს მოქცევა,
საძრახი და სასაცილო! ..).

დიახ, ბრბოს ხომ მუდამ ჰყავდა
მოთავე თუ მბრძანებელი,
ერთი გზიდან ამცდენი და
სხვაზედ გადამგანებელი?

მო და აი, ამ ბრბოს აქაც
გამოუჩნდა თავის ჯადო,
თუმც მათ ამას ავალებდათ
საზრუნავიც, საპირადო.

მღვდლები იყვნენ ესენი და
მღვდელმთავრები ძველი რჯულის,
თავი ხალხის, ქრისტეზე თუ
იმის ვირზე დახარჯულის!

და ქრისტეზეც გაცემული
მუცლის ყველა ხათახლავი
დანაკლისიც იყო მათი,
ხარბი გულის მოსაკლავი!

და, მაშ, როგორ აეტანათ
ეს მეტოქე გვერდით ასე,
თუ შარს რასმე არ მოსდებდენ
და არ გააკრავდენ ჯვარზე?!..

სამარცხვინო ბოძის ნაცვლად,
ჯვარს ხმარობდენ, ხის ჯვარს — მაშინ.
და ავმქმნელს არ ასცდებოდა
სახელი და ხელიც თმაში!

და ქრისტემაც, ვინც მაშინ მღვდლებს
ჭამა-სმაზე დაედავა,
ღვთის სახელით ეს დაიწყო
და იმ ხის ჯვრით დაათავა...

ამბობენ, თუ სამ დღის შემდეგ:
რა რომ ჩაჰფლეს ქრისტე ბაღში,
აღსდგა ის და, ვით ცოცხალი,
შეიჯგიმა თავის ხახლში!

ალბათ, ისევ რუ მოშივდა
და გახდა პირ-ანაჩენი,
თორემ ქრისტე [illegible]
როგორც [illegible] პაპა ჩემი..

მუზუზალი

# ათი მცნება

**1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე.**

— რას გავალებს თქვენ ღმერთი პირველი მცნებით? —ეკითხება იმპერიალიზმის წარმომადგენელი ახალშენებში ადგილობრივ მკვიდრთ.

— აი, რას გიბრძანებს თქვენ ღმერთი,—განმარტავს თვითონვე:—ვინაიდან ჩვენ, უცხოელები ვართ თქვენი ღმერთი, უფალი,—ამიტომ უნდა იცნოთ ჩვენი ბატონობა თქვენზე; პატივი სცეთ ინტერესებს; თაყვანს უნდა გვცემდეთ ჩვენ; უნდა გვემორჩილებოდეთ; უნდა შეგვიყვაროთ; ყველას წინაშე უნდა აღვიაროთ ჩვენი ბატონობა და სხვა. სახელმწიფო არ გვამჯობინო ჩვენ და არ მოისურვო მისი მფარველობა.

**2. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანსა ზე და ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა და ქვეშე ქვეყანისა, არა თაყვანი სცე მათ და არცა მსახურებდე მათ.**

— რას გიბრძნებს ღმერთი თქვენ ამ მცნებით? იმას, რომ არ გამოგვეყოთ ჩვენ; არ შეჰქმნათ თქვენი საკუთარი, დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფო; არც რაიმე ამისი მსგავსი, მაგ. ავტონომია. მთელი თქვენი მიწა, წყალი და, წარმოიდგინეთ ცაც კი ჩვენია. ვინც გირჩევს თქვენ ჩვენს განდევნას, ჩვენგან გამოყოფას—„არა თაყვანი სცეთ მათ არცა მსახურებდეთ მათ“, ე. ი. არ დაუჯეროთ მათ, არ აჰყვეთ მათ სიტყვებს; ისევ ჩვენი მორჩილნი დარჩით.

აი, რას გავალებს თქვენ ღმერთი.

**3. არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა.**

— ე. ი. ღმერთი თქვენ გიკრძალავს ჩვენი სახელის ცუდათ ხსენებას სადაც და რისთვისაც არ უნდა იყოს ეს. მაგ. როცა ჩვენი პოლიციელი ჰკლავს თქვენიებს, თქვენ ცუდათ არ უნდა მოგვიხსენიოთ; საყვედური და უკმაყოფილება არ უნდა გამოსთქვათ ამის გამო ჩვენს მიმართ.

**4. მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმინდა ჰყავ იგი; ექვს დღესა იქმოდე და ჰქმენ მათ შინა ყოველივე საქმე შენი; ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღვთისა შენისა.**

— რას გავალებს ღმერთი თქვენ (და არა მარტო თქვენ, ჩვენი ქვეყნის პროლეტარებსაც) ამ მცნებით?

კვირაში ექვსი დღის მუშაობას და საქმის კეთებას, (რასაკვირველია, ჩვენს სასარგებლოდ(; ე. ი. ერთ კვირაში თქვენ უნდა იმუშაოთ 144 საათი (24 საათი×6), ანუ მთელი დღე და ღამე; ხოლო ვინაიდან, ერთი დღე (24 საათი) „არს უფლისა ღვთისა შენისა“, ე. ი. ჩვენი, ამიტომ ამ დღესაც უნდა იმუშაოთ. ხოლო ამის (ანუ სიკვდილის) შემდეგ შეგიძლიათ მოისვენოთ.

„არა შვიდი საათი სამუშაო დღე, არამედ კვირაში შვიდი სამუშაო დღე“.—ამას გავალებს თქვენ ღმერთი..

**5. პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა.**

— აქ დედ-მამად ვიგულისხმებით ჩვენ და არა ნამდვილი თქვენი დედ-მამა.

მაშასადამე, პატივს უნდა გვცემდეთ და გვემორჩილებოდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში სიკეთეს არ დაგაყრით და ქვეყანასა ზედა ვერ იქნებით დღეგრძელი, (რადგან ყველას ამოგწყვეტავთ).

**6. არა კაც ჰკლა.**

— აი ამ მცნებით ღმერთი თქვენ გავალებს, გავალებს კი არა, პირდაპირ გიბრძანებს, რომ არ მოჰკლათ უცხოელი, რომელიც მოსულია თქვენს ქვეყანაში და ბატონია თქვენი.

არა ყოველ შემთხვევაში კრძალავს ღმერთი კაცის კვლას. კაცის სიკვდილით დასჯა შეიძლება, როცა ბატონს ურჩობას უწევს და უარჰყოფს მის სამსახურს. აქედან, ღმერთი ჩვენ ნებას გვაძლევს მოგკლათ თქვენ, თუ ჩვენი მორჩილი არ იქნებით.

(გარდა ამისა ჩვენ გვაქვს კიდევ სხვა უფლება: ჩვენი მოკვლა არ შეიძლება, რადგან ჩვენ „კაცი“ ვართ; თქვენ კი „კაცი“ (ადამიანი) არა ხართ. ხოლო მეექვსე მცნებაში კი ასე სწერია: „არა კაც-ჰკლა“).

**7. არა იმრუშო.**

— ე. ი. თქვენ უფლება არა გაქვთ, რომ თეთრკანიანი ქალი ცოლად შეირთოთ, ანდა მასთან კავშირი დაიჭიროთ, თორემ ქვებით ჩაგქოლავთ ანუ ლინჩის სამართლით გაგასამართლებთ.

**8. არა იპარო.**

— ანუ რაც ჩვენ თქვენს ქვეყანაში „შევიძინეთ“, იმის უკან დაბრუნება რა სახითა და რა საშუალებითაც არ უნდა იყოს, გულში არ გაივლოთ. უწინდელი თქვენი ქონება და სიმდიდრე ეხლა ჩვენია, მაშასადამე, თქვენი არ არის, და რაც თქვენი არ არის, ის ჩვენია და თქვენ მასზე თვალი არ უნდა გეჭიროს.

**9. არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუთათა.**

— ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენზე თქვენ ცუდი არაფერი სთქვათ.

**10. არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმოდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა.**

— ე. ი. თქვენ არ უნდა შეეხოთ ჩვენს სიმდიდრესა და კეთილდღეობას. მერე რა ვუყოთ, რომ თქვენ გაჭირვებული ხართ! ყველაფერი ჩვენი ჩვენია, და თქვენიც ჩვენია.

ეს მცნება თქვენ იმას გასწავლის, რომ ჩვენ უფრო უნდა გიყვარდეთ, ვიდრე თავისი საკუთარი თავი. თქვენ კმაყოფილი უნდა იყოთ რაცა გაქვთ იმითაც, ვინაიდან მეტის ღირსნი არა ხართ.

ზმუკი.



— რას იგინები ამ ქუჩაში?
— ანტირელიგიურ კამპანიას ვაწარმოებ!

# ვინ როგორ ხვდება

ვინ როგორ ეგებება პირველ მაისს? რასაკვირველია, ყველა სხვანაირად, რადგანაც ისარი (იგულისხმება თვალთახედვის და არა ჩვეულებრივი ისარი) ყველას სხვადასხვანაირი აქვს.

მაინც საინტერესოა ვიცოდეთ რამოდენიმე კატეგორიის ხალხის კვეთება (ცხადია სულისკვეთება და არა დაკვეთები) პირველი მაისის გამო.

ეს მით უფრო არის დღეს საინტერესო, რომ შინაური და საერთაშორისო სიტუაცია დღეს გაცილებით რთულია, ვიდრე ეს ჰგონია უპარტიო მენშევიკს ქორიკია გუდაფშუტაძეს.

იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ტარტაროზის დეპეშათა სააგენტოს მოეპოება, პირველ მაისს ერთნაირი მზადებით და მიზნებით არ შეხვდებიან ყველგან.

—დღევანდელი დღე საერთაშორისო მუშათა სოლიდარობის დღეა. ამიტომ დღეს ყველაზე უფრო უნდა ავიმაღლოთ ხმა სამუშაო დღის შესამცირებლათ, ხელფასის მოსამატებლათ და ბურჟაუიზული წყობილების დასამხობათ!—ამბობენ მთელი ქვეყნის კომუნისტი მუშები და მათი თანამგრძნობი პროლეტარები.

ყოველგვარ ჯურის, ტიპის, ხარისხის, ყალიბის და ყაიდის მენშევიკები, ცხადია აღშფოთებული არიან ამ საშინელი აგიტაციით.

**მაკდონალდი** შეშფოთდა ამ სიტყვების გაგონებაზე და კიდევ უფრო გააძლიერა ლოცვა-ვედრება უფლისა მიმართ, რომელსაც სთხოვა:

— ყოვლად ძლიერო მეუფევ მთელი ქვეყნისა და მათ შორის ძლიერო ინგლისისაო! გთხოვთ, შეიწყნარო ჩემი სოციალისტური ლოცვა და შეუნდო კომუნისტებს, რამეთუ არა იციან, რასა იქმონენ... ვის გაუგია, მისტერ უფალო, სამუშაო დღის შემცირება ჩვენში? ხომ შიმშილით დაწყდებიან ჩვენი ლორდები?

— ამასთან ერთად, გთხოვ მოილო მოწყალება და გაანადგურო როგორც რუსეთის, ისე ინგლის-საფრანგეთის, გერმანიის და სხვა სახელმწიფოთა კომუნისტები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციე, უფალო, წითელ არმიას და წითელ ფრონტელებს, თორემ სულ ამოგვჟუჟავენ ამ პატიოსან ხალხს და შენი მლოცველი აღარავინ დარჩება!... შენთვისაა საზარალო, თვარა მე რა მენაღვლება, მინისტრობაც რომ ვერ ვიშოვო, მაინც კარგათ მაჭმევენ ეგ ჩვენი კაპიტალისტები.

—აბა ასე, უფალო, გაკარი მაგ კომუნისტებს და ამ არჩევნების დროს ინგლისში ჩვენს მუშათა პარტიას გაამარჯვებინე. მერე მე ვიცი შენი პატივისცემა...

შენ, იქნებ, ფიქრობ, უფალო, რომ თუ ჩვენ სათავეში ჩაუდექით ხელისუფლებას, შევცვლით რაიმეს არსებულ კაპიტალისტურ წყობაში? არ მოგიკვდეს რამზეი მაკდონალდი! ჩხირს არ გადავაბრუნებ, მით უმეტეს მუშების სასარგებლოთ... ბოლოს და ბოლოს გაიგე, უფალო, რომ ჩვენ, მართალია სოციალისტურ პარტიას გვეძახიან, მაგრამ სოციალიზმის მანც და მაინც არაფერი გვრწამს...

— მართალია, მართალი! —ერთხმად წამოიძახეს მუშათა პარტიის ლიდერებმა, რომლებიც 1-ლი მაისის გამო ერთად შეგროვილიყვნენ ეკლესიაში,—ჩვენ, მართალია, მუშათა პარტიის ლიდერებს გვეძახიან, მაგრამ ეს იმას კიარ ნიშნავს, რომ მუშათა ინტერესებს ვიცავთ! ჩვენ ყველას გვაქვს კარგი ადგილები და ჯამაგირებიც; ისე რომ სოციალიზმი არ არის ჩვენთვის ხელსაყრელი: ახლა ტყუილად გვაჭმევენ და რომ შენ გაწყრე, უფალო, და სოციალიზმის დამყარების ნებართვა გასცე, შეიძლება ჩვენც მოგვიწიოს მუშაობა იმ სოციალიზმის დროს.

არა ნაკლები აქტივობა გამოიჩინეს „ფორვერტსის" რედაქტორებმა, გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა.

მათ გამოუშვეს მოწოდებები, სადაც ამბობენ:

— დღევანდელი დღე საერთაშორისო მუშათა თანხმობის დღეა, ამიტომ ჩვენ, სოციალ - შემთანხმებლები, მოუწოდებთ მუშებს, შეუთანხმდენ კაპიტალისტებს სამუშაო დღის გადიდებასა და ხელფასის შემცირებაში...

ასე ამღერდენ პირველი მაისის გამო საფრანგეთის სოციალისტებიც:

— ჩვენ, საფრანგეთის სოციალისტები,— ამბობენ ისინი, — მოუწოდებთ მუშებს, შეთანხმდენ იმაში, რომ საჭიროა შეთანხმებული მუშაობა კაპიტალისტებთან, თორემ ისინი გაჯავრდებიან და ლოკაუტს გამოგვიცხადებენ. ჩვენი ქვეყანა განთქმულია კულტუროსნობით და დიდი უკულტურობა იქნება ავყვეთ მემარცხენეთა ფეხის ხმას და საერთაშორისო რევოლიუცია მოვითხოვოთ!

დაახლოვებით ამავე ჰანგზე ამღერდენ ყველა ჯურის სოციალისტები სხვა ქვეყნებშიაც.

პირველი მაისის გამო მეორე ინტერნაციონალის ლიდერებმა შეადგინეს მოწოდება, სადაც ამბობენ:

— პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! შეერთდით, მაგრამ ნუ დაივიწყებთ კომუნისტურ საფრთხეს, რომელიც თანდათან იზრდება და სოლიდარულათ იბრძოლეთ მის წინააღმდეგ. დღეს, პირველ მაისს, თქვენ განსაკუთრებით უნდა გახსოვდეთ, რომ კომინტერნი რევოლიუციისა და აჯანყებისკენ მოუწოდებს მთელი ქვეყნის მუშებს. ხოლო თქვენ იცით, რომ რევოლიუცია ძალდატანებაა და ძალდატანება კი არ არის მისაღები სოციალისტებისათვის. მართალია, მარქსიზმი გვიკარნახებს რევოლიუციას, მაგრამ მარქსი დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა და არ იცოდა, რო რევოლიუციას წყნარად ყოფნა და შეთანხმებული მუშაობა სჯობს. ამას გარდა, ნუ დაივიწყებთ, რომ მარქსი არ დასწრებია მსოფლიო ომს და არც ქონდა გათვალისწინებული, თუ როგორ გაძლიერდებოდა ბურჟუაზია ამ ომის შემდეგ.... სხვათა შორის, ომზე გაგვახსენდა: კომუნისტები გაიძახიან, რომ ბურჟუაზია ომისთვის ემზადება. ტყუილი ამბავია, არავითარი ომი არ იქნება... თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ ჩემბერლენს და მუსოლინს... მაშ გაუმარჯოს პირველ მაისს...

ალლარ-ალლარსან.



უწინდელ მღვდლის კუჭი, რომელშიაც განკვეთის შემდეგ აღმოჩნდა რასაც აქ ხედავთ. (მღვდელი გარდაიცვალა მეტის ჭამისაგან, ნ.ცლის გაბერვით).



ახლანდელი მღვდლის კუჭი. (განკვეთას არ საჭიროებს, რადგან ისედაც აშკარად სჩანს, რომ შიგ არაფერია).

# „ვეფხის ტყაოსანი“-ს ნაკლი

ჩვენში კრიტიკის მაგიერ არის გასაკრიტიკებელი ავტორის ხოტბა.

სტატისტიკის უკანასკნელ გამოანგარიშებით თვითეულ ქართველზე მოდის ერთნახევარი პოეტი. მიუხედავად ასეთი დიდი რაოდენობისა, მათში ერთიც არ გამოერია, რომელიც ჩვენს კრიტიკას „გაეჯოროს“.

ერთმა კრიტიკოსმა, რომელსაც ვუთხარი, რომ — კრიტიკოსობა უნდა დავიწყო-მეთქი, — მირჩია:

— არ გაგიჟდე, ცოცხლებზე არაფერი ცუდი დასწერო, თორემ ზოგიერთები ისე მიგბეგვავენ, რომ სიგრძეს განად მოგიქცევენ!

ეს არც ისე სახარბიელო ამბავია. დაბალი რომ ვიყო, კიდევ ჰო, არა უშავს; მაგრამ ამის სიმაღლე კაცს თუ სიგრძე განად მიქციეს, ვინ შეგიშვებს მერე ტრამვაის ვაგონში?!

ხელი ავიღე ცოცხლების კრიტიკაზე და შეშინებულმა ისე შორს გავიქეცი, რომ მეთორმეტე საუკუნეში ამოვყავი თავი და შოთა რუსთაველს მივადექი.

ამ პატარა წერილში ჩვენ გვინდა ავღნიშნოთ „ვეფხის ტყაოსანი“-ს ნაკლი. ავანსად ვიცით, რომ მკითხველი საზოგადოება აღშფოთდება — როგორ გაბედეთ რუსთაველის წინააღმდეგ კრინტის დაძრაო.

სხვებზე ნაკლებ არც ჩვენ ვსცემთ პატივს განსვენებულ მნათობს, მაგრამ ნაკლი უნდა აღინიშნოს.

წინასიტყვაობა ძალიან გაგვიგრძელდა, მაგრამ, სამაგიეროდ, შუასიტყვაობა იქნება მოკლე, ხოლო ბოლოსიტყვაობას მთლად მოვხსნით.

შოთა რუსთაველი ამბობს:

**„1000ად კაცი დაფასდა, 10.000ად ზრდილობა“.** ავტორის სიტყვებით ასე გამოდის, რომ ზრდილობა ათჯერ მეტი ღირს, ვიდრე თვით კაცი. (მაგრამ თუ კაცი არაფერი ღირს, მისი ზრდილობა რაღა ეღირება?!).

ამ სიტყვების მთქმელი, უწინარეს ყოვლისა, თვითონ უნდა იყოს იდეალური ზრდილობიანი. გარდა ამისა ის თავის გმირებს ზრდილობიანად უნდა ალაპარაკებდეს.

მაგრამ ეს ასე არ არის „ვეფხის ტყაოსანში“.

წარმოიდგინეთ თქვენ, მეფის ამალა, ეს სასახლის არისტოკრატია, ისეთი უზრდელია, რომ მეფის, როსტევან მეფეს, მთელი არაბეთის მპყრობელს, ასე მიმართავს:

„დაგიღრეჯია მეფეო,
ალარ გიცინის პირიო“.

განა „დაღრეჯა“ უზრდელი სიტყვა არ არის?!

უწინ სკოლებში იცოდენ მასწავლებლებმა: „რას იღრიჯები, ბიჭო“ გაკვეთილი რომ არ იცი, ის გიხარია?!“

დედებიც დასცინოდენ მტირალ ბავშებს: — ოი, რასა ჰგავს ის დაღრეჯილი! ნამდვილი მაიმუნია!“

ერთი სიტყვით „დაღრეჯა“ არის უაღრესად უზრდელი სიტყვა.

თქვენ გგონიათ ამას მარტო ამალა ამბობს და არა თვით ავტორი?

აბა გადაშალეთ „ვეფხის ტყაოსანი“-ს შემდეგი ფურცლები და ნახავთ:

„თინათინს ესმა მამისა
ეგეთი **დაღრეჯილობა**“.

ასეთია არა მარტო ამალა და ავტორი, ასეთია მოლარეც, რომელიც თინათინს ასე ეუბნება მეფეზე: „**დაღრეჯით** ზის“... „**დაღრეჯით** გცნა“. (გვ. 24).

მაგრამ ეს კიდევ რაა!?

ვნახოთ თინათინ, ეს სათნოებისა თა კეთილშობილების სიმბოლო, ღვთაებრივი არსება და უმწიკვლო ანგელოსი.

ქალმა ჰკადრა: „ხელმწიფეო,
**დაღრეჯილსა** ვინცა გცნობდეს.
თქვენი აგრე **დაღრეჯანი**
მნათობთაცა დაამხობდეს.

---

## ტანჯული ძიძა
### ანუ
## თანამედროვე მუზა




— აბაი—მე, აბაი—მე... ყველაფერს პირისაკენ მიაქანებენ ეს საძხრეებ. ამათ ვინ აუვა თქვენი ჰირიმე-ე-ეთ?!

კიდევ ბევრია „დაღრეჯა“ „ვეფხის ტყაოსანში“, მაგრამ „დაღრეჯილომის“ შესახებ მაგალითისათვის ესენიც კმარა, რაც უკვე დავასახელეთ.

თუ გინდათ გადახედეთ ვეზირების სიტყვა - პასუხს. ისინი ისეთივე ხეპრე არიან, როგორც სხვები.

მაგალითად, მათ თინათინი, ეს მიწიერი ანგელოსი და ღვთაება, ლეკვს შეადარეს.

„ლეკვი ლომისა სწორია
ძუ იყოს, თუნდაც ხვადია.“

ტახტის მემკვიდრე, ისიც უმშვენიერესი ასული, ლეკვად მონათლეს. სხვა რომ არ იყოს რა, აქ თვით მეფე როსტევან არის გაბითურებული, რასაც გულუბრყვილო (თუ ბრიყვი) მეფე ვერ მიმხვდარა.

ავტორი არა მარტო გმირების დახასიათებაში, არამედ სურათების აღწერაშიაც იჩენს ულაზათობასა და მოუხეშაობას.

ავთანდილ სჯდა მარტო საწოლს
ეცვა ოდენ მართ პერანგი;
იმღერდა და იხარებდა,
წინა ედგა ერთი ჩანგი.

ჯერ ერთი, როგორ შეიძლება! საწოლზე წვებიან და არა ჯდებიან (ამისათვის სკამებია). მეორედ — ამხელა კაცი, ისიც შეყვარებული მეფე-ქალზე, მარტო პერანგის ამარა იჯდა ლოგინზე, როგორც უზნეო, მტირალა ბავში. პერანგის ამხანაგი მაინც ჩაეცვა. (ნუ თუ მის დროსაც არ იყო მუშკოოპში სანიფხვე ნარმა?!). მაშინ არც ისე ცხელოდა, რომ ასე ხალვათად ყოფილიყო.

ეს გმირი კაცი, სარდალი, თინათინის საქმრო მარტო პერანგის ამარა ზის საწოლ ლოგინზე და სულელივით ხარობს და მღერის. (იხ. აქვე სურათი)

კარგი სურათია მამათქვენის ბაბუას სულს გეფიცები.

დასასრულ კიდევ მოვიყვან ერთ ადგილს, რომელიც დაადასტურებს ჩვენს შეხედულებას და ავტორის მოუხეშაობას:

„ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა,
იხმაროს დიდი გმირობა“.

ეს სიტყვები წინასიტყვაობაში აქვს ავტორს.

სხვა რომ არ იყოს რა, სასაცილოა.

ვინ არ იცის, რომ ჩოგანს ხმარობენ ლომის (ცხელი ლომის) დასაზელავად; (სურათია: ლომის - ლომი იქნება კარდალში, თუ ჭად-ლომა). ეს საქმე ავტორს დიდ გმირობად მიაჩნია („იხმაროს დიდი გმირობა“).

კარდალში ჩოგნით ლომის გაზელა რომ „დიდი გმირობა“ იყოს, დედაკაცები პირველი გმირები იქნებოდნენ, რადგან მათსავით ვერც ერთი ვაჟკაცი ვერ დაზელავს ლომს კარდალში.

ნუ თუ ავტორს, დიდ პოეტს, შოთა რუსთაველს არ შეეძლო აქ სხვა შედარება მოეყვანა, თუ არა ლომის დასაზელი ხის ჩოგანი, რომელიც დედაბერთა იარაღია და არა ვაჟკაცთა. (პოეზიას არაფერი აქვს საერთო ჩოგანთან!).

არ ვიცით! ვის როგორ უნდა, ისე შეაფასოს „ვეფხის ტყაოსანი“ და მისი ავტორი (ეს გემოვნების საქმეა!), ხოლო მე კი ვიტყვი გაბედულად, რომ არც ისე უნაკლოა ეს ნაწარმოები, როგორც ჩვენს კრიტიკოსებს ჰგონიათ.

ისელი.

# ორი „წმინდანი“

## სოფ. მღვიმევი, (ჭიათურის რაიონი)

ხყაყანდა ჩვენი მღვდელი —დიომიდე ვაშაძეო;
ეკლესიას რას დაეძებს, ფიქრობს, სადილ-ვახშამზეო;
სმა-ჭამისთვის თავს შეწირავს, მუდამ არის მადაზეო;

სისუქნით დიომიდესა ყელში ამოდის ქონია,—
გვერდს მონაზონი უმშვენებს —კაპასი დიაკონია,
მისი სახელი ნინოა — ამაშუკელი მგონია.

ამის შემდეგ არქიელმა რევიზია მოახდინა.
აღმოჩნდა, რომ ხეპრე მღვდელმა ყველაფერი წაახდინა.
მისი ლანძღვა და გინება სულ ყოველგან მოეფინა...
მღვდელმთავარი დაუკვირდა, — მას დაუსვა დიაგნოზი:
მის უფროსად გაამწესა ბესარიონ დეკანოზი,
რომელზედაც დიომიდემ სინოდს მისცა ცრუ დანოსი,

დიომიდემ სთქვა: — მონასტერში ვერ ვინ მოვა ჩემზედაო.
შევიხედე სერზედაო, ბესიკო ზის ცხენზედაო.
ჭიათურლები მოუძღვის გულმოსული ჩემზედაო.

გამლანძღეს და გამომლანძღეს, გადამაგდეს გვერზედაო.
„აქ რა გინდა, შე რქიანო, ივარჯიშე რქებზედაო.
მღვიმელები მოგიშვებენ ლობიოზე, ქერზედაო“.

ეს რომ ბესომ გაიგონა, მყის მოვიდა ფერზედაო—
სინოდმაც მას მიანიჭა წირვა ნახევარზედაო.
მაგრამ ხეპრე დიომიდემ, ხელები ჰკრა მკერდზედაო.

ბესომ არქიელს მიმართა, უფლებები მოითხოვა.
არქიელმა დიომიდეს მორჩილება გამოსთხოვა;
დიომიდემ გულის ჯავრზე ფუთი ღვინო მოითხოვა,
მღვიმევლებთან იქეიფა და შენდობა ბესოს სთხოვა.

არ დაწყნარდა მონაზონი ნინო ამაშუკელიო,
დიომიდემ მას ურჩია: „ცოტა ჭამას უკელიო;
აღაპებში სიმთვრალეზე მზათ ვარ ვილო მე ხელიო.
მღვდლობისაგან დამითხოვენ, ეს მეზმანა წუხელიო“.
ნინომ იმას უპასუხა: „მე ყოველ დღეს მოველიო.
ბევრი სვი და ბევრი ჭამე, როგორც დათვი და მგელიო,
მეც გამაძღე... შენც გაიძღე ღაპიანი მუცელიო....
მე ვილოცავ ღვთისშობელსა, ყოვლად წმინდა სამებასა,
ბესარიონს მახეს ვუგებ, იქნებ მალე გაებასა,—
თუ მას მე ვერ ვუჯაშუშო, მეეს ენა დამებასა“.

მღვიმეველი ჭინჭრაქა.

# ორაგული წყალში

## ქუთაისი




მიხეილ მღვდელი ამბობდა
არ მომივიდა ძილია.
ღვინის კოლექტივს მივაგენ,
მაგრად გავკარი კბილია.

[ ]გე ვარ... ესე ადგილი
ქლვდლობაზე უფრო თბილია
რად მინდა ხატი და ჯვარი,
ბევრი მაქვს ღვინო ტკბილია,

# სანუკვარი კვერცხის ხილვა



— არა თუ ლალი ან მარჯანი, თუ სხვა ძვირფასი ქვა, თუნდაც უბრალო კვერცხი იყვეს ეს ამოდენა, ნამდვილი მისწრებაა!

## „სიმბოლო სარწმუნოებისა“

(სოციალ-დემოკრატის)

1. მწამს ერთად ერთი კაპიტალი ყოვლისა მპყრობელი, შემომქმედი ცეპელინებისა ცათა შინა და ტანკებისა ქვეყანასა ზედა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა საომარ გაზებისა.

2. და ერთი ბურჟუაზია ძე კაპიტალისა; შობილი მამისაგან წინედ მეოცე საუკუნისა, რომლისაგან ყოველი სიმდიდრე შეიქმნა.

3. რომელი ჩვენთვის (სოციალ-დემოკრატებისათვის) პირდაპირ გარდამოჰხტა ზეცით და ხორცნი შეასხა ჩვენსა ხატვრასა, და განვკაცდით (კაცი გავხდით), რამეთუ ბევრი ჩვენგანი დღეს მინისტრები ვართ.

4. და ჯარს ეცა ჯარი მსოფლიო ომის დროს, ჩვენი მოწყალე კაპიტალიზმი ივნო (დააზიანა) და დაეფლა კინაღამ (რევოლუციამ კინაღამ გაანადგურა).

5. და აღსდგა ვერსალში მეოთხესა წელსა მსგავსად რეაქციისა.

6. და აწაღლდა ისევ (სტაბილიზაცია ექო) და მჯდომარე არს მარჯვენით ფაშიზმისა.

7. და კვალად მომავალ არს დიდი ომი განსჯად ცოცხალთა და მკვდართა, — და სუფევასა კაპიტალის ნუ ექნების დასასრულ.

8. და ფული მინდა მცონებელი, რომელიც მისგან გამოვალ არს, ჩემს მიერ თაყვანი იცემების და იდიდების მას.

9. ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

10. აღვიარებ სოციალიზმის უარყოფასა მოსატევებლად ცოდვათა.

11. მოველით მინისტრის პორტფელსა ღმერთით.

12. და ცხოვრებასა მერმისა ბურჟაუიზულად და ფუფუნებით. ამინ.

ჭინჭარი

# მადლის წახდენა



— ვაი, ვაი, უს რა მოხდა? რა ამოხტა? ჩემმის ქუსლი!.. მისი წვერი!.. რაღას ვუცდით!.. ფუჰ იმედი.., ყველა-ფერი!

## თხოვნა უფლისადმი

ღმერთო, რაშია საქმე, რომ ერთხელაც აღარ იყურები ჩემსკენ? მართლა და სინდისიც კაი საქონელია, რომ ამდენს მატყუილებ. თუმცა შენი იმედი დიდი ხანია დამეკარგა, მარა თუ თლად ასე გაგიწყრებოდა ტარტაროზის და კომსომოლას მადლი, ეს კი აღარ მეგონა სწორედ.

ჯერ კიდევ მაშინ აგინთე არშინიანი სანთელი, როცა წოდებაზე ამაღებიეს ხელი და გთხოვდი მის უკან დაბრუნებას, მარა შენ თითიც არ გაანძრიე. (გაგიხმეს მაგ ხელები). გავიდა დრო და ზე ამაშვლიპეს: დვარეციევით სახლი, ყანები, ტყე, ვენახი და სხ. იმ ჩემ სახლში ჩემი ნაყმევი გრიგოლია გამოჭიმეს თავის ცოლშვილთ. მე კი ჩემი ცოლშვილით სასიმინდეში შემრეკეს. მოდი და ითმინე კაცმა ასეთი უკანონობა! ჩემ მიწებს გლეხები ამუშავებენ და მე კი ერთ გოდორ ღალასაც აღარ მაძლევენ.

აგინთე კიდევ ერთი დიდი სანთელი, მარა, შენგან მაინც არაფერი სიკეთე გამევიდა, ამ ყველა სიკეთესთან ხმაც წამართვეს (სიმღერის და გალობის არ გეგონოს); არჩევნებში ახლა მე იმდენად მაგდებენ, როგორც მკვდარ ძაღლს.

ამ უკანასკნელათ სხვა სიკეთესთან ერთად ჭამის ნებასაც აღარ მაძლევენ.

გამოცენ რაღაც პრიკაზი და ზედ დაარტყენ პეჩატი — არა მშრომელ ელემენტებს ნახევარი გირვანქა პურის მეტი არ მიეცეს დღეში. ხო, და რავა ფიქრობ, ჩემ ფაშვს ეს ნახევარი გირვანქა პური ეყოფა?

ამიტომ მოგმართავ უკანასკნელად, რომ აღმომიჩინო დახმარება ამ საქმეში, ე. ი. მომიწყვე კუჭი ისე, რომ ნახევარი გირვანქა პური საკმარისი იყოს. თუ კიდევ გაგიწყრა ტარტაროზის მადლი და მომატყუილე, მაშინ მე მიყურე რა დღე დავაყენო შენ მოციქულ ხუცებს, რომლებსაც სულ ერთიანად გავპუტავ; ეკლესიებს კი სულ მტვრად ვაქცევ. ამას ვიზამ თუ კიდევ მომატყუილე. ამიტომ გირჩევნია კუჭის საკითხი მომიგვარო. არშინიანი სანთელი და ერთი ცხვარი ჩემზე იყოს.

უკანასკნელად შენი იმედის შემყურე ყოფილი ბრწყინვალე თავადი ანდუყაფარ. **კირილე საფირჩხიელი.**

# ყოვლად წმ. ხარიტონი, ანუ პოეტი ვარდოშვილი



„მთრთოლვარე ხელი მისვენია... ზეცას ვუცქერი და ღმერთს მოველი“

# ლ ი ნ ი

ეს მოხდა შორეულ წარსულში, რეაქციის ერთ-ერთ „სუსხიან“ წელს.

წინა წლის საკმაოდ მწარე გაკვეთილით ცოტა ჭკუა-ნასწავლნი, ჩვენ, ამ პატარა ზღვის პირის ქალაქის რევოლიუციონერების პატარა ჯგუფი, ვერიდებოდით წელს ჩვენი ბეჯითი „მოთვალთვალეებისათვის“ რაიმე გარეგნული ნიშნის მიცემას, რომ ჩვენ წელსაც ისე, როგორც წარსულ წელს, ვაპირებდით პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარებას.

ჩვენი წინასწარი სამზადისი უკიდურესი კონსპირაციით იყო მოცული. ვემზადებოდით მხოლოდ დაცდილნი და საიმედონი, ორგანიზაციის მხოლოდ აქტიური წევრები.

იყო ჩვენ შორის ერთი „ამხანაგი“, მეტად „აქტიური“, მაგრამ იმდენადვე საეჭვოც.

რამდენადაც კი ეს მოსახერხებელი იყო მაშინდელს პირობებში, ეჭვიც საკმაოდ მოსინჯულ-შემოწმებული გვქონდა, მაგრამ აშკარად ამისი „დასმა“ შეუძლებელი ხდებოდა, რადგან ჩვენი ჯგუფის სიმცირე პირდაპირ უკიდურეს „მომჭირნეობას“ გვიკარნახებდა, მიუხედავათ იმისა, რომ რევოლიუციონური თვალსაზრისით ამ ყოვლად გაუმართლებელ ბედოვლათობის შედეგათ წინა წლის ამბებით ამწვარი ზურგი ჯერაც საგრძნობლად გვიხურდა.

გადაწყდა: მიმდინარე წლის მაისობა უნდა გამოგვეპარებინა ამ „აქტივისტისათვის“.

პირველი მაისის დღესასწაულის ჩატარება ამ წელს განზრახული იყო ჩვენ მიერ შემდეგი სახით: ქალაქის ერთ მივარდნილ ბაღ-რესტორანში, რომელსაც ერთი ჩვენი საიმედო ძმაბიჭი და პირის ზიარება განაგებდა, უნდა შეგვეყარა თავი ყველას, „აქტივისტის“ გამოკლებით, და იქ ხის ჩრდილებ ქვეშ და ცოტა მიფარებით გაშლილ სუფრის გარშემო უნდა ჩაგვეტარებინა ეს დღესასწაული ცოტა „შევიწროებულად“, მაგრამ ამდენადვე „თავისუფლადაც“.

ბაღში ამხანაგები უნდა მოსულიყვენ თითო-თითო, ფრთხილად და გზების ბეჯითი მოსინჯვით, რათა ვისიმე ყურადღება არ მიეპყროთ.

არავის აღარ ეგონა, ამის შემდეგ, თუ ჩვენ შეკრებას რაიმე უხერხულება მოელოდა. უპირველეს ყოვლისა, არავინ არ ელოდა არა თუ იმას, რომ „აქტივისტი“ აქაც გამოცხადდებოდა, არამედ იმასაც კი, რომ „აქტივისტმა“ საზოგადოდ იცოდა რაიმე ამ წლის მაისის დღესასწაულის ჩვენ მიერ ჩატარების განზრახვის შესახებ. მით უფრო, რომ, თითქოს ტრადიციულად დამკვიდრებულ ძველი სტილის ნაცვლად, წელს პირველ მაისს ვდღესასწაულობდით ახალი სტილით, რაც უდრის ძველი სტილით 18 აპრილს.

და აი, წარმოიდგინეთ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი გაოცება და, თუ გნებავთ, აღშფოთებაც, როცა უკვე გაწყობილი სუფრის გარშემო შემოსხდომის მომენტში გავიხედეთ და ბაღის ერთ-ერთ კარებში შემომავალი „აქტივისტი“ — დავინახეთ.

არ დაიბნა მხოლოთ ჩვენი ორგანიზატორი. მან დაბალი ხმით გამოგვიცხადა: „ბიჭებო, თავი ისე დაიჭირეთ, ვითომც კოტეს და თამარას ქორწილია, რომელსაც ჩვენ ახლა მათ ვუმართავთ, რადგან მათ ნამდვილს ქორწილს ვერ დავესწარით“-ო.

კოტე და თამარა ახლად შეუღლებული ამხანაგები იყვენ. მათი შეუღლება მოხდა წარსულ აღდგომის დღესასწაულების განმავლობაში სოფელში, ჩვენგან დაშორებით, და ამავე მიზეზით ჩვენგან დაუსწრებლადაც.

ამიტომ ორგანიზატორის მოსაზრება უცბათ ყველასათვის გასაგები და მისაღები შეიქნა.

„აქტივისტი“ მოუახლოვდა ჩვენს სუფრას ცოტა გაუბედავათ და თანაც საყვედურით, რომ მისთვის გამოპარება გვინდოდა პირველი მაისის ამ შეხვედრის.

მაგრამ თამადამ (იგივე ორგანიზატორმა) გაუფანტა მას ეჭვი სათანადო ახსნა-განმარტებით, რის შემდეგ ასწია ამ ლხინისთვის ყასიდათ მოშიზეზებულ ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოც. მაგრამ თანაც ისეთ ქარაგმული გადაკვრებითა და ოსტატობით კი მოაქახრაკა თავისი სიტყვა, რომ ნეფეში თვითეულმა ჩვენგანმა იმ წამსვე აშკარად იგულისხმა მუშათა კლასი, მთელი ქვეყნის პროლეტარიატი, ხოლო დედოფალში—საერთაშორისო დღესასწაული, მაისი და მასთან შეკავშირებული მომავალი გამარჯვება მუშათა კლასისა.

უხერხულება მაინც აწვა სუფრას და მისი სავსებით გაფანტვა მაინც მოუხერხებელი შეიქნა. ატმოსფერა დამძიმდა. ლხინი გაგრძელდა, მაგრამ იმ ინტიმიურობის ჩამოგდება, რომელსაც ყველა ჩვენგანი მოელოდა დღევანდელი „ლხინიდან“, უკვე შეუძლებელი შეიქნა.

ჩვენმა ორგანიზატორმა შეამჩნია ეს და მოინდომა რაიმე ხერხის გამონახვა.

მან უცბათ იერიშივით დაიწყო ალავერდის გადასვლა „აქტივისტთან“. დააყარა და დააყარა ჭიქები, თასები თუ სხვა რამ სახელდახელო სასმისები.

**ლ.ნისიძე.**

# ქრისტე „აღსდგა“



მარიამ მაგდანიელი: — უი, ქა! დამიდგეს თვალები! ქრისტე სადღაც გაპარულა!

პეტრე მოციქული: (ამხანაგებს): — აბა, ბიჭებო, ყოჩაღად სასწრაფოდ გადავმალოთ გვამი, თორემ დაგვინახავენ, და მერე ვინღა დაიჯერებს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას!

## ღვთის ბოდვა

(სააღდგომო)

არ'რია მონასტერი,
კვერცხს არ ღებავს დედაბერი.
გაშლილია ველ-მინდორი.
ჩქარა მოვა პამიდორი.
ვაი, ჩემ დღეს, — დგება ხსნილი,
და არა მაქვს პასკის ქფვილი.
მოსეს ქონდა ღვთიდან კვერთხი
და უბეში ლაყე კვერცხი....
ჯოხი გველად უგორდება,
(ისემც მამა უცხონდება).
რის მაისი, რის კომუნა
მე არ მინდა რამე სხვისი.
ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა.
(ისე ადგა მთქმელი მისი)
მარიამი დუშკას ეძებს
ახალ' ღმერთის დასაბადათ
და ალიმენტს პირველ ქმრიდან
გამოელის ბლომათ, ნაღდათ.
დღე და ღამე აღარ მძინავს,
თავზე სიცხით ამდის ბოლი;
ვახ, ნეტავი მაბეგვინა
რომელიმე კომცომოლი.
ცეცხლზე შედგეს ქვაბით ბორში,
დაჭრილია თეფშზე ღორში;
ბატკანს თვალი გადავავლე
მომივიდა ქამის ხოში,
მაგრამ ტანზე არ მაცვია
შიშველი ვარ, ვით ვაცია
დღეს მუსოლინს გადუჭრია,
ჩიჲ-სარპინკა აჲი ადლი,
სააღდგომოთ ვერ მომისწრო
მას გაუწყრეს პაპის მადლი.
დამელია ქიშმიშ ფლავი,
ქრისტე აღსდგა მაინც ვბღავი...
ვუცდი, ვუცდი გულით მინდა
იგივ გავხდე რაც ვიყავი.
მაგრამ პეტრეს მოთრევამდე
მთლად ამაძვრეს ზურგზე ტყავი..

არჩულაძე.

## მღვდლის ჩივილი

ბითიური მღვდელი ჩიოდა:
არ მომივიდა ძილიო,
სათქვლეფათ ვერვის მივაგენ—
გამომეთხარა ძირიო.
ასეთ აღდგომას რა ვუთხრა—
აღარ მენახოს კიდეო;
ვით ვიხეირებ შემდეგში
ამ ხალხის გადამკიდიო!
აქეთ კომუნისტს გადაურჩე —
თუ იქით კომცომოლსაო?
ყველას ვირჩევდი სიამით
მაგ ულმერთოთა ყოლასო.

—:—

გადამირიეს მრევლი და
ზურგი მაქციეს ყველამო,
ნეტავი გამაგებინა—
დამიხსნას ვიღას შველამო?!

—:—

მირბიან, როგორც ჭირიანს—
მუშა და ყველა გლეხიო;
იმათ გადამრევს უფალო,
დაეცი რისხვა, მეხიო.

—:—

ეხლა „აღდგომის“ მაგიერ—
იხდიან პირველ მაისსო;
ამ წელს მაინცა ვბოგინობ!
ნეტა რა მელის გაისსო?!

—:—

ჩემზე არ ვფიქრობ, ვეცდები
გაძრომ და გამოძრომასო;
ტუტუცებს კიდევ ჩავიგდებ —
გავიკრავ გამოძღომასო...

—:—

ო, ფოფოდიას რა ვუყო?—
წინად ვერ სძრავდა გავასო,
ეხლა ტარანას მიმიგავს—
ჭამაზე მიწყებს დავასო.

ტარზან.

# პრესის დღე და პრასა-პრუსი

**1. თვითკრიტიკის კრიტიკოსი.**

— აი, ეს წერილი მოგართვით.

— რის შესახებ?

— ერთი ფრიად მტკივნეული საკითხის ჯეროვანი განხილვა გახლავთ.

— სახელდობრ?

— ამისა და ამის...

— ამისა და ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა მოთავსებული სავსებით საპასუხისმგებლო წერილი კომისარ ქურჩუმელაძისა!

— მეც სწორედ ამის „საწინააღმდეგოსა" ვწერ...

— „საწინააღმდეგო" არ შეიძლება!

— მაგრამ თვითკრიტიკა...

— ჰმ! საოცარია. თქვენი წერილი ხომ „სხვის კრიტიკაა" და არა თვითკრიტიკა.

— მაშ, შეცდომები როგორღა უნდა ავიცდინოთ?

— შეცდომები? მაგის შესახებ იხილეთ საანგარიშო წერილი ერთი წლის შემდეგ იმავე კომისარ ქურჩუმელაძისა!..

**2. ლიტერატურული კრიტიკა.**

— ეს რა არის?

— კრიტიკული წერილი გახლავთ ამა და ამ წიგნის შესახებ!

— როგორ, თქვენა ხართ ავტორი?!.

— არა!

— მაშ, ავტორმა დაგავალათ?

— მაშ, ჩვენ დაგავალეთ!

— არა.

— მაშ, როგორ შეიძლება, რომ ასეთები დავბეჭდოთ?!.

**3. ლოღიკა და დიდაკტიკა.**

— თქვენი შვილი უთუოდ იურისტი გამოვა.

— რითი ამჩნევთ?

— სულ „სასამართლოს განყოფილებას" კითხულობს გაზეთებში!

— მე კი ვფიქრობ, რომ უფრო ბოროტმომქმედი გამოვა, ვიდრე იურისტი.

— რატომ გგონიათ ასე?

— ხომ გაგიგონიათ: „საჯაოხური ხუმრობა ნახევარი მართალია"-ო?

— გამიგონია.

— ეს ანდაზა ძველის ძველია. მაშინ ყველაფერი უკუღმა და უკუღმართად იყო. ახლა ყველაფერი ეს შებრუნებულია. ჰო და შეაბრუნეთ ეს ანდაზაც და დაახლოებით ასე გამოვა: „ის, რაც საჯაოხური ხუმრობაა, ნახევრად მაინც მართალი და, მაშასადამე, მოსაწონ-მისაღებიც არის"! ამ რიგათ, გამოდის, რომ ხუმრობაში ჩატარებული ბოროტმოქმედება მხოლოთ ნახევრად ბოროტმოქმედებას თუ უდრის, მეტს მაინც არა. მაშასადამე, თუ ჩემს შვილს, ამ მომავალ ბოროტმოქმედს თავის მომავალ დანაშაულს ნახევრად ეს გარემოება შეუმსუბუქებს, ნახევარსაც მას, დარწმუნებული ვარ, თვითონ სასამართლო აპატიებს. ამის შემდეგ, აღარ ვიცი, თუ რამ უნდა შეუშალოს ხელი ჩემს შვილს, რომ იგი ბოროტმოქმედი გამოვიდეს და არა იურისტი, როგორც ეს თქვენა გგონიათ.

**4. კაცია და გუნება**

— ააა, გაკეთებულხართ, ამხანაგო, ტიმოთე, გაკეთებულხართ.

— როგორ?

— როგორ და იმ სიგრძე ლექსია დღეს თქვენ გაზეთ „ქლაკვში"!

— მერე?

— მერე და აუარებელ ჰონორარს მოგცემენ...

— საიდან იცით?

— როგორ თუ საიდან? ამას წინად ერთ ჩემს ნაცნობ ეგრეთ წოდებულ „დამწყებ პოეტს", სკვინჩას, იმავე რედაქტორმა ერთ პატარა ლექსუკაში მთელი ერთი თუმანი გამოუწერა.

— ჯერ ერთი; რომ მე „დამწყები პოეტი" არა ვარ...

— მით უფრო! თქვენი ლექსი ხომ...

— მეორეც ისე, რომ რედაქტორი ლექსის მიხედვით კი არა სწერს ჰონორარს

— მაშ, აბა?

— აბა და ხომ გაგიგონია: „კაცია და გუნება"-ო?

— ეგ ხომ კაცზეა ნათქვამი

— რედაქტორის შესახებ კი იგულისხმე: „რედაქტორია და გუნება"-ო.

**5. საფუძვლიანი უსაფუძვლობა**

— აი, ეს კორესპონდენცია მოგართვით აგერ პროვინციიდან!

— გადაეცი აი, იქ „სოფლის განყოფილების გამგეს"!..

— ეს ვინ-ღა არის?

— აი, ვინც კორესპონდენციებსა სწერს.

— მაშ, ჩემი წერილი მას რაღად უნდა?

— საფუძვლად გამოიყენებს.

— არ შემიძლიან! საფუძვლის ბედს რომ ვიცნობ, იგი თუ მთელად არა, ნახევრად ხომ მაინც მიწაშია ჩაფლული და მიჩქმალული. მე კი მინდა, რომ ჩემი წერილი საფუძველზე აგებულ კედლებსა და მთელ შენობასავით დაინახოს ყველამ, რადგან ის სწორედ ერთ უსაფუძვლო მოვლენას შეეხება.

**6. თავისა და ბოლოს საკითხი.**

— უკაცრავად, თქვენ უცხოელი ბრძანდებით?!.

— როგორ უცხოელი?

— მაგალითად: ოსმალო, სპარსელი, არაბი...

— რისთვის მეკითხებით ასე?

— აი, გაზეთის კითხვას რომ ყოველთვის უექველად ბოლოდან მოჰყვებით ხოლმე...

— ჰე!.. ეს იმიტომ, ჩემო კარგო, რომ უფრო საინტერესო ამბები სწორედ იქიდან მოყვება.

— როგორ? არ მესმის!

— აი, მაგალითად: სამგლოვიარო განცხადებები, უპირველეს ყოვლისა!

— როგორ? თქვენის აზრით სამგლოვიარო განცხადება ძირითად წერილზე უფრო ფასეულია?!.

— ოღონდაც! თითოეულის იქ მოთავსებაში ავტორები არა ნაკლებ ოც-ოცი მანეთისა აძლევენ რედაქციებს... შემდეგ მოდის უფრო „იშვიათი" ღირსების „ნივთები", როგორიცაა, მაგალითად: „წერილები რედაქციის მიმართ". ამათ მოჰყვება „ქვადრაკი", სპორტია, რაც არ უნდა იყვეს, და ჭადრაკულადაც არის დაწერილი. ამის შემდეგ მოდის „სასამართლო", ხოლო იქვე, გვერდით — „ცირკი" ან კიდევ კოტე მელქანეთუხუცესის „სპოხმელია".

ამის შემდეგ კი, სანამ დაღამებამდის და ძილის დროც მოაღწევდეს, უკვე სერიოზულ წერილებამდეც მოვაღწევ, რომელშიაც რედაქციას, ვიცი, რომ დიდი ჰონორარები აქვს გაცემული და, მაშასადამე, აგრე უგვად გასაფუჭებელიც არ არიან. აქ უკვე ძილი სწყვეტს ეგრეთ წოდებულ „ფაქიზად შენახულობის" საკითხს, რის შემდეგ გაზეთი საჭირო ... ხდება. მის მაგიერობას სიზმრებიც მშვენივრად ეწევიან.

**ონისიმე.**




ზოგი თანამედროვე-ტიპის სპალდ გომო ილიუზია,

# როგორ ცხოვრობენ



ღმერთი: ხალხო, ჩემი მადლი შეგეწიოთ! გამიკეთ-ხეთ უბინაო და საწყალი!



ქრისტე: — „სტარი ვეში“, ხარა - ხურა “კამუ ესტ პრადატ.. ბუმაგ, კნიგი პაკუპაუ“.



მარიამ „ღვთისმშობელი“: — ირის, ეინემ ტი-ანუშკი... წყვილი ერთი კაპიკი!



მიქელ გაბრიელი: — „პაპიროსი ,ტსკი“ ტაბაკ... სპიჩკი პრადაიუ“.

„ტარტაროზი“-ს შემდეგი ნომერი გამოვა

კვირას, 12 მაისს

# ზოსიმეს გასაჭირი

სააღდგომო უქმეების მოახლოების გამო, მამა ზოსიმე, პროფკავშირ-კომკავშირის პარალელურად შეუდგა რელიგიურ კამპანიის ჩატარებას.

— მამავ და შვილო! გავაჩაღოთ ჩვენც რაღაც კამპანიაა, ხომ გახსოვთ, კამპანიები როგორ გვემარჯვებოდა წინად!..—დაიწყო ზოსიმემ ქადაგება მორწმუნეთა შორის.

— სადაა მამაო კამპანია, მეც ნუ დამივიწყებ თუ სადმე დაგიძახონ, ცამა-სმა; შენც კარგათ იცი, გვარიანათ მეხერხება,—ნერწყვის ყლაპვით წამოიძახა დიაკვანმა.

— მეც თქვენთან წამოვალ ღვდელო, ბანი მაქვს საუკეთესო, ქე იცი და თუ სადმე კამპანია დარჩეს ნუ გამომტოვებთ,—სთქვა ათრთოლებულმა მნათემ.

— კამპანიას ჩვენ თითონ გავმართავთ,—ერთხმათ წამოიძახეს კულაკებმა,—ოღონდ იმდენი მოვახერხოთ, რომ ალმასკომის თავმჯდომარე და კომსომოლის მთავარიც ჩვენსას გადმოვიყვანოთ, მაგრათ დავათროთ და მოვქრთამოთ. მერე როგორც გვესურვება, ისე მოვაჭახრაკებინოთ საქმეს...

— კაცო, მე მაგ კამპანიაზე კი ხრ გულაპარაკებით, რელიგიური კამპანია, ანუ, მუშაობა უნდა მოვაწყოთ,—სთქვა ზოსიმე ღვდელმა, წვერი ჩამოიფერთხა და დაუმატა:—თუმცა ნამდვილი კამპანიის, ესე იგი ქეიფის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუ სადმე რამე იქნება, მისვლას არავის დავამალავ.

— ვწიროთ ხომ, ღვდელო?—იკითხა დიაკვანმა.

— ვწიროთ და ვილოცოთ, აბა რა უნდა ვქნათ, ხალხი სალოცავათ მოვა, სულ განწირული კი არ ვართ მართლა! ის კი არა და გული მეუბნება, რომ წელს საკურთხიც ბლომათ შემოგვივა.

— შუაზე გავყოთ არა, მამაო?—შეკადრა დიაკვანმა.

— ღმერთი შეგარცხვენს დიაკვანო, მე შენ შუაზე არ გაგიყო საკურთხი და ნაწირავი. რა ხარ შენ ბოლოს და ბოლოს? მე უშენოდაც შემიძლია წირვა-ლოცვა, მეხუთედი თუ მოგეცი, ხელები დამიკოცნე!

— მე რაღა ვქნა მამაო?—კრძალვით იკითხა მნათემ.

— შენ რაღა გინდა შე მუქთა-ხორავ, ერთი გახეთქილი პასკა და შენი ჯანი...

დიდ ხანს გაგრძელდა დავა მომავალ საწირავის გაყოფაზე.

ამასობაში სოფელი ემზადებოდა. კვირაში სამჯერ იმართებოდა ანტირელიგიური კრებები, რომელსაც აუარებელი გლეხობა ესწრებოდა. რაღაცაზე გაცხარებით ბჭობდენ.

აღდგომა კარზე მოვიდა.

ზოსიმემ ხურჯინი გაარეცხინა ფოფოდიას.

— თუ ავავსე მაგი ხურჯინი საკურთხით, ხომ კარგი ჩემო ფოფოდია, თუ არა და აღარ ვყოფილვარ ზოსიმე ღვდელი!

— ავსებით კი ვიცი რომ აავსებ, მაგრამ რით გინდა წამოიღო ის ჯორი რომ გაყიდე?

— ბეჩა, გავყიდე აბა შიმშილით ხომ არ მოვიკლავ თავს, ხომ ხედავ, რა დღეში ვართ, კაცი აღარ მოდის ეკლესიაზე, ჯვარის წერა დაავიწყდათ და ლოცვა! ამ ჩვენ ეკლესიას ობი მოეკიდა, შესვლა მეზარება შიგ!

ერთი საწირავები იქნებოდეს და აგერ არ მყავს მნათე?!.

ზოსიმეს მთელი ღამეებით არ ეძინა, მას ელანდებოდა შემწვარი გოჭები, ბატკნები, ღვინო, წითელი კვერცხები და სხვ.

არ ეძინათ კომკავშირელებსაც: ისინი ღამეობით რომელიღაც პიესას ამზადებდნენ, რეპეტიციებს გადიოდენ.

— კი მაგრამ შენობა სად არის პიესას რომ ამზადებთ, ჩვენი სკოლა პატარაა და ხალხი ვერ დაეტევა.

— ვიშოვით შენობას.

— რომელს?

— სოფელი გვაძლევს, გლეხებმა დაადგინეს.

— რომელი შენობა?

— არის, მერე გაიგებ!

მოახლოვდა აღდგომა. ზოსიმემ ლოცვას მოუხშირა. ფართო დიდ ეკლესიის შენობაში, რომელიც მაღალზე იყო წამოჭიმული, დამტვრეულ ზარივით ზრიალებდა კუჭ-ცარიელ ზოსიმეს ხმა. მას ბანს აძლევდა დიაკვანი და მნათე. ეკლესიაში ორამდე მლოცველი იყო, ისინი ზარმაცად ამთქნარებდენ.

აღდგომა რომ გათენდა ზოსიმემ ახლად გარეცხილი ხურჯინი გადაიკიდა და ფოფოდიასთან ერთად გაუდგა გზას ეკლესიისაკენ.

ზოსიმემ შორიდანვე დაინახა ეკლესიის ეზოში მოგროვილი ხალხი.

—გავკეთდი მამავ და შვილო! გული მობრუნებიათ მორწმუნეებს, ჰაი საკურთხო და რა საწირავო?!. ხომ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში კომსომოლებს!..

ზოსიმე მიუახლოვდა ეკლესიას: ხალხით სავსე იყო ეზო.

ზოსიმე სწორედ იმ დროს მივიდა, როცა ასიოდე გლეხმა ხელი აუწია ვიღაცას წინადადებას.

— მომხრე ვართ! გადავაკეთოთ!.. ასე ჯობია! აქამდეც უნდა გვექნა ეგრე!—ასე მოისმოდა ხმა.

სამიოდე კაცმა კიბე მიაყუდა საყდრის კედელს და ზედ ფართო აბრა მიაჭედა.

ონოფრეს ფერი ეცვალა.

**„სოფ. წითლიანის სახალხო სახლი“**

ასე ეწერა ფართო, ახალ აბრაზე.

ზოსიმეს საცეცხლური ხელიდან გაუვარდა.

გუზ-გუზ.

## „ბედნიერი დღე“



— ერთი კვირაა დავდივარ, რომ ამ ქაღალდზე ბეჭედი დამისვათ!
— დღეს კი დავსვამ ბეჭედს, ვინაიდან დღეს „ბეჭდვის დღეა“.

# დეპეშა

ერთ წელიწადზე მეტია, რაც ილიკო ჩირიკაძის ოჯახის ყველა წევრები „ულმერთოთა საზოგადოება“-ში არიან ჩარიცხული. მართალია ყველა ეს წევრები უარს აცხადებენ ამაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა შარშანდელი აღდგომა ცოლმა და მამამ მაინც გადაახდევინეს ილიკოს და პასკებიც გამოაცხობინეს.

შარშან თუ ასე მოხდა, სამაგიეროდ, წელს მაინც შესძლო ილიკომ თავისიანების დამორჩილება და აღდგომას ისე ხვდებოდა, როგორც ჩვეულებრივ დასასვენებელ დღეს.

ის იყო ილიკო „სასამართლოს“ კითხვას ამთავრებდა, რომ ამ დროს ზარის წკარუნი მოისმა.

კარებისაკენ ილიკოს პატარა ბიჭი გაექანა.

— მამა დეპეშაა!

ილიკოს ოჯახი, რომელიც დეპეშის მიღებას ჩვეული არ იყო და არც მოელოდენ ასეთს, პანიკამ შეპყრო. მლოგინიდან ასადგომად მომზადებული ილიკო ისევ უკან დაეცა, გაზეთი ხელიდან გაუვარდა და შიშისაგან მთელი ტანი აუცახცახდა. მამამისსაც საშინელი ფერი გადაეკრა სახეზე და ენა ჩაუვარდა.

— მამა იცდის ფოსტალიონი, ხელი მომიწერეო!

— და... და... და... დაუძახე დე... დედა შენს! — ძლივს ამოილუღლუღა ილიკომ, რომელიც ვერ იძროდა ადგილიდან.

— მამა, დედას გული უწუხს... ვაიმე!

სახლში საშინელი ღრიანცელი შეიქმნა. ილიკო და მამა მისი გაშეშებულ იდგნენ და ფოსტალიონთან მისვლას ვერ ბედავდენ. მეორე ოთახში კი დეპეშის გაგონებაზე გულშეწუხებული ილიკოს ცოლი ლოგინზე გათხლაშული ეგდო. ბავშები ერთმანეთს ეხვეოდენ და გულშემზარავად ღრიალებდენ. ილიკოს თავში საშინელზე საშინელი ტრაღედია გათამაშდა. იქნებ ვინმე მოკვდა სოფელში... ჯავრი... ხარჯი... მოცდენა... ცოლის ტირილი... კიდევ ხლაფორთი, ყველაფერი ეს კინო-სურათივით გაიელვა ილიკოს წინ და გულის ცემა შეუჩერდა.

— უიმე... უიმე..! — მოთქვამდა ილიკოს ცოლი — ვინ იცის ვისგანაა მაგ დეპეშა? რა ამბავია? რა მეშველება? უიმე!..

სამი დღის უკან წერილი იყო სოფლიდან და ილიკოს ნამღვდელარი სიმამრი იორამი თავის უქმეიფობას იწერებოდა. ყველას ის ეგონა დეპეშის მიზეზი, ალბად თუ საიქიოსაკენ ქნა პირიო. ლოდინით მოთმინებიდან გამოსულმა ფოსტალიონმა აღარ დაუცადა მასპინძელს და პირდაპირ ოთახში შემოვიდა.

— რა დაგემართათ? მე კაცი ვარ, თუ ძაღლი? მთელი საათია კარებში მალოდინებთ, მიიღეთ თქვენი დეპეშა!

აკანკალებულმა ილიკომ ძლივს მოაწერა ხელი დეპეშის მიღებაზე.

— თუ ძმა ხარ... თუ... თუ... ძმა... გახსენი და..., გახსენი. და შენ. თითონ წაიკითხე მაგ დეპეშა!.. — მიმართა მან ფოსტალიონს.

— რა იყო, შე კაი კაცო! რამ დაგაფეთათ, განა ისეთი რამ იქნება? აი, წაგიკითხავთ!

— არა, არა მომეცით მე თითონ წავიკითხავ. მაგრამ... არა, არ შემიძლია... შენ წაიკითხე, მამაჩემო... არა, არა მოიცა, მაშიკო, მაშიკო შენ წაიკითხე, გენაცვალე!— დაუძახა ილიკომ ცოლს.

— უი, მოიგკვდა ჩემდათავად მაგის წამკითხავი, არ შემიძლია, უი, უი!

— ღმერთო, მიშველე! — ტრაღიკულად წარმოსთქვა ილიკომ, პირჯვარი გადაიწერა და დეპეშა გახსნა.

„მოგილოცავთ ბრწყინვალე აღდგომას, გაკურთხოთ უფალმა“.

[illegible]

ეწერა დეპეშაში.

— დაგწყევლოთ გამჩენმა,—შეიგინა ილიკომ,—ნამღვდელარმა თავისებური გაიხსენა,

# ხე პოეზიისა



ეჰ, ამ ოხერზე ყვავილებს მოველოდი ამ გაზაფხულს და სოკოებით კი დაფარულა!..

— ჰოო, მამას გამოუგზავნია! — ამოისუნთქა ძლივს მაშიკომ.

— მადლობა ღმერთს! — სთქვა ილიკოს მამამ.

[illegible]

# მსოფლიო პროლეტარიატის ალლუმზე



— მაშა, შენ სთქვი: — წინ რომ დემონსტრაციები,
მიდიან, ის საბჭოთა პროლეტარიატია, უკან კი—მოწინა-
ვა ქვეყნების მუშა - რევოლიუციონერებიო. მოწინავეები
} თუ არიან, რატომ წინ არა სდგანან?
] — იმიტომ, რომ ჯერ მათ ოქტომბრის რევოლიუცია
არ მოუხდენიათ?

პოლიგრაფ-ტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ. № 68.

ტარტაროზი

წელიწადი მეექვსე

ფასი 10 კაპ.

კვირა, 19 მაისი 1929 წ. № 21 (205)

# უკეთესი დასაწყისი



ექსკურსია მიდის მწყობრად,
თვალს ატკბობს და გულს ახარებს.
ამ სიმწყობრეს შორიდანვე
აბა, ვინ არ შეუყვარებს.

# ტარტაროზის კალენდარი

**მაისი 13 ორშაბათი**



1927 წ. პოლიციის თავდასხმა ლონდონში „არკოსსა“ და საბჭოთა რუსეთის სავაჭრო დელეგაციაზე.

არსებობს ანდაზა: „საქმეს წააპდენს რეგვენი, ფათერაკს დააბრალებს“-ო.

ეს ბნელი საქმე რომ ხელსაყრელი არ გამოდგა ინგლისის ვაჭრობისა და კეთილდღეობისათვის, ხიკსებმა სცადეს „პროპაგანდისა“ „არა ლეგალურ ფულებისა“. თუ „საბუთების“ მოშველიება, მაგრამ ყველა ეს ცდა უსაბუთო და უნიადაგო გამოდგა, ხოლო ზარალი კი ამან, როგორც ვსთქვით, დიდი მიაყენა ინგლისის კეთილდღეობას, რამაც ბოლოს ბევრი ანანა ხიკსებს.

**მაისი 14 სამშაბათი**



1917 წ. პეტროგრადში შესდგა კოალიციონური მთავრობა.

დღეს ხელში ხნთებულ ფანარით რომ ეძებოთ, პეტროგრადს ველარ იპოვით, იმის ადგილას უკვე საბჭოთა ლენინგრადი არის გადაჭიმული.

რაც შეეხება კოალიციონურ მთავრობას, ტარტაროზი ფიქრობს, რომ ოფიციალური კალენდარი ტყუილად ცდილობს ამ ცნებით აღნიშნული მთავრობის შელამაზებას. ამ მთავრობის ისტორია იხსენიებს უბრალო კერენსკის მთავრობათ.

ყოველი თავი ახასიათებს სხეულის დანარჩენ ნაწილის ანუ კუდს, თუნდაც ეს კუდი „მთავრობაც“ იყვეს. კერენსკი იყო ამ მთავრობის თავი. როცა ეს მთავრობა აღიგავა პირისაგან ქვეყნესია, კერენსკი იხილეს მესამე სართულიდან ჩამომავალი მეტად არაბუნებრივი და თანაც არამართებული გზით, სახელდობრ: იგი ბობღვით ჩამოსდევდა სახლის სახურავიდან წვიმის წყლის სადენ მილს.

როგორც ხედავთ, გზა მეტად შეუფერებელია მთავრობის თავმჯდომარისათვის. ამას დაუმატეთ ის ცნობაც, რომ ამ დროს მას უკვე მოწყვეტილი ჰქონდა თავისი საპატიო კუდიც.

**მაისი 15 ოთხშაბათი**



1916 წ. გარდაიცვალა პოეტი იროდიონ ევდოშვილი.

ევდოშვილს ჩვენში ვინ არ იცნობს. პროლეტარულ მწერლობაში ევდოშვილს ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს. მის ლექსებზე აღიზარდა არა ერთი მებრძოლი რევოლიუციონერი მუშა თუ გლეხი. დღეს შეიძლება ბევრი მისი ნაწარმოები, რომელთაც გააკეთეს რა, რისი გაკეთებაც საჭირო იყო, ამოსწურეს თავისი თავი და ამიტომ საჭირო აღარ არის. მაგრამ მთლიანად ევდოშვილი, როგორც მწერალი, მაინც მტკიცედ სდგას თავის საპატიო ადგილზე და მისი იქ შეცვლა ჯერ არავის შეუძლია, თუმცა არა ერთი ცოცხალი პოეტი მოისურვებდა ამას, ნება რომ დაერთენ მისთვის.

ასეთი გარდაცვალებაც კი სასიამოვნოა, როცა შენს ადგილს ბევრი ცოცხალი ელირება, მაგრამ დაჭერას მაინც ვერ ახერხებს. არასასიამოვნოა შენ ის სიცოცხლე მითხარი, როცა შენი ადგილის დაჭერა ზოგ მკვდარსაც კი ეთაკილება.

**მაისი 16 ხუთშაბათი**



1919 წ. იუდენიჩის შეტევა პეტროგრადზე.

ჯერ პეტროგრადს და შემდეგ მოსკოვს, დღიდან მათი გასაბჭოებისა, არა ერთი გენერალი უტევდა, როგორც ვიცით, მაგრამ დაკლებით კი მაინც ვერა დააკლეს რა.

მიუხედავათ ამისა სიტყვა „შეტევა“ მაინც დიდ რიხიან ცნებათ რჩება აღნიშნულ გენერლებზე. თუმცა მათი ეს „შემოტევა“ ვერას დროს ვერ ატარებდა ან გულისხმობდა იმდენს სისწრაფეს ანუ — ტემპს, რამდენსაც მათი უკუქცევა ანუ, უფრო სწორად რომ ვსთქვათ — ამ „შეტევის“ შედეგათ მოვლენილი მათი სამარცხვინო გაქცევა.

**მაისი 17 პარასკევი**



1789 წ. საფრანგეთის გენერალურმა შტატებმა თავისი თავი დამფუძნებელ კრებათ გამოაცხადა.

დღევანდელმა მკითხველმა შესაძლოა „გენერალურ შტატების“ ცნება უნებლიეთ აურიოს შტატებით გათვალისწინებულ გენერლებში, რომლებიც დიდის სიამოვნებით გამოაცხადებდენ თავიანთ თავს დამფუძნებელ კრებათ, ეგრედ წოდებულ ფაშისტურ გადატრიალების მოსახდენათ, რომ რევოლიუციის სადარაჯოზე ფხიზლად მდგომ პროლეტარიატისა არ ეშინოდეთ.

**მაისი 18 შაბათი**



1905 წ. რევოლიუციონურ ხალხის თავდასხმა ქვალონის სადგურზე.

თავის თავად ცხადია, რომ რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიისთვის დიდ სენსაციურ მოვლენას წარმოადგენს ქვალონის სადგურზე რევოლიუციონურ ხალხის თავდასხ-

მაგრამ არც ქვალონის სადგურისათვის წარმოადგენს ნაკლებ სენსაციას აღნიშნულ აქტის მოხდენით რევოლიუციის ისტორიაში ასეთი რიხით შესვლა. ასეთი რიხით, ალბათ, ჯერ არც ერთი მატარებელიც კი არ შესულა ქვალონის სადგურში.

**მაისი 19 კვირა**



1825 წ. გარდაიცვალა სენ-სიმონი.

ვინ იცის კიდევ რამდენი სიმონი გარდაიცვალა ამ დღეს აღნიშნულ წლამდე თუ მის შემდეგ. მაგრამ სენ-სიმონი ყველა ამ სიმონთა შორის იმითი არის უფრო ღირსეული და, მაშასადამე, კალენდარშიც საპატიოდ მოსახსენებელი, რომ ეს ჯერ ერთი — უბრალო სიმონი კი არ არის, არამედ გვარი ერთ-ერთ ფრანგ სოციალისტისა, რომლისაც სოციალიზმის დამყარება ქვეყნად ძალიან უნდოდა, მაგრამ ამისათვის კაპიტალისტების შეწუხებას აგრეთვე ძალიან ერიდებოდა.

მაზიკი

## ზესტაფონელი სტუდენტკა

გამარჯობა დუშკა ქეთო!
Удивительная встреча!
მეც ხომ ეხლა სტუდენტკა ვარ?
Не поверишь—იმე, ბიჭო!

—

მეც მომწყინდა ზესტაფონი,—
ჩვენი კერა, ტახტი, ქერა,
გამოვსწიე ქალაქისკენ,
რომ ვისწავლო—აპა, ბიჭო!

—

Не говори! გიყვარდეს რო..,
ლაფშა კითხვით გამეხლიჩა!
ვერაფერი ვერ გავიგე,
ჩესნი სლოვა, იმე, ბიჭო!

—

ეხ, ничего! გუშინ პეტრე,
შემხვდა... მხრები აიჩეჩა!
ეტყობა, რომ კვლავ უყვარვარ—
Представляешь, აპა, ბიჭო!

—

ეხლა რაფერ გავიარო
იმ ხეპრესთან, იმ კამეჩთან!
როცა, დუშკა, შემიყვარდა
პოცფესორი, აპა, ბიჭო!

—

ლექციებზე როცა მხედავს,
გადიქცევა ხოლმე რეჩად;
ჩემს მეტს არვის არ უცქერის,
Не поверишь იმე, ბიჭო!

—

გაზაფხულზე გვირგვინს ვიფსკვნით,
в Германия едем ბიჭო!
До свиданья ჩემო ქეთო!
Удивительная встреча!

მარიულლა.

## შურისძიება

ფოთი



მილიციის უფროსი: — ქურდები კი გამექცენ საკანიდან, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ ძროხებს ფეხსაც არ მოვაცვლევინებ!

---

# რა ოჯახი ამერია!

არა, ქვეყანა რომ განათლდა და ყველამ გამეიხედა თვალში, ქე ვიცი, მარა ეს განათლება თუ ტყიბულამდე მოაწევდა, ქალს გადამირევდა და ოჯახს დამიღუპავდა, რა ვიცოდი.

არა, მაინც რო მომდგა და სანამდე არ მომჭითავა ხელი, არ მომშორდა.

ჯერ დელეკატათ რომ ეირჩიეს, ყესამე დღიდან დამიწყო შეტევა და იმდენი მიჩიჩინა, რომ ჩემი ვაზივით გადაგრეხილი ულამები მომაპარსვია. დელეგატის ქმარი ხარო, მცხვენია, ძველებურია ულაშიო, გოუნათლებელს დაგიძახებენ, ეს ჯორის კუდივით რომ გაგიბზეკია, მეიპარსეო.

მეც მეგონა, ამით გათავდება ყოველივე-მეთქი და ზე მოეიხსნე. სანამ გადვეჩვეოდი, სულ წარა-მარა ვიპარტყუნებდი ხელებს ტუჩებზე, ულაშის გრეხას რომ ვიყავი მიჩვეული, დრუნჩი სულ ბუკივით გევიხადე, მაგრამ რა უყოთ: განათლებაა მეთქი და ვაჩუმდი.

ერთ დღეს გავიხედე, მოდის ცოლი და მეუბნება:

— აბა, შემომხედე თუ მიხდებაო!

— და იხდის თავზე თავსახურავს. ვუყურებ, მარა რას ვუყურებ ჩემი თვალები. ეს ქალის თავი, კაცის თავათ ქე არ გოდუქცევია! ეს მშვენიერი ნაგრეხ-ნაზარდი თმა ზე ძირში მოუსკვინჩილებია! გადვირიე კაცი, დევიწყე პირჯვარი. (ერთიც ჩამაფარა თავში—პირჯვარი რავა დეიწერე დელეგატ ქალთანო). სამი დღის უჭმელი ვიყავი, თორემ სწორედ პირს წამალებინებდა, ისეთი შესახედავი იყო. რა მექნა, გამახსენდა შოთას ნაწერი: „ქალი როცა მოგეჯრიოს, გოუშაგრდი, ვით ქვითკირსაო“.

რა მექნა! ამას შევურიგდებოდი, რომ უარესი არ ექნა.

ერთ დღეს ვიღაც მიკაკუნებს კარზე.

მივედი. გავაღე კარი, მარა შიშით კინაღამ წევიქეცი, როცა შევხედე მილიციონერს. შემატყო რომ შემეშინდა და უცბათ მითხრა: „ნუ გეშინია, შე კაცო მე შენი ცოლი ვარ, თებრო, მილიციაში ჩავეწერე“. მოვსულიერდი, შევხედე: იმისთვმე მაუზერი დაეკიდება ვიღაც ჩემი ცოლივით სავსეს ჩემი ცოლიზა, რომ ორ საჟენზე ვერ გოარდი ახლო. შევედით სახლში. იზულა ბოვშებმა. ჩეჩერიენ: „მამა, მილიცია მოვიდაო“. ბევრი უმტკიცე: „ნუ გეშინიათ, შვილებო, დედათქვენია მეთქი“, მარა არ იქნა, ვერ დავაჯერე ბოვშები. მივმართე ჩემ თემბრონეს: „მითხარი ქალო, როდის მოელება ბოლო ამ შენ განათლებას. მეთქი: „ხმა, კრინტი, თორემ თუ დაგედევი ეს მაუზერი, სული გაგვარდება“. ბიჭო, მოდი შენ ახლა და ებრძოლე შეიარაღებულ ცოლს. მართლაც, რომ მოუვიდეს ხოში და დამადოს, რაღა ვქნა მერე, ხომ გამაცხებიებს ფეხს.

გეყინავე მწყერივით.

— როცა სახლში მოვალ, ყოველ დღე პატაკი უნდა ჩამაბაროვო.

ვაიმე ვიყვირე—ახლა კი მოთავდა ჩემი უბედურება-მეთქი ჩემთან ერთად. მაგრამ მან დამიყვავა: „ნუ გეშინია, პატაკი არის, როცა მოვალ ჩემი აქ არ ყოფნის დროს, რაც მოხდება უნდა მომახსენოვო“. მოვითქვი სული. ეს არაფერი. ამას შესძლებს კაცი, რადგანაც განათლება-მეთქი და დავემორჩილე ამასაც თუ არი უარესი არ მიყო.

შავი ზღვისპირელი.

## აგვიშენდა ოჯახი

(ტყიბული)

— კაცო, სოფლიდან ამბავი მოვიდა — საწყალ ბაბუაჩემს გაუჩიკინებია ფეხები. შვებულება მინდოდა. დავათრევ ერთი კვირეა ქაღალდს და გამგე ვერ ვნახე, რომ ხელი მოვაწერინო. იქნება შეგხვდა სადმე?

— რავა, თქვენთანაც მასეა?! მე მეგონა მარტო ჩვენი გამგეა ასეთი!

თურმე თქვენიც ყოფილა.

ასე შესჩივოდნენ ერთმანეთს ძველი და ახალი მაღაროების მუშები.

— რა უჭირს, ბიძია. ამ სამას ოთხას მანეთებს ქე იჩხრიალებენ ჯიბეში და რაში ენაღვლება შენი მუშაობა. ახალი მაღაროების გამგე თუ იცი ავად ხომ არ არის, რომ ერთი კვირეა არ გვინახავს თვალით?

— თურმე, კაცო, ერთმანეთს ეჯიბრებიან ორივე უბნის გამგეები და არც ერთი არ აქცევს ყურადღებას სამუშაოებს. საწყალი ათისთავები, აგერ ჩვენი ბიქტორა რომაა, დღედაღამე გვირაბში არიან. სამუშაოები ფუჭდება და კაცი არ აქცევს ყურადღებას.

— მაინც ამ ჩვენ ინჟენერებს თუ დაასწარი რამე — ეს ასე ჯობიაო, მიასობენ ფეხს ჯირკივით და ვერას გზით ვერ დაარწმუნებ.

ანკესი

## აღმაშფოთებელი საქციელი



—გაგონილა ასეთი თავხედობა!? სანიტკომისია მოდის და თუ სისუფთავე არ დახვდა, ყველას დაგვაჯა რიშებსო... ყველაფერი დავასუფთავეთ, სარკესავით გავხადეთ. და, თურმე, მოგვატყუილეს,— არავინაც არ მოდის... ხულიგანია ვინც ასეთი ხმა ჰი დაჰყარა და მთელი ეზო მოგვატყუილა,

(„კროკოდილიდან)"

## იულიას სკოლა

ოფშკვითი



იულია, (რა თქმა უნდა — მელაძე): — ეს არის „მანი", ეს არის „კური"... ისწავლეთ „მანი კური". (ისწავლიდენ მოწაფეები მანიკურის კეთებას თუ არა?.. რა თქმა უნდა ისწავლიდენ!).

## ქ უ თ ა ი ს ი

(საქსოვი ფაბრიკა)

იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო
ნიკურაძე სწორ გზაზედა რამ ააცდინაო.
მუშკორის ეჟებს ვერ მიაგნო ნეტა რისთვისაო.
აგროინობინეს თვისი ნაკლი და ეს იწყინაო.
ოედკოლეგიას მიუხტა ბდღვერი ადინაო,
„ყველას შავ დღეს დაგაყენებთ თქვენ ამისთვინაო".
იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო
გაზეთ „წითელ ფეიქარო" ვინ დაგაძინაო.

პატარა ანკესი

## ჩვენი სოფელი

სოფ. ჭალა

ტარტაროზჯან, გთხოვ მისმინო, კიდევ მინდა გითხრა რამე.
ჭალის ხალხი მოგაგონო, მათი სიტყვა ვერ ვიწამე.
ივანე სიხარულიძე რომ ბრძანებლობს, ვიტი, მარა,—
ტყუილს სწორად დაგაჯერებს, თავს დაუკრავს, ეტყვი: „კმარა".
გოგიტიძე ეს ძველია, მიწას ყიდის თურმე ჩუმად.
(საბაშვილმა ხომ იყიდა მიწა-სახლი სულ ბითუმად).
მართალია, ეს გაიგეს, ყველას მოხვდა საქმე ყურში,—
მაგრამ ადრე „მიფუჩეჩდა, გაჰქრა" სამ ჩეთვერ კახურში...
ლეონიდე ჩხატარაშვილს, ვინ არ იცნობს (ბრმაც კი მგონი),
ძმა-ბიჭებში გმირთა-გმირი, ჩხუბის - გარტყმის გამომგონი.
ნარდ-კარტობის ჩუმად ჩითვა ეს ხელობა არის მათი.
(ჯიბეს ყოველდღე იცლიან მათთან ერთად კიდევ ათი),
კაპიტონის ქალიშვილი (მაგრამ იმას ვიტყვი მერე)
სიხარულით ყველგან ჰყვირის „კავერკოტი" შევიკერე.
გამიკვირდა: „სად იყიდა." (გვერდზე ოისებს ვუთხარი)
— თუთხმეტ თუმნად შენც მოგიტან, დაგჭირდება ულლად ხარი.
ტარტაროზო კონდრაბანდას ჭალას—„ჩითავს" თითქმის ყველა.
რამდენი გსურს რომ იყიდო თუ დაგჭირდეს გვთხოვე შველა.
ყველა ნმათქვამს საიდუმლოდ, შენთან ვამბობ გიმხელ ამას.

„ინანო".

# აჭღაიჭყება:

### პირველად




— შემიშვით გამგესთან, მხოლოდ ხელის მოწერა მინდა!

— გამგე არ არის... შვებულებაშია!

### ერთი თვის შემდეგ




— შემიშვით გამგესთან, მხოლოდ ხელისმოწერა მინდა!

— გამგე არ არის... მივლინებაშია!

### ორი თვის შემდეგ




—შემიშვით გამგესთან, მხოლოდ ხელისმოწერა მინდა!

— გამგე არ არის... აგარაკზეა დასასვენებლად.

### სამი თვის შემდეგ




—შემიშვით გამგესთან, მხოლოდ ხელისმოწერა მინდა!

—გამგე არ არის... გადაყენებულია!

# ტარტაროზის ლექსიკონი

**რასტაკუერი** — საეჭვო პიროვნება, რომელიც მდიდრულად ცხოვრობს და გაურკვეველია თუ საიდან მოაქვს საშუალება. ჩვენში ბლომად მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც მოკალათებული არიან ზოგიერთ ჩვენს წარმოება - დაწესებულებებში.

**რაუტი** — გამგის დაპატიჟება ნათესავის სამსახურში მოწყობის მიზნით.

**რებუსი** — ფუტურიზმი; ფუტურისტული ლიტერატურა.

**რეგისტრატორი**—დასაბამი და დასასრული.

**რეგრესი** — სატყეო ტრესტი.

**რედაქტორი** — ხირურგი; წერილის მეორე ავტორი; ავტორის დუბლიორი, ორეული.

**რეზისკა** — კომუნისტი ბრჭყალებში, რომელსაც პარტიიდან გამოაგდებენ მომავალ წმენდის დროს.

**რევერანსი** — მაკდონალდის სალამი ბურჟუაზიისადმი.

**რევიზია** — ციებ-ცხელება, რომელიც იწვევს კუჭის აშლილობას.

**რეზოლიუცია** — 1) წინადღით შემუშავებული ტექსტი. 2) წითელი მელნისა და გამგის დანიშნულება.

**რეკომენდაცია** — ნებადართული, ლეგალური პროტექცია.

**რეჟისორი** — კაცი, რომელიც ისე გამოცვლის ნაწარმოებს, რომ სათაურის მეტი ავტორის არაფერი რჩება.

**რეცენზია** — თავისი სიმპატია — ანტიპარტიის გამომჟღავნება წერილობითი საშუალებით.

**რიკოშეტი** — პოზა ცოლის მოთხოვნილების, მოსმენის დროს, ანდა თვით ამ მოთხოვნილების მიმართულება ქმრის ყურებიდან.

**რისკი** — პირველი ნაბიჯი გამფლანგველისა. ცოლის შერთვა.

**რომანი** — კომედია, რომელშიაც ორი მომქმედი პირია — ქალი და ვაჟი.

**როსინანტი** — ფოთის ტრამვაი.

**რული** — ზოგიერთ ქმართათვის ცოლის საჩვენებელი თითი.

**სემაფორი** — გამგის კარებთან მდგომი მეკარე.

**სენსაცია** — ტელეფონის ცენტრალური სადგურის მიერ გამოძახებისთანავე პასუხის გაცემა და შეერთება სასურველ ნომერთან.

**სინეკურა** — უსაქმო თანამდებობა, ჯამაგირიანი ადგილი, რომელიც არავითარ შრომას არ ითხოვს. ფულის მიღება მთქნარებაში.

**სირენა** — თანამშრომელი ლამაზი ქალი, რომელიც ალო ხანში გათხოვებს აპირებს.

**სიურპრიზი** — 1) ცოლის მიერ ქმრისათვის სადილის დამზადება. 2) ჩვენს კანტორაში ჯამაგირის დროულად დარიგება.

**სკანდალი** — ჩვეულებრივი მოვლენა პოლონეთის სეიმში

**სტატუა** — შიკრიკი, როცა ის გამგის წინაშე სდგას.

**სტოიკი** — ტელეფონის აბონენტი.

**სტოპ:** — ადმინისტრაციის მიერ კამათში გამოსულ მუშის შეჩერება, როცა ეს უკანასკნელი იწყებს წარმოების ნაკლზე ლაპარაკს.

**სტრაბიზმი** — ბრუციანობა, ელამობა; ემართებათ უმთავრესად ადგილკომებს.

**სტრაბოტომია** — ოპერაცია თვალის დაბრუციანების, ელამობის გამოსასწორებლად, ე. ი. ადგილკომის ჩადარჩევა.

**სტრაუსი** —- სირაქლემა, ანუ შიკრიკი.

**ტაბურეტი** -— სკამი, რომელსაც საზურგე არა აქვს. აქედან — დაწესებულებაში ისეთი თანამშრომელი, რომელსაც პროტექტორი არა ჰყავს, რომ შემცირების დროს დაიცვას.

**ტაიფუნი** — გაჯავრებული გამგე.

**ტელეფონი** — ნერვიული ავადმყოფობა (იხ. სენსაცია).

**ტორტი** — უებარი წამალი კაპრიზი ცოლის მოსარჩენად.

**ტრამპი** — მოხეტიალე არამზადა; თანამდებობის პირი, რომელსაც უყვარს მივლინებები.

**ტრამვაი** — სამსახურში დაგვიანება.

**ტრანსპირაცი** — (ოფლის გამოდენა), რევიზია.

**ტრიუკი** — 1) ისეთი გაძრომა - გადახტომა, როცა პიროვნება წმენდას გადაურჩება. 2) ბიუროკრატის მიერ სახლიდან სამსახურამდე ფეხით მისვლა.

**ტრიუმფატორი** — ძველად ტრიუმფის გმირი, გამარჯვებული. ჩვენს დროში — კაცი, რომელიც წინდიკატის რიგიდან გამოიტანს სანიფხვე ნარმას.

**ტუბერკულიოზი** — ჭლექი, რომელსაც ავრცელებენ კოოპერატივი... კერძო ვაჭრებში.

**ტურნე** — კანცელარიაში შემოსულ ქაღალდის მარშრუტი.

**ტურუსი** — ცარიელი სიტყვები, ცრუპენტელაობა, გამოგონებულია ერთა ლიგის სამშვიდობო კონფერენციებზე.

**ფაეტონი** — დროის - შოვნა, ტყავის - გაძრობა, უნიჭრო რამ.

**ფანტაზია** — ფიქრები ტირაჟების გათამაშების ხანაში.

**ფანტაზიორი** — შრომის ბირჟაში ახლად ჩაწერილი.

**ფარფარონი** — ლაყბობის მოყვარული; ერთა ლიგის წარმომადგენლები.

**ფარისეველნი** — იხ. ზემოდ „ფარფარონი".

**ფარსი** — ერთა ლიგის ყოველი სესია.

**ფენიკსი** — კაცი, რომელსაც თავისი შავი წარსულის გამო ითხოვენ სამსახურიდან შტატების გაწმენდის დროს, მაგრამ შემდეგ პროტექციის წყალობით ისევ ეწყობა სამსახურში.

**ფიასკო** — სამშვიდობო კონფერენციების შედეგი.

**ქაოსი** — ზოგი დაწესებულების ბუხგალტერია.

**ქვორუმი** — მიუწვდომელი ციფრი, (არა რაოდენობით, არამედ თავის მოყრით).

**ქსანტიპა** — სოკრატეს ცოლი; ქალი კაპასი და აწჩხლი. ჩვენს დროში ბევრი ქსანტიპებია, ხოლო სოკრატი ერთიც კი არ არის.

**ჩემოდანი** — ქურდების კერძი (ტფილისის სადგურზე).

**ცენტრმიმსწრაფი ძალა** — პროვინციაში მომუშავეთა სურვილი და ცდა ცენტრში გადმოსვლის შესახებ.

**ცერბერი** — სამთავიანი ბოროტი ძაღლი, რომელსაც ფაფარი და გველის კუდი ჰქონდა და რომელიც იცავდა ჯოჯოხეთის კარებს.

დღეს ამ ძაღლის შთამომავალი არის გერმანიის პოლიციის უფროსი ცერგიბელი; (გვარიდანაც სჩანს ცერბერთან ნათესაობა).

**ჰიდრა** — ძველს საბერძნეთში მრავალთავიანი გველეშაპი, რომელსაც ერთი მოკვეთილი თავის მაგიერ ამოსდიოდა მრავალი. მოჰკლა ჰერკულესმა. აქედან — აღმოუფხვრელი სენი, ბოროტება. თანამედროვე გაგებით და ჩვენს სინამდვილეში — ბიუროკრატიზმი, რომელსაც რამდენიც არ ებრძოლო, მაინც არ ისპობა.

**ჰერკულესი** — მუზბუქი კავალერისტი, (იხ. ჰიდრა).

აფრარი.

# უშუშო თვალები

## გადახრები და გადმოხრები

— მოქ.„ ტიციან, წაიკითხეთ?
— რა?
— აი, პროლეტარული კრიტიკოსი მემარჯვენე გადახრას რომ გაწერთ?
— მერე რა არის აქ არაჩვეულებრივი?
— როგორ? განა, თქვენც გადახრა გახასიათებსთ?
— ერთი კი არა, მთელი ორი და, თუ საჭირო შეიქნა, სამიც!
— არაფერი მესმის.
— გაუგებარი აქ რა უნდა იყვეს: აბა, სად ნახულა, რომ ყველა არსება სწორად დადიოდეს?
— რამდენადაც მე ვიცი, თავის ყაიდაზე ყველა სწორად დადის.
— როგორც სჩანს, შენ ჯერ უბრალო ბატიც კი არ გინახავს. მაშ, ნახე და გაიგებ. ბატი, როცა მარჯვენა ფეხსა სდგამს, მარცხნივ იხრება, როცა მარცხენას მარჯვნივ.
— მესამე გადახრას როგორ-ღა ახერხებს?
— აი, საკენკს რომ უყრიან. თუ ზუსტად ხდება ეს საკენკის დაყრა, ბატიც მას თავს აყოლებს.
— მერე თქვენ ადრევე გახასიათებდათ ეს გადახრ-გადმოხრები, თუ მარტო ამჟამად გჭირთ?
— რატომ? ძველთაგანვე ასე მოდის. ძველად, მაგალითად. როცა გრიგოლს ან პაოლოს ვაქებდი ხოლმე, ეს, იგულისხმე, მემარჯვენე გადახრა იყო, თუ გნებავთ. წინ გადახრაც; როცა უფრო წვრილი რანგის „ცისფერებს“ ვაქებდი, ეს იყო მემარცხენე გადახრა და, თუ გნებავთ, ცოტა უკანაც. ეხლა ცოტათი როლებია შეცვლილი, თორემ გადახრები ყველა თავის ადგილებზედვე რჩებიან, ე. ი. ჩემში.




კვირას, ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას. სხვა დღეებში ღიაა.

## 2. „ნაგავის“ საკითხი.

— გაიგე?
— რა?
ნიუიორკიდან ძველა-ძველებიან ცალებს აღარ აგზავნიანო...
— შენ თუ გიკვირს, თორემ ჩემთვის ეს სავსებით გასაგებია.
— როგორ?
— როგორ და აგერ უკვე სამი თვე იქნება, რაც ერთმა ჩემმა ნაცნობმა ნაცარქექიამ მოახერხა ამერიკაში გამგზავრება.
— მერე?
— მერე და, ალბათ, მან უკვე მოასწრო ნიუ-იორკში მისვლა. ხომ იცი, ასეთი „ნივთები“ გზაში არას დროს არ იკარგება, არც ხდება, რადგან წასახდენი უკვე აღარაფერი არ აის, ამ მხრივ იქ ყველაფერი თავის რიგზეა.
— მერე ცალების გზავნის შეწყვეტას ამასთან რა დამოკიდებულება აქვს?
— ჰმ! როგორ გეტყობა, რომ შენ კომერციისა არაფერი გესმის და არც ამერიკელებს იცნობ!..
— არ მესმის.
— არა, რა დიდი სმენა ამას უნდა. როცა ნიუიორკელები ჩვენგან იქ მისულს „ნაგავს“ ნახავდენ, და კბილს კარგად გაუსინჯავდენ, განა ამის შემდეგ ისინი კიდევ-ღა გაბედავენ თავიანთი „ნაგავის“ ჩვენში გამოგზავნას? კონკურენციის კანონები იმათ ჩვენზე უკეთ ესმისთ!.. **მუგუზალი.**

# აბუჩად აგდება

ფოთს ტფილისთან ტელეფონით სალაპარაკოთ აქვს მიკუთვნებული ორი საათი, მაგრამ სამტრედია არ აერთიანებს, რადგან ყოველთვის თვითონ ელაპარაკება ტფილისს..







სამტრედია (ტფილისს):— რა ღირს კვერცხი კვერცხის მაზანდა გაგვაგებინე! ნამდვილი კვერცხი.

# სასარგებლო ქაღალდი

— ჩვენ სწორედ თქვენის ცირკულიარებით გამოვაცოცხლეთ ჩვენი სოფლის მუშაობა.
— ნუ თუ!? განა, ასე სასარგებლოდ იყენებთ ჩვენს ცირკულიარებს? ყოჩაღ, ყოჩაღ, რომ ასეთი ყურადღებით ეპყრობით მათ.
— თქვენის ცირკულიარებით ხიდი გავაკეთეთ, ქოხ - სამკითხველო შევაკეთეთ, სხვადასხვა სექციების მუშაობაც გამოვაცოცხლეთ. ერთი სიტყვით საქმე წინ წავიდა.
— როგორ? ჩვენს ცირკულიარებს არჩევდით და ხელმძღვანელობდით იმით, თუ...
— სწორედ რომ ვარჩევდით. საბჭოების მუშაობაზე ვგზავნიდით ოცდა ჩვიდმეტ ფურცლიან ცირკულიარს. თვესის კამპანიაზე ორმოცდარვა ფურცლიანს, ხელში აღებაც კი გვიჭირდა ისე მძიმე იყო. კოოპერატივი თავის ანგარიშს გვიგზავნიდა ას ოთხმოცდა ცხრამეტი ფურცელზე...
მე თქვენი მაინც ვერაფერი გავიგე!
— რა არის აქ გაუგებარი? ცირკულიარებს, რომლებსაც თქვენ გვიგზავნიდით, ვერაფერი გაუგეთ და კუთხეში ვაგროვებდით. შევაგროვეთ ოცდა თექვსმეტ ფუთამდე და მივყიდეთ მედუქნეს. ამ ფულით ყველაფერი გავაკეთეთ, რაც ზევით მოგახსენეთ. **მეფისტო**

არაერთხელ ყოფილა დადგენილი, რომ სად. ნავთლუღის საპირფარეშო, რომელიც შეუფერებელ ადგილას არის დადგმული, გადატანილიყო სხვაგან. **ფო—ტო.**



— ვა, ეს ჩვენი დადგენილება სად ჩამოუკიდიათ!

# ბითუმად (თუ ბითურად)

## სურათი 1-ლი (გიგოს ბინა)

გიგო (9 წლ. გამგე) გამოვკითხე დღეს მასწავლებელს თქვენი ვაჟის შესახებ.

ლავრენტი: — ოოჰ, შენ გენაცვალე, ბევრი აქ სუსტი?

გიგო: — ყველაფერში სუსტი ქონია.

ნიურა (გიგოს ცოლი) — რა გვიქენით აგი გუშინა? გაგიგონიათ, გენაცვალე, სამაჭრეთი ღვინის სმა! დღეს რო დავხედე მის კასტიუმს, გულზე შემომეყარა, თლათ გასვრილია ღვინით და საცივით.

ელპიტე: — გიგო რო არ ყოფილიყო წუხელი ჩვენსას, საშინელი მოწყენა იქნებოდა; რაც აი ბოშენიკები შამევიდენ, ლავრენტი ამის მეტად არ მინახავს ასე მხიარული. გიგოს მეტს არც ერთს არ დაუღლევია ლამპის შუშით ღვინო.

ლავრენტი: — რა ეშველება ახლა მაგ ოჯახქორს. თუ ახლაც ვერ გაათავა, 23 წლისაა მაგ ვირის თავი და ჰე წეიყვანებენ ჯარში. დღეს ხომ არ გამოგიძახიათ?

გიგო: — გამევიძახე და მარტო იგი ვკითხე, გუშინ რო ვასწავლე; მაინც ვეფერი მიპასუხა.

ლავრენტი: — დეიბნა ნამდვილად, თვარა ქე იმაცადინა გუშინ. (ტელეფონი რეკს).

გიგო: — ალო, აჰ, დიახ, ჰო გიგო ვარ, გიგო. პარმენი ხარ? აჰ... ნე ბესპაკოისა, ნე ბესპაკოისა, ვსიო სდელანო. ვაჰშამი შენზეა. და ბროს კაცო, შენ უნივერსიტეტიზა იფიქრე რამე, თვარა აქაური ამბავის ნუ გეშინია, სვაი ლიუდი... (ლავრენტის) მართლა, კაცო, სოციალური მდგომარეობა ხომ არ შეუშლის თქვენს ვაჟს უნივერსიტეტში შესვლას?

ლავრენტი: მოწმობა ვიშოვე, რომ ჩემ ხარჯზე არაა. მერე ახლა კომკავშირში დავაწყებიე კიდე სიაოული.

ნიურა: — რაგა, პავლუშა კომსომოლია?

ლავრენტი: — არა, ბატონო, ღმერთმა დეიფაროს. ისე, საჩვენებლად, უნივერსიტეტიზაა საჭირო.

ნიურა: — ჰოო, არ გამიკვირდა— ლავრენტის შვილი და კომკომოლი!

## სურათი მე-2-ე (ლევანის ბინა)

ზინა: — პირველი ეგზამენი ქართულში იქნება ხომ, ბატონო მასწავლებელო?

ლევანი: — ქართულში იქნება ხო. ჩაიწერეთ: „გლეხის მდგომარეობა ეგნატე ნინოშვილის ნაწერებში“, მეორე — „ბატონი და ყმა ილიას ნაწარმოების მიხედვით“.

საშა: — აგი იქნება ბატონო თემათ?

ლევანი: — თქვენი საქმე არაა მაგი. აი ორი თემა კარგად მოამზადეთ.

## სურათი მე-3-ე ნიკანდრის ბინა

ნიკანდრი: (კითხულობს წერილს): — „შვილებში გამოურჩეველო ნიკანდრო! თუ გახსოვს ალმასხანა რიკრიკაძე, ჩვენი მეზობელია სოფელში. მისი შვილი გერასიმე სტავლობს თურმე შენთან. ძაან გაჭირვებული კაცია მამისი.

საწყალმა გეიგო ახლა, რომ ბრევლი სუსტი ქონებია გერასიმეს. გეხვეწება — დიეხმარო რამე, უნივერსიტეტში მაინც არ შემყავსო. საცხა სოფელში მივაგდეფ მასტავლებლად და კაიაო, სხვათ მაინც არაფრათ არ გამოდგებაო.

შენი მამიდა ფაქიზო

## სურათი მე-4-ე (9 წლედი)

ლილი: — რა ქნა შენს საგანში ქანუყვაძემ?

ნელი: — ნი სლოვა.

ლელი: — კაი ერთი, თუ ღმერთი გწამს.. ი ტაკ მნოგო უ ნეიო სლაბიხ ატმეტოკ. შენ თუ მუუმატე ახლა კიდევ, დეილუპება იი უბედური და ვერ უუვალ დედამისის საყვედურს. ტემ ბოლეე დუშკა, ანა ვ უნივერსიტეტ ნე პასტუპაეტ.

ნელი: — თუ უნივერსიტეტში არ მიდის, პუსტ პადაედიოტ ადინ გოდ.

ლელი: — ბეჩა, უნივერსიტეტში კი არა, თხოვდება. უ ნეიო ჟენიხ. მივცეთ, ბოშო, ატესტატი. შენ რა გენაღვლება — ყავდეს ქმარს ატესტატიანი.

ნელი: — ხარაშო, მარა ტი ი დრუგიმ სკაჟი, ჩტობ ტე ტოჟე პადდერჟალი.

ლელი: — ტი აბ ეტომ ნე ბესპაკოისა. სხდომიდან შენ ჩემთან წამოდი სახში. დედამისმა იმისთანა ხაჭაპურები ჩამეიტანა, რომ დულს ყველი შით. მერე იცი ვინ იქნება ჩვენსას? რაფოს მოყავს ჟილიხი. მოსკოვიდან რომაა ჩამოსული. ჩვენი კავშირის ცეკას წევრი. განათლების სახლში რო გააკეთა მოხსენება.

ნელი: — დეიღუპე, საცხა შენ, გაგისკდა მიწა. რას არ მოახერხეფ. რა გექირს, იმიზაა ვეფერს ვერ გიბედავენ.

მოწაფე მიშა: — ბატონო სილიბისტრო. რაფერ იქნება ახლა ჩვენი საქმე ფიზიკაში? არავინ არ ვართ გამოძახილი. თქვენ ორი თვეა არ დადიოდი სასწავლებელში.

სილიბისტრო: — ვისაც სხვა საგნებში სუსტი აქ, ფიზიკაშიც სუსტი ექნება, ვისაც არა აქ სხვა საგნებში სუსტი, ჩემს საგანშიც საკმაო ექნება.

## სურათი მე-5-ე (საბჭოს სხდომა)

გიგო: — აბრამიძე ტერეზი, სუსტი: ქართულში, რუსულში. საზოგადოებათმეცნიერებაში, ეკ. გეოგრაფიაში; როგორ მოვიქცეთ?

ლევანი: — თუ სხვა ოუწევს, მე შემიძლია ქართულში გადაუსწორო.

გიგო: — სერაფიმა ივანოვნა. აბრამიძე კაკ პა რუსკომუ? ნელზია ლი პადნიატ ატმეტკუ? ვაშა სლაბაია მოჟეტ პაგუბიტ ეიო.

სერაფ. ივან.: — და ანა ჟე დვუხ სლოვ ნე მოჟეტ სვიაზატ პა რუსკი.

ლევანი: — რა გამოვიდა აი რუსული ასეთი! თუ ქართულში კი ვუწევ ნიშანს, მაგანაც აუწიოს. ვის რათ ესა ჭირდება ახლა რუსული?

სერაფ. ივან.: — ტავარიშჩ ლევან, ჩტო ვი სკაზალი?

ლევანი: — აი სკაზალა, ჩტო ნა გრუზინსკომ იაზიკა ია პადნიმაიუ ეიო.

პადნიმაი ი ტი პა რუსკი.

გიგო: — კენჭს ვუყრი, ვინ არის თანახმა მიეცეს ატესტატი აბრამიძეს? (ყველა თითს სწევს. დარაჯ ეპიფანეს შემოაქვს წერილი).

გიგო: — (კითხულობს წერილს): „ბატონო გიგო. სხდომაზე ვერ მოვალ. ავათ ვარ. მე სულ ორი თვეა, რაც შემოვედი ფრანგულში. რას მოვასწრებდი, ანბანიც ვერ გავიარეთ. ჩემს საგანში ყველას დამაკმაყოფილებელი დაუწერეთ.

ვერა ცეცხლაძე

გიგო: — ცქაფიაშვილი გერმანე— ყველა საგანში სუსტი აქვს.

# „აქტივისტი“

კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრები არ ესწრებიან რედკოლეგიის სხდომას.



რედკოლეგიის წევრი: — რაო? სასამართლო კედლის გაზეთის შესახებ?! სარედაქციო კოლეგია ზის საბრალდებულო სკამზე, და მეც მიბარებენ?.. ამხანაგო, ეს ინტრიგა და ცილის-წამება. მე ერთხელაც არ დავსწრებივარ რედკოლეგიის სხდომას და რაში უნდა დამდოთ ბრალი!

**ლელი:** — ოჰ, კაკ ჟალ, მერე რა პატიოსანი მშობლები ყავს. შევიდეთ მათ მდგომარეობაში.

**ნელი:** — დავეხმაროთ, დავეხმაროთ.

---

**გიგო:** — როგორც თქვენ იტყვით, კაკ ვი სკაჟეტე. ია ნე მენშე ვას უვაჟაიუ ევო რადნიხ.

**გიგო** (ჩასწერს) — „მიეცეს“.

**გიგო:** — კურდღელაშვილი ოლიფანტე, ბევრში აქვს სუსტი.

**ნიკანდრი:** — მაგ მოწაფის შესახებ მე მოგახსენებთ. მაგ ბავში შორიდან დადის და ღარიბი კაცის შვილია.

**გიგო:** — რომელია მაგი?

**ნიკანდრი:** — ის არის, ბატონო გიგო, რაფო რომ გთხოვდით გუშინ.

**გიგო:** — ააა! ვინ არის მომხრე, რომ კურდღელაშვილს მიეცეს ატესტატი?

**ყველანი:** — მიეცეს, მიეცეს.

**გიგო:** — კრეჭიაშვილი ბიქტორ, გარდა რუსულისა, ყველაფერში სუსტი აქვს.

**ნელი:** — მაგ ყმაწვილი ტფილისის უნივერსიტეტში მაინც არ შედის, მოსკოვში აგზავნიან მშობლები. რა გვენაღვლება, მივსცეთ ატესტატი — წევიდეს რუსეთში.

**გიგო:** (მიმართავს მასწავლებელ იაკობს) — ბატონო იაკობ, რაა რომ თქვენს საგანში ყველას დამაკმაყოფილებელი ნიშანი აქვს. ნეუჟელი ესე ტაკ ხარაშო ზანიმაიუტსა უ ვას?

**იაკობ:** ზანიმაიუტსა, ბატონო, ზანიმაიუტსა, ტრიგონომეტრია, თქვენ ნუ მომიკვდებით, ვსეხ ინტერესუეტ.

**გიგო:** — ჯინორიძე ქეთოს, რა აქვს ბატონო იაკობ თქვენს საგანში?

**იაკობ:** — ფრიად.

**გიგო:** (შესკდება სიცილი) — არა გრცხვენიათ ბატონო იაკობ! ჯინორიძე მოწაფე სულ არ გვყავს ჩვენ.

**ყველანი:** — ხა, ხა, ხა-ხა.

**გიგო:** — ქოიავა ვარდენ. ეს ბავში ბატონებო გარდაიცვალა იანვარში. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ. (ფეხზე დგებიან).

**ნელი:** — ბატონო გიგო! მაგ ბავშის მშობლებს მეტი შვილი არ ყავდათ, მივცეთ ატესტატი, ესიამოვნება მშობლებს.

**ყველანი:** — კარგია, მივცეთ.

**ლელი:** — მალადეც, ნელი, ზა ტაკოე პრედლაჟენიე!

**გიგო:** — ლაპარტყავა სონია, 8 საგანში აქვს სუსტი.

**ლევანი:** — სუსტი ექნება, აბა რა ექნება. არშიყობის მეტს არაფერს აკეთებდა მთელი წლის განმავლობაში.

**ლელი:** — ბატონო, მაგ ქალიშვილს თხოვდება, მივცეთ ატესტატი (ლევანს ყურში ეუბნება ჩუმათ) ვსე ბუდემ დარაგოი პრიგლაშენი.

**ლევანი:** — მივცეთ, ბატონო, სხვა მაინც არაფერი მიყვება ამ წხრაწლედიდან და ატესტატი მაინც გავატანოთ მზითვათ.

**გიგო:** — კვანტრიშვილი იაკინთე — სამ საგანში აქვს სუსტი. ბატონებო, სირცხვილია; ერთს მაინც ვუთხრათ უარი ატესტატზე.

**ნელი:** — აი ევო სავსემ ნე ზნაიუ. ვუთხრათ უარი კვანტრიშვილს.

### სურათი მე-6-ე (სკოლა, სხდომის შემდეგ)

**სონია:** (მღერის) — გეშნაზია გავათავეთ, ოთხებზე და ხუთებზეო, ახლა მივალთ, თუ მიგვიღეს საარშიყო კურსებზეო“.

**მიშა:** — დაშხოშ ნატალია, არავინა გვყავს ბადალია. არ დაარტყა ზესარიღოს, ჯაან ბიჭო!

### სურათი მე-7-ე (ვახშამი)

**გიგო:** (ჩაის ჭიქით ხელში) — ყმაწვილებო და ახლა კი ამხანაგებო, დღევანდელი დღე თქვენი გამარჯვების დღეა. 9-10 წლის განმავლობაში თქვენ ოფლი ღვარეთ და გადაამუშავეთ თქვენს გონებაში ცხოვრების მთელი სიბრძნე, მართალია, ძნელი იყო ეს, მაგრამ თქვენმა სიყვარულმა სწავლისადმი, დაგაძლევიათ ეს მძიმე საქმე. დღეს თქვენ შეიარაღებული ხართ ღიდი ცოდნით. ჩვენ ვამაყობთ და ვიამაყებთ თქვენით მუდამ. იცოცხლეთ, გაგიმარჯოთ. (გადაჰკრავს. მოწაფეები მღერიან „მრავალჟამიერს“).

**საშა:** — ნება მიბოძეთ თქვენი ყოფილი მოწაფეების სახელით ულრმესი მადლობა გამოგიცხადოთ თქვენ ჩვენს მასწავლებლებს. გრწამდეთ, რომ არ შეგარცხვენთ. ჩვენ ვეცდებით თქვენგან მიღებული ცოდნა ღირსეულად მოვახმაროთ ჩვენს კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყანას. გისურვებთ ყოველ წელიწადს მისცეთ საზოგადოებას ჩვენისთანა ახალგაზრდები.

### სურათი მე-8-ე (სოფელი)

**ფარნაოზი:** (შვილს) — ბიჭო. აბა რა გასწავლეს იმ ოჯახდაქცეულებმა ზრდილობა შენ არ გაქ, მუშაობა და საქმე შენ არ გიყვარს ცოდნა შენ არა გაქ. იმ სასწავლებელს ჯვარი დიდი ქვაი, რავა ჩამიყარა წყალში ამდენი ფული და დროი.

ოხოხოი.

# არქიელის გორასა დავეჩვიეთ გორვასა

ვაჟა ფშაველას ქუჩა, არქიელის გორაზე გაუნათებელია და დანგრეული. ღამით აქ კაციც კი დაიღუპა. გაანათეთ ქუჩა.

(თებო ამოგდებული).



„ახ, მთვარევ, მთვარევ, საწყალთ იმედო“,
უშენოთ გავლა აქ ვით გავბედო!

# პ ი რ ი ქ ი თ



— შე ბრიყვო, შენა ურემს იქით ვერ გადაახვევიექბ?! — ვა, შენ თვითონ რად არ გადადექი? განა ვერ დაინახე ამოდენა ურემი?!

# ს ა დ გ ა ვ ე გ ი!!

ორმოც სარევიზიო კომისიას გოდური, ოთხმოცდა ათ საგამომძიებლო კომისიიდან დევიძვრინე თავი, ინსპექციამ ვერაფერი მიქნა და საკონტროლო კომისიამ მარა ამ მსუბუქმა კავალერიამ კი ოხრათ წამყრონჭა!

დილას სამსახურში, რაცხა სამი საათით დევიგვიანე. ისიც ჩემი საქმიზა კი არა, დაწესებულების საქმიზა შევჩერდი პატარა ხანს! ფოდრაჩიკმა დამპატიჟა ზაკუსკაზე და მეც ვარი აღარ უთხარი, ვიფიქრე დაწესებულებაში არ გვაცლიან ლაპარაკს და აქანა რესტორანში უფრო შინაურულად მევილაპარაკებთ თქვა და ქე წავჰყევი მე უბედური!

თურმე მოსულან დილას ეს ახალმოდის რევიზორები და ქე ჩოუნიშნიათ უბის წიგნში, რომე გამგემ სამი საათით დეიგვიანაო! მერე რესტორანიდან რომ წამევედი, ღვთის წინაშე, პატარა შეხურებული ქე მოვედი დაწესებულებაში.

ამ გახურებულ გულზე რომ დევინახე ჩემი მაშინისტკა, რაცხამ გამიხირინა გულში და პატარა ქე გევეარშიყე! აგი ამბავიც ქე ჩოუნიშნიან თურმე! დიდება შენ სახელს უფალო! აგი რაღა ჩასანიშნავი იყო! მე ვინცხას გევეარშიყები ვისი რა საქმეა! ქალი თუ არაა წინააღმდეგი, სხვას რატომ ეწვის კუდი! დედა, რავალ პუსტიაკზე შემიყენეს საქმე!

რაცხა ორასამდე მთხოვნელი იყო გაჩერებული ჩემ კაბინეტთან, სულ სამ საათს იცდიდენ, თურმე. ლოდინი რომ არ დასჭირებოდათ, მეც ავდექი და მეორე კვირიზა გადაუდე საქმე და ყველანი გოუშვი სახლში. აგიც კი ჩოუნიშნიათ, აგი პუსტიაკი საქმე ამ მსუბუქ კავალერიას! ბიჭო, მთხოვნელები ჩემთანაა მოსული და როცხა მივიღებ ჩემი საქმე არაა აგი! ვის რა დავა აქვს, მარა უსაქმო კაცი ხომ მოგეხსენებათ!..

რაცხა დარაჯი არ მომეწონა სახეში და მევხსენი სამსახურიდან. თქვენ წარმოიდგინეთ, აგი უბრალო ამბავიც კი შოუტანიათ პრატაკოლში!

ბიჭო, ყველა, ყველა, მარა აგი რაღა ჩასანიშნავი იყო! მერე, რავალ კაცს მიბედავენ რევიზიას! რაცხა პატარა, გუშინდელ სოციალისტს, რომ გოუწიონ კანტროლი, კიდო მესმის, მარა მედა ასეთი გაბიაბრუება, ეს კი ნამდვილი თავხედობაა ჩემი ფოსინე ნუ მომიკვდება!

კაცი გამობრძმედილი სოციალისტურ საქმეებში, ძველის-ძველი რევოლიუციონერი და ვინცხა ცხვირ მოუხოცელი ბალნები მაძლევენ ზამეჩანიას! აგია საქმე, აგია კაი?!. ვაი, ჩემო დღეო, რამდენი რევოლიუცია მე მინახავს, რამდენი პერევაროტი გადოუტანია ამ ჩემს კისერს! მერე, რავალ კოჩაღათ და მოხერხებულათ მიმქონდა ქვეყნის საქმე! მართალი გითხრათ სხვასავით ბევრი ლაპარაკი და ჩუმად მუშაობა არ მიყვარდა! ბოვშობიდან მეჯავრებოდა მეტიჩრობა! უყურებდი შორიდან საქმეს და რავარც შევატყობდი, რომე საქმე კი გეიჩალხებოდა და საშიში აღარაფერი იყო, მაშინვე მოვახტებოდი ჯირკს და უშველებელ რეჩს ვიტყოდი! ჩემის რეჩით დახეთქილი ჰქონდათ ქალს და კაცს ყურის დალაბანდები, ისტე გავკიოდი გახარებული! აგი, ამოტოლა ზღვა ხალხიც მიკრავდა ტაშსა და ორ საათს პრავდას იძახოდა! ხალხში მქონდა, ბიძია, საქმე, ხალხში, თვარა ახლა რომ გამოსულან აგი ძუძუმწოვარა ბალნები და პოვერკას მიკეთებენ რავა, ვინ ვგონივარ მე მათ!!

მე პლატფორმის კაცი კი არ ვარ, ბიძია, სტანციის ვარ, ნასტაიაშჩი სტანციის, აპა, რავა! ვაი, ჩემო დღეო, რა მინახავს, რის მომსწრე ვარ და აგენი ასტე ძოლათ მიშობიან რევიზიას! რაცხა სამი საათი დევიგვიანე, აგი სათქმელია! ფოდრაჩიკთან ვიქეიფე, აგი სალაპარაკოა! ჩემს მაშინისტკას გევეარშიყე, აგი გასამხელია! ორასი მთხოვნელი სახლში გოუშვი და მეორე კვირიზა დევიბარე, აგი საანგარიშებელია! რაცხა დარაჯის სახე არ მომეწონა და გოუშვი სამსახურიდან, აგი დანაშაულია! მარა საქმე, რომ შემოელიათ აგია, აპა, მეტი რა ქნან! ვაი, ჩემო დღეო, აგია პატივისცემა, აგია დაფასება კაცის, რომე ასეთი პუსტიაკი საქმიზა დამსახურებულ კაცს სამსახურიდან მხსნიან და ულუკმაპუროდ გარეთ მაგდებენ! მერე რისთვის?! ასტე უბრალო საქმიზა?! ვაი, ჩემო დღეო, რავა სულ პუსტიაკზე ჩევიშელიპე კანჭები! დიდი რამე ქე მაინც ყოფილიყო!..



ვ. დევდარიანი (სად. ხრესილის ნადის თავმჯდომარე): — აწი-და რაღა სალაროში შევინახო; ეს არ მირჩევნია!

გოგია.



ᲔᲡ ᲙᲝᲚᲘᲐ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ—
ᲓᲐᲞᲐᲠᲞᲐᲨᲝᲑᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲝᲠᲘ,
ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ—
ᲰᲒᲝᲜᲘᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ.
(მა—ლი)

ღვინის ძალა ისეთი მიუდგომელი და ობიექტიურია, რომ მისთვის ყველანი თანაბარი არიან.

ღვინის ამ თვისებას ყურადღება არ მიაქცია კოლია **გეგეჭკორმა,** რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ღვინო მას რამდენიც არ დაელია, ვერაფერს დააკლებდა, რადგან ჯიბეში პარტიული მანდატი ჰქონდა. თუ მაინცდამაინც ღვინოს არ შეეშინდებოდა პარტიულ მანდატის,—ბრაუნინგის, რომელიც კოლიას წელზე ეკიდა, ხომ შეეშინდებოდა!? ერთი სიტყვით, კოლიას ყოველ მხრივ იმედი ჰქონდა, რომ ღვინო მას დათრობას ვერ გაუბედავდა.

მაგრამ... აკი ვსთქვით — ღვინო ყველასთან ობიექტიურია-თქო.

დაითრო კოლია.

ბრაზი მოუვიდა.

— ვინაიდან მას სიმთვრალის გამო ლაპარაკი აღარ ეძლო, — ენის მაგიერ რევოლვერი აალაპარაკა.

**„მხოლოდ ერთი კაცის დაჭრა მოასწრო“.**
**„დაჭრილი სამ დღეს იწვა საავადმყოფოში“.**
**„დამჭრელი სამი კვირა იჯდა გამსახლში“.**
**„ეხლა ორივენი გარედ არიან“.**

ალბად პროკურატურამ... „მიიღო რა მხედველობაში, რომ ბრალდებული მთვრალი იყო, გაანთავისუფლა სასჯელისაგან და მისი ბრალდება გადაიტანა ღვინოზე, რომელმაც დაათრო ბრალდებული“.

ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“,
ᲠᲝᲛ ᲐᲜᲐᲗᲝᲜ ᲛᲘᲓᲐᲛᲝ.
ᲗᲣᲠᲛᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ,
ᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲓᲘᲐ ᲡᲐᲬᲧᲐᲚᲘ.
**(ალე-ჰოპ-სანსალა)**

ერთის მხრივ და ერთის შეხედვით სასაყვედურო აქ არაფერია.

პირიქით, მოსაწონია ნიკორწმინდის (რაჭა) ალმასკომის საქციელი:

**ამ ჩვენს გზებზე ორმო და ტალახია.**
**შიგ ჩაიხრჩოს ალმასკომი—ახია.**
**მოიტანა მან მაშინა უძრავი.**
**რად უნდოდა ეს დინამო ნეტავი?**
**ვერც კი დადგეს, რადგან არ გვაქვს აქ წყალი**
**და ქუჩაში მიატოვეს საწყალი.**

ავტორის საყვედური უსაფუძვლოა. რა ალმასკომის ბრალია, რომ დინამო უწყლოდ არ მუშაობს? არც ის არის მისი ბრალი, რომ ადგილობრივ წყალი არ არის. ალმასკომის მიზანი, **რომ „დინამოს“ დავდგამთ, გავანათებთ მიდამოს და ხალხი უხიფათოდ გაივლის ამ დანგრეულ გზაზეო“,** — სწორია. თუ კი გზა ელექტრონით განათებული იქნება, ორმო ტლაპოებს ყველა შეამჩნევს და კისერს არ მოიტეხს.

რას ერჩით! ინდუსტრიალიზაციას ატარებენ ცხოვრებაში.

ანდა, ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, განა ალმასკომს ამისათვის სცალია, როცა:

**ალმასკომი ხან აქ არის, ხან იქა;**
**მისი ყოფნა ერთს ადგილას არ იქნა.**
**ეჰ, ტარტაროზ, საქმე მაშინ წაგვიხდა—**
**ალმასკომი სათრევად რომ გაგვიხდა.**

ამის შემდეგ რა გასაკვირალია, რომ კოოპერატივს—

**როცა ჩვენში გზები არის მშრალი,**
**მაშინ მოაქვს კალოში და შალი.**

თუ კი ეს ასეა, რაშიაც ჩვენ ეჭვი შეგვდის, საყვედური მაინც არ ეთქმის კოოპერატივს.

ᲑᲔᲚᲔᲜᲘᲫᲔ ᲕᲐᲡᲘᲚᲘ—
ᲮᲣᲚᲘᲒᲜᲝᲑᲘᲗ ᲐᲕᲡᲘᲚᲘ.
ᲮᲔᲚᲨᲘ ᲑᲔᲑᲣᲗᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ,
ᲗᲐᲕᲡ ᲢᲐᲠᲘᲔᲚᲡ ᲐᲓᲐᲠᲔᲑᲡ.
**ხონელი.**

ჩვენში ორი ტარიელია: ნინოშვილის და რუსთველის. რა თქმა უნდა ვასილს მეორე ტარიელს (რუსთველის) ვერ შევადარებთ. მაშასადამე — ტარიელ მკლავაძეს უნდა დაუმმობილოთ ეს ჩვენი ვასილი.

**სხვა არვინ არის კიდევ**
**დამტვრეული ჩემისანა.**
**ახლოს ვერავინ მოვა,**
**ხელში მიჭირავს დანა.**
**სეტავი სად არის ხონის მილიცია?**

ᲚᲔᲕᲝᲠᲕᲔᲠᲘ ᲓᲐᲣᲨᲘᲜᲐ...
ᲩᲐᲐᲛᲢᲕᲠᲘᲐ ᲝᲠᲘ ᲛᲘᲜᲐ...
ᲕᲘᲡ ᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ?
ᲛᲝᲒᲕᲐᲨᲝᲠᲔᲗ ᲮᲣᲚᲘᲒᲐᲜᲘ!
**ლიოდი**

— ავადმყოფობას წამლებითა და ექიმებით კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ ტყვიით! — გაიფიქრა და რევოლვერიდან ტყვიები დაუშინა საექიმო პუნქტს.

— არა, ღამის ცხრა საათზე ვის რა უნდა ალმასკომში? საბჭოს სხდომაა? ჰო, მეც უნდა დავსწრებოდი, მარა ქეიფში ვიყავი და ქეიფს ხომ ვერ მოვცდებოდი! დედას ვუტირებ ყველას! — და შევარდა ალმასკომში.

— თქვენი მამისული... უჩემოდ როგორ გაბედეთ კრების გახსნა? შემომჯდარხართ ამ ცარიელ სუფრაზე, ერთი ბოთლი ღვინოც არა გიდგათ, და... რას ყალთაბანდობთ?.. ეგებ თქვენ ვერ იცნობთ ჩემს ძალღონეს? აბა, ნახეთ! — და ფანჯარაში ორი მინა ჩაამტვრია!—აი, ხომ ხედავთ, ასეთი ვაჟკაცი გახლავარ... ვის უბედავთ თქვენ —მთვრალი ხარო? ღვინოს ნაკლებად დაუთვრივარ!

— კრინტი არ დასძრა, მოქია, თორემ ამ რევოლვერს ისე მოგაყრი კოხსავით, რომ შენც გაგიკვირდეს!—ემუქრება „ტარიელი“ ალმასკომის მოსამსახურეს, მოქიას.

ალბად თქვენ გიკვირთ—ეს ამბავი ზღაპარია თუ ცხადი?! ანდა სად ხდება?! ვინ არის ეს „გმირი“? არის თუ არა ადგილობრივად ხელისუფლება?

ეს ამბავი ხდება ჯუმათში, სოფ. ჯურუყვეთში, სადაც არის ალმასკომი თავისი ატრიბუტით.

ეს „გმირი“ **გახლავთ იოთომ ერმილეს ძე გიგინეიშვილი.** (კვიცი გვარზე ჰხტის).

— რატომ ალმასკომი არ ღებულობს ამ ვაჟბატონის წინაალმდეგ ზომებს?

ალბად იმიტომ, რომ მის მდივნად ბრძანდება თვითონ იოთომ ერმილეს ძე გიგინეიშვილი.

---

**ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ „ᲢᲐᲠᲢᲐᲠᲝᲖᲘ“-Ს ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ №-ᲠᲘ**

# ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲬᲛᲔᲜᲓᲐᲖᲔ

**თანამშრომლებს ვსთხოვთ**

**ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲝᲜ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ**

# დეპეშები

## მშვიდობიანი დღე

**ბარცხანა** (ბათომის სამხედრო გზა ტკეცილი). დღეს ადგილი ჰქონდა მხოლოდ შვიდ ქურდობას, ათიოდე ცემა - ტყეპას და ორასამდე ლანძღვა–გინებას.

გარდა ამისა მთელი დღის განმავლობაში დილიდან საღამომდე გუგუცას ქმარი არ გამოუცვლია და სხვაზე არ გათხოვილა. ამბობენ — ეს მოვლენა ალბად რაღაც დიდი ამბის წინამორბედიაო.

მეთვალყურე

## ჩვეულებრივი ამბავი

**ქუთაისი.** მუშკოოპის მაღაზიის № 22-ის გამგე სიმერიან მუშკუდიანმა, უკვე აღნიშნა გასამართლების წლის თავი *) 400 მანეთის გაფლანგვით. (მსახურობს თავისს ძველ თანამდებობაზე). გამგეობა თავს იმართლებს: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო"... და ჩვენი რა ბრალიაო.

ხლოპუშკა

## გვაკლია ეპისკოპოზი

**ჭიათურა.** სამთო მრეწველობაში ამჟამად მსახურობს: ოთხი მღვდელი და სამი დიაკონი. გამგეობას განზრახული აქვს მოიწვიოს ერთი ეპისკოპოზი, რომ შრომის ნაყოფიერება და წარმოების ზრდა უფრო ჩქარი ტემპით წავიდეს წინ.

## ორი ნესვი ერთ ხელში

**იქიდანვე.** კომკავშირელმა ჯალალანიამ აღდგომა დღეს საღამომდე ლალანიამ აღდგომა დღეს (საღამომდე) ჩაატარა ანტირელიგიური კამპანია რკ. გზის უჯრედში, ხოლო საღამოს მეორე დილამდე — თავისს სიმამრისას ყანწების ენერგიული ყლაპვით.

## ძმა ძმისათვის — შავი დღისათვის!

**კიდევ იქიდანვე.** ტრესტის სამმართველომ შეიწყნარა თავად კოტე წერეთლის „ჩავარდნილი მდგომარეობა" და აღმოუჩინა ნელთბილი (ნელი მუშაობის მხრივ, თბილი — ჯამაგირის რაოდენობით) სამსახური.

## „დაწინაურება"

**კიდევ ჭიათურიდან.** ყალბი ბიულეტენების დამზადებისათვის ბაქრაძე დააწინაურეს: რაიონიდან პირდაპირ გადაყვანილ იქნა მაზრის მთავარ სატუსაღოში.

## ჩხუბი სულ არაფერზე

**ისევ ჭიათურა.** ქალთა დელეგატებს: ელენეს და ლეონიდას ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ რომანიულ ნიადაგზე (ცილობა მიჯნურზე).

შაკო

---

*) გასულ წელს გასამართლებულ იქნა გაფლანგვისათვის და მისჯილი ჰქონდა სასჯელი.

## შრომის დისციპლინა

**სიღნაღი.** მიტყავეთა ადგილკომის თავმჯდომარე ფინანსიურ ავადმყოფობის გამო დამზღვევ სალაროდან შვებულებაში წავიდა. მაგრამ შრომის დისციპლინა იმგვარად ჰქონია შეგნებული, რომ ქარხანაში ისევ განაგრძობს მუშაობას და ჯამაგირს ღებულობს (ამავე დროს — დამზღვევ სალაროდან საშვებულებოს).

ს. აკიელი

## დრო არა აქვთ

**ბაღდადი** (ქუთაისის მაზრა). გლეხკომის ზოგი მესვეურნი ისე არიან ფლანგვაში გართულნი, რომ არ სცალიათ სასოფლო სამუშაო იარაღები საწყობში შეინახონ და არ დაალპონ — დაქანგონ მინდვრად.

დამწუხრებული

## მზადება

**ველის - ციხე** (კახეთის მაზრა). მოახლოვდა კოოპერატივისა და ბანკის არჩევნები. ამის გამო გაძლიერდა ქეიფი - პატიოსნება. ალექსანდრე, საშა და მიშა ერთმანეთს ეჯიბრებიან სუფრის უკეთესად გაწყობაში. ბაზარზე დიდი მოთხოვნილება აქვს ქათმებს და გოჭებს.

ნარ.

## უბედური შემთხვევა

**სუფსა.** კოოპერატივის № 3 განყოფილების ნოქარი საუზმედ მიირთმევდა რამდენიმე მანეთს. უცბად მას ეს პატარა ლუკმა ყელში გაეჩხირა რევიზიის მოსვლით. ის იყო უნდა დამხრჩვალიყო გუჯაბიძე, რომ გერმანე წამოეშველა და ლუკმა გადააყლაპვინა. საშიში პროკურორის მხრივ არაფერია.

მა—ლი

## ჯვარი უფლისა

**სენაკი.** იპოვეს მღვდლის ჯვარი, რომელიც ქელეხის შემდეგ სიმთვრალეში გზაზე დაჰკარგოდა ჭკუა-გონება დაკარგულ მღვდელს მათე კალანდარაშვილს.

ველისციხელი

## ძალა-უნებურად



— თქვენს სოფელში ვინ იბრძვის რელიგიის წინააღმდეგ?

— ჩვენი კოოპერატივი: როგორც კი მოახლოვდება დღესასწაულები, შიგ აღარაფერი იშოვება!

## თავმჯდომარის დაკარგვა

**სვირი.** თვეზე მეტია, რაც სასეირნოთ წავიდა მივლინებაში საკრედიტო ამ-ბის თავმჯდომარე და დღემდე არ დაბრუნებულა. მპოვნელს ვსთხოვთ ბანკის ფული, რომელიც თავმჯდომარემ წაიღო, დაგვიბრუნოს (თუ, რასაკვირველია, ცოცხალია ფული!).

დე-ქე

## ნასწავლი თხა

**იქიდანვე:** — საიდღანაც ჩამოიყვანეს ნასწავლი თხა, რომელიც ამჟამად სამკითხველოს გამგედ არის. მოვალეობას პირნათლად ასრულებს: დილა ადრიან ცხადდება კარებ-გაღებულ სამკითხველოში და ამაცადინებს ცანცარათა წრეს.

ძირკვაძე

# თვალნახული

ბათომის რკ. გზ. საყუდში პურის გაყიდვა ხდება საპირფარეშოსთან, ამის შესახებ არაერთხელ მიმართეს მუშებმა ადმინისტრაციას, მაგრამ ამაოდ.

მრიხხანე.



## ჭკუასთან ახლოს



— კაცო, სად მიდიხარ ამოდენა საგრძალი მიგაქვს ორიანტის სასადილოში!

— საკვირველია! სადილისათვის მიდიხარ და საგიძალი მიგაქვს:
— არ გაგიკვირდებოდა, რომ შიგ ერთხელაც გესადილა...

## საჭიროა

ქალაქში განუწყვეტლივ დიდი მოძრაობაა. ამ მოძრაობასთან დაკავშირებულია ის გახშირებული ქურდობა-ჯიბგირობა, რომელსაც ადგილი აქვს სადგურზე, მოედნებზე, ბაზრებზე და ტრამვაის ვაგონებში.

ფულსა და ნივთებთან ერთად იკარგება საბუთები, წიგნაკები და სხვადასხვა საჭირო ქაღალდები, რომლებიც ქურდს ან ჯიბგირს არაფერში გამოადგებათ. ამიტომ ისინი ასეთ ქაღალდებს ხევენ, წვავენ, ან და ჰყრიან, რომ ხიფათი თავიდან მოიშორონ.

აი სწორედ ამისათვის არის საჭირო ისეთი ყუთები, რომლებშიაც შეუძლია „პატიოსან" ქურდს და ჯიბგირს თავისუფლად ჩაუშვას შიგ „ნაპოვნი" საბუთები, ქაღალდები.

ეს ყუთები უნდა დაიდგას: სადგურზე, მოედნებზე, ბაზრებში, ცენტრალურ ქუჩებში, რამოდენიმე—გამოჩენილ და მიყრუებულ ალაგას, რომ „პატიოსან ქურდს" არ შერცხვეს ყუთთან მისვლა. ყუთები უნდა იყოს ცოტათი დიდები, შესაფერი წარწერით: **„ვთხოვთ პატიოსან ქურდ-ჯიბგირებს ნაპოვნი საბუთები, წიგნაკები, ქაღალდები და სხ. ჩაუშვან ამ ყუთში"**.

ყოველ დღე დილით ჩამოივლის დანიშნული პირი სისხლ. სამართ. მილიციიდან, ამოიღებს ყველა ყუთებიდან ქაღალდებს და წარადგენს მილიციაში, სადაც გამოცხადდებიან დაზარალებულნი დაკარგულ საბუთების მისაღებათ.

დ. ყობ-ძე.

# ორიანტში

ტარტაროზო, კუდის რიკთან რომუშკოოპის სასადილოა ორიენტის შენობაში, ერთს ვერ შეიხედავ იქინე; თუ მარტვა ჩემისანა საწყალი კაცის დაბრიყვება შეგიძლია!?

შეიხედე ბიძა, შეიხედე იქინეც. მარა მშიერი არ წახვიდე, ერთი დღის საგზალი მუცელში ჩეიყარე და სამი დღის კიდე ხურჯინით რქებზე გადეიკიდე, თვარა იი დღეი დაგადგება, რაც მე დამადგა გუშინ.

საქმეზე ვარ ტფილისში ჩამოსული.

შენ ქე იცი, რომ კაცს ჭამა უნდა.

ჰო-და მეეიდა სადილობის დროი, რომ მომისაჭსავა კარქათ კუჭმა, დავაპირე სადილათ წასვლა, სულ ნახევარი საათი მქონდა დროი, პოეზით უნდა წავსულიყავი ქუთეიში ნათესავის დასაფლავებაზე, (იმას მიეწია ვინც მე მშიერი დამტოვა იმ დღეს). ვიფიქრე—აგერაა ახლო მუშკოოპის სასადილო ორიენტის შენობაში—მეთქი.

დავაღირე თავი და შევუძახე. მივედი. ისოცხლე ოგი შენობა იყოს შიგნიდან და გარედანაც. შევედი შით, უკრავენ, მარა რას უკრავენ ე მუსიკანტები. ასე გეგონება—კონცერტია და იმიზა მოსულა ამდენი ხალხი. არც ერთი არ ჭამს სადილს, ყველა მუსიკანტებს მისჩერებია. ერთი ნაცნობი ადგა სუფრიდან და მიდის. ვკითხე: თუ ისადილა. პასუხი არ მომცა, ჩააქნია ხელი, ჩეიცინა და წევიდა. ნამდვილათ შევცდი, უცნობი მივიღე ნაცნობათ-მეთქი და დავჯექი სტოლთან.

დავაბრახუნე ერთი, დავაბრახუნე მეორე. კაცი ყურს არ აქანებს. თურმე ნუ იტყვი, თლათ რო დაანტვრიო ყოლიფერი, ვის ცალია შენდა! გევიდა ნახევარი საათი; დამიდვეს რაცხა მანიას (უკაცრავად, მენიუს) კარტოჩკა და გეიქცენ. გევიდა კიდევ ნახევარი საათი; მეიტანეს საინი და დაადვეს. გეირბინა კიდევ ნახევარმა საათმა; მეიტანეს ჩანგალი და გეიქცენ. მერე მევიდენ და მკითხენ: „რას ჭამო". ყველაფერს ვჭამ, ოღონდა მომიტანეთ-მეთქი. ნახევარი საათის შემდეგ მეიტანეს ბორში. არიქა, გათენდა აღდგომა მეთქი და ის იყო უნდა შევდგომოდი ჭამას,—გევხედე, სადაა კობზი.

ერთი სიტყვით, რაღა თავი შეგაწყინოთ, დიდი ხნის შემდეგ [illegible] კობზი და პური. შევჭამე ოგი,—და რაც მეორე კერძის ცდაზე დრო დამეკარგა, იმდენი დღეი ნუ აცოცხლოს ღმერთმა და შენმა გამჩენმა იმ სასადილოს გამხსნელი.

თურმე ნუ იტყვი, კაცო, და ამ ოჯახქორებს ორი მსახური და თუთხმეტი მუსკანტი ჰყოლია. მარა კაი ეშმაკები კი არიან. მუსკანტებით აჩუმებენ მშიერ ხალხს. უკრავს მუსიკა „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია"—იქინე სასადილოთ მისულს რო ბედი არ უწერია, ახლა მეც ქე დავრწმუნდი. ხანდისხან ლეკურსაც დოუკრავენ. (ამ მშიერს ხალხს რა ელეკურება!?).

ჰო-და, მე კაი კაცო შენ შემოგეხვიე იმ ლამაზ კუდზე და დაგაკვდი მაგ მოლალუნებულ რქებზე, ქენი სიკეთე, გადაკარი ერთი სამი კვარტი კახური სადმე კერძო რესტორანში და შეფრიალდი ამ მუშკოოპის სასადილოში. დეერიე მაგ რქებით მტყუან და მართალს და წამუაგე ზეთ. მართალს ქე რას ერჩი და მტყუანს რომ მაგის სიგრძე კუდს გადაოცხუნებდე, კაი იქნება. თუ მაგას გამაგონებ, ძაღლის შვილი ვიყო თუ მაგარი ძღვენი არ მოგართვა ვინმე ბიუროკრატი თუ მღვდელი.

ოიი.

# ვუშველოთ ჯუმათს!

თუ საჩქაროდ ზომები არ იქნა მიღებული, რამდენიმე ათეულ წლების შემდეგ, როცა ჯუმათის დღემანდელი თაობა და მოსახლეობა მოკვდება, ჯუმათში აღარავინ დარჩება და იგი დაცალიერდება, რადგან ,ექ. კოწია ქაჯაია და მისი პირადი მეუღლე მაგდანა გიგინეიშვილი გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებენ ბავშვების გამრავლების წინააღმდეგ — ფეხმძიმე ქალებს რომ დაინახავენ, ურჩევენ და აბორტს უკეთებენ.

„გიული"



ქაჯაია (თავის ცოლს): — ნამდვილი მადანია ეს ჯუმათი—ამდენი ორსული ქალი არსად იქნება. მართალია: ოზურგეთის ჯანმრთელობის განყოფილებამ დაგვითხოვა, მაგრამ ჩვენ მაინც აქა ვართ და ეს ფულები მოდის და მოდის!

მათი მსხვერპლნი: — ჩვენს ბავშურ უსუსურობას თქვენდამი ზიზღი და აღშფოთება გარდაჰქმნის ძლიერებად და სასტიკ პასუხს გაგებინებს.

ქაჯაია - გიგინეიშვილის მოსვლამდე დაბადებული ბავშები: — კიდევ კარგი, რომ ამათ მოსვლამდე დავიბადეთ, თორემ ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ აცდებოდა მათ სახლის უკან ამოთხრილ სასაფლაოს ორმოს.

---

## სამტრედია

შაბათი რომ დაღამდება, კვირა გათენდება;
ეს ჩვენი მუზიკანტები 10 წლეთს მიადგება.
საკრავს ხელში აიღებენ, მარში დაიწყება;
3 საათზე „სატირალში" ყველა წაბრძანდება.
გლოვის მარშთან ერთად ფლავი ყველას აგონდება,
ბენედიკტე აკოპოვსა ნერწყვი მოადგება.
ახობაძე ალექსანდრე ფეხზე წამოდგება;
ფლავის გემოს მოიგონებს, ხახა გაუშრება.
„წამო, ბენო ფლავისაკენ, რაღა გვენაღვლება".
შავი პური საინებით ალეს ულაგდება;
ჩუმად-ჩუმად ეს პურები ჯიბეს ულაგდება.
ბენედიკტე ღვინოსა სვამს, და ცოტა შეთვრება.
„აბა ფლავი მომიტანეთ"—ბენო აყვირდება.
კლარნეტისტი გეფერიძე კარებს მოადგება.
მას სტურუა თეოდორე ჩუმათ გამოჰყვება;
არც აცივა, არც აცხელა შიგნით შებრძანდება.
სატირალში ლხინის შემდეგ დაჰკა გაჩაღდება
გეფერიძე აკოპოვსა ყელში მივარდება:
„ჩქარა ფლავი გადმოყარე, თორემ წაგმწარდება".
ერთი ორი ლავაშებიც თედორეს მოხვდება.
როდესაც, რომ მათი გული დარტყმით მოჯერდება,
ეს ოთხივე მეგობარი, გარედ გაბრძანდება.
ზოგი მთვრალი, ზოგი პურით სახლში დაბრუნდება
ამხანაგ, ტარტაროზო, საქმე გათავდება.

ნადირაშვილი

## ვანი

ვანში არის ადგილკომი გამკურნებელ „მედ-სანშრომის"
(თუმცა მისგან არ გვინახავს ჩვენ ნაყოფი წმინდა შრომის).
დუბროვია ისაკჯანი, მოციქულთა თანასწორი;
აფთიაქშიც კი ლოცულობს, თორაში კი არ ჰყავს სწორი.

— : —

იქვე ახლოს სალხინოში, სად, სილორი მიჩხრიალებს,
ვინ გაუძლებს მოსრიალე მასწავლებელ ლიდას თვალებს.
დისციპლინა ძვირფასი აქვს, ხშირად უხსნის კედლებს საგნებს,
მოწაფენი ტყეში ჰხტიან, იმათ ბინას ვინ მიაგნებს.
სასწავლებლის ოთახებში, სად ვარლამი ხშირად რომ ზის,
მოწიწებით ინახება სურათები ნიკოლოზის.

ძველი ჩორთი

ზესტაფონის მოქეიფე ძმა - ბიჭები აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს და ძმა-ბიჭებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უეცრად გაღასახადით გარდაიცვალა მათი საყვარელი და საქეიფო დ. გოცირიძის სამიკიტნო

ა მ ი რ ა ნ ი

პანაშვიდი ყოველ დღე, მეზობელ რესტორანებში.

# ცნობათა მიღება

**„ჩიხტი-ტოკი“-ს:** — არის თქვენს წერილში მცირეოდენი მარილი (ისიც გაუწმენდავი), მაგრამ ამოდენა წერილში ისე დაკარგულია, რომ წერილს სრულიად არ ემჩნევა მარილი.

ვერ შევასრულებთ თქვენს მეორე თხოვნასაც:

„ჩამოაყენოთ როგორმე საქმის მწარმოებლობიდან და დანიშნოთ დამლაგებელის თანამდებობაზე, რომ მაშინ წამომყვეს შიკრიკს დამლაგებელი“.

აშის შესახებ საკომფლიქტო კომისიას მიმართეთ.

**ხოტეველს** (რაჭა-ლეჩხუმი): — ქოხ-სამკითხველოს შესახებ სწერთ:

ქოხ-სამკითხველო წაავგავს
ნაგვით სავსე დიდრონ ყუთსა,
მეცხრე თვეა დაკეტილა,
არვინ ანძრევს მასზე ყურსა.

თუ მეცხრე თვეა, ალბად მალე „მოლოგინდება“. ამგვარად, სამკითხველოს კი დაადგება საშველი, ხოლო გლეხკომის ფული თუ შესჭამა მისმა თავმჯდომარემ, ეს კი უფრო მწვავე და უიმედო საკითხია. თქვენ ოჯახაშენებულებო, სხვა კაცი ვერ იშოვეთ, რომ ეს კაცი თავისი თავის რევიზიის თავმჯდომარედაც რომ აგირჩევიათ?

ასეთ შემთხვევაში იტყვიან: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. (ე. ი. თქვენვე აგირჩევიათ გლეხკომის და მისი რევიზიის თავმჯდომარედ ის კაცი).

**დავიდს** (ხონი): — ფსევდონიმს ქართულად აწერთ, და ქართული წერა კი არ გეხერხებათ. ეს ამბავი ცხადშიაც რომ მომხდარიყო, მაინც არ იქნებოდა საინტერესო, (მით უფრო სიზმარი რაღა იქნება).

**ვასილ ი. ქორჩილავას** (ქოლობანი, სენაკის მაზრა): — გიდასტურებთ, რომ „ტარტაროზი“-ს № 13-ში მოთავსებული შენიშვნა ქოლობნის 7 წლედის მასწავლებლებ[ის] შესახებ, თქვენ არ გეკუთვნის.

**ჯმუხას,** (კონტუათი, ხონი): — თუ კი ყველა კარტს თამაშობს, მაშ ვინ-ღა უნდა აუკრძალოს მათ თამაში? წერილს ასე ათავებთ:

ტარტაროზო, გევედრები
მოგვაცილე ეს კაცები,
დროზე მოდი, გენაცვალე,
თორემ მეცა ვუერთდები.

ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ უკვე „შეერთებული“ ხართ.

**„ესტერა“-ს** (აღბულაღი): — სხვა რამის რა მოგახსენოთ, ხოლო ტყუილებს რომ კარგად შეასწავლიან ადგილობრივი მასწავლებლები თავიანთ მოწაფეებს, ეს აშკარად სჩანს:

დეპეშებს მოსდევს დეპეშა:
„დედა გიკვდება, მოდიო,
სიკვდილის ჟამსა ენატვრი,
გულზე ახადე ლოდიო“.

ასეთი ტყუილებით არა მგონია ვინმეს ხეირი ჰქონდეს, გარდა ფოსტა-ტელეგრაფისა.

**მოლის,** (ცხუნკურის თემი): — ხომ გაგიგონიათ: „ნისია — ვინც წაიღებს მისია“. ეს კარგად ესმის თქვენს გლეხკომის თავმჯდომარეს და, ალბად,ა მიტომაც არ იბერტყავს ყურს სასადილოს ხუთასი მანეთის გასანაღდებლად. („ჩანისიების“ დროს ალბად მისი სადღეგრძელოც დაილეოდა. ესეც მისაღებია მხედველობაში).

**მარტისას:** — წერილი დასწერეთ გარკვეული ხელით, სტრიქონების ერთმანეთზე დაშორებით. წერილი და კარიკატურა უნდა შეეხებოდეს ადგილობრივ ცხოვრებას.

**მარანჯალელს** (მარანი): — გვწერთ, რომ „ლოგიგინეიშვილი უსუფთაოდ ამზადებს სადილს“:

ჭამის დროს გაგეჩხირება
ყელში ძვალი და ბალანი,
უყვარს: ნარდი, კარტი
და თუ მუცელში გადაგცდა,—
მოგივა მეტი ზარალი.

შემდეგ გვირჩევთ, რომ ტარტაროზმა ყლაპი უქნათ გოგინეიშვილს.

როგორ გგონიათ — თქვენ თუ არ შეგიძლიათ ძვალისა და ბალანის მონელება, ტარტაროზი მოინელებს ასეთ ნაგავს?

**ლაკარტს** (ოჩემჩირე): — გვწერთ:

სიმონ ბარამიას
წელზე რევოლვერი,
ღვინით სავსე კვარტი.

ამის შემდეგ არც გასაკვირია, რომ ამბობდეს: — დალოცოს ღმერთმა ვინც ეს „გემო-კვება“ გამოიგონა და დაარსა ; პირდაპირ ჩემთვის დაუარსებია.

აცალეთ კაცს; მართლაც გემოში და კვებაში ყოფილა.

**სოჩბის:** — თქვენი წერილი ასე იწყება:

„ჩვეულებაზე უფრო ღრმა ფიქრებში ვიყავი და არ ვიცოდი, სად მივდიოდი; მხოლოდ ის მახსოვს, რომ ჩემი ფიქრები ლამაზ ბარიშნების ირგვლივ ტრიალებდენ“...

თქვენ არ იცოდით სად მიხვიდოდით, მაგრამ თქვენმა წერილმა კი იცის სად მიდის და სად არის მისი ადგილი.

**ბო—ლოს,** (კასპი): — არა მარტო არჩილაა თვითკრიტიკაზე ასეთი შეხედულების:

სახელად ჰქვია არჩილი,
გვარად კი არის მდივანი.
სხულს ძალზე მას თვითკრიტიკა,
ადგილი არის მტკივანი.

ჩვენ ხალხის ლექსიკონში თვითკრიტიკას ასეთი განმარტება აქვს: „თვითკრიტიკა“, როგორც თვით სიტყვიდან სჩანს, არის თავისი თავის კრიტიკა. მაგ. პიროვნებას შეუძლია თავისი თავი გააკრიტიკოს, ხოლო სხვას არა აქვს მისი გაკრიტიკების უფლება“.

**სი—ბრის:** — ტყვილად იხდით ბოდიშს, რომ ამ წერილის გამოგზავნა დაგიგვიანდათ. ადრე რომც გამოგეგზავნათ, თუ გინდ დაწერის უმალ, გაფიქრებისთანავე,— ასეთ შინაარსის წერილს მაინც არ დავბეჭდავდით. ასე, რომ შეგეძლოთ არ აჩქარებულიყავით, ანდა სავსებით არ გამოგეგზავნათ.

**ფერსათელს:** — ჩვენ გვაინტერესებს ვიცოდეთ: ეს წერილი მას შემდეგ დასწერეთ, რაც თქვენმა ცოლმა:

„კვერები გაილო უცბად და თავში წყლიანი დოქი დამახალა. ზეზე წამოვარდი, მარა ჩემი ფეხები სკამის ფეხებში გამომეხლართა და ძირს გავადინე ბრეგვა“.

თუ ამის შემდეგ დასწერეთ?

შენ თუ ცოლმა გცემა, ჩვენ რას გვერჩით, ძმაო, ამოდენა წერილის წაკითხვით?!

**ადგილობრივს** (ჭიათურა) ამ ყაიდის და შინაარსის წერილი უკვე გვქონდა.

**ი—ი** (სოფ. აბაშა): — ჩვენ ეჭვი არ შეგვიდის რასაც თქვენ იწერებით, რომ:

1. სანდროს კინოს ჩვენებაში
არევია მთლად დავთარი.
2. თვეში ერთხელაც არ იღება
სამკითხველოს ცალი კარი.
8. კოოპერატივს რაც მოუვა,
ყველას ყლაპავს მას ნოქარი...

ჰო, ყოველივე ეს და ამაზე კიდევ უარესი შესაძლებელია ხდებოდეს მანდ (და ყველგანაც), — მაგრამ იმას ვერ დავიჯერებთ, რასაც სკოლაზე ამბობთ;

აივანის სანახავად
თხები ხშირი სტუმარია.
წვიმის წვეთი ბლომათ სცვივა
დარია თუ ავდარია.

ამ ორმა უკანასკნელმა სტრიქონმა ეჭვი შეიტანა თქვენი წერილის სიმართლეში და ამიტომაც ვერ დავბეჭდეთ ის

**კაკარდოსანს:** — ხუმრობთ თუ მართლა გგონიათ და სერიოზულად იწერებით:

„სტრიქონზე თუ აბაზს არ მომცემთ, მაშინ ნუ დაბეჭდავთ ამ ჩემს ლექსს-ო“?!

ჩერვონეციც რომ მოგვცეთ თითო სტრიქონზე ამ თქვენი ლექსის დასაბეჭდათ, მაინც არ დავბეჭდავთ.

# უკეთესი ბოლო



და დაბრუნდა ექსკურსია,
ის არის თუ სხვები, ნეტა?
თვალსა მტკენს და გულს მიწყალებს
შორიდანვე მისი ჰვრეტ

კვირა, 26 მაისი 1929 წ. ტარტაროზი № 22 (206) ფასი 10 კ.



**მოდის ინგლისის ესკადა,**
**მას ტარტაროზმა ეს ჰკადრა:**
ამ ზღვის პირებს რომ გაჰყურებთ დურბინდით,
ნამდვილ ჭვრეტა ესესერის თუ გინდით!

# ტარტაროზის კალენდარი

## მაისი 20 ორშაბათი



1917 წ. ფრიდრიხ ადლერს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი.

ეს განაჩენი შეთითხნა ავსტრო - უნგრეთის მაშინდელმა ცნობილ შტიურკის რეაქციონურმა მთავრობამ, რომელსაც არ მოეწონა ფრიდრიხ ადლერის გაბედული ნაბიჯი ომის წინაალმდეგ. ჩვენ მე-2-ე ინტერნაციონალის წევრ სოციალისტების შესახებ გარკვეული აზრისა ვართ. მაგრამ ადლერისა თუ სხვა ავსტრიელ სოციალ - დემოკრატ თა შესახებ ეს აზრი შედარებით უფრო სხვაგვარია ზოგ მათ რევოლიუციონურ ნაბიჯების გამო წარსულში, რაც შეეხება აღნიშნულ განაჩენს, იგი მაშინ გააპათილა ევროპის პროლეტარიატის მედგარმა პროტესტმა, რომლის წინაშეც სამარცხვინოდ დაიხია შტიურკის მთავრობამ და ვერ შესძლო განაჩენის სისრულეში მოყვანა. ადლერი დღესაც ცოცხალია, ხოლო ავსტრიის მაშინდელ მთავრობას კი უკვე გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი თვითონ ისტორიამ.

## მაისი 21 სამშაბათი



1871 წ. პარიზის კომუნის უკანასკნელი სხდომა.

აღნიშნული სხდომა მარტო თავისი უკანასკნელობით კი არ არის შესანიშნავი, არამედ იმით კიდევ, რომ ამ სხდომაზე გამოტანილ იქნა ყველაზე უფრო საბედისწერო გადაწყვეტილება: „ან სიკვდილი ან გამარჯვება". და კომუნარებიც ამ ლოზუნგით მოედვნენ მტრის უთვალავი ძალებით ყოველი მხრივთ გარშემორტყმულ პარიზის ქუჩებს. მთელი კვირის განმავლობაში კომუნარები სახელოვანად იგერიებდენ მტრის იერიშებს. ეს იყო პარიზის კომუნის ყველაზე უფრო პრაქტიკული, საქმითა და ზრუნვით დატვირთული კვირა. და ვინ იცის, ყველა წასული კვირეები და დღეებიც, რომ ახეთივე საქმიანი ყოფილიყო პარიზის კომუნის ცხოვრებაში, ნაკლები სხდომები და ამ სხდომებზე ზოგჯერ გადაჭარბებული კამათი და ჭრელი სიტყვებიც ნაკლები, ხოლო მეტი საქმიანობა და მტრის შუბლში მჭრელი დარტყმები, იქნება პარიზის კომუნა ისე ადვილად ვერ დაემარცხებინა მტერს.

ამ მწარე გამოცდილებას ითვალისწინებდა, ალბათ, ამხ. ლენინი, როცა წარმოსთქვა თავისი შესანიშნავი გაფრთხილება ამხანაგებისადმი: „პარტია სადისკუსიო კლუბი არ არისო". იგი უფრო პრაქტიკული საქმიანობით დატვირთული ორგანიზაციაა.

## მაისი 22 ოთხშაბათი



1921 წ. საქართველოს მშრომელ ქალთა პირველი ყრილობა.

ძველი ტრადიციების ქართველ კაცს რომ მოაგონოთ შოთა რუსთაველის სიტყვები: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია"-ო, იგი ხბოს აღტაცებას მიეცემა და რიხით მოგიგებს: „დაგვიხედეთ, რაები ვყოფილვართ ჩვენ, ქართველები ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში, როგორი სალი შეხედულება გვქონია ქალთა მამაკაცებთან სწორ-უფლებიანობის შესახებო".

მაგრამ იმავე ქართველს რომ დღევანდელ მშრომელ ქალთა შორის მუშაობაზე ჩამოუგდოთ ლაპარაკი, იგი მაშინვე ქალების მიერ მოდათ შემოღებულ თმების შეკრეჭაზე მიგითითებთ და ზიზღით განზე გააფურთხებს: ვერ ურიგდება ქალების თავზე თმის ნაკლებობას. ამავე დროს ივიწყდება, რომ ლომთა შორის, საიდანაც მოდის ტრადიციული ქართველის პროგრესიული შეხედულება ქალთა სწორუფლებიანობის შესახებ, სწორედ ძუ ლომს ახასიათებს თავსა და მკერდზე ნაკლები თმა ანუ ფაფარი, რომელიც, პირ იქით, უხვად ახხია ხვად ლომს.

## მაისი 23 ხუთშაბათი



დღე, როცა მიმდინარე წელს გამოჩნდება სავსე მთვარე.

ყოველი მე-14-ე დღის მთვარე სავსეა. ყოველ 28 დღის განმავლობაში იცვლება მთვარე. 28 დღე ეს მთვარის თვეა. ამჟამად მსოფლიოში დიდი მითქმა - მოთქმა არის საკალენდარო რეფორმის ირგვლივ. არსებულ 12 თვიან სისტემის ნაცვლად, გვაჩეჩებენ 13 თვიან სისტემას. შეიძლება გულუბრყვილო ხალხი სადმე მოსტყუვდეს ასეთი „სიახლით", როგორიცაა 12 ნაცვლად 13 თვე, მაგრამ ტარტაროზის მოტყუება კი ძნელია: მან მშვენივრად იცის, რომ 13 თვიანი სისტემა ეს მთვარის ტრიალზე აგებული სისტემაა და მეტი არაფერი. ამ შემთხვევაში ერთი, ხოლო ხან ორი დღე ხრულიად გამოტოვებულად რჩება ანგარიშიდან, რაც დიდათ ხელსაყრელია ეგრედ წოდებულ „პროგულშჩიკებისათვის" (სამუშაო დროს გამცდენელთათვის). ტარტაროზი იმ აზრისაა, რომ თუ ასეთი დღეების დამკვიდრების მიმართულებით კი მოხდება რაიმე ცვლილება, მაშინ დეე, შემოღებულ იქნას 30 დღიანი 12 თვე, რასაც გადარჩება მთელი 5 და ზოგჯერ 6 დღე. მოდგენ პატივცემულმა „პროგულშჩიკებმა" და იქეიფონ ყოველს წელს დაუსჯელათ თელი თითო კვირა.

## მაისი 24 პარასკევი



1542 წ. კოპერნიკის გარდაცვალება.

ამბობენ, კოპერნიკი იმდენად ნასწავლი და ბრძენი კაცი იყო, რომ მან მთელი გადატრიალება მოახდინა ასტრონომიაშიო. კოპერნიკამდის არსებობდა შეხედულება, რომ მიწის გარშემო ტრიალებდა ყველა სხვა პლანეტები და მნათობები. კოპერნიკმა კი დაამტკიცა, რომ მიწა ტრიალებს მზის გარშემო. ამ დებულებაზე მან ააგო მთელი ახალი სისტემა, რომელიც დღემდის რჩება ძალაში.

ტარტაროზს კი ეცინება ულვაშში და ამბობს: „არაფერი დიდი სიბრძნე არ უნდოდა ამის დამტკიცებასო. დღეს უკანასკნელმა ლოთმაც კი მშვენივრად იცის, თუ როგორ ტრიალებს დედამიწა".

## მაისი 25 შაბათი





1926 წ. ცინდაოში ჩინელ მუშების დახვრეტა.

აი, აქ, ასეთი ცნობის მოთავსების გამო ოფიციალურ კალენდარში, ტარტაროზი თავის გულისწყრომას ვერ აჩერებს, რომ არ გამოსთქვას იგი ცოტა ტონის აწევით კალენდარის შემდგენელთა მიმართ ასეთი ცილის წამებისათვის —ამ უკანასკნელებისაგან ქალ. ცინდაოს წინაალმდეგ, რომელსაც თამამად შეუძლია უსაყვედუროს პატივცემულ კალენდარის უპატივცემულეს ავტორებს: „თქვენ დამისახელეთ ჩინეთის ისეთი ქალაქი, სადაც მუშები არ დაეხვრიტოთ, და მე თუნდაც საუკუნოებით ვზიდავ ამ თქვენ მიერ ჩემ შუბლზე ასე თვალსაჩინოთ მიკრულ სამარცხვინო ლაქას"-ო.

## მაისი 26 კვირა



1927 წ. თემთა პალატამ მიიღო წინადადება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ.

ინგლისის მთავრობის ამ ხეპრე ნაბიჯის შეხახებ ჩვენ უკვე ვწერდით. დამატება ამაზედ მხოლოთ იმისი შეიძლება რომ, შორს აღარ არის ის დღე, როცა იგივე თემთა პალატა, რომელმაც ერთხელ უკვე ხმა მისცა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტას, ალბათ, ახლა უკვე ხმას მისცემს ამ კავშირის აღდგენასა და განახლებას. ხაამისო ნიშნები უკვე ბლომათ მოიპოვება.

ჩაზირა.




„სალამი“-დან ამოდის



სალამს აძლევს ცოლს სახლში.

# „ნევრასტენიკი“

ამბავი ხდება ოზურგეთში.

საექიმო-საკონტროლო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ექიმმა ავადმყოფი გასინჯა და მიმართა თავის ამხანაგს:

— მე ვერავითარი ობიექტიური ნიშნები ვერ ვნახე, რასაც შეეძლო გამოეწვია ნერვების ასე საშინლად დაავადება. აბა ნახე, კოლეგა, შენც!

— მოიწიეთ, ამხანაგო, აქეთ. დაჯექით. რამდენი წლისა ხართ?

— ოცდა შვიდის.

— ცოლიანი ხართ?

— კი. ერთი დიუყინი შვილებიც მყავს.

— მართლაც საინტერესოა: ასე ახალგაზრდა კაცს ნერვები რამ გაუფუჭა!—და შინჯვა დაუწყო.—მანახვე თვალები. გაიხსენით გულის პირი. მაჩვენე გული. ისუნთქე. ღრმად ისუნთქე. გამოყავ ენა. მანახვე მაჯა... რაიმე მძიმე ავადმყოფობით ხომ არ ყოფილხარ ავად?

— არა.

— საკვირველია! ალბად რაიმე სუბიექტიური პირობებით არის გამოწვეული! გამოიტანეს დასკვნა ექიმებმა და ისევ დაუწყეს გამოკითხვა: ცოლთან უთანხმოება ხომ არ გაქვთ, ან ოჯახში რაიმე უსიამოვნება?

— რას ამბობ, ბატონო, უთანხმოება და უსიამოვნება კი არა, მე და ჩემი ცოლი ერთმანეთს სულში ვუძვრებით.

— ღვინოს სვამთ?

— იშვიათად. ისე, ცოტას. სათრობათ არასდროს.

— თამბაქოს ეწევით?

— არა.

— საკვირველია! არ ვიცი სწორედ რაშია საქმე? ჯამაგირს რამდენს ღებულობთ?

— 80 მანეთს.

— საიდან ღებულობთ ჯამაგირს?

— ადგილობრივ ბიუჯეტიდან.

ადგილობრივ ბიუჯეტის ხსენებაზე, თითქოს ბომბი გავარდაო, მთელი კომისია შეკრთა.

— აი, მიზეზი! —წამოიძახა ექიმმა მ. ქავთარაძემ.

— მივხვდი, მივხვდი!—დაუმატა უფროსმა ექიმმა ვ. უჯმაჯურიძემ.

— ამდენ ხანს გეთქვა, ჩემო ძამია, მაგი!—უსაყვედურა ავადმყოფს კომისიის თავ-რემ ალ. მგელაძემ.

— რამდენი თვის გაქვთ მიუღებელი?

— ეხლა ორი თვის, და ისე არის ხშირი შემთხვევა, რომ სამი თვეც და მეტიც აგვიანდება ჯამაგირს!

— ვალები გექნებათ, აბა!

— კისრამდე ვარ ჩაფლული.

— შენი სამსახური ტელეფონით ლაპარაკთან ხომ არ არის დაკავშირებული?— შეეკითხა ავადმყოფს პროფკავშირის წარმომადგენელი ბ. ლლონტი.

— რა თქმა უნდა. ამა თუ იმ საქმეების გამო ხშირად, მიხდება ტელეფონით ლაპარაკი, გამოძახება, ტელეფონოგრამების გადაცემა ნაგომართან, ჩოხატაურთან, ლანჩხუთთან, სურებთან და სხვაგან.

— აუვაი! აფსუს, რა ახალგაზრდა ბიჭი დაკარგულხარ! კიდევ ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, რომ არ გადარეულხარ და ტყეთ არ გაჭენებულხარ! —დასძინა შემთხვევით შესულმა კაკო ჟღენტმა.

— შენი მდგომარეობა, ამხანაგო, სერიოზულია. დასვენებას მოგცემთ, მაგრამ ერთი დარიგებით: მოთმინება უნდა იქონიოთ. შეიძლება დოტაციამ ქე მოგისწროს სულზედ. ან და ეგებ ადგილობრივ ბიუჯეტიდან გადაიროცხო სახელმწიფო ბიუჯეტზე, რაც შეეხება ტელეფონით ლაპარაკს სხვა რაიონებთან, ამას, ძმაო, თავი დაანებე. მერმე შენ ჩვენს ტელეფონის საღვთურს გაავონებდე, გაალვიძებდე, გამოიძახებდე: მერე იგი ნაგომარს მოგცემდეს, მერე ნაგომარი გაინებდეს; მერე ჩოხატაურიდან სხვა ადგილებს დაუწყებდე ძებნას,—მაგას სჯობია ადგე და წახვიდე ფეხით. ფიზიკურ ვარჯიშობასაც გააკეთებ, საქმესაც მალე მორჩები, დროს ეკონომიასაც იზამ. შრომის ნაყოფიერების საკითხსაც გადასჭრი და, რაც მთავარია, ჯანმრთელობას აღიდგენ. გასწი ეხლა და ასე მოიქეცი! ტოქსინი.



ასეთი რიხით დაიწყეს კონსერვატორებმა

# ყვარყვარე თუთაბერი მთავარ ხელოვნებაში

(ს ც ე ნ ა)

ყვარყვარე. რომელი ბრძანდებით ამ დაწესებულებაში სამუსიკო ნაწილის გამგე?

ფალავა: — მე გახლავართ. რა გნებავთ?

ყვარყვარე: — მარჯანიშვილის წყალობით, უმუშევრად დავრჩი და სამსახური უნდა მიშოვნოთ.

ფალავა: — კარგი, მაგრამ რა ადგილს ეძებთ?

ყვარყვარე: — რადგან სამუსიკო ნაწილის გამგესთან მოვსულვარ, ალბათ, თქვენ სფეროში მინდა ვიმუშაო.

ფალავა: — თქვენი სამუსიკო განათლება, სპეციალობა და სტაჟი?

ყვარყვარე: — მე მგონია, თქვენ კარგათ მიცნობთ და მაშინ ეგ რაღა საკითხავია: ყვარყვარეს ყველაფერი შეუძლია.

ფალავა: — უკაცრავად. ჩვენს უწყებაში მე „ყვარყვარეობა" დიდი ხანია ამოვფხვარი და მით უმეტეს თქვენ, თვითონ ნამდვილი ყვარყვარე აქ ვერაფერს მიიღებთ.

ყვარყვარე: — თუ ძმა ხარ, შენი ჭირიმე...

ფალავა: — კარგი, მომიტანეთ მაგის ოფიციალური დასაბუთება და მერმე შემობრძანდით, ასე ორი სამი დღის შემდეგ. ეხლა კი, უკაცრავად, კონსერვატორიის პროფესორთა კრებაზე მივეშურები, დიდი საჩქარო სამუსიკო საქმეებია გადასაწყვეტი და უჩემოდ ვერას გახდებიან. (ოთახიდან გადის. განყოფილებაში არავინ რჩება. თავმჯდომარე მოსკოვშია. მისი მოადგილე ოპერის კრებაზეა წასული. ყვარყვარე და ერთი მოხოვებული—მუსიკოსი ადგილზე რჩებიან და ერთმანეთს შეეთუასიდებიან).

ყვარყვარე: — (მუსიკოსს) დიდი სამუსიკო სპეცი კი უნდა იყოს ეგ თქვენი ფალავა, პროფესორებსაც რომ უმაგისოდ ვერაფერი გაუკეთებიათ. ალბათ, საზღვარგარეთ ექნება კონსერვატორია გათავებული. სამუსიკო თხზულებებიც ბლომად უნდა ჰქონდეს, რასაკვირველია: ოპერები, სიმფონიები, ბალეტები, მუსიკალურ - მეცნიერული ნაწარმოებები და სხვანი და სხვანი. მე კი მხოლოდ რამოდენიმეჯერ გამოვსულვარ ჩვენს საოპერო სცენაზე და, აბა, როგორ უნდა მომაქციოს ყურადღება? ვინა ვარ მე მაგასთან შედარებით?!.

მუსიკოსი: — ისე აშენდა შაგის ოჯახი, მაგან მუსიკის რამე იცოდეს. კონსერვატორია გაუთავებია კი არა, ფორტეპიანოს ზანდუკისაგან ვერ არჩევს!

ყვარყვარე: — უმაღლესი სამუსიკო სწავლა არ აქვს მიღებული?

მუსიკოსი: — რა ბრძანებაა.

ყვარყვარე: — არც უკრავს, არც იმღერის?

მუსიკოსი: — კარგი ერთი, ნუ მეხუმრებით!

ყვარყვარე: — ჰო და, თუ არაფერი არ იცის, ქა როგორ მოხვდა სამუსიკო ნაწილის გამგეთ?!

მუსიკოსი: — ნუ მკითხავთ, თქვენი ჭირიმე. მაგაზე პასუხის გაცემას მირჩევნია ერთ საათში ას თემიანი ფუგა დავწერო. ამბობენ გავლენიანი ბებია ყავსო, თორემ ისე როგორ შეიძლება ასეთი ამბავი მომხდარიყო.

ყვარყვარე: — ვაიმე, რავა ტყუილად გევცისარჯე მაგასთან მოსვლით. ჩემზე უკეთესი ყვარყვარე თუთაბერი მაგ ყოფილა და მე ქე რაღა გამოვჩნდები მაგასთან?

ფა—ლა.

# არჩევნები



ასეთი ბოლო ეწია მათ ოცნებებს.

# მიწერ-მოწერა

## მკვდარი მღვდლისა ცოცხალი მღვდლისადმი

ძვირფასო, მუდამჟამს და ყოველ ადგილას მოსაგონარო, მამაო ექვთიმე!

მოგიკითხავ დიდის სიყვარულით და უმდაბლეს სალამს უძღვნი თქვენს მშვენიერ მეუღლეს ფოფოდია აგრაფინას. იმედია ჩემს ამბავს იკითხავ და უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან გლახა პირობებში ვარ და ერთობ შევიწროებული.

მართალია მაგ ქვეყნად სანამ ვიყავ ეთალე სოფელი დუმასავით, არც ერთი გლეხი არ გადამრჩენია გოუტყავებელი და გვარიანი ფულებიც წამოვიღე აქ, მაგრამ ხომ იცი ჩემი ამბავი, რომ ძალიან წუწკი ვიყავი ქალების და თუ რაიმე მქონდა სულ მოლოზნებს შევაჭამე- (ერთი ეპისკოპოზის საყვარელიც მივაყოლე ზედ, მარა ნიჩავო. შემრჩა ხახვივით).

ვაი, ჩემო დღეო, რა სათლელი, მშუქანი დუმა იყო ეგ სოფელი! შე ღდინძაღლო, ვინ იცის ეხლა შენ მილიონჩიკიც ქე ხარ! რა გიჭირს, ბიძია, რა! მშუქანი მრევლი დაგიტოვე და ქეიფობ ალხეინად- ეხ, ღმერთმა შეგარგოს, ჩემო ექვთიმე, ოღონდ მე ნუ დამივიწყებ და ხანდახან ხელი გამომიწოდე. ძალიან გლახა მდგომარეობაში ვიმყოფები.

იწამე ღმერთი, მამაო ექვთიმე, გამომიგზავნე რამე და ამ გაჭირვებას გადამარჩინე. მგზავრების შოვნა არ გაგიჭირდება! თუ გაგიჭირდეს ჩააჩრჩე საცხა ერთი პრიჩეტნიკი და იმას გამოატანე. აპა, შენ იცი, მამაო ექვთიმე, რავარც არ დამივიწყებ და ამ გაჭირვებიდან გამომიყვან.

## პასუხი

ეხ, ჩემო, მამაო ეპიფანე!..

რომ იტყვიან: „მკვდარი, მკვდარს აეკიდა, სამარეშდის მიმიტანეო“, სწორედ ისეა შენი საქმე! შენ მაინც მიწაში ხარ დამალული და არავინ გდევნის და მე კი რომელ სოროში შევყო თავი და რომელ ხვრელში შევძვრე, აღარ ვიცი! ზეზეურად გამთელეს და გამათახსირეს კაცი! დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველა მე მაფურთხებს თვალში. ჩემი სახე რომ ნახო, პირდაპირ აბასთუმანის ჩიხოტკიანებიდ „პლევატელნიცა“ გეგონება! ამ კომწომოლებმა ჟაგვაოხრეს და გაგვანიავეს თელი სამღვდელოება! რაც ეკლესიები დაგვინგრიეს, დაგვინგრიეს, რაც არა და მრევლი ისე გადაგვირეჯულეს, რომ ეკლესიაში ფული რომ მეჟუყარო, გამოსატანათ არ შევა კაცი! ვდგავართ მე და ჩემი დიაკონი პირდაფჩენილები, ვრეკავთ ზარს და ველოდებით ხალხს, მარა არ შეგჭამოს ჭირმა! ჩვენსკენ კაცი არ იხედება! ის ჩასუქებული ფოფოდია, ქე იცი შენ, ჩემი დედაკაცი, რავარც თითისტარი ისეა სიმშილისაგან გაწვრილებული!

აღარ არის ის პატივი.
ინდაური, გოჭ-ქათამი,
გაჰქრა ყველა, დაიკარგა
ის მშუქანი ძველი ქრთამი!

გოგი

# შეხვედრა

ბაქოს სადგურის დერეფანი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ხალხით არის დაფარული. მოელიან ტფილისიდან მომავალ მატარებელს, მაგრამ, რაც მთავარია, მოელიან ქართველ მწერალთა დელეგაციას.

დამხვდურთა შორის ყველაზე წინ სდგას პატარა ჯგუფი ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენლებისა, რომლის თავმჯდომარე მალი-მალ გაჰყურებს რკინის გზის ლიანდაგს და ეტყობა, რომ მოუსვენრობს.

ეს მოუსვენრობა, რა თქმა უნდა, უსიამოვნო გრძნობით კი არ არის გამოწვეული, არამედ იმ ტკბილი მოლოდინით, როცა სადგურში შემოსულ მატარებლიდან დინჯათ გადმოვა საქართველოს მწერალთა დელეგაცია და თავმჯდომარეც მას მიესალმება.

და თავმჯდომარეც თავის მეხსიერებაში რამდენიმეჯერ გადამარცვლავს ხოლმე სათქმელ სიტყვებს, როგორც, ხანში შესულობის გამო, დადინჯებული მოხუცი კრიალოსანის მარცვლებს. და ამ გადამარცვლაში სიტყვა სიტყვას სცვლის, სიტყვა სიტყვას ეცილება, თავისი მოქნილობითა და სიელვარით.

— მწერლები წყეული ხალხია! — ჰფიქრობს თავისთვის თავმჯდომარე — და ვაი თუ იმათ მაჯობეს მე გამოთქმებში!

და ტანში ბუძგშემდგარი თავმჯდომარეც აჩქარებული მხედარივით მიერეკება თუ მოერეკება გონებაში შერჩეულ სიტყვებს, წვრთნის და აგეშებს მათ ახალგაზრდა, ჯერ გაუხედნელი არაბული კვიცებივით.

მაგრამ აი, დაჰკივლა მატარებელმა. ვაგონების თვლები—„მოვედით, მოვედით - ის - ძახილით უკვე მიგრიალებენ მთავრობის წარმომადგენლების წინ და უდაბნოდან მოვარდნილ სამუდიმით მიერეკებიან თავმჯდომარის თავიდან ჯერ კიდევ, საკმაოდ დაუგეშავ კვიცებს. მაგრამ გამოცდილი მხედარი მათ უკან ედევნება, იჭერს და ისევ თავ-თავის ადგილზე აბამს.

მატარებელი დადგა. ვაგონებიდან გადმოდიან: ზოგი ბარგით, ზოგი უბარგოთ, მაგრამ არც ერთი კი არ იძლევა მწერალთა დელეგაციის შთაბეჭდილებას. ბოლოს—„მოვიდენ, მოვიდენო" — აცნობენ წარმომადგენლებს.

იქით მწერალთა დელეგაცია და აქეთ მთავრობის წარმომადგენლები ერთმანეთისაკენ დაიძრენ.

უცბათ წინ, ე. ი. არც იქით, არც აქეთ, ანუ უკეთ—შუაში ჩამოდგა სანდრო ეული, როგორც ყოველთვის, და აცნობს მოსულ-დამხვედურებს ერთმანეთს.

სდგება საკმაოდ გრძელი პაუზა, სანამ სანდრო ეული მოიფიქრებდეს თავის შესავალ სიტყვას, რომელიც სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ მარტო ერთი სიტყვა არ დარჩეს, არამედ წყვილ-წყვილად ერთმანეთზე გადაულლებული რამდენიმე სიტყვა, მაგალითად—ათი, რომელთა შორის ხუთი მაინც იქნება რუსული „ვოტ", ქართულ „ვოც"-ად გამოთქმული.

ამ უხერხულ უსიამოვნებას ისევ მთავრობის წარმომადგენელთა თავმჯდომარე არღვევს, რომელმაც, არ იცის რა, რომ დელეგაციას ჰყავს თავისი საკუთარი თავმჯდომარე, ჯერ პირდაპირ ტიციანს მიმართავს, როგორც ყველაზე წინ ამ დროს წამოჭიმულს, რა თქმა უნდა, ისევ და დელეგაციის მხრით. მაგრამ მალე პაოლო იაშვილზე გადავა, რადგან უკანა რიგებში ჩამორჩენილი პაოლო სწორედ ამ დროს გამოარღვევს მთელ ამ კულტურული რევოლიუციის ფრონტს და წამოიჭიმება წინ, ასე გასინჯეთ—ტიციანის წინაც კი.

ნამდვილი თავმჯდომარე კი, პატივცემული გრიგოლ რობაქიძე, თავისი პირადი მდივნით, ამ დროს შუა ადგილზე სდგას, როგორც მიუვალი მთის მწვერვალი, და საკუთარის დაჯერებით მოელის იმ წუთს, როცა წარმომადგენელთა თავმჯდომარის ყურადღება სამართლიანად და მართებულადაც შეჩერდება მასზედ.

პატივცემული მიხეილ ჯავახიშვილი გრიგოლის გვერდით სდგას და სამართლიანად უყურებს არა მოლაპარაკეს, არამედ გრიგოლს, თითქოს თავისი მეორე „თეთრი საყელოს" უმთავრესი გმირის სულის კვეთებას სწავლობსო.

უხერხულობის გაფანტვას ისევ სანდრო ეული იღებს თავის საკუთარ ქინდრზე და ყელში გახიდულ ნეოწყვს დიდის ვაი-ვაგლახით გადაჩოჩებს ყელში.

მაგრამ სწორედ ამ დროს ყველაფერი თავის თავად მოგვარდა: როცა პაოლომ გული იჯერა და მამლურის სიუტუხით გადაყლაპა მისალმების თითქმის ხუთი მეექვსედი, ე. ი., სწორედ იმდენი, რამდენი ტერიტორიაც უჭირავს დედამიწაზე კაპიტალისტურ მსოფლიოს, დარჩენილმა ერთმა მეექვსედმა უკვე ინსტიქტიურად მოაგონა, ესესერთან ერთად, ინდუსტრიალიზაციის ტემპით მასზედ დაკისრებული მოვალეობანი, უცბათ ყოჩივით მოიგრიხა კისერი, მიუბრუნდა გრიგოლს, ჩაავლო ფრაკის საყელოში ხელი, წამოაჩინჩილა წინ და საკუთარი ფალავანივით ჩამოუყენა ცხვირწინ წარმომადგენელთა თავმჯდომარეს.

სიტყვა გათავდა, მაგრამ მთავრობის წარმომადგენელი მაინც სდგას, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს რაღაც დაავიწყდა და იგონებსო.

ნამდვილად კი მთავრობის წარმომადგენელი ამაოდ მოელოდა თურმე დელეგაციის თავმჯდომარის საპასუხო სიტყვას, მაგრამ რა კი კაი ხნის ასე დგომის შედეგათ ამას ის მაინც ვერ ეღირსა, უიმედოთ ჩაიქნია ხელი, მიუბრუნდა თავის ამალას და მუნჯურათ ანიშნა რაღაც დელეგაციის მიმართულებით, ხოლო თითონ კი განზე გადგა, თითქოს უნდა ნახოს სეირი, თუ რაში იჩენს თავს დელეგაციისა და მთავრობის წარმომადგენელთა ურთიერთთან შეხლა-შეხვედრაო.

სანდრო ეულმა ისევ გადაყლაპა ნერწყვი და ყბები ისევ გამოებერა. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ფაქტიურად ცუდი რამ მაინც არ მომხდარა.

ისტორიისათვის საიდუმლოთ რჩება, თუ რა უნდოდა ამით სანდრო ეულს. მხოლოდ, ერთად ერთი მისი ქირისუფალი „ტარტაროზია" ამის გამო შეწუხებული და თავის გულში ასე ამბობს:

— მოუკვდეს დედა, ვინ იცის, იქნება გულით უნდოდა რისიმე თქმა, მაგრამ ეს არ დასცალდაო!...

რადგან სწორედ ამ უხერხულობის ნიადაგზე როგორც დელეგაცია, ისე მთავრობის წარმომადგენლები სრულიად მოულოდნელად უცბათ გაერთიანდენ და ასე შეერთებული ძალით შეუდგენ პროლეტარულ ბაქოს დათვალიერებას.

**ოჩისიმე.**

უშინდლური სამება



ჩვენ არვინ გვყავს მადლიერი, —
და ცდა ჩვენი ფუჭია;

ხურჯინივით ცარიელი
ჩვენ დაგვირჩა კუჭია.

# ერთი დღე

გამოვედი დღეს დილით თუ არა, (დაახლოებით საათის 7 იქნებოდა), მივუახლოვდი ჟურნალ-გაზეთების ფარდულს.

— გამოსულა! — ინსტიქტიურად წამოვიძახე და დავსწვდი ასალებად „ტარტაროზი“-ს ახალ ნომერს.

— აბა, აბა, დაამსავე ძირს! სიფთა არ მიმიღია ჯერ. ნუ მნავსავ.—გამაგდებინა ხელიდან ჟურნალი გამყიდველმა.

იქვე ნაცნობი შევნიშნე პაპიროსს ჭიდულობდა ცალობით. მივუახლოვდი, გავიხმე განზე და კონსპირატიულად გავანდე ჩემი საიდუმლო, რომ მე მჭირდებოდა ორი შაური („ტარტაროზი“-ს ფასი).

— თუმცა ერთი აბაზი ქე მაქვს, ბიჭო, მარა არ მინდა თავი გავუტეხო, თორემ შემომეხარჯება!—მითხრა ნაცნობმა.

— მარტო ორი შაური მინდა, აბაზს მთლად კი არა გთხოვ.

— პაჟალუსტა.—მითხრა მან და ის იყო ჯიბისკენ ხელი წაიღო, რომ სწორედ ამ დროს „კისერ მოსატეხი“ და არ „დასარჩენი“ ტრამვაი ჩამოდგა პლატფორმაზე ექსპრესივით.

— ოჰო, პიატი ნომერი, პიატი ნომერი. რამდენხანს ველოდი მაგ... სატყვა არ დაამთავრა ისე გამიშპა ხელიდან.

— გამაბითურე ხომ? დედას გიტირებ, მე შენ. არ გინდა სადილის ტალონი დღეს? მოგცემ არ გინდა! მოუჭი გაჭირვებულს,—ჩავილაპარაკე გუნებაში, და თანაც ტალონებს დავხედე, რომელიც დღეს აღმასბიუროს წევრმა მომცა (3 ცალი), რათა პირობა მიმეცა, რომ კვლავ არ გავქიმავდი კედლის გაზეთში. ამის პირობა მივეცი—არ გავამჟღავნებდი, რომ ის ძმაბიჭებს ხშირად აძლევს ტალონებს ერგება თუ არა. თან კიდევ დამატებით გავიგე, რომ „ბოროტი ენები“ იმასაც კი ამბობენ, თითქოს სადილის ტალონებს ჰყიდდეს, როგორც ის აგრეთვე სხვებიც. ჰო, და დავპირდი არ გავამჟღავნებდი არავისთან და კიდეც ვასრულებ.

რაღა დიდი გავაგრძელო, ვიშოვე როგორც იყო ორი შაური, გადუგდე „იუდა ისკარიოტელს“ (გამყიდველს), ავიღე „ტარტაროზი“, გადავშალე და, ახ „ბოჟე მაია“, ვიპოვე ის, რასაც ვეძებდი. დავკეცე ოთხად „ტარტაროზი“ და დავაპირე პირდაპირ ქარხკომისაკენ გაქანება, რომ ყველასათვის მეხარებია ეს „პატარა ამბავი“, რომელიც შექმნიდა დიდ სენსაციას.

გადავდგი ნაბიჯი თუ არა, სწორედ ამ დროს მოულოდნელად წინ ამეყუდა შევროს პორტფელიანი ახმახი ოჩოპენტრეს მაგვარი ძვლის სათვალებიანი ობიექტი (ქარხანას დირექტორი გახლდათ ვოლოკიტე ბიუროკრატიძე).

— დიახ. ამხანაგო ვოლოკიტე.—წავილუღლუღე და შიშის ქარმა ზაგეს-რიონგეს ვოლხოსტროის „ტოკით“ დამიარა სულერთიანად ტანში.

— ინტერესნი ნომერია. მოიტა ერთი ვნახო რა ყრია შიგ...

— ვაი ამ ჰამას!—გავიფიქრე,—იცნობს და მიხვდება კიდეც, არ უნდა კრიჭინი,—მაგრამ რაღას ვიზამდი. გაუწოდე ხელის ცანცახით და თან დავუმატე:

— მგონი რაღაც უნდა ეწეროს ჩვენი ქარხნის შესახებ. წუხელ მესიზმრა.

— რაო! გესიზმრა ჩვენი ქარხნის შესახებ? —მეც მგელივით, გამომტაცა ხელიდან ჟურნალი და გადათვალიერება დაიწყო.

შეტორტმანდა.

— რაშია საქმე ამხ. ვოლოკიტე?

— რაშია და შკაფში. გიცნობ რა შვილებიც ხართ... ეგ სულ შენი ოინებია, მაგრამ გაებმები შენც ჩემს მახეში.

— როგორ გეკადრებათ ამხ... პატონო ვოლოკიტე. მე თქვენ შესახებ ცუდ რამეს დავწერდი? პირიქით, მე კმაყოფილი ვარ თქვენ მიერ შეძენილ სპეცტანსაცმელით, თუმცა ფოლაქები ზოგ მათგანს არ აკერია, მაგრამ ეს არაფერია. ალბად ისე არიან გართული მუშაობაში, რომ დაავიწყდათ.

— მაშ ვინ დასწერდა... თუმცა სწეროს..., სწერონ.::: მაგრამ ვაი მისტყავს, თუ ხელში ჩამივარდა ის ტარ-კორია, თუ რაღაც ჯანდაბა!—და მოჰყვა ორიგინალურ „კურთხევას“.

მაგრამ ჩემს ბედზე თავზე მისი თანაშემწე წამოგვადგა. მას უკვე გაეგო საქმის ვითარება.

— მოგცლია ერთი შენც.—მიმართა მან მოსვლის უმალ „ზავს“, რათა მისთვის ნერვები დაემშვიდებია.—პირველი ხომ არაა ეს ჩვენს შესახებ? წამოდი. უკვე თორმეტი საათია, არ დაგაგვიანდეს სამსახურში.

**დონ-კიხოტი.**

სპეცტანსაცმელებს, რომლებსაც ურიგებენ მუშებს, არა აქვთ ფოლაქები.



— ხელს რომ არ სწევთ, საკითხს არ ეთანხმებით თუ?
— როგორ არა, მაგრამ ხელში შარვალი გვიჭირავს!




— უწინარეს ყოვლისა შენ ინახულებ ტყის უმაღლეს ორგანოს, ე. ი. სატყეო ტრესტს!—მითხრა ტარტაროზმა წასვლისას.

— მეც ასე მოვიქეცი—პირველად ვინახულე

## სატყეო ტრესტი

— ჩვენ გვაინტერესებს გავიგოთ, თუ რა ზომებს ღებულობთ თქვენ ტყის დასაცავად!—პირდაპირ დავიწყე საქმიანი საუბარი.

— ტყეზე ყველაზე უფრო ჩვენ შეგვტკივა გული. ჩვენსავით რომ სხვებიც იცავდეს ტყეს, მაშინ რა გვიჭირს! მაშინ ჩვენი ტყეები კი არ განადგურდებოდა, როგორც ეს დღეს ხდება, არამედ ისე გაიზრდ-გაფართოვდებოდა, რომ, სიტყვაზე ,ასე ვთქვათ, მთელი ჩვენი ქვეყანა გატყეურდებოდა, ტყედ გადაიქცეოდა!—დაიწყო ლაპარაკი ტრესტის ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა მუშაკმა.

— რაში გამოიხატება თქვენს მიერ მიღებული ზომები ტყის დაცვის საქმეში?—შევეკითხე მე.

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ (არა ერთხელ ჩაგვაგდეთ ამისათვის „ტარტაროზში"), რომ ჩვენ ზამთრობით შეშა არა გვაქვს, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი მთავარი და ერთ-ერთი დანიშნულება ეს არის შეშის დამზადება. არა გვაქვს, არ ვამზადებთ იმიტომ, რომ ტყეს ვიცავთ. აი ეს არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ქალაქს შეშას ვერ ვაწოდებთ ზამთრობით. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ შეშას იძლევა ტყე. და თუ შეშა დავამზადეთ, ტყე გაიჩეხება, რასაც ჩვენ ვამჯობინებთ უშეშოდ ქალაქის დატოვებას.

აქედან წამოსულს მოსახვევში შემხვდა

— სოფლის აშენება კარგი საქმეა; მაგრამ ტყეს ხომ არ ანადგურებთ და უგეგმოდ ხომ არ ჩეხავთ?—შევეკითხე მეურმეებს.

— რისი გეგმა! ჩეხვასაც გეგმა უნდა! ჰმ! გეგმისთვის ვის სცალია. რომელი ხეც მოგვეწონება, იმას წამოვაქცევთ. აბა, გამხმარი და წაქცეული რად მინდა!?—იკვეხნიდენ მეურმეები.

— კი, მაგრამ ტყის განადგურება სოფელს საფრთხეს უქადის. მოსალოდნელია დიდი წვიმის დროს მოულოდნელად მოვარდეს ძლიერი ნიაღვარი და მთელი სოფელი წაიღოს!

— თუ წასაღებია და წარღვნა მოხდა ღვთის ნებით, ტყეს რა შეელა შეუძლია? ეს, ჩემო კარგო, სულ ტყუილია. ჩვენი დაშინება უნდათ, რომ ტყე არ გავჩეხოთ, თორემ სად ტყე და სად წყალდიდობა!—მაინც თავისას გაიძახოდენ ისინი.

— პეტრე... ივანე... პავლე... სად მიდიხართ, კაცო, ამ ცულებით!—უძახოდა მეზობელი მეზობლებს, რომლებსაც მხრებზე ცულები გამოედოთ და საითკენაც მიიჩქაროდენ.

— ტყეში მივდივართ, ტყეში... დღეს „ტყის დღე" ყოფილა! შენაც წამოდი, რას უცდი!

— კი, მაგრამ „ტყის დღე" თქვენ ასე გესმით, რომ ტყეში ცულებით მიდიხართ ტყის გასაჩეხად?!—შევეკითხე მე მათ.

— დღეს „ტყის დღე" გახლავთ. სხვა დღეებში აკრძალული გვაქვს ტყეში ხის მოჭრა. მართალია, მალულად ვჭრით მაინც, მარა ნებადართვითაც მოვსჭრით დღეს, რადგანაც დღეს „ტყის დღეა". ასე გვითხრა ალმასკომის თავმჯდომარემ: „ტყეში ქურდობა არ შეიძლებაო; ხე არ

— ეს როგორ?

— როგორ, და, ის ტყეში წელიწადში ერთხელ თუ გაივლის. მუდამ თავის სახლში ზის.

— ჯამაგირს ხომ ღებულობს?

— კი.

— მერე?



აი, ტყის გამანადგურებელი; — როგორი ჩლოქები მოუჭრია!

— მერე, და ჯამაგირის მისაღებად ალმასკომში მიდის, თორემ ტყეში კი არა. კარგი კაცია. შარშან ერთხელ მოვკარი თვალი, ისიც მძინარეს ცაცხვის ჩრდილში. მას შემდეგ აქეთ მას პირიც არ უქნია.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, მოღრუბლულმა ცამ დაიჭექა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

მე საჩქაროდ გამოვექანე სოფლისაკენ.





**სატყეო ტრესტის მმუშაკი:** — ჩვენსავით ტყეს არავინ იცავს. ზამთრისათვის რომ არასოდეს შეშა არა გვ·ქვს, ეს იმიტომ, რომ ტყეს ვიცავთ და შეშისათვის არ ვჩეხავთ.



← საით მიდიხარ მაგ ცულით?
—დღეს „ტყის დღე" ყოფილა და ტყეში მივდივარ!

### უ რ ე მ ი

— ჰაა! ერთ მანეთს კიდევ მოგიმატებ. მეტს არ მოგცემ ისლოდე!—ევაჭრებოდა მუშტარი.

— ვერა ხედავ რა ზორბა ურემია?! სამი მანეთი მარტო იმ ქიტე-ძალლ ტყისმცველისათვის მიმიცია ქრთამად ამ შეშაში. ეხლა ვყიდი ასე იაფად, თორემა ზამთრის პირას სამჯერ მეტსაც კი მომცემ!—ეუბნებოდა შეშის გამყიდველი გლეხი.

— მაშინ ტრესტში ვიყიდი შეშას!—ინუგეშებდა თავს მუშტარი.

— მაგისი იმედი იქონიე შენ, და ზამთარში გვერდები თბილად გექნება!—მოაძახა გლეხმა და ზანტ ხარებს შოლტი გადაუტლაშუნა.

— აი ტყის გამანადგურებელი! როგორი ჩქოლები მოუჭრიათ! ასეთი ნორჩი ჩქოლების შეშის გაყიდვის ნება არ უნდა იყოს: აშკარაა—ტყე ნადგურდება!—გავიფიქრე ჩემთვის და პირი სოფლისაკენ ვქენი.

### სოფელში

გზაზე ბევრი ურმები შემხვდა, რომლებსაც ხე-ტყის მასალა მოჰქონდათ.

სოფელში ბევრი ახალი შენობა შენდებოდა. ასე გეგონებოდათ—სრულიად ახალი სოფელი შენდებაო.

უნდა მოიჭრასო. სამაგიეროდ, ყოველწლიურად ერთ დღეს, როცა „ტყის დღეა", მაშინ გაქვთ უფლება ტყეში ხის მოჭრისაო"..

აი, ეს თავისუფალი, მანიფესტიანი „ტყის დღე" დღეს ყოფილა და ჩვენაც ამიტომ მივიჩქარით ტყისაკენ.

### ტ ყე შ ი

— მართლაც გაყრუებული იყო ტყე ცულების ხმაურობისაგან.

— აი ეს არის ჩემი დღე—„ტყის დღე", ასეთ დღეში ვარ. დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერია!—შემომჩივლა ტყემ.

ამ დროს სადღაც წაიქცა (მოსჭრეს) ვეებერთელა მუხა, რომელმაც თან იმსხვერპლა რამდენიმე ნორჩი, ახალგაზრდა ხეები და მიწაზედ დაანარცხა თითქოს ბრაზი მოსდიოს: „მე ვკვდები და, დეე, თქვენც ჩემთან დაილუპეთ".

ამ ხმაურობამ საწყალი კურდღელი ისე დააფრთხო, რომ ბუჩქიდან გამოვარდა და პირდაპირ ჩემსკენ გამოიქცა.

— გაწუხებენ?—შევეკითხე კურდღელს.

— საით წავიდე აღარ ვიცი. ყოველდღე გულის ხეთქას როგორ გაუძლებ?!

— როგორ! ყოველდღე დადიან!

— ყოველდღე.. მუდამ ასეა... ყველა მე მაწუხებს, განსა და ჩვენი ტყის მცველისა.

### ნიაღვარი

როცა სოფელში ჩამოვედი, სადღა დამხვდა სოფელი!

უეცრად მოვარდნილ ნიაღვარს, რომელიც ვერ შეემაგრებია მთებს, რადგან ტყე გაჩეხილი იყო, სოფელი წაელო.

სოფლელები უსახლკაროდ დარჩენილიყვნენ.

— აკი გეუბნებოდენ, რომ ტყეს ნუ გაჩეხავთ, დაიცავით ტყე, თორემ წყალდიდობის მსხვერპლნი გახდებითო თქო. ეხლა ხომ ხედავთ რა მოგივიდათ!

— ეხლა კი მივხვდით, მაგრამ რა დროსაა! ამიერიდან ერთ ჩქოლსაც არ მოვსჭრით ტყეში და ისე მოვუვლით, როგორც თავის საკუთარ ბაღჩას.

**ვინჯარი.**

---

**შემდეგი № „ტარტაროზი"**
**სპეციალურია**
**პარტიულ წმენდაზე**

## ხალხური

ა ხუცესო ქარკოტიო,
თუ ამისთვის მორბოდიო.
ა ხუცესო პასკებიო,
თუ კვახივით გასკდებიო.
ა ხუცესო გოჭებიო,
თუ კი გიჭრის ლოჯებიო.
ა ხუცესო კვერცხებიო,
თუ სხვა რამით ვერ ძღებიო.
ა ხუცესო ზედაშები,
გიცხონდება დედაშენი.
ა ხუცესო სავსე ჭური,
ამოვარდა შენი რჯული.
ა ხუცესო ღვინის დოქი,
ამოვარდა შენი ქოქი,
ა ხუცესო აღდგომაო,
თუ გეღირსა გაძღომაო.
შენ გააძვრე სოფელს ტყავი,
ჯანდაბაში შენი თავი.
ვითომ ქვეყნად შვებას ქმნიდი,
ჩუმად ჯიბეს იტენიდი,
გემხრობოდა მეფე, ღმერთი,
და იყავით სამივ ერთი.
ქვეყნის საჭე გქონდა ხელში.
ისტუმრებდი ღარიბს ხვნეშით;
საყდარში კი პირჯვრის წერით.
ფოფოდიას ასუქებდი,
საკურთხით და ნაზუქებით.
უმღეროდი ავტოკეფალს
და ივსებდი ქონით კეფას.
ხუცესო ბერებიო,
თუ კი გაიბერებიო,
ა ხუცესო მოლაზონი,
საცეცხლურში ბოლავს ქონი.
შენ, მოლაზნებს, წმინდა ბერებს
დღეს ქვეყანა ვერ იფერებს.
ამოგიწვეს ბუნაგიო
ლექსს ვერ გიწერ შესაქებსო,
ანასუნი შენ საქმესო.

ვირთხა.

„თავისუფალი სიტყვის“



სასახლე პოლონეთში

# დამნაშავეები

(გადმოკეთებული არკ. ავერჩენკოსაგან)

მეორე უბნის ბოქაული, დაკარგულაძე, გაალვიძეს და აცნობეს, რომ გლეხებმა მოა განკარგულებაში წარმოადგინეს ორი ტყვე: საბა ათსახლაძე და უცნობი, რომელმაც თავისი ვინაობა არ გასთქვა.

როგორც ხოფლის მწერალი იუწყებოდა, ათსახლაძე შეუხტა მოიჯარადრე ებრაელს აუწიოკა სახლი, დაუმტვრია ნივთები, ტაფის მომტვრეული ტარით დაუჭრა ცოლი, ხოლო ვაჟს მოუგდებინებინა ყური. სოფლის კანცელარიაში მიყვანილმა, მან სცემა მამასახლისს, ურიადნიკს ჩაამტვრია ორი წინაკბილი, ხოლო მწერლისათვის უნდა მოეურევინებია ხელები.

მოგდეჯინებული ყური და ორი მომტვრეული კბილი ამასთანავე იყო წარმოდგენილი, როგორც დამამტკიცებელი საბუთები, ფრთხილად შეხვეულ გაქერქეჭებულ ქაღალდში.

მეორე უცნობ პირს ბრალდებოდა ის, რომ დაჭერილმა სოფლის განაპირა ბოსტანში, მან დამალა თავისი ვინაობა, ხოლო გაჩხრეკის დროს კი აღმოჩნდა: ერთი წყვილი პროკლამაცია, ყუმბარა და ქერა პარიკი.

ბოქაულმა დაკარგულაძემ გადაიკითხა პატაკი, გაიფურთხა, არვინ იცის: ხალხის მიხამართით, მას რომ ძილი გაუფრთხეს, თუ ბოროტმოქმედთა მიმართ და წამოიძახა:

აი დაკარგული ხალხი!..

შემდეგ გამოაღო თავისი კაბინეტის კარი და ათისთავს გამოსძახა:

— პარმენ, შემოუშვით რიგზედ!

ბოქაულის კაბინეტში შემოეყუდა მაღალი, შავ-შავი გლეხი, ლურჯ ხალათსა და ზოლებიან შარვალში, თავზე მარაოსავით გადაფაფრული თმებითა და ფეხზეც დაგლეჯილი წაღებით. ის დადგა მაგიდასთან და ჭრელი ვიწრო თვალები დაასო მარცხენა ფეხის ცერზე გადაფხრეწილ ჩექმის წვერს.

ბოქაულმა ახედ-დახედა, თვალები კატასავით მოხუჭა და ვითომ გამანადგურებელი ირონიით დასძახა:

— ეეხ. ათსახლაძევ! შენ ათსახლაძე კი არა...

უნდოდა ეთქვა რაღაც მართლაც გამანადგურებელი, მეტად სასაცილო, მინახ-მონახა, მაგრამ რომ ვერაფერი იპოვნა, ცოტა დარცხვენით დაათავა:

...მოთრეული ვინმე ხარ...

აი შენზე იწერებიან, რომ მოიჯარადრე დაგიზეგვია, მისი ვაჟისთვის ყური მოგიგდებინებია, მამასახლისისათვის გიცემია, ხოლო ურიადნიკისათვის კბილები ჩაგილეწია. მართალია ყოველივე ეს?

— მართალია!.. დაადასტურა შავგვრემანმა.

— აჰა, თვითონაც არ უარყოფ. მერე და რა დაგიშავა შენ მოიჯარადრემ?

— ამ ებრაელებს მუდამ ვცემ... იმათ ქრისტე აწვალეს და ამასთანავე მთავრობასაც პატივს არ სცემენ... მე უფრო მთავრობის პატივისცემლობისათვის...

— მე! ცემა მაინც მიღებული არ არის...

— როგორ? მე იმათ ვეუბნები: მოიცა ცოტა და ბ-ნი გუბერნატორი თქვენ ყველას ჩამოგახრჩობს-თქვა. ის კი მიპასუხებს: შენს გუბერნატორს სამ მანეთად ვიყიდიო.

— ნუ თუ მართლა ასე თქვა?

— ზედ გამოჭრილად! და როცა მე მოვაგონე: დამაცა, ამ შენს სიტყვებს სუყველას ბ-ნ ბოქაულს გადავსცემ-თქვა — მან იცინა რა მიპასუხა: „თუ გუბერნატორს სამ მანეთად ვიყიდი, შენი ბოქაულის ყიდვა სამ აბაზადაც კი არ გამიჭირდებაო“. ააა, შე ლორის ქყანში ამოვლებულო, მაშ ასე?-ვეუბნები...

ბოქაულმა გადიხარხარა...

— მაშასადამე... შენ მის ვაჟს ყური.. მოაკრიალე?..

— სწორედ! იმიტომ, რომ მე ახე ვმსჯელობ: „თუ კი შენ შეურაცყოფ ჩემს მთავრობას, ბ. ბოქაულს, მაქვს თუ არა მე უფლება მოვსხეპო შენი ყური? მაქვს!...

— ხა-ხა-ხა-ხა!.. ოი, რა სასაცილო რამე ხარ. მე და ჩემმა ღმერთმა.., მოიჯარადრის ცოლს რაღას ერჩოდი?„

— იმაზ კიდევ თქვენი მეუღლის შესახებ დაიწყო როშვა...

— ააა... დაიღრიჯა ბოქაული. მამასახლისს და ურიადნიკს რაღას ემართლებოდი?

— ისინი კიდევა, ვეუბნები თუ... ხელი არ მახლოთ: მე ჩემი მთავრობის, ბ-ნი ბოქაულისათვის ვცდილობდი-თქვა... პასუხად კი მეუბნებიან: რა დიდი ვინმე გგონია შენი ბოქაული... აი, თუ არ არის დიდი-თქვა დაგიყვარდეს: გავუშალე ერთს, გავუშალე მეორეს...

— ხა-ხა-ხა-ხა-ხა!.. ხა-ხა-ხა!.. გეტყობა შენ ჭკუა არ გაკლია!.. შენი საქმე კი, სჩანს, უნდა მოვსპოთ.

ბოქაულმა ხელი ჯიბეში იკრა, მიძებნ-მოძებნა ვერცხლის ათშაურიანი, ამოიღო და შავგვრემანს გაუწოდა:

— ააჰ, დაიჭი, გადაჰკრავ იქ სადმე...

— ბეჯითად! სწრაფათ მიუგო შავგვრემანმა და სწრაფადვე ჩამოართვა ფული...

— წადი, რაღას უცდი?..

— მე, თქვენო კეთილშობილებავ, შესახებ წაღებისა... ჩემები რაღაც სულ გადაიფხრიწა და არც ქვეშიდან, ძირიდან სჯობს უკეთესი...

ბოქაული სწრაფად შეტრიალდა საძინებელ ოთახში და მცირე ხნის უკან გამოვიდა თითქმის ახლათ-ახალი ჩექმებით ხელდამშვენებული.

— არის! წამოიძახა შავგვრემანმა, როცა ბოქაულის ნაქონი ჩექმები ფეხებზე მოირგო, ხოლო თავისი ძირ-გავარდნილები კი იქვე დაჰყარა. ეხლა, თქვენო მაღალ კეთილშობილებავ, შესახებ პალტოსი, თუ შეიძლებოდეს...

— ნუ, ნუ, გეყოფა!.. პართენ, აბა, გაუღე კარი და გაუშვი ეს პატიოსანი კაცი, რათა დროზე ნახოს თავისი გზა... მიაძახა ბოქაულმა ათისთავს.

შავგვრემანი თითქოს აორთქლდაო, ფიცხლავ გადნა ბოქაულის კაბინეტიდან.

— აბა, შემოიყვანეთ შემდეგი! გასცა მან ფიცხელი განკარგულება.

ათისთავმა კარი შემოაღო, შემოაყოფინა შიგ თავი გლეხების მიერ მოყვანილ მეორე დამნაშავეს, წამოჰკრა ზურგში წესისა და რიგისამებრ და მოურიდებლად შემოაგდო ბოქაულის კაბინეტში.

—ააა, ძვირფასო შავარდენო, იფრინე, იფრინე და ბოლოს ჰკარი ნისკარტი ბადეში?!.. როგორ არის თქვენი ერფურტის პროგრამა?!..

ბოქაულის წინაშე იდგა დაბალ-დაბალი, ჩასკვნილი გლეხი თავზე ჩამოქლესილი ქუდით და დაბლა დახრილი თვალებით.

— რაღა თქმა უნდა, თქვენი სოციალური ჩამომავლობის შესახებ ბევრი კითხვა-მოკითხვა აღარ დაგვჭირდება: ლიდიტი, მელენიტი, ნიტროგლიცერინი და სხვადასხვა ბიკფორდის ზონარი თუ ასაფეთქებელი ნივთიერებანი.

ბოქაულმა ცოტა შეიცვალა ტონი და დასძახა, უფრო მკახედ:

— მონაწილენი გყავს?

— საიდან მეყოლებოდენ მონაწილენი, თქვენო კეთილშობილებავ!..

— ოჰო, სჩანს მოგვიწევს ქალაქში წასვლა ამის გამოსარკვევად.

— თვითონ ქალაქიდან გახლავართ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!..

— ძალიან სასიამოვნოა! ლურჯიანის ბოსტნებში რომელმა ქარმა მოგაგდოთ?

— ბოსტნებში მე რა მესაქმებოდა?

— კონსპირაციას იცავთ, არა? მაშ, მკვლელობა, რომელიც თქვენ უნდა მოგვეხდინათ, ბოლომდე კონსპირაციით არის დაცული?!..

— რის მკვლელობა? რის კონსპირაცია?!.

— ჰო, ვიცით! შეუგორებდით ვისმე ფეხებში და ჰაიდა!.. წადი მერე და ეძიე ქარი მინდორში!..

— არა, მართალია მთვრალი კი ვიყავი, მაგრამ დაგორებამდის საქმე მაინც არ მისულა...

— რა?!..

— მთვრალი ვიყავი... ისინი კი თივაში ექვს შაურს მოითხოვდენ. გაგონილა, თქვენო კეთილშობილებავ, თივა ექვს შაურად?

— რის თივა, რას ამბობ?

— მათი თივა, მოიჯარადრისა...

— რას მიედ-მოედები? რისი თივა, რისი მოიჯარადრე! ყუმბარა საიდან მოიტანე, შენ ისა სთქვი.

— სად იყო ყუმბარა, არავითარი ყუმბარა არ ყოფილა, თქვენო მაღალ კეთილშობილებავ.

ბოქაულს სახე წამოუჭარხალდა.

— ნუ სულელობ შენ, ვილაც ხარ, გესმის, ნუ სულელობ!

— სულელობაა, მაშ, რა არის, თქვენი ჭირიმე! მე ვეუბნები სად გაგონილა ექვს შაურად თივა-მეთქი, ისინი კი თავისას იჩემებენ... მთვრალი კაცის გაგლეჯას ნებულობენ... ჰო და წავიდა..

— რა წავიდა? რას ამბობ?...

— წავიდა, ე. ი. ხელი თავისით ამუშავდა: სულელი რომ არ ვყოფილიყავ, ებრაელის ბარტყს ყურს მოვაგლეჯდი?!

ბოქაული წამოიჭრა თავის ადგილიდან და გაშლილი თითებით ეცა უცნობს ყელში:

— ვინა ხარ შენ, შეჩვენებულო, რა გქვია?!..

— საბა, თქვენო მაღალ კეთილშობილებავ... ათსახლაძესაც გვარად მიხმობენ, თუმცა ერთი საკუთარი სახლიც არ გამაჩნია.

ბოქაულმა სწრაფად შეუშვა ხელი გლეხს და ღრიალით მივარდა კარებს:

— წავიდა!.. პართენ, გესმის, წავიდა ის ვერანი, ის!...

ლ. ნიხიძე.

# ნამდვილი დატვირთული

სად. ქუთაისის ფერშალ-კონდუქტორებს დაავალეს „აპტეჩკის", ტელეფონის, ფანარისა და კვერთხის ტარება; აგრეთვე — ვაგონის მოვლაც.

„ქიშმიშ-ოღლი".



მგზავრი:—ეი, შენ „ნასილჩიკ", ეს ჩემოდანი წამომიღე მატარებელში!

— უკაცრავად ხართ! მე ფერშალ-კონდუქტორი გახლავარ!

# გამოცანა

## (ამაღლება, გურია)

თავის ქება ძლიერ უყვარს,
სხვას არ აგდებს არცა „ჩირად".
თუ თვალში არ მოიწონე,
სალამს მოგცემს ერთობ ძვირად.
ნუნუას თუ ყლუპი უქნა—
მოერიდოთ უნდა მაშინ,
თორემ მაგრად შეგიკურთხებს,
თან გაგაწნის სილას ყბაში.
უზრდელია ყოფა-ქცევით,
განთქმულია კიდით-კიდე.
ვერასდროის ვერ იხეირებს
კაცი მისი გადამკიდე.
ბევრხელ ოქმიც შეუყენეს,
დაექირათ კიდეც უნდა,
მაგრამ თავის მოქნილობით
ყველგან გაძვრა მელა-კუდა.
ეხლა კიდევ ბაქა-ბუქობს,
რომ კაცია ერთობ დიდი.
ამბობს: „მდევთან რას გაბედავ
ვაცი რქებით დანაჭიდი!"
„აღვირ-ახსნილს" უწოდებენ,
რომ არა აქვს არვის რიდი;
ქსთქვათ როდემდის ითარეშებს
„ჩვენი ქვეყნის ეს რაინდი?"

პომპოლიკო.

# შეჯიბრი

სოციალისტურ შეჯიბრში
ებმის ყველა მშრომელი;
(ამ ჩვენს აღმშენებლობაში
ჩამორჩება რომელი).
ეს კომკავშირის დაწყება
ჰპოვებს ჩვენს გამოძახილს;
(მშრომელ ხალხს უმზადებს შვებას
და მტრებს კი ცეცხის მახვილს).
მუშები აღმშენებლობით
გლეხებს ძმურად იწვევენ;
(და ჩვენი ქვეყნის ორგულნი
ჯავრით ყალყზე იწევენ)
გლეხები მეურნეობის
აწევით სძლევნიან პასუხს;
(კულაკების ხროვა ამით
გულგახეთქილ და სწუხს).
ეს შეჯიბრი წითელ ლაშქრის
მაღლა სწევს ბრძოლის უნარს;
(ვინ შეედრება ოქტომბრის
დროშის დამცველ კომუნარს).
სკოლებიც არ ჩამორჩება
სვლას სოციალისტური გზით...
(და წინ უძღვის ნორჩ თაობას
ყველგან კომუნიზმის გზით).
პიონერთ ნორჩი რიგებიც
შეჯიბრში ებმებიან;
(„დაღლილ მებრძოლთ ნაცვლად
მოვალთ"—
ყველას ეუბნებიან).
მათ მოსდევენ ოქტომბრელნი —
სოციალისტურ მღერით;
(ყველა მტრებს ემუქრებიან,
რომ ატანილა წერით).
მთელი საბჭოთა კავშირი
ამ ნეტარ აზრით წინ ჰქრის;
(სოციალისტურ შეჯიბრზე
არის დღეს ჩვენი ფიქრი).
ჩვენი ქვეყნის აყვავების
ეს არის აშახველი;
(ამ შეჯიბრში ვინც არ ებმის
რაა მისი სახელი?)

ტარზან.

# ხაშური--ბიუროკრატი



—ეს რომელი სადგურია სურამსა და ხაშურს შუა, რომ ამდენი ხანია აქ ვდგავარ და მატარებელი არ გადის?

— სადგური არ არის. ნიშანსვეტთან ვდგავართ, ხაშური არ გვღებულობს, (ცქინტორის-პირელი).

კედლის გაზეთების მხატვრებს ვსთხოვთ მოგვაწოდონ კარიკატურები და ნახატები ადგილობრივ ცხოვრებაზე.

სუფთად და გვარიანად შესრულებული ნახატები დაიბეჭდება თითქმის შეუსწორებლად ავტორის დაცვით. დროგამოშვებით რედაქცია მთელ გვერდს დაუთმობს ახალგაზრდა მხატვრების ნახატებს.

მოგვაწოდეთ მასალები.

# თანამედროვე ოტელო

## სურათი პირველი

### სახალხო სასამართლო

**მოსამართლე:** (ოტელოს): — დეზდემონას მამა თქვენა ბრალსა გდებს, რომ მას თქვენ ქალი მოსტაცეთ მოტყუებით და რაღაც თილისმით. აბა, ოტელო, შენ რას იტყვი? თავს რით იმართლებ?

**ოტელო** (საშნეო ნაწილის გამგე):— სიდარბაისლით, ძლიერებით სახელგანთქმულნო, სიმართლის მცველნო თქვენ სახალხო მოსამართლენო! მართალი არის: მოხუც მამის დაუკითხავად გამომყვა ქალი. ისიც სწორეა, რომ მე იგი უკვე ცოლად შევირთე, —მაგრამ, ჰმ, რასა სულელობს თვით არ იცის სულელმა მაგან. განა გჯერათ, რომ ქალს ძალით მოვიტაცებდი?!

**დეზდემონას მამა** (პენსიონერი): — მე შენ გაჩვენებ სეირს, თუ როგორ უნდა ახალგაზრდა ქალის მოტყუილება!

**ოტელო:** რას ბაქი-ბუქობ? არ დაამტვრიო ბუდეზე კვერცხი.

**დეზდემონას მამა:** — ძაღლმა იმასქნას ამ ჩემს მელოტს თავსა და ჭაღარა წვერულვაშებზე, თუ არ განანო ეგ თავხედობა!

**ოტელო:** — გთხოვთ შეიტანოთ ოქმში მისი სიტყვა-მუქარა... ჰო, მოგახსენებთ... მოხდა პირიქით. რაღაც ხათათ ამეკვიატა მაგისი ქალი დეზდემონა, რომელიც მემანქანედ მსახურობს ჩვენთან. არშიყობის დროს წამომცდა სიტყვა—მიყვარხარ - მეთქი... და თქვენც კი იცით ეხლანდელი ქალის ამბავი: გადამეკიდა ხუოჯინივით, არ მომასვენა, და რაღა მექნა! ერთს დღეს ზაგში კანონიერი ცოლქმარი გავხდით.

აი აქ მოდის დეზდემონა; ჰკითხეთ მას თითონ.

**დეზდემონა** (მემანქანე): — ვინ გეკითხება, მამაჩემო, შენ საქმეს ჩემსა, რომ გამომხტარხარ მეცამეტე გოჭივით აქა და ჩემს საქმეში აფათურებ მაგ გამხმარ ხელებს?.. ბატონო მოსამართლენო, ეს კაცი ჩემი ქმარია.., ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, ისე ძლიერ, რომ...

**ოტელო** (თავისთვის): — არც იმდენად, მარა რას იზამ კაცი, რომ მდუღარეში ჰკრავ ორთავ ფეხსა.

**დეზდემონას მამა:** — გოგო, რავა უტიფრად ლაპარაკობ?! ამ სუდიების მაინც არ გრცხვენია? მარა ეხლანდელ ქალებს სადა გაქვთ სინდის-ნამუსი... კისერი გიტეხია, შენთვის ვამბობდი, თორემ მე რა მენაღვლება.. რაცა გინდოდეს აწ ის ჰქენი... ჯანდაბას იქით. (ოტელოს). თვალი ადევნე მაგას, სიძევ, ნუ მოაშორებ. მამას უმუხთლა და უფრთხილდი—შენც არ გიმუხთლოს.

## სურათი მეორე

ოტელოს კარ-მიდამო

**ოტელო** (იაგოს): — შენს მაგ გოგრაში ბაიუყუში ხომ არ ბუდობს?!. „ეს მე არ მომწონს“... „ეს მე არ ვიცი“... და მას არ ამბობ, რა არ მოგწონს, რა არ იცი. მითხარ რაც იცი ჩემი ცოლის ცუდ ყოფაქცევის შესახებ. საყვედურს კი არ,—მადლობას გეტყვი. ეგებ რაიმე შარში მოვხდე და მოვიშორო.

**იაგო** (საქმეთა-მმართველი, სადაც ოტელო გამგედ არის): — რაღაც არ მომწონს, თქვენი ცოლი, რომ თქვენს თანაშემწეს ასე თამამად ელაპარაკება. თქვენ რომ დაგინახა თქვენმა თანაშემწემ უცბად მოშორდა თქვენს ცოლს. მე ხშირად ვხედავ უკარნახებს ის რემინგტონზე და თანაც რაღაც ეშმაკურად ჩასცქერის მკერდში, რომელს დეკოლტე ღია აქვს და მოქრილი დიდათ. გარდა ამისა, ცხვირსახოცი შენ რომ აჩუქე, ის დეზდემონამ მას აჩუქა და ეხლა მას აქვს. მაშასადამე, აქ რაღაცა მგონი რომ არის.

**ოტელო** (აღტაცებით): — გაუკეთდი კაცი! მოვიშორო ეგებ თავიდან. ფრთა შეკვეცილი ცოლის მიერ ისევ გავშალო. მერე, იაგო, კიდევ რაიმე ხომ არ იცი?

**იაგო**: — ერთი მითხარით, უწინ თქვენს ცოლს იცნობდა თუ არა?

**ოტელო**: — კი, როგორ არა!

**იაგო**: — ჰა, სად ყოფილა დამარხული ძაღლისა თავი.

**ოტელო**: — მითხარ რაც იცი, ყოველივე, თორემ მაგ შენს თავს არ ელირსება არც დამარხვა ძაღლის თავსავით. მითხარი მეთქი, თორემ მოგხსნი სამსახურიდან.

**იაგო**: — იმას ვამბობდი, თქვენმა ცოლმა თუ გთხოვა თქვენა-იმის შესახებ.

**ოტელო**: — კი, კი მთხოვა.

**იაგო**: — რაო?

**ოტელო**: — ფული არა აქვს გაფლანგული, ტყვილათ მოხსენიო.

**იაგო**: — მერე?

**ოტელო**: — და სამსახურში აღადგინე ისევ იგიო.

**იაგო**: — ჰა, აწ ყველაფერი ხელის გულზე მაქვს და ვიცი, როგორ გგონიათ, როგორ, როგორ, ბატონო გამგევ! თუ ის ქოფაკი არა ეტრფის თავის გამგის ცოლსა და...

**ოტელო**: — და პირიქითაც: დეზდემონა—იმ კაცის გლახას.

**იაგო**: — დიაღ აგრეა, თუმც მცხვენოდა მე თქმა ამისი. ჰო - და აქ რაღაც ჭადრაკულად საქმეა მგონი.

**ოტელო**: — ნუ დამიმალავ, სთქვი რაც იცი, ჩემო იაგო. და თუ მეღირსება ცოლთან გაყრა ასეთი შარით, — იცოდე, მაშინ მის ადგილზე მე შენ დაგნიშნავ ჩემს თანაშემწეთ.

**იაგო**: — თქვენი ერთგული მუდამ ვიყავ, ვიქნები მუდამ... იმას ვამბობდი, რომ ჩუმად კოცნა მხოლოდ ერთხელ...

**ოტელო**: — კოცნა, რომელიც აკრძალულია.

**იაგო**: — ან ერთ საათს, თუ მეტს, ლოგინში თვის მეგობართან თუნდ შიშვლადაც ერთად დაწოლა ცუდის რამ ზრახვის უქონლად...

**ოტელო**: — ოჰო! ჰაა, უკვე გათავებულა ყველაფერი. ცუდი ზრახვის უქონლადო, გიჟი ხომ არა ხარ? ჯირკი ხომ არ არის კაცი! მორჩა, გათავდა. ოტელოს ჩარხი ისევ წალმა შემოტრიალდა.. მიზეზს ვიშოვნი, გავეყრები, უალიმენტოდ. ოი, გამჩენო, მაშაშორე ცოლის უღელი. ო, მალე მინდა გასაყრელად წავიდეთ ზაგში, ჩემო იაგოვ თანაშემწევ და მოადგილევ.

**იაგო** (თავისთვის): —მე ამისრულდა დიდხნის ნატვრა, ჩემი მიზანი.. რას ბრძანებ მაგას! ვარ პატარა საქმეთ-მმართველი..

**ოტელო**: — არა, დღეიდან თანაშემწე ხარ ჩემი, იაგო.. მაგრამ ჯერ კიდევ შველა მინდა შენგან მრავალი. როგორ დავიწყო, ან საიდან, რა შარი მოვსდო?

**იაგო**: — ეგ ადვილია. როცა მოვა, და კიდევ მოდის... ასე უთხარი: „თავი მტკივა და შესაკრავად ცხვირსახოცი მომეცი“-თქო.

**ოტელო**: — ყოჩაღ იაგო. რა ჭკვიანი ყოფილხარ, თანაც მოხერხებული; მე თურმე ვერ გიცნობდი. ამდენხანს უნდა დამენიშნე ჩემს თანაშემწეთ.

**იაგო**: — უკვე დრო არის, რომ წავიდე. (მიდის).

**ოტელო**: — წადი, არ გნახოს დეზდემონამ, ჩემთან რომ იყავ.

**დეზდემონა**: — კაცო, სადა ხარ შენ? სად დაიკარგე?

**ოტელო**: — რაო, რა გინდა?

**დეზდემონა**: — რა მინდა, და რა გააჰირვე კაცო, საქმე! მუშგლეხინს ხომ არ მოუხსნია შენი თანაშემწე კასიო? ისევე თქვენმა რევიზიამ მოხსნა. აღადგინე ისევ. ორი ათასი მანეთი რომც აკლდეს და გაფლანგული ჰქონდეს, ეს არაფერია. ჩტო ტაკოე, დვე ტისიჩ რუბლეი! პოდუმაეშ, ბოლშაია სუმმა!

**ოტელო**: — თუმც მონაწილე შენ ხარ მისი, მაგრამ დამცველად ვერ გამოდგები.

**დეზდემონა**: — რაო! რას ამბობ!

**ოტელო**: — შენთან დახარჯა, შენ შეგაჭამა ეგ ფული მან, თუ სხვებთანაც კიდევ?

**დეზდემონა**: — ხომ არ გაგიჟდი, შენ ოტელო, რაებსა ბოდავ!?

**ოტელო**: — დიაღ მე ვბოდავ, ვბოდავ მიტომ, რომ სიცხე მაქვს თავში.., ჰო, მართლა, ქალო, თავი მტკივა; მომეცი შესაკრავად ის ჩეჩუნჩის ცხვირსახოცი, აი მე რომ შენ გაჩუქე.

**დეზდემონა**: — თუ თავი გტკივა სველი ტილოთ სჯობია შეკვრა.

**ოტელო**: — არა ის მინდა. ცხვირსაც უნდა მოხოცვა ხშირად::: აქ მომიტანე, დეზდემონა, ის ცხვირსახოცი.

**დეზდემონა**: ის დამეკარგა.

**ოტელო**: — აწ აშკარაა ყოველივე, კი არ დაჰკარგე, ის შენ აჩუქე შენსა კუროს ჩემს თანაშემწეს. ვიცი, მე ვიცი, აწ ჩვენს შორის გათავდა ყველაფერი. შენ უნამუსო, შენა. (ცხვირში მუშტსა ჰკრავს).

**დეზდემონა**: — ვირო, მუტრუკო. შენ გგონია უპატრონო ვარ?

**ოტელო**: — არა მგონია! შენ გყავს პატრონი და შეიძლება არა ერთი, ბევრი, მრავალი. პირველი მათში ალბად ჩემი ყოფილი თანაშემწე და ეხლანდელი უმუშევარი კასიო.

**დეზდემონა**: — შენ რომ გგონია, ვერც ისე ადვილად მომიშორებ. ალიმენტს დაგაყაჰვინებ.

**ოტელო**: — თუმცა კანონით ალიმენტი შენ არ გეკუთვნის, მაგრამ რადგანაც შენ გიშორებ აწ სამუდამოდ, უარსაც არა ვამბობ ალიმენტის გადახდაზედა.

**ისელი.**

---

# ე რ თ გ უ ლ ი   რ ჩ ე ვ ა



**კარდანახის ფოსტა**

— დეპეშა მინდა ტფილისში გავგზავნო!

თუ საჩქარო ამბავია, გირჩევთ წერილი გაგზავნოთ!

p-7188

# ფოსტა

**ხლოპუშკას.** თუ ბიქტორ ტყეშელაშვილი, როგორც თქვენ იწერებით, „სცემს გლეხს“, ფულებს ასესხებს, როგორც მევახშე, გლეხებში მონაკრებ ფულს ფლანგავს, ყოფილ თავადს, წულუკიძეს თავის თავს ადარებს, ხოლო პარტიულ მანდატს კი მაინც ატარებს, ცხადია, ეს „მაინც“ ივნისს იქით მაინც ველარ გაგრძელდება, რადგან განკითხვის ჟამი, პარტწმენდის სახით, მოახლოვებულია სწორედ ამ დროისათვის.

**გულვაჟას.** თქვენი ლექსის: „მღვდელი და გლეხი“-ს ბოლოში ორი თხოვნაა: ერთი—დაგიბეჭდოთ აღნიშნული ლექსი, ხოლო მეორე—თუ დაბეჭდვის ღირსად ლექსი ვერა სცნათ, „ცნობათა მიღება“-ში მაინც მოვათავსოთ ამის შესახებ. როგორც ხედავთ, ვასრულებთ მეორე თხოვნას. არ იფიქროთ, რომ ამით მღვდელს ვსწყალობდეთ, პროზაში რომ ყოფილიყო დაწერილი, ვინ იცის, იქნება მოგვეთავსებინა.

**მუსუსს.** შერმანდინ და ნიკიფორე თუ თვითონ შეექცევიან ბანკის მიერ გლეხებისაგან შენასყიდ კვერცხებს, კარგსაც შვრებიან: ბანკს ის კვერცხები, ალბად, სხვაგან უნდა წაეღო გასასყიდათ, იქაც ხომ იმასვე დამართებდენ აღნიშნულ კვერცხებს, რასაც მანდვე შერმანდინ და ნიკიფორე დღეს აყენებენ? მაშასადამე, გლეხებისათვის ეს თითქმის სულ ერთია, უფრო კი მათი სიმპატია ადგილობრივ კვერცხების მხარეზე იქნება; ხომ გაგიგონია: „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“? ამ შემთხვევაში კი ლუკმები, ე. ი., კვერცხები ჯამში კი არა, მთელ ორ უძირო ბო... ცვივა, როგორც თვითონ გლეხებიც რწმუნდებიან ამაში.

დიახ, მართალი ხართ თქვენ: ცილეული საჭმელი კაცს ძალიანა რგებს!

**ლადიკელას.** თქვენი „როგორ გვეითენე აღდგომა“ რომ წავიკითხეთ, თავს შევეკითხეთ, რადგან თქვენ, საბედნიეროდ, ჩვენს ახლო ამ დროს და არც არასოდეს არ იყავით, „ნეტავი, ზომაზე მეტი სიცხე ხომ არ არის ჯერჯერობით ჩამოწოლილი თქვა?“.

თავმა გვირჩია ტერმომეტრისათვის მიგვემართა, მაგრამ, საუბედუროთ, არც ახლა აღმოჩნდით თქვენ ჩვენს ახლოს.

**ოლოლს.** ოლოლი თქვენ რომ ვერ გვაცდინე და თქვენი ჰოლოკის სიგრძე ლექსი ვერ დაგვაბეჭდვინე „ტარტაროზში“.

მაგრამ ამ მეორე ლექსში მოსაწონი ადგილიც არის. აი, ისიც:

**„ეპოსა აქვს სასადილო,**
**სადაც არის გამგეთ ივა,**
**ორ კვირაში მან გაქაფა**
**ახ ცხრაფუთი ეპოს თივა“-ო.**

თუ ასეთი ინტენსიური თივისმჭამელები ჰყავს ეპოს სასადილოს, ცხადია, ეპოს გამგეობაც ეყოლება, ხოლო ამ გამგეობას თავისი თავმჯდომარეც. ახლა წარმოიდგინეთ ჩვენი „შორით კვდომა, შორით ბნედა“ იმ გაოცებისგამო, თუ რამდენი თივა უნდა იყვეს ასეთი ეპოს თავმჯდომარის თავში, რათა ეს უკანასკნელი პირნათლად გასწვდეს ყველა თავის ხელქვეით — თანამშრომლებს!..

**ტარიელს.** თქვენ ასე იწყებთ თქვენს წერილს: „ჩემი მგოსნობა“.

„როდესაც პირველად ჯღაბნა დავიწყე, მეგონა ჩემი თავი ბაირონი“-ო.

ეს არაფერია. „პირველი ცოცხი მუდამ კარგათ ჰგვის“. თქვენ ისა სთქვით, თუ ახლანდელ თქვენს ჯღაბნას რას უწოდებთ: ასცილდებით თუ არა ბაირონს? ხომ იცით, ამჟამად სხვადასხვა ბუშტების სეზონია (ფერადი ბუშტების!), მათ შორის — საპნის ბუშტებისაც.

ამ ჩვენს აზრს ზედმიწევნით ამტკიცებს სხვათა შორის თქვენი შემდეგი ლექსებიც: **„მგოსანი“** და **„ახალი სურათი“**.

**„პიონერს“.** თქვენ, როგორც პიონერი, მუდამ „მზად“ უნდა იყვეთ ასეთი შემთხვევისათვის, როგორსაც თქვენს ლექსში აგვიწერთ. მუდამ მზად ყოფნა კი იმას ნიშნავს, რომ მსგავს მეფურნისაგან უარესსაც უნდა მოელოდეთ, მხოლოთ საამისო ორგანოები ხომ მანდვე გაქვთ, ალბათ, ცხვირის წინვე. სრულიად უბრალო განცხადება გეყოფათ ამისთვის, გნებავთ—ზეპირიც, ვიდრე სწეროთ გრძელი და უშნო ლექსები, ხოლო ისიც ასე უშედეგოთ.

**მსუბუქ კავალერისტს.** ფსევდონიმი ფრიად დროული აგირჩევიათ, მაგრამ ამ შემთხვევაში გადაჭარბებული სიმსუბუქეც არვარგა. თქვენ კი თქვენს შარადაში არა თუ მარტო სიმსუბუქეს, ცოტა მეტ რამესაც იჩენთ, როცა პარტიის გენერალურ მდივნის გვერდით გვიყენებთ ვიღაც მიკიტანს. ასეთ კონტექსტით შარადა კი არა, მეგრული „ვარადაც“ არ ვარგა, ჩემო კეთილო!

**ლაკარტს.** თუ ბანკიდან გამოტანილ ფულებს სოფლელები იქვე სტოვებენ, რესტორანში, ეს მეტად სამწუხარო ამბავი აგელოთ და უპირველოთ მოგეწერათ, კონკრეტული შემთხვევის დასახელებით; თორემ რას გავს ეს ამოდენა ლექსი და ისიც აკაფთი ოკრო-ბოკრო. იწერებით:

**„მთავრობები გაალვიძე,**
**ასეთნი რომ გაასწორონ“-ო.**

რომელ მთავრობებზე ლაპარაკობთ? ჩვენ ერთად ერთი მთავრობა გვყავს, საბჭოთა მთავრობა, რომლის სიფხიზლეს თქვენი კოჭლი მოწოდება ძილს კი არ გაუფრთხობს, არამედ სწორედ ღვიძილს დაუყენებს მეტად ცუდ გუნებაზე.

**ჩიხტი-კოპს** ჩიხტი-კოპი კი, არა პარიზის უკანასკნელი მოდის შლაპაც რომ დაიხუროთ, მაინც ვერ გალამაზდებით, რადგან თქვენს ლექსზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ანდაზა: „საქვანელი პატრონს ემსგავსება“-ო. ან კიდევ —„კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“-ო. არა, რა ფუნიკულიორზე ასატანი იყო თქვენი ანდრიას და შურას ამბავი? ასეთები ამჟამად მეჯაგვეებს სწორედ საწინაამდეგო მიმართულებით მიაქვთ და იცით, სად ჰყრიან?—მადათოვის კუნძულის თავში.

## ზეცაც კი დაფრთხა

სად. ბათომის მოლარე ნიკო ჯორჯიკია ყვირილის, უსტაბაშია. ხელებს დაარტყამს მაგიდას, ხმა მისი ადის ცაშია.

„აჭარის კლდე“.



**ღმერთი:** — რა ამბავია?! მიწიდან საშინელი ყვირილი ისმის!

**ანგელოზი:** — ნუ შეშინდებით! არაფერია, ალბად ნიკო ჯორჯიკია უყვირის სხვებს!